



ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

1 ნომბერი 2013

№22 (204)



მურმან ჯგუბურიას ესეი
 ნინო ქუთათელაძის პოემა
 ვეფხისტყაოსანი და ფაუსტი
 ინტერვიუ გურამ ბათიაშვილთან
 ნოდარ გურაბანიძის თეატრალური ესეები
 თენგიზ შირვაშვილის ლიტერატურული პორტრეტი
 ვაჟა-ფშაველას აზერბაიჯანელი მეგობრები
 შენიშვნები საყდრისის ოქროს შესახებ
 ეს უცნაური, უცნაური საქართველო
 მალხაზ მაჭავარიანის ლექსები
 ფრანგული ნოველები

შინაარსი

კავკასიის გზაზე	2	როსტომ ჩხეიძე ვაჟა-ფშაველას აზერბაიჯანელი მებრძოლები (იმირ მამედლი და ოქტაი ქაზუმოვი)
ჩვენი ყოფა, წითისოვანი	5	ზურაბ ხასაია ვიზისტიკოსი და ფაუსტი
მსხარე-ინტერვიუ	10	გურამ ბათიაშვილი „ნუ ვინილავთ წარსულის ნგრევას“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	11	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
პოეზია	19	მალხაზ მაჭავარიანი ფიქრები ქარში... და სხვა ლექსები
კლანიკური მემკვიდრეობა	24	ნინო ქუთათელაძე ჩემი კუნძულები
ლილოზი	31	თემურ გაბუნია რომანი-მისტერია (უილიამ ფოლკნერის რომანი „სული რომ ამომდიოდა“ ქართულად) „სადაც უნდა ვიცხოვრო, ჩემი პოეზია ქართული ლიტერატურის ნაწილია“ (თამარ შაიშველაშვილს ესაუბრება ირმა შიოლაშვილი)
წითელი და წვრილი	32	ნოდარ გურაბანიძე სამყარო თეატრალის თვალით
ჩანახტი	38	მერაბ ჯიბლაძე ნაპეზის დირექტორი
უსხოვლის თვალთ	40	ეკა ბუჯიაშვილი ეს უცნაური, უცნაური საქართველო (ელენ ჟერარდენი)
დაუვიწყარი სახელები	43	ბაგრატ ხატისკაცი „რა ბედნიერება იქნებოდა...“ (ვიკტორ ნოზაძის დაბადებიდან 120 წლის აღსანიშნავად)
თქმა მართლისა	44	გიორგი თავაძე, დავით სახვაძე, ჯუმბერ ხანთაძე „ბასტიხს ქვასაც მაბარს...“ (შენიშვნები საყდრისის ოქროს შესახებ)
სხვა საქართველო სად არი	49	ვლადიმერ ოგნევი საქართველო — რატომ?
გაფი კახისა	50	ლელა ჯიყაშვილი მისაპალი (თენგიზ მირზაშვილი)
კრიტიკა	59	მურმან ჯგუბურია აი, მიზეზი (გიზო ზარნაძის „ტატიანო“)
ლიბერალური ცხოვრება	61	ნინო დეკანოიძე პოეტის „რჩეული“ (ლია სტურუას კრებულის წარდგინება)
ახალი წიგნები	62	ბონდო არველაძე წარსულის იარათა საღვთი მომავალში! (დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი)
უბის წიგნიდან	63	ნინო მჭედლიშვილი სად არის სული?..
უსხოვრი ნოველა	64	ეჟენ დაბი კაცი და ქალი
ნაკვეთი	67	ანდრე მორუა რენო ლემარის დაბრუნება
მოულოდ	69	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
	71	როგორც ქვამ და მებოვარება



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 4 ოქტომბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თვაი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ელენ ჟერარდენი, ვალერი შირას ფოტოგრაფიული
ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი

როსტომ ჩხეიძე

ვაჟა-ფშაველას აზერბაიჯანელი მებჭურები

(იმირ მამედლი და ოქტაი ქაზუმოვი)

როდესაც ზეზვა მედულაშვილი შეუდარებდა ვაჟა-ფშაველას პოემის „გოგოთურ და აფშინა“ ორიგინალსა და მის აზერბაიჯანულ ორეულს, ოქტაი ქაზუმოვის მიერ ამეტყველებულს, წერილ გარჩევასა და ანალიზს აღარ გაჰყვებოდა და მოკლედ და სადად იტყოდა:

— თარგმანი ძალიან კარგია, დაჭერილია ვაჟას სტილი, თხრობის ეპიური მდინარეა, სწორად არის გახსნილი და შესაბამისად გადატანილი ვაჟას მეტაფორები, შენარჩუნებულია ავტორისეული თხრობის ბუნებრიობა და დედნის რიტმიული ქარგა.

უკეთესი დახასიათება მთარგმნელობითი აქტისა ალბათ აღარც არსებობს.

ქართული და აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთი ჩინებული მცოდნე გვიდასტურებს, რომ აზერბაიჯანულ მკითხველს საშუალება ეძლევა „გოგოთურ და აფშინას“ კონგენიალურ ვერსიას გაეცნოს.

ზეზვა მედულაშვილს მხოლოდ ეს წარმატებული ცდა კი არ გაახარებდა, არამედ უპირველესად მაინც ის, რომ ოქტაი ქაზუმოვის სახით მხატვრული თარგმანის ძველ თაობას კარგი შემცველი გამოჩნენოდა, ახალგაზრდა კაცი, ვინც იმ გამბედაობასაც გამოიჩინდა, რომ მთელ პოემას დაბალი შაირის რიტმით გადაიღებდა, პირწმინდად ქართული სალექსო საზომით.

ამ მეტრიკული სქემის მსგავსიც არაფერი მოიძებნებოდა მსოფლიოს არცერთ ენაში, გარდა აზერბაიჯანული ენისა. თუმცა აქაც ამ სქემით კანტი-კუნტი ლექსი თუ შეგვხვდებოდა, ისიც აშუალოდ პოეზიაში. ქოროლის ეპოსშიც ამის დამადასტურებელი ერთადერთი ლექსი მოიპოვებოდა, რომელსაც აზერბაიჯანული ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოში დაბალი შაირის მეტრული სქემის მაგალითად იმონებენ.

ხოლო ოქტაი ქაზუმოვს რატომ გადაეწყვიტა, რომ ასე გაერთულებინა საქმე თავისთვის?

ზეზვა მედულაშვილი მიიჩნევდა, რომ იგი მთელი არსებით გრძნობს და უაღრესად აქვს გაშინაგანებული ქართული შაირის რიტმიკა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, რასაც მხარი აზერბაიჯანული ენის შესაძლებლობებმაც აუბა.

მისი ეს წინაქმე დაერთოდა „გოგოთურ და აფშინას“ ბილინგვურ გამოცემას („დიოგენე“, 2012) და აქედან იმ გარემოებასაც შევიტყობდით, რომ თავის დროზე სწორედ ზეზვა მედულაშვილს ერჩია იმირ მამედლისთვის ვაჟას პოემების თარგმნა აზერბაიჯანულად, და მასაც წარმატებით შეესხა ხორცი ამ წამოწყებისათვის, 2003 წელს „ინტელექტი“ თბილისში რომ გამოსცემდა „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ ჩინებულ აზერბაიჯანულ ვერსიებს.

როგორც მაშინ აავსებდა იმედითა და მოლოდინით იმირ მამედლის გამოჩენა კავკასიური კულტურის ბედით დაინ-

ტერესებულ ადამიანებს, ისეთივე იმედი და მოლოდინი გაჩენილა ოქტაი ქაზუმოვის შემოსვლითაც ქართულ-აზერბაიჯანული კულტურის სარბიელზე, მითუმეტეს, რომ თავის დროზე სავსებით გამართლდა მკითხველის ის ვარაუდი და იმირ მამედლი სულაც „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით დაავიჯინებდა თავის სამწერლო მოღვაწეობას, აღბეჭდილს მრავალფეროვნებითაც — ლექსებით, ნოველებითა და პიესებითაც რომ გაამყვანებდა თავის ნიჭიერებას.

ამჟამად იგი აზერბაიჯანში განაგრძობს საქმიანობას, თუმცა სადაც უნდა იმყოფებოდეს, არასოდეს მოწყდება თავის ქართულ ფესვებსაც, და რაკილა იმირ მამედლი ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების მონაწილეცაა, ამიტომ აუცილებელიც გახლდათ მისი ასი ლექსის გამოჩენაც „ინტელექტის“ გახმაურებულ პროექტში.

წინათქმის დაწერას ბესიკ ხარანაული ითავებდა და მისი ეს მცირე სტატია „მტკვრის სათავიდან — მტკვრის შესართავამდე“ იმ აღმტაცი პათოსით განმსჭვალულა, რასაც ინვესს თვალსაჩინო ღვანლისადმი შესაფერისი პატივის მიგების წადილი. ეს წინათქმა მითუფრო სასიხარულოა, რომ ბესიკ ხარანაული მაინცდამაინც არ გვანებოვრებს სტატიებით თუ ესეებით, და ეს თავგამოდება კი მიგვანიშნებს, რომ იმირ მამედლის პიროვნებასა და მოღვაწეობაში რაღაც განსაკუთრებულს ხედავს, და მის ლექსებსაც აფასებს არამარტო წამდვილი პოეზიის გადმოსახედიდან, არამედ ზოგადკავკასიური მთლიანობის იდეითაც შთაგონებული.

— იმირ მამედლი, აზერბაიჯანულ-ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე, უნიკალური მოვლენაა დღევანდელ კავკასიაში. აღზრდილი ორი ენის, ორი ლიტერატურის ტრადიციებზე, იგი, იმავდროულად, ორმაგი ერთეულებითაა აღვსილი — მთელი არსებით ემსახურება ორ სამშობლოს, ორ ენას, ორ პოეტურ სტიქიასა და ორ კულტურას.

სტატიის ფინალური აკორდი კი პოეტური მეტაფორებითაც შემოსვლილია: ახლა იკრიფება იმირ მამედლის მტევანი, ახლა ჩამოისხმის ის ღვინოდ, რომელიც დაათრობს ადამიანებს მტკვრის სათავიდან მტკვრის შესართავამდე.

გარეკანის მეოთხე გვერდზე, სადაც პოეტის მხატვრული მრწამსის ყველაზე კანთიულად გამომხატველ ლექსს ათავსებენ ხოლმე, ამჯერადაც ამგვარი სტრიქონებია ამორჩეული: ვზივარ ეული, დარდმოჩეული, ფიქროვული, მსურს გავისხენო, მაინც სად დამრჩა ჩემი ბავშვობის ლექსთა რვეულიო.

რამდენი ლექსი წაგვიკითხავს ბავშვობის მონატრებასა და ნოსტალგიაზე, რამდენს მოვუხიბლივართ და ხელშესახებადც განუცდევინებია ავტორისა თუ ჩვენივე სიყმანვილის სურათები, ნისლში ჩაძირული და მიყრუებული, უეცრად რომ ამოშუქებულია პოეტისაგან მოგვრული განწყობილებიდან. და თურმე კიდევ ერთხელ შეიძლება მძაფრად შეგვეგრძნო გარდასული ხანა ჩვენი ბიოგრაფიისა — ასეთი სისადავითა და უბრალოებით შეთვისებული.

ხომ თითქოს ისეთივე არაფერი, არა? მაგრამ იდუმალი მადლი პოეზიისა ძალდაუტანებლად გვიყოლიებს და კარგა ხანსაც მოგვაქცევს თავის განწყობილებებში სადაც დარჩენილი ბავშვობის ლექსთა რვეულის არსებობა... და გრძნობ, რომ დაჭერილია ის მოუხელთებელი წამი, რომელიც შეაძლებინებს პოეტს, შეინარჩუნოს ბავშვობის რომანტიკა და კვლავაც იმ მუხტით განმსჭვალოს თავის ლექსთა ამჟამინდელი რვეულიც, იმ რომანტიკის ანარეკლი და ბუნებრივი გაგრძელება.

და იმ სისუფთავიდან და სინრფელიდან გაიზაროს ადამიანური ყოფის ტრაგიაში და, სხვა ცოდვებთან ერთად, იტვირთოს შიშისაგან დადუმების ცოდვაც, ასერიგად დამთრგუნველი, ამ იძულებითი „წინვანადას“ გამოფხიზლების აუცილებლობას რომ შეგვაგონებს:

**მე მოჭიხვინე ცხენის ძეგლი ვარ,
ჩამგუბებია სულში ჭიხვინი
და ვულკანივით ვერ არღვევს იგი
ჩემი დუმლილის უამრავ ფენას.
ათასი რამის თქმა მინდა, მაგრამ...
ათას სიმართლეს ვიტყვოდი, მაგრამ...
ამოვანთხვედი ზღვა ნალველს, მაგრამ...
ბევრ რამეს პირში გეტყვოდით, მაგრამ
მე მოჭიხვინე ცხენის ძეგლი ვარ...**

მოჭიხვინე ცხენის ძეგლი ორიგინალური, მარჯვედ მიგნებული მეტაფორაა, ისევე, როგორც ცხელი თონიდან ამოგდებული ქართული პურის გაიგივება უეცრად ამოსრიალებულ მზესთან. და ამ მეტაფორამ თავისთავად უნდა მოიყოლოს ლასლასა მთვარის გაიგივებაც დაის ჩაკრულ შოთ პურთან, რომელიც ხვალამდე ახალ მზედ უნდა გამოცხვეს. ხოლო ჰორიზონტს დიდხანს რომ შერჩება სინითლე, სხვა რა შეიძლება მოგაგონოს ამ სურათმა, თუ არა მწვანე მინდორზე ვეფხვის ნაწოლი?!

სინანულელიც რომ გამოიჭყოლია გარდასული დროიდან, ერთი იმისაცაა: არ გამაკარე კოცონს, ბუჩქივით ენთე როცაო. ახლა რაღაა? ახლა თავაყრილ ფიქრებს ნადირებივით თუ დახოცავ. და მძაფრ შეგრძნებაში ერთბაშად უნდა შემოიჭრას ვაჟას ასოციაციები: მომდევს უშენო ღამე, როგორც ალუდა მუცალსო.

ცხადია, არ არის აუცილებელი, ყოველთვის ზედაპირზევე ამოჩნდებოდეს ქართული ფესვების კვალი. ის მაინც ხშირად იგრძნობა ქვეტექსტებსა და ხვეულებში, ქართული ენის მადლისა და სტიქიის შეგრძნებაში, ხედვის რაკურსში, სადაც კი განცდაც გაუნელებლად ტრიალებს: კაცი გახლავარ აზერთა ტომის, თანაც თურქი ვარ, თურქი ხალასო.




ორი სამშობლოს, ორი ენის, ორი პოეტური სტიქიისა და ორი კულტურის შვილობა და მსახურება ვერასოდეს იქნება ორმაგი ერთგულებით აღბეჭდილი, თუკი თავისთავად გებოძება და ვერ იქცევა შენს სულიერ მონაპოვრად. სულიერ მონაპოვრად ქცევას კი აუცილებლად ესაჭიროება ის დაეჭვებაც და გაუცხოების განცდაც, დროდადრო აუცილებლად რომ უნდა იჩენდეს თავს და მულაგნდებოდეს იმ ტკივილად, ასეთი ექსპრესიით რომ გადაგვემლება თვალწინ ლექსში „უცხოობის შეგრძნება“, პოეტი თითქოს მთავარ ქარავანს რომ ჩამორჩენილა, ზის შინ, ჩაის სვამს და... ჰგონია, რომ სახლში არ არის.

დაე დაუფარავად გაცხადდეს ტკივილი.

დაე ამგვარი რეალობიდან გაქცევის სურვილიც ნუ დაიმალება.

**ო, საქართველოვ, რა დამემართა,
ვიტყვი სიმართლეს დაუფარავად,
ზოგჯერ ვაფარებ თავს შენს თბილ კალთას,
იქაც მგონია სახლში არა ვარ.**

მთავარი ისაა, რომ დაეჭვების, გაუცხოების შეგრძნების გადავლისთანავე კიდევ უფრო ძვირფასი და მშობლიური ხდება ეს ყოველივე, უფრო ცხადლივი — შენი მისიაც, და მინაგა-



ნი სილაღეც ისეთი დაუთრგუნველი, თუნდ ეს სტრიქონებიც რომ ინვევს, გადაძახილი გარდასული ჟამის აზერბაიჯანულ პოეტებთან: მასთან ვარ და არ ვარ მასთან, ცასთან ვარ და არ ვარ ცასთან, და შენს ფერხითთ ვთხზავ სევდიანს ჩემი ყოფის ლამაზ დასთანსო.

უფრო ძვირფასი და მშობლიური ხდება ეს ყოველივე, უფრო ცხადლივი — შენი მისიაცო...

და ამიტომაც ბევრი რამ მისდევს იმირ მამედლის ქართული სინამდვილიდან სწორედაც ისე, როგორც ალუდა მუცალს, და ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროს წარმატებით რომ შებედავდა, იმთავითვე ისე მაღლა აზიდავდა თამასას ვაჟას გააზერბაიჯანულები-სა, ყველა რომ ველარ გაეკარებოდა და მხოლოდ ღირსეულ სულიერ მემკვიდრეს იგუებდა, აგერ კიდევ რომ ამოუდგებოდა გვერდით ოქტაი ქაზუმოვი, „გოგოთურ და აფშინას“ მიღწევით გათამამებული ახლა „გველის-მჭამელსაც“ რომ უტრიალებს. და ეგებ „ბახტრიონზე“ ფიქრიც არ ასვენებს, რათა ვაჟას ეპოსი — ამ ხუთი პოემით წარმომდგარი — სრულად იქცეს აზერბაიჯანული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილადაც.

დაე გაუგრძელდეს ის შემოქმედებითი პროცესიც, ამ პოემის თარგმნისა არ იყოს, ოთხ წელიწადს რომ უჯდა „გოგოთურ და აფშინას“ და მისთვის ერთი ზეიმი, ერთი სიხარული აღმოჩნდებოდა შემოქმედების ეს პროცესი თავისთავად, რადგანაც ლამობდა ცოცხლად და ცინცხლად აემეტყველებინა აზერბაიჯანულად და იმთავითვე ამიტომაც გაერიდებოდა ან უკვე გადატკეპნილ რითმებს. ახლის მოსაძიებლად კი ზოგჯერ ერთი თვის განმავლობაში უწევდა ფიქრი და განსჯა, და ასონანსურ რითმებსაც მიმართავდა.

ამაღელვებელი იქნებოდა მისთვის პირველი სტრიქონის თარგმნა, რომელსაც უნდა განესაზღვრა თარგმანის სტილისტიკა, და ეჭვი კი — ნეტა გამოივივა თუ არაო — გაუნელებლად სდევდა თან, ვიდრე ორ უკანასკნელ სტრიქონსაც არ მოუძებნიდა სარგო შესატყვისს.

ვაჟას ენობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეეცდებოდა აზერბაიჯანულშიც მაქსიმალურად აერიდებინა თავი ლიტერატურულად გამართული ფორმებისათვის, და სწორედ ვაჟას ენობრივი ხიბლის გათვალისწინებით საორიენტაციოდ აზერბაიჯანული საგმირო ეპოსის — „ქოროლი“ — ენა გამოადგებოდა სისადავის შესანარჩუნებლად.

რიტმულობის ამოსავალი წერტილი კი აღმოჩნდებოდა ვაჟას პოემის ის თავისებური რიტმიკა, რომელიც მთარგმნელის მიერ „სამი კაკუნის პრინციპად“ სახელდებულ წესს მიჰყვებოდა, და რარიგ გაიხარებდა, როდესაც აზერბაიჯანული თურქული მისცემდა ამის საშუალებას ორიგინალის თავისებურების შესანარჩუნებლად.

შემოქმედებითი ლაბორატორიის ზოგიერთ გარემოებას იმ ნარკვევში გაგვიზიარებდა, შესავლად რომ დაურთავდა თარგმანს და საფუძვლიანი ანალიზისას ქოროლის საგმირო ეპოსსაც მოიშველიებდა პარალელებისათვის, ქართველი მკითხველისთვისაც ასერიგად ნაცნობს ზეზვა მედულაშვილის შესანიშნავი თარგმანის წყალობით.

ეს ნარკვევი განმეორდებოდა ავტორის ლიტერატურულ-წერილებისა და ესეების კრებულშიც „129 გვერდი ლიტერატურაზე“ („ინტელექტი“, 2012), რომლის წინათქმამაც — „საერთობა“ — ლევან ბრეგვაძე ოქტაი ქაზუმოვის ორ ციტატაზე დაყრდნობითა და უმთავრესად მაინც ნიგნის საერთო სულისკვეთების გათვალისწინებით აღნიშნავს, რომ: ავტორს ჩინებულად ესმის კავკასიის ხალხთა კულტურების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება, სპეციფიკა, რაც მათი განვითარების, შინაგანი დინამიკის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, და რითაც ბოლოსდაბოლოს ეს კულტურები ღირებულნი არიან მთელი მსოფლიოსათვის — მამრიყისთვისაც და მალრიბისთვისაც; და რომ გამხელილია ყრუ-ანტილისმომგვრელი სიყვარული სიტყვისადმი, ენებისადმი, რომელიც უფრო მაშინ იჩენს თავს, როდესაც სიტყვათა თავგადასავლებს ეზიარები და მიხვდები — იმდენი რამ ჰქონიათ საერთო ერთმანეთისგან თითქოს სრულიად განსხვავებულ ენებს, რომ მარტო ამის გამოც შეიძლება შენაინად მიიჩნიო სხვა ტომის კაცია.

საგანგებო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ ოქტაი ქაზუმოვი არ უფრთხის სალიტერატურო კრიტიკაში გაუკვალავი გზებით სიარულს და ამიტომაც მიუძღვნია ნიგნში თავმოყრილი წერილების თითქმის ნახევარი თავისი თანატოლი ქართველი მწერლებისადმი, გიორგი კეკელიძე იქნება თუ გიორგი ბუნდოვანი, სალომე ბენიძე, გურამ მეგრელიშვილი თუ ზვიად კვარაცხელია:

— რაც ფრიად დასაფასებელია, ვინაიდან ერთობ იშვიათი მოვლენა გახლავთ.

შეუძლებელია ოქტაი ქაზუმოვი სხვა მთარგმნელთა გარჯითაც არ დაინტერესებულიყო და ამიტომაც აანალიზებს ასეთი ხელოვნებით ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხია“ ემინ მაჰმუდოვისეულ ვერსიას და მიიჩნევს აზერბაიჯანული ლიტერატურისა და კულტურის შენაინად, დარწმუნებული, რომ ეს წარმატებული თარგმანი ამ ქვეყანაშიც ჰპოვებს სათანადო გამომხატურებას.

თავისთავადი ღირებულების გარდა სტატიის ავტორს სიხარულს ჰგვრის ისიც, რომ ეს ლიტერატურული აქტი შესრულებულია საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელის მიერ, ვინც დაუღალავად, მუხლჩაუხრელად იღვწის, რათა ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურულ ურთიერთობებს კვლავდაკვლავ შეემატოს ახალი თარგმანები ამ სფეროში არსებული სიცარიელის შესავსებად.

და ფაქიზად გამოთქმული მოწოდება:

— ამგვარ კულტურულ ურთიერთობებში საქართველოს აზერბაიჯანელების ჩაბმა, ერთბის დაახლოებისა და ურთიერთგაცნობის თვალსაზრისით ჩვენი, აქაუბრი აზერბაიჯანელების უპირველეს საზრუნავად და მოვალეობად მიმაჩნია.

„129 გვერდი ლიტერატურაზე“ აზერბაიჯანული მწერლობის კლასიკოსსაც გვაცნობს, მირზა ფათალი ახუნდზადეს (ნიგნში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ქართულ და აზერბაიჯანულ ლიტერატურათა დაახლოების, თარგმნის ტრადიციის სათავეში აკაკი წერეთელი დგას მირზა ფათალი ახუნდზადეს პიესის — „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი“ — ქართული ვერსიით), და თანამედროვე თურქ და აზერბაიჯანულ პოეტებსაც: ფაჰრი აიდოსსა და სალიმ ბაბულაოღლის, მათი ლირიკული სტრიქონები თვითონვე რომ გადმოუქართულებია და ხელშესახებად განგვაცდევინებს მათი პოეზიის შთაბეჭდაობას.

გემები ზანტად სცილდებიან ნავმისადგომებს, ელმავლები წამისწამად მიჰქრიან ვაგზლად. მე ნავსადგურში დაგემშვიდობე და სადგურისკენ ვიჩქარი ახლა.

ეს ფაჰრი აიდოსია, ვინც შეიძლება ასე მოუბოდიშოს სატრფოს: გული თუ გაგიტეხე, მაპატიე, შიგ ჩახედვა მინდოდაო.

პოეტები როცა კვდებიან, მინისტრები მსჯელობენ ასე: ბედნიერი გახლავან მეტად, ჩვენც გაგვიმართლა, მათ დროში რომ მოგვიხდა ყოფნა. პოეტები ბედნიერი არიან ისევ, ხოლო მინისტრებს კვლავაც უმართლებთ.

ეს კი სალიმ ბაბულაოღლი, ვინც იმ დღეებს თუ შეკრებს, როცა წერდა, შეიძლება სამი-ოთხი წლისა შეიქნას.

და მაინც, კრებულის გვირგვინი „აბოს“ „ღალატად“ დასათაურებული ნარკვევია, ჰაგიოგრაფიული მწერლობის ღრმა ცოდნით და ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სარწმუნოებათა ყოველმხრივი გააზრებით დაწერილი, ბაღდადელი ჭაბუკის მოქცევას ქრისტიანობაზე ორივე თვალთახედვით რომ განსჯის, რაც მთავარია, ამ პიროვნების სულის ფარულ შრეებში შეღწევას მიეღწევის და მიიჩნევს, რომ თუკი შეიძლება არაბთა მიერ აბო მოღალატედ იქნას შერაცხული, ზოგადეითიკური, უნივერსალური გადმოსახედიდან სულ სხვა შთაბეჭდილება გვრჩება და ტფილისის მფარველად გარდასახული ბაღდადელი ჭაბუკის სახება თავისი ნამდვილი, ღირსეული, შეუბღალავი იერი გვევლინება.

ასეთი რთულ და მეტად ფაქიზ მოვლენაზე დაკვირვებისას შეფასების უმთავრესი საზომი პიროვნების მოწოდება უნდა იყოს, და მაშინ უკვე აღარ ვიქნებით ცალმხრივი თუ მიკერძოებულნი:

— აბოს საქციელიც, გარდა იმისა, რომ იოვანე საბანისძის მიხედვით, ქრისტეს მიერაა წარმართული, პირველ ყოვლისა, შინაგანი მოწოდებაა და მას ანგარების გამო არ გადაუდგამს ეს ნაბიჯი, რაც მას მართლაც ნამდვილ ღალატში ჩამოერთმეოდა.

რასაკვირველია ასეა და მხოლოდ ასე — სადაც ანგარების მისხალიც არ ურევია, იქ ღალატზე სიტყვის ჩამოგდებაც კი სრულიად გაუმართლებელია.

ოქტაი ქაზუმოვის მრავალმხრივ ლიტერატურულ ინტერესებში უთუოდ კრთის მისი მომავალი ნარკვევიც „გველის-მჭამელზე“ — აბა, მარტოდენ აზერბაიჯანული ორეულის შექმნას ხომ არ იკმარებს, თუ ამ პოემის საფუძვლიან ანალიზსაც არ დაურთავს, ჩვენთვისაც არანაკლებ საგულისხმოს, ვიდრე აზერბაიჯანელი მკითხველისათვის... „ვეფხისტყაოსნის“ სრულფასოვანი აზერბაიჯანული ორეული უკვე რეალობაა.

ვაჟა-ფშაველას ეპოსის სრულფასოვანი ამეცყველებაც მალე იქცევა რეალობად, რადგანაც „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გოგოთურ და აფშინა“ იმავე სიმალლეზე აზიდულა და „გველის-მჭამელსა“ და „ბახტრიონსაც“ წინ ველარაფერი ვერ უნდა დაუდგეს.

შოთა რუსთველის მეგზურობას მარტო ითავებდა იმირ მამედლი.

ვაჟა-ფშაველას მეგზურობისას მხარში ამომდგომიც გამოუჩნდებოდა ოქტაი ქაზუმოვის სახით, წინამორბედის მიღწევას დაბლა რომ არ დაუშვებდა და თავდადებით გაჰყვებოდა ამ კვალს.

აქ, ამ სახელთან შეენივებოდა ერთმანეთს მათი ფიქრი და ოცნება.

აქ, ამ სახელის ჩრდილქვეშ შეიცნობდა ყველაზე ძალუმიად ოქტაი ქაზუმოვი იმირ მამედლის ღვანლს.

და ის დროც დადგება, როდესაც მასაც არანაკლებ დამვენდება ის პოეტური სუნთქვით გაჟღერებული ფრაზა: მტკვრის სათავიდან მტკვრის შესართავამდეო.

ზურაბ ხასაია

ვეფხისტყაოსანი და ფაუსტი

ა) ადამიანის ღირსებისთვის

ბიბლიის თანახმად, ადამიანი ბუნების გვირგვინია. იგულისხმება: ღმერთმა სამყარო შექმნა ადამიანისთვის და ამიტომაც შემოქმედების დასასრულს შექმნა თვით ადამიანი. ისე ჩანს, რომ მთელი ამ უდიადესი, ღვთის საკადრისი საქმის მიზანი, ანუ შემოქმედების გვირგვინი ადამიანი ყოფილა.

ყოველთვის, როცა ადამიანის ცხოვრება ეჭვს იწვევს, ბიბლიის ეს დიადი დოგმა გვახსენდება ხოლმე მწარედ. თითქოს თვალის გახელაც კი საკმარისია ამ დოგმაში ეჭვის შესატანად. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, თვალის გახელა არაა საკმარისი ამხელა საკითხის განსჯისას. უფრო ღრმად დაფიქრება საჭირო. ღრმად დაფიქრებისას კი ვრწმუნდებით: ადამიანზე უფრო დიადი და ღირსეული ქმნილების მოფიქრება ან წარმოდგენა ადამიანს არ ძალუძს. ასე ექცევა აზრი მანკიერ წრეში და ადამიანის ღირსების უარყოფა შეუძლებელი ჩანს.

საკამათო სხვა რამაა: რაში მდგომარეობს ადამიანის ღირსება? რა ხდის ადამიანს ბუნების გვირგვინად, შემოქმედების უმაღლეს ნერტილად, მიზნად? ბიბლიის პასუხი ცნობილია: ღმერთთან მსგავსება! „და თქვა ღმერთმა: შევქმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და მსგავსად; დაე ბატონობდეს იგი ზღვის თევზებზე, ცის ფრინველებზე, პირუტყვზე, მთელ დედამიწაზე, ქვეწარმავლებზე. და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატებად, ღვთის ხატებად... (დაბადება 1. 26-27).

თუ გვიჩვენებს, რომ ღვთის ანაბეჭდს მაინც მოვკრათ თვალი, სულ ამაოდ დავეუწებდით მას ძებნას ბუნებაში. არც ნათელი და ბნელი, არც წყალი და ხმელი, არც მზე და ვარსკვლავები, არც მცენარეები და ცხოველები – არაფერი ეს არ შეიცავს ღვთის ნატეხსაც კი. დიახ, სულ ამაოდ დავეშვებით და, რაც მთავარია, ზედ ეშმას ბუნებას კი აღმოვჩნდებოდით. მაშინვე დავრწმუნდებოდით **ლუთერის** სიტყვების სიმართლეს: მთელი ეს უკიდევანო ქვეყნიერება ეშმაკის ხელშია!

აი რა შენიშვნას დაუერთავს გერმანელთა დიდი რჯულისმდებელი „გალათელთა მიმართ ეპისტოლეს“ მესამე თავს: „ჩვენ ხომ მთელი სხეულითა და ქონებით ეშმაკს ვეკუთვით?! ჩვენ ხომ იმ სოფლის სტუმრები ვართ, სადაც მასპინძელი ეშმაკია?! რამეთუ პური, რასაცა ვჭამთ; სასმელი, რასაცა ვსვამთ; სამოსელი, რათაც ვიმოსებით; თვით ჰაერიც, რასაცა ვისუნთქავთ, და ყოველივე, რაიც სხეულს სჭირდება — ყველაფერი ეს ეშმაკის განკარგულებაშია“.

ფრანგული ნაკვეთი გაგვახსენებდა: დეტალებში სულ ეშმაკია ჩასაფრებული! თურმე მთელი ქვეყნიერებაა ღვთის ქმნილება, ღვთაებრივი, თორემ ცალკეული ნაწილები ეშმაკეულია.

მაგრამ ეძიებდე და ჰპოვებდეო. ღვთის მაძიებელმა ადამიანს უნდა მიაპყრო თვალი და შეხედო კარგად. აი აქ ნაანწყდები ღვთის ნაკვალევსო, გვასწავლის წიგნი დაბადებისა. თურმე ის ერთი ქმნილა ღვთის ხატად და მსგავსად. შევბას იგრძნობს ღვთის მაძიებელი: თითქოს დაქანცული და ყელგამშრალი მუღაბნო წყაროს წყლით დაარწყულესო; ანდა წყვდიადისგან თვალეზამოღამებულს სინათლემ ისევ აუხილაო თვალისჩინი. ასეა: ადამიანს ადამიანილა მოჰფენს ნუგუმს და ახარებს ამბავს ღვთის.

ასე გემოდღვრავს ბიბლია და გვასწავლის ადამიანის ღვთაებრიობას. ადამიანი ღმერთსა ჰგავს და ამაშია მისი ღირსება. ამიტომ არ შეიძლება ადამიანის მოკვლა, შეურაცხყოფა, დაჩაგვრა; ამიტომ ეკუთვნის მას მიტევებაცო, დასძინის მაცხოვარი. ეს ხომ ადამიანია და, მამასადამე, თვალშეუდგამია მისი ღირსება, ისევე როგორც თვითონ ღმერთი.

მაგრამ ღმერთთან ადამიანის მსგავსება მწარე ღმერთს იწვევს. ამიტომ დაზუსტებაა საჭირო: რითი ვგავართ? მეორე საუკუნის ალექსანდრიელი ბერი **ორიგენე** უპასუხებდა, შემეცნებით და თავისუფლებითო. თურმე ყველა სხვა არსებისგან გამოვიჩნებით და ღმერთს ვგავართ შემეცნების უნარით და თავისუფალი ნებით. ესაა მთელი ჩვენი ღირსება და სიდიადე, ჩვენი სიმდიდრე და სიამაყე, უწმინდესი და გაუხუხარი.

ვერაფერს იტყვი, სრულიად სწორად ბრძანა პატივცემულმა ბერმა: აკი ღმერთმა **სიტყვა**, შემეცნების ეს საიდუმლო ზოდი, უბოძა პირველ ადამიანებს და, ამავე დროს, მათი ბედი მათსავე ნებას მიანდო. სიტყვის ძალით ადამიანმა დრო და სივრცე მოინელა. სიტყვაში მოქცეულია მთელი უსასრულობა და მისი წყალობით ადამიანი ხილულ ქვეყნიერებაზე სამუდამოდ მალა დგება. მან იცის ის, რაც სამუდამოდ მიუწვდომელია ცხოველისთვის. ძალი მხოლოდ **შეიგრძნობს** საგანს, ადამიანმა კი **იცის** საგანი. ეს იმხელა განსხვავებაა და უპირატესობაა, რომ ადამიანი უპირობოდ ბატონობს ცხოველებზე და მთელ ბუნებაზე. ის ისევე გრძნობს თავს ცხოველებს შორის, ვით თვალხილული — ბრძებს შორის. აი რითი განსხვავდება ადამიანი ცხოველისგან და რითი ჰგავს ღმერთს. აი რადაა შემეცნება მისი ღირსების ნამდვილი საიდუმლოება.

მეორე მხრივ, ადამიანი **თავისუფალია**. მისი სხეული ქმნილებათაგანია ერთ-ერთი, მაგრამ მას ღმერთმა შთაბერა სული და ადამიანიც შემოქმედების მონაწილე გახდა — არაფრიდან იწყება და თვითონვეა დასაბამი. ღვთის ეს უმთავრესი საიდუმლოება ადამიანზეც გადმოდის და იქმნება ცნობილი მსგავსება ღმერთთან.

მკაფიოდ და შთამბეჭდავად გამოთქვამს ამას მეთხუთმეტე საუკუნის იტალიელი მოაზროვნე **პიკო დელა მირანდოლა** თავის ცნობილ სიტყვაში „ადამიანის ღირსებისთვის“. ამ ტექსტში ღმერთი მიმართავს ადამს: „ჩვენ არ გვიბოძებია შენთვის, ო, ადამ, არც განსაზღვრული ადგილი, არც გარკვეული სახე, არც რამე განსაკუთრებული მოვალეობა, რათა ერთიც, მეორეც და მესამეც თვითონ იქონიო შენი სურვილისამებრ, შენი ნებისა და გადწყვეტილების მიხედვით. ყოველთა სხვათა ქმნილებათა სახე ჩვენ დავადგინეთ კანონის ფარგლებში. შენ კი არანაირი საზღვრებით არ შეგვიბოჭიხართ. დაე თვითონვე გამოძერწე შენი თავი შენივე ნებით. შენივე ნება გვიცნია შენს ბატონად და მეუფედ!“.

თუ ყველანაირი მოძრაობა რაიმედან იწყება, ადამიანის მოძრაობა არაფრიდან მომდინარეობს. თუ ყველაფერი დასაბამით განისაზღვრება, ადამიანი თვითონვეა დასაბამი საკუთარი თავის. აი რატომაა თავისუფალი ნება ღვთაებრივი საიდუმლოება და ადამიანის ღირსების მეორე ბურჯი.

მაგრამ სახელმწიფოში ორი მეფე არ იქნება და სამყაროში — ორი ღმერთი. შემეცნებასა და თავისუფლებას შორის პირველობის საკითხი უნდა გაიკვევს. შემეცნების პირველობას და თავისუფლების მასზე დაფუძნებას, პირობით, **ვეფხისტყაოსნურ** კულტურას დავარქმევთ, ხოლო თავისუფლების პირველობას და შემეცნების მასზე დაყუდებას — **ფაუსტურ** კულტურას.

ბ) ვეფხისტყაოსნური კულტურა

ვეფხისტყაოსნური კულტურა ადამიანს ზომავს შემეცნებით. იგულისხმება, რომ შემოქმედება, ძირითადად, დასრულებულია — სამყაროც შექმნილია და ადამიანიც. თან შექმნილია ღვთის მიერ, ესე იგი, უნაკლოდ და უზალოდ. არცერთი შეცდომა შიგ არაა. რაც შეეცდომად ჩანს, ჩვენივე შეცდომის ანარეკლია და უფრო ღრმად ჩაფიქრებისას გაქარწყლებება, გაქრება. ყველაფერი, რაც ბუნებაში ცუდი ან ზედმეტი გვგონია, მართლა როდია ცუდი ან ზედმეტი.

ეს კობტადაა ნაჩვენები ქართულ იგავ-არაკში. მოგესხენებათ, ზარმაცს ფილოსოფიისკენ აქვს მიდრეკილება. ამიტომ ოსკარ **უაილდსა** და ტიცინ **ტაბიძეს** სიზარმაცე ღვთაებრივ სიქველედ, ხოლო სიბეჯითე და მინყი ფუსფუსი მონის საქმედ ეჩვენებოდათ.

ჰოდა ნამონვა ზარმაცე მუხის ჩრდილში. ალბათ, ზაფხული იყო — სიზარმაცის სეზონი. თვალი რომ მიმოავლო არემარეს, ჭვრეტის გუნებაზე დადგა ღმერთივით. ერთმა რამემ განაცვიფრა ფრიად: ვეებერთელა მუხას პატარა რკო ება, გოგრის უსუსტეს ღეროს კი — უმძიმესი ნაყოფი. ეს რა შუესაბამობააო, გაუკვირდა, და არ მოუწონა ღმერთის შემოქმედება, როგორც თავის დროზე ტიპო დე ბრაგემ ჰქნა ეს. მე რომ ვყოფილიყავი, სწორედ პირიქით ვიზამდიო — მუხაზე გოგრისხელა ნაყოფს გამოვბამდი, გოგრის ნაზ ღეროზე კი რკოსხელასო.

ამის გაფიქრება იყო და ქარმაცე ნამოუბერა. მუხის ტოტიდან რკო მოწყდა და მეოცნებეს თავში დაეცა. იმნამსვე ჭუმარიტება გამოეცხადა: ბუნებაში უკეთ ყოფილა განწესებული, ვიდრე თვითონ განანესა წელან!

მუხისა და რკოს პარადოქსი გამონაკლისი როდია. ქართველმა კარგად იცის, თუ როგორ გვანვენს ხოლმე გაჭირვება დედოფალთან; რაოდენ გონივრულია შვილის გაზრდა მტრად, რათა ბოლოს მოყვრად გამოვადგეს; როგორ გვაღუენებს, ბედოვლათად გვაქცევს და გვათავხედებს კიდევ ბუნების ზედმეტი ნყალობა; სამაგიეროდ მწარე ბავშვობა როგორ იქცევა საუკეთესო უნივერსიტეტად; როგორ გვაფხიზლებს და გვრანზმავს მტერი.

მაგალიტების ჩამოთვლა შორს ნავიყვანდა. ბევრი, ძალიან ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი და მცდარი ჩანს, ნამდვილად კი ბრძნულია. ადამიანისთვის, მთელი ხალხისთვის საუკეთესო პირობებად მიძიმე პირობები უნდა ჩაითვალოს. ამიტომ შემოქმედისადმი სამღურავი მოჭარბებული გრძობიდან უფრო გამომდინარეობს, ვიდრე ღრმა აზროვნებიდან. ვეფხისტყაოსნური კულტურა სწორედ ამგვარ მრწამსზეა აგებული: შემოქმედება ღვთაებრივია, უნაკლოა. უბრალოდ, საჭიროა სწორად ცხოვრება. ამიტომ ცხოვრება **შემეცნებას** უნდა დაემყაროს და ადამიანის ღირსებაც შემეცნებით უნდა გაიზომოს.

მაგრამ უნდა განვასხვავოთ ორგვარი შემეცნება, რაც ძველთაგანვეა ცნობილი. ერთს შეიძლება დაერქვას **ინსტრუმენტული** შემეცნება, მეორეს — **ფუნდამენტური** შემეცნება. ორივე აუცილებელია, მაგრამ სხვადასხვა ღირსებისაა. ეს სახელზევე ეტყობა. ერთი ინსტრუმენტი ანუ იარაღია, მეორე — ფუნდამენტი ანუ საძირკველი.

სიტყვაზე, ბორბლის გამოგონება ინსტრუმენტული შემეცნების შედეგია. ამან უებარი იარაღი მისცა ადამიანს არსებობისთვის ბრძოლაში და გააადვილა მისი ძნელი ცხოვრება. ამიტომ ამ ინსტრუმენტის მნიშვნელობა სრულიად ნათელია.

მნათობთა მოძრაობაზე დაკვირვებამ ადამიანს მისცა ცოდნა, რითაც მას შეეძლო მოსავლიანობის პირობების განჭვრეტა და უზრუნველყოფა. ამიტომ ეს ცოდნა იარაღი იყო და ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ იარაღის მნიშვნელობა. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ბრძოლაა; ბრძოლაში კი იარაღია საჭირო. არათუ ადამიანი, ყოველი ცოცხალი არსება იარაღით ხელში იღუპება. ინსტრუმენტული შემეცნება საჭიროა და მისი უარყოფა ან დამცირება არცერთ ჭკუათმყოფელს თავში არ მოუფა.

საკითხავი სხვაა: ეყოფა თუ არა ადამიანს ინსტრუმენტის ქონა, იარაღით აღჭურვა? შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: არა! მეტიც, შემეცნების ღვთაებრივი შინაარსი საერთოდ არ ჩანს ინსტრუმენტულ შემეცნებაში. იარაღი ცხოველებსაც აქვთ, მაგრამ ისინი „არ ჰგვანან ღმერთს“. ადამიანი ღმერთს ფუნდამენტური შემეცნებით ჰგავს. ბიბლიაში მას სიკეთისა

და ბოროტების შემეცნება ჰქვია. სწორედ ამან — „კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხიდან“ ნაყოფის დაგემოვნებამ აქცია ადამ და ევა ადამიანებად. ამას მოჰყვა ღვთის კომენტარიც: „ახლა ადამი გახდა ვითარცა ერთი ჩვენგანი, რაკილა იცის კეთილი და ბოროტი“ (დაბადება, 3. 22).

ფუნდამენტურ შემეცნებაში სწორედ ეს იგულისხმება: იმის გაგება, თუ რაა კარგი და რა — ცუდი. ქართულად ამას **შეგნება** ჰქვია. არსებობს „ღვთის კანონი“, ცხოვრების ღვთაებრივი ნორმა, სიკეთე, ურომლისოდაც იარაღი აზრს დაკარგავს და, პირიქით, დაგვლუპავს. ამის შემეცნებაა ცხოვრების საძირკველი და გონება ამისთვის გვებოძა.

ჩვენ დროებით უნდა დავუყრუვდეთ გარესამყაროს, როგორც ერთდროს არგონავტები დაყრუვდნენ ტკბილხმოვან სირინოზთა მიმართ, და ერთიანად მივიქცეთ ჩვენსავე თავსა და გულში ჩაფენილ სიტყვის — „სინდისის ხმის“ გასაგონად. ამით

ადამიანი დროებით ნყვეტს ყოფნას ცალკეულ, კერძო არსებად და აღწევს თავისი არსებობის უღრმეს ფენას, რასაც ილია **ჭაჭავაძე** „ზოგადკაცობრიულს“ უწოდებდა. ესაა საყოველთაო ინტერესის, სამართლიანობის შეგნება, სულიერი შემეცნება, საკუთარი თავის მოპოვება. მის გამო ამბობს მაცხოვარი: „რა ბედენაა მოიხვეჭო მთელი სამყარო, თუკი დაჰკარგავ საკუთარ თავს!“ (მათე, 16. 26). ფილოსოფიაში ამას საგანთა არსის შემეცნება ჰქვია და ეს ითვლება ცხოვრების ფუნდამენტად, საძირკველად.

შემეცნება ძველად სწორედ ამას ერქვა. შემეცნება დიდი სიტყვაა და ის მხოლოდ ასეთ დიდ საქმეს ეკუთვნის სახელად. ფაქტობრივად, იგი ადამიანის მეორედ დაბადებაა. ადამიანი იბადება „ადამიანის შესაძლებლობად“, რათა ის დაიბადოს მეორედ და ნამდვილად — იქცეს „ადამიანის სინამდვილედ“. პირველ შემთხვევაში ის მშობლების შვილია, „**ინდივიდი**“, ბუნების ნატუნია, „ადამიანი-შესაძლებლობაა“. მეორე შემთხვევაში ის საკუთარი თავის შვილია, **პიროვნებაა**, ღვთის ნატუნია, „ადამიანი-სინამდვილეა“.

როგორც ვხედავთ, შემეცნება აქ სწორედ უმაღლესი შემოქმედებაა, რადგან შემეცნებით ხდება ადამიანიდან ნამდვილი ადამიანის დაბადება, შექმნა. ამიტომ ვეფხისტყაოსნური კულტურა შემეცნებაზე მაღლა არაფერს სცნობს. სწორედ ისაა ღვთის პირველი აქტიც. აკი ღმერთი **სიტყვაა**. „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანე, 1. 1). დიახ, სიტყვა ანუ აზრია ღმერთი, უპირველეს ყოვლისა, და არა თავისუფლება, ნება.

ადამიანი ამ „ფუნდამენტური შემეცნებით“ იზომება. უფრო ხალხურად რომ ვთქვათ, ადამიანი შეგნებით იზომება. თუ ადამიანს შეგნება არ გააჩნია, ის არაა „ღვთის ხატი და მსგავსი“; მის ღირსებაზე ლაპარაკიც ლაყბობა და დაცინვა იქნება. ასეთი ადამიანის უფლებებზე ლაპარაკიც გესლიანი დემაგოგიაა. ეს ჯუნგლებში აღმოცენებული უფლებაა და მტაცებელ ნადირის ინსტინქტზეა დაყუდებული. ამიტომ ეს უფლება იმდენივე ღირს, რამდენიც — ნადირის არსებობა. თუ გავისხენებთ, რომ ნადირი ადამიანზე ბევრად უფრო ზომიერია, დავრწმუნდებით, რომ ადამიანის „ფუნდამენტური უფლებები“ ცხოველისაზე ბევრად უფრო საძაგელია და არავითარ პატივისცემას არ იმსახურებს.

ამით აისხნება თანამედროვე ლიბერალურ მსოფლიოში ადამიანთა სრული გულგრილობა და ზიზღი ერთმანეთის მიმართ. ისინი სწორად აფასებენ ერთმანეთს და, თუ დინჯად დავაკვირდებით, არც საკუთარ თავზე არიან დიდი წარმოდგენისა. ისინი იბრ-



სერგო ქობულაძე „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია

ძვიან წარმატებისთვის და არა საკუთარი თავისთვის. მათ არცა აქვთ „საკუთარი თავი“. ასეთ რამეს ისინი არ იცნობენ. მათ იციან თავიანთი „სოციალური იმიჯი“, მაგრამ არა „საკუთარი თავი“.

ვეფხისტყაოსნურ კულტურაში მთავარია არა უფლება, არამედ — მოვალეობა. ადამიანი იზომება მოყვასისადმი მოვალეობის შეგნებით. ადამიანს ღირსება აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ესმის მოყვასისადმი მოვალეობა. მოყვასი სხვა კი არაა, არამედ — „მე“-ს უღრმესი ფენა, ჩემივე არსებობის საძირკველი. აქ ყველანი ერთად ვართ და აქედან, ვითარცა ღია ფანჯრიდან, „მოჩანს ღმერთი“. ადამიანობა ამ საძირკვლის ქონაა. ადამიანმა თავის თავს უნდა უშველოს ამ საძირკვლის მოპოვებით, თორემ იგი მარტოობის, მწირი ცხოვრების, მოწყენილობისა და სიცარიელისთვის გაიწირება.

სწორედ ამის გაცნობიერებას ვხედავთ როსტრევიანის სასახლეში. ნივთიერად აღჭურვილ და ძალმორჩმულ სამეფოში ავთანდილმა იგრძნო შინაგანი სიმეციფე და სიცარიელე. ერთბაშად ყველაფერმა აზრი დაჰკარგა. საგანთა სიღრმიდან გამოჩნდა და გამოიკვეთა ეკლესიასტეს დემონი — „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო!“ აშკარა გახდა, რომ ადამიანს სახელმწიფო არ ეყოფა. მას „შინაგანი სახელმწიფო“ ანუ პიროვნება, სულიერება სჭირდება. ავთანდილმა მიაგდო „სოციალური აქტივობა“ და „წარმატებული ცხოვრება“. იგი შეუდგა მოყვასისთვის ზრუნვას, საკუთარი თავის მოპოვებას. ქაჯეთის ციხეში დამწყვედული ნესტანდარეჯანის გამოხსნა ბუნებაზე მიჯაჭვული, სხეულში გამომწყვედული სულის, პიროვნების გამოხსნაა. ეს დიადი სულიერი შემეცნება, მედიტაციაა **რუსთველის** პოემა. ადამიანი გამოხსნის თავის დამწყვედულ „მე“-ს და ჰპოვებს ცხოვრებას. მხოლოდ ამით, და არა როსტრევიანის ძლევამოსილი სახელმწიფოთი, გადაილახება ცხოვრების ამაოება.

აქ ჩვენ მივადექით ვეფხისტყაოსნური კულტურის მეორე ნაწილს — **თავისუფლების** განმარტებას. ამ კულტურას თავისუფლება ესმის შემეცნებაზე დამყნობილ ცხოვრებად. თავისუფლება ღვთაებრივი ნებაა, ოღონდ — შემეცნებით აღტკინებული. სიკეთის შემეცნებას ეგრევე მოსდევს მისადმი მონობის წადილი: **„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი.“** (ტიციან ტაბიძე); **„და მე ხომ ყველას მონა ვარ პირზე ოფლგადამდინარედ!“** (ვაჟა-ფშაველა)

ვინც იცის სიკეთე, ის მისდევს კიდევ მას. სიკეთის ცოდნა წარმოშობს მისი აღსრულების წადილს, როგორც **სოკრატე** ასწავლიდა ძველ საბერძნეთში, და **პლატონი** იმეორებდა.

სიკეთისადმი გაუცხოება მხოლოდ მისი არცოდნისგანაა. ამიტომ ნებისყოფის დიდი ძალისხმევა აქ არაა საჭირო. მთავარია შედგეს შემეცნების ღვთაებრივი აქტი და ადამიანი აუცილებლად ისურვებს სიკეთეს. ის ამალღდება თავის ვნებებზე და გონებით გაბატონდება მათზე. სწორედ ესაა თავისუფლება — ბატონობა საკუთარ თავზე. ქართული სიტყვა „თავისუფლება“ სწორედ ამას ღალადებს: ადამიანი უფალია საკუთარ თავის! ის სხვას, გარეგან მოძალადეს კი არ ემორჩილება, არამედ — მისივე გულის სიღრმეში ჩაწერილ ღვთის კანონს, სინდისის ხმას. რაღა უნდა იყოს ამაზე დიადი და ამაღლებული?!

ასეთი თავისუფლება გონებითაა განათებული და ზნეობის ნაყოფითაა დაზუნძული. ამიტომაცაა იგი ღვთიური, ღმერთთან ადამიანის მსგავსების უტყუარი ნიშანი. ყოველი სხვა თავისუფლება მანკიერი და ზადიანი იქნება და ღმერთთან ადამიანის მსგავსების საფუძვლად არ ივარგებს.

გ) „წაუსტური კულტურა“

ადამიანობის სრულიად სანინაალმდეგო მოდელს ვხედავთ „**ფაუსტური კულტურის**“ სახით. აქ შემეცნებასა და თავისუფლებას შორის პირველობა **თავისუფლებას** ეკუთვნის და შემეცნება მის მსახურად გვევლინება.

ეს შეტრიალება იწყება შემეცნების პროტესტანტული გაძარცვით და მისი ინსტრუმენტალიზაციით. ხოლო ყოველივე ეს არის მეორე მხარე მთავარი მოვლენისა — ნების უსაზღვრო თავისუფლებისა. ვნახოთ ეს უფრო დანერვილებით.

„**ფაუსტური კულტურა**“ გერმანელი ფილოსოფოსის ოსვალდ **შპენგლერის** მეტაფორაა. ეს სახელი უწოდა მან დასავლეთ ევროპის კულტურას. ფაუსტში, გერმანული მითოსის ამ ფრიად კოლორიტულ სახეში, განჭვრიტა შპენგლერმა დასავლური კულტურის არსი.

ფაუსტი ექიმი. ის სიყმანვილევივე დარწმუნდა, რომ ადამიანს არ ძალუძს ღვთის შემეცნება. აი რას ამბობს **გოეთეს** მოუსვენარი ფაუსტი ნორდიულ ღამის ბინდებში, თავის მაღალთაღებთან გოთურ კაბინეტში:

**მე გულმოდგინედ შევისწავლე
ფილოსოფია,
ღრმად შევითვისე მედიცინა და
სამართალი
და შემდეგ, ჩემდა სამწუხაროდ,
თეოლოგიის
დაუფლებაზეც საკმარისად
ვიმტვრიე თავი;
მაგრამ რა შედეგს მივაღწიე
ამდენი გარჯით,
როცა მე, ბრიყვი, ისევ ისე
ბრიყვადვე დავრჩი?!“**



**ჰანს შტუბენრაუხი
„ფაუსტის“ ილუსტრაცია**

აქ მეორდება **ლუთერის** ცნობილი დოგმა გონების უმწეობის შესახებ. ამ, ცოტა არ იყოს, მოურიდებელმა სალოსმა სულ ღორები უძახა შუა საუკუნეების სახელმწიფოებში ღვთისმეტყველთ, რადგან მათ ღვთის შემეცნება სცადეს. ღმერთი არაა გონების, აზროვნების, შემეცნების საგანი. ასეთ მცდელობებს გაკოტრებამდე მივყავართო, ბრძანებდა ბატონი ლუთერი არცთუ უსაფუძვლოდ.

მაგრამ მთავარი სხვაა: შეუძლებლად ცხადდება დიადი, ფილოსოფიური აზროვნება, რაიც გაანათება და ალაშქრება ადამიანის სულს. ზემორე გამოთქმას თუ მოვუხმობთ, უარყოფილია ფუნდამენტური შემეცნება. ადამიანის ცხოვრება ვერ დაემყარება აზროვნებას, გონებას. ადამიანს მხოლოდ **რწმენა** იხსნის.

უარყოფილია ბიბლიური მცნება: „პირველად იყო სიტყვა!“ მას ცვლის ახალი, გერმანული მცნება: „პირველად იყო საქმე!“ ისე კი არაა, რომ ჯერ ვიფიქროთ და მერე ვიმოქმედოთ. ეს შეაჩერება და შეკვეცავდა მის აღმატებულება ნებას, როგორც **შექსპირი** გვიჩვენებს ჰამლეტის სამწუხარო მაგალითზე. ჯერ უნდა „ვიმოქმედოთ“ — გავრისკოთ, ვირწმუნოთ, ბედს მივინდოთ. შემეცნების ტალღა მერეღა უნდა დაიძრას, ვითარცა მსახური ნების. მისი ფუნქცია ინსტრუმენტულია — შემეცნება ნების იარაღია!

ვეფხისტყაოსნურ კულტურაში ნება, რაიც შემეცნებამდე არსებობს, არაა ზრუნვის და პატივისცემის, თავისუფლების ღირსი. ის „მდაბალი ვნებაა“, საგანთა ზედაპირზე მდინარის ქაფივით ქმნილი. ის განაცალკევებს და აპირისპირებს, რადგან საგანთა გულს არ ეხება. მხოლოდ შემეცნებას შეჰყავს ადამიანი საგანთა გულში, რითაც იცვლება ნება და ამაღლებ-

ბულ გრძობად, სიყვარულად გარდაიქმნება. ეს უკვე სულ სხვაა, შემეცნებაზე დამყარებული ნებაა. ეს ახალი, ღვთაებრივი ნერვია და მასზე ზრუნვა, მისი ხარება თავისუფლებაა.

აქ კი, ფაუსტურ კულტურაში, ნება სწორედ შემეცნებამდეა ნამდვილი და ბაჯალლო. მისი გააზრება და შემეცნება კი არ აღამაღლებდა მას, არამედ დაასუსტებდა და დაასწულებდა. შემეცნებამ ნება კი არ უნდა გაიხადოს საგნად, — ეს ფრიად სახიფათო და ავადმყოფური ნამონყებაა, — ის უნდა ემსახუროს ნებას! ჩვენი ტერმინოლოგიით: შემეცნება ფუნდამენტური კი არ უნდა იყოს, არამედ — ინსტრუმენტული.

გვახსოვს, ამას ასწავლიდა დიდი მოთხრობის „მაკარ ჩუდრას“ ავტორიც, ვინც ნამდვილი „ფაუსტელი“ იყო. აი რას ამბობს ბებერი ბომა: „ციხეში ვმჯდარვარ, გალიჩინაში. რისთვის ვარ ქვეყანაზე — მეთქი, გამფიქრებია მოწყენილობისგან. მოსაწყენია ციხე, არწივო, ეჰ, ძალიან მოსაწყენი. ნაღველმა შემიპყრო, როცა ჩემი საკნის სარკმლიდან მინდორი დავინახე. სევდა მომანვა გულზე და მარწუხებით მომიჭირა. ვინ იტყვის, რისთვის ცხოვრობს? ვერავინ, არწივო, ვერავინ! არც უნდა ჰკითხო ეს თავს, არაა საჭირო. იცხოვრე, მორჩა და გათავდა. იარე და მოიხილე ირგვლივ ყოველი. მისდღემჩი ნაღველი არ გაგეკარება. აი მაშინ კი კინალამ ქამარი ნავიჭირე ყელში, მაშ?“

ფაუსტის მითში შემეცნების ეს ახალი პარადიგმა ასეა აღმართული: ექიმი ფაუსტი ეძებს „ფილოსოფიურ ქვას“, ანუ ბუნების მართვის საიდუმლოს. დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, მისი აზროვნება პირწმინდად **ტექნიკურია**. ფაუსტი არის მითოური **Homo Faber** — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა არ უყვარს“. მას განათლება კი არ სწავლია, არამედ — ძალაუფლება. იგი ღმერთს კი არ ემსახურება, არამედ — ეშმაკს. მითის თანახმად, ძალაუფლების ჟინით ატეხილ ფაუსტს მეფისტოფელი ანუ ეშმაკი გამოეცხადება და სულს სთხოვს დახმარების საწაცვლოდ. ფაუსტი თანხმდება და იქცევა ეშმაკულად.

ამით ძირეულად იცვლება ბიბლიური სქემა — ხდება მისი **გერმანიზაცია**. ბიბლიის თანახმად, შემეცნება ღვთის ხატად და მსგავსად ხდის ადამიანს, ღმერთთან აკავშირებს მას. გერმანული მითის თანახმად კი, შემეცნება, პირიქით, ეშმაკეული ვნებაა. ის ეშმაკთან აკავშირებს ადამიანს და ღმერთთან აპირისპირებს. სხვა სიტყვებით: მას გამოცლილი აქვს ფილოსოფიური საფანელი და ამიტომაც კინია მისი საგანი.

შემეცნების ეს დასავლური გაგება დიდებულადაა დახატული **ფიოდორ დოსტოევსკის** რომანში „ძმები კარამაზოვენი“ და თომას **მანის** შემაჯამებელ რომანში „დოქტორი ფაუსტუსი“. ორივეგან მეცნიერება უპირისპირდება სულიერ კულტურას, არღვევს ამ კულტურის ძირებს და მის ნამუსრვევზე დგამს ახალ, ფაუსტურ, ტექნიკურ ცივილიზაციას. ადამიანი იქცა შეიარაღებულ არსებად, მაგრამ მან არ იცის ამ იარაღის დანიშნულება. ამიტომ ეს იარაღი მასზევეა დამიზნებული. ყოველთვის ასეა, როცა იარაღი გაქვს, მაგრამ მიზანი — არა.

ფაუსტის მთელი მოქმედებითაა ვეფხისტყაოსნურ კულტურას მოეჩვენება მოქმედების დაწყებად ... დაბადებამდე! თითქოს ადამიანი ისე მოჯადოვდა მოქმედებით, რომ დაბადება დაავიწყდა. ამიტომაც ხშირად ეჩვენება, რომ ცხოვრების დაწყებას ვერ ასწრებს. ეს აკვიატებულ სიზმრად გადაექცა. მთელი მისი ცხოვრება ცხოვრების დაწყების უცნაური მცდელობაა. ის დაბნეული მისჩვენებია უცნაურ კანონზომიერებას, რომელიც ჯიუტად უღობავს გზას — მაინც და მაინც უნდა მოკვდეს, ვიდრე ცხოვრებას დაიწყებდეს! ეს მას ეშმაკეული პარადოქსი ჰგონია, რატომღაც უგამონაკლისოდ რომ ბატონობს ცხოვრებაში. არადა ეს ღვთაებრივი კანონზომიერებაა: თავისუფლად უნდა მოკვდე, რათა ნამდვილად იშვა! მაგრამ თუ გგონია, რომ უკვე დაბადებული ხარ, მაშინ მთელი შენი ცხოვრებით იმასლა მიაღწევ, რომ დაბერდები და მოკვდები.

თანამედროვე ადამიანი ამ პარადოქსში გაიხლართა, რადგან მან უარყო ფუნდამენტური შემეცნება — ფილოსოფია და

„მსგავსად უგუნური ინდიელისა, შორს გადასტყორცნა მარგალიტი უძვირფასესი!“

აზროვნების ამ ინსტრუმენტალიზაციის, სეკულარიზაციის, პროფანაციის უკან დგას ფაუსტური კულტურის მთავარი აქტი — თავისუფალი ნების გაკერპება. ამ კულტურამ შემეცნებას კი გამოუცხადა უნდობლობა, მაგრამ სამაგიეროდ გულზე ამოიჭრა და ამოისვირინა თავისუფლების კერპი — ადამიანი ღვთის ანაგება თავისუფალი ნების გამო. ნების თავისუფლება — აი რითი ჰგავს იგი ღმერთს!

მაგრამ რა არის თავისუფალი ნება?

ნებაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სურვილი. ქართველები ვაიგივებთ კიდეც ამ ორ სიტყვას და ვამბობთ: „ნება-სურვილი“. ვეფხისტყაოსნურ კულტურაში, როგორც ვთქვით, ნება-სურვილი დიდი ბედენა არაა და არცა-რა ღირს. გააჩნია ნება-სურვილის საგანს — რაზეა იგი მიპყრობილი. თუ ის შემეცნებითაა გასხივოსნებული ანუ მიმართულია მაღალი შეგნებით ნაკარნახევ საგანზე, მაშინ ნება-სურვილი თავისუფალია და იგი ღმერთს გვამსგავსებს. ხოლო თუ ის შემეცნებამდელია, მაშინ მიმართულია „მდაბალ“, „მდარე“ საგანზე და ვნებაა. როგორც თვით სიტყვა ღაღადებს, ასეთი სურვილი მავნეა და არავითარ პატივისცემას არ იმსახურებს.

ფაუსტური კულტურის მიდგომა სხვანაირია. ნება, რაიც საერთო აქვთ ღმერთსა და ადამიანს, მაღლა დგას ყოველ მიზანზე — როგორც „მდაბალზე“, ისე „მაღალზე“. ამიტომ ის ბოროტი ან კეთილი კი არაა, არამედ — თავისუფალი. მართალია, ის მუდამ რალაც მიზნითაა აღძრული, მაგრამ ეს მიზანი მისივე შეთხზულია და დასახულია. მას ფესვები არაფერში, არარაობაში უდგას და იქიდან ჰქმნის სამყაროს. თავის ამ დიად არარაობას ის ადასტურებს, ერთი მხრივ, არაფრიდან თხზვით და ქსოვით, მეორე მხრივ კი, — არაფერში ჩაუტეველობით, ყველა საზღვრიდან გასვლით, განუწყვეტელი მოუსვენრობითა და ბორკვით. ასეთია სამყაროს შემოქმედი და ასეთია ფაუსტიც — ადამიანის შეუპოვარი სული.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებაა ყველაზე უწინარეს და იგივე ჰგებებს საგანთა ნაცარსა და ფერფლსა ზედა. აქვე იკვეთება, რომ ნება მხოლოდ სურვილი როდია. ის, უპირველეს ყოვლისა, „სურვილის სურვილია“, ანუ რალაც ირაციონალური ძალაა. ეს ძალა ჩანს ორ უმთავრეს მითიურ წერტილში: ნაცარზე შემჯდარ იობის გაუტეხელ ხასიათში, ერთი მხრივ, და მიზნისთვის ადამიანის თავგანწირვაში, მეორე მხრივ. ორივე შემთხვევაში ცხოვრების ერთადერთი აზრი საკუთარი ძალის ჩვენებაა. იობმა იცის: მისთა მონაგართა სრული დანაცვრა მარადიულია, მაგრამ ყოველ მონაგარზე მეტად მას საკუთარი ძალა, მინაგანი ფოლადი უღირს. ხოლო მიზნისთვის თავგანწირვის დროს სრულიად აშკარაა: ამ მიზნით მისი მატარებელი ვერ დატკბება, მაგრამ მას ტკბობაზე მეტად მინაგანი ენერჯის განცდა სწავლია.

ესაა ნების თავისუფლება — ფაუსტური კულტურის უმაღლესი სიქველე. ის, ვგონებ, ყველაზე ნათლად ბეთჰოვენის საგმირო სიმფონიაში გაუღერდა, ხოლო მისი რღვევა და დაკნინება, დასასრულის დასაწყისი, ვაგნერის „ღმერთების დაისია“. ფილოსოფიაში ამ მეტაფიზიკურმა სიქველემ მწვერვალს **ფიტეს „Wissenschaftlehre“** — ში მიაღწია. მისი დაკნინება კი ჩვენი დროის ფრანგული პოსტმოდერნია, **ბოდრიარისა და დელიოზისა**.

ფაუსტური კულტურა, თავისი თანდაყოლილი ნიჰილიზმის მიუხედავად, არც ღვთის სამსახურს უარყოფს, არც მოყვასისადმი მოვალეობას, არც იდეისთვის თავგანწირვას. ეგაა, რომ ამ ღირებულებათა განმარტება აქ სრულიად თავისებურია. ღვთის სამსახური ქების ღირსია არა ღმერთის გამო, არამედ მორწმუნის შინაგანი რისკისა და ენერჯისთვის. რწმენა არცოდნას შეიცავს, რის გამოც მორწმუნე რისკს ეწევა, ბედავს მთელი ცხოვრება შეაგდოს სასწორზე. აი სწორედ ეს ძალაა ქების ღირსი.

მოყვასისადმი სამსახურიც ამავე ზამბარაზეა მოჭიმული. ერთხელ ამერიკელ სტუმარს მოუყვები ვეფხისტყაოსნის ამბავი. მოეწონა ჩვენი გმირები, ოღონდ სრულიად თავისებურად განმარტა ისინი. ჩვენ, ქართველებს ისინი მოგვწონს, უპირველეს ყოვლისა, თანაგრძნობისა და ზნეობრივი შეგნების გამო. მას კი ჩვენს გმირებში მოეწონა ძნელად მისაღწევი, ავანტიურისტული მიზნის დასახვა, ანუ ინიციატივა, უმრეტი ენერჯია და წარმატებულობა.

დიდი განსხვავება ამ ინტერპრეტაციებს შორის, ვგონებ, ნათელია: ჩვენს ალტაცებს ეს გმირები ინვევენ გონებით, შეგნებით; ამერიკელი პროტესტანტის ალტაცებას კი — ნებისყოფით, ენერჯიულობით.

იდეისადმი სამსახურსაც აქებს ფაუსტური კულტურა, ოღონდ არა თვით იდეის სიდიადის გამო. ყველა დიდი იდეა დროებითი და მცდარია. გაცდებდა იგი ერთხელაც და შეცდომად ჩაითვლება. პატივისცემის ღირსია არა თვით იდეა, არამედ — ადამიანის მიერ მისი ენერჯიული დაცვა საკუთარი პასუხისმგებლობით. იდეის დაყენება პიროვნებაზე მალა დიქტატურასა და ტოტალიტარიზმს წარმოშობს უთუოდ და გასრესს თვით ადამიანის ნებას — ამ იდეის შემოქმედსა და სულისჩამდგმელს. აი რა აშფოთებს ფაუსტურ კულტურას.

აქედან ადვილი დასანახია, თუ რას უფრთხის ქართველი და რას — ამერიკელი ან ევროპელი. ქართველს ეშინია, რომ შეგნებისა და თანაგრძნობის გარეშე მძლავრი ნება სულ ადვილად გადასხლება გულგრილობასა და თავკერძობაში. ასე მივიღებთ სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგარ სუპერმენს, ზეკაცს, გოძილას. ამიტომ ყველგან და ყოველთვის შეგნება და თანაგრძნობაა მთავარი. მხოლოდ მათ გამო ეკუთვნის ადამიანს პატივისცემა და დაფასება. ადამიანის ყველაზე დიდი ცოდვა კი შეუგნებლობა და თავკერძობაა.

ევროპელი და ამერიკელი კი შიშობენ, რომ შეგნება და თანაგრძნობა სულაც არაა უმაღლესი სათნოებანი. „შინაგანი მოვალეობა“ სინამდვილეში გარედან მიღებული ბრძანებაა, რომელიც ჩვევების გზით შიგნით გადმოინაცვლებს და „სინდისის ხმა“ გვგონია. ის თრგუნავს ადამიანის ნებისყოფას და წარმოშობს დიქტატორსადმი სიყვარულს. ამიტომ „მოვალეობის შეგნება“ სახეცვლილი მონობაა. თანაგრძნობა კი ძლიერ ახლოსაა სიძაბუნესა და სისუსტესთან. ის სუსტის, დამარცხებულის სათნოებაა, მისი ოცნება და სასოებაა.

ამიტომ არაა საჭირო ამ „ქრისტიანულ სათნოებათა“ ქადაგება და დანერგვა ადამიანებში. ყველგან და ყოველთვის მთავარია ჯანსაღი, გაუზარავი, ძლიერი ნება. ადამიანს მის გამო ეკუთვნის პატივისცემა და დაფასება. ადამიანის უდიდესი მანკიერება კი მონური მიში, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა და გაუბედაობაა. ადამიანის გაყოფა ინდივიდურ და ზოგადკოლბრიულ „მე“-ებად მისი ნებისყოფის რღვევა და დამახინჯებაა, რაც ფსიქოანალიზურ მკურნალობას საჭიროებს.

ეს აზრი უსაფუძვლო როდია. ფსიქოანალიტიკოსი მართლაც საჭიროა, ოღონდ — ორივე მხარისთვის. ცნობიერება სნეხაა ერთგვარი და ადამიანი ბევრად უფრო ახლოს დგას შემლილობასთან, ვიდრე გვგონია ხოლმე. ვეფხისტყაოსნურ კულტურაში მორჩილება ასწავლებს ადამიანს, ფაუსტურში კი — თავისუფლება; თან, როგორც ცხოვრებამ აჩვენა, — ბევრად უფრო აშკარად და მძიმედ. აკი ამბობდა ფაუსტური კულტურის ერთ-ერთი გამორჩენილი ფილოსოფოსი იოჰან გოთლიბ ფიხტე, თანამედროვე ადამიანი „დამოუკიდებლობის აფექტმა“ შეიპყრო და დაასწულაო. მისი ეს წინასწარმეტყველება დღეს აშკარა ფაქტად იქცა და დედამინა ლამის არი საგიჟეთს დაემგვანა.

ამის ახსნა ადვილია: ცნობიერებას, ფსიქიკას სიმყარე სჭირდება, რასაც ზნეობა — ეს შინაგანი ბატონი და ცენზორი იძლევა. ხოლო თუ პირველობა თავისუფლებას მიენიჭა, მაშინ, გოეთეს თქმისა არ იყოს, ცხოვრება „არარაზე ფუძნდება“. მე ჩემი საქმე არაფერზე დავამყარეო, ეტყოდა ხოლმე ვა-

იმარელი ოლიმპიელი ეკერმანს. გულისხმობდა თავისი რელიგიისა და ეთიკის ღრმა პიროვნულობას, წმინდა შინაგანობას. მაგრამ გოეთე გოეთეა, ჩვენი დროის Homo Faber-ს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, არარაზე დამყარებული ცნობიერება მოერღვა. ცნობიერებაში გაჩნდა შიზოიდური ბზარი, რაც თანდათან საღვადორ დალის შუაზე გადაკვეთილ საგნად, „ანტისამყაროდ“ გადაგვარდა.

ამ წერტილში ჩანს ყოველი კულტურის შინაგანი დრამა და მისი გათვალისწინება აუცილებელია. ნებისმიერი კულტურის მეთაური აზრი შეიცავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ საფრთხეს, რაც ამ კულტურის მიმწუხრის ჟამს გაბატონდება. ასე მოიცვა ვეფხისტყაოსნური კულტურა მისი შემობინდების ჟამს საკუთარი ძალებისადმი ურწმუნობამ და სხვისმა მოიმედებამ.

ამ კანონზომიერებას, ცხადია, ვერც ფაუსტური კულტურა გაექცეოდა. მასაც დაუდგა ჟამი „ძველ ღმერთების შემობინდების“ და ისიც მოიცვა სწორედ მის წიაღში მფეთქავმა სნეხამ — სიკეთისა და ბოროტების განურჩევლობამ, რასაც ფიხტე „დამოუკიდებლობის აფექტს“, ხოლო ჰეგელი „ცარიელ თავისუფლებას“ უწოდებდა.

ამის გათვალისწინება აუცილებელია-მეთქი, მაგრამ ვინ გაითვალისწინებს? საქართველოში მუხები დადუმდნენ და უნიგნურთა ყურისწამლები გნიასი დგას. ეს ხალხი ქვეყნის მეთაურობას იჩემებს და დასავლეთისკენ მიგვიძღვის. ისე გამოდის, რომ ჩვენ დასავლეთისკენ ავიღეთ გეზი დასავლური კულტურის სწორედ დაკნინების ჟამს; იმ დროს, როცა თავისუფლების ფაუსტური ჰეროიკა ფარსად იქცა: კერძოდ, აზროვნების თავისუფლება — „გამოხატვის თავისუფლებად“, ფაუსტის დემონური ბორცვა — ბიზნესმენის უძილობად, ადამიანის უფლებებისთვის პრომეთესეული ბრძოლა — ციხის საპირფარეოებზე „საერთაშორისო მონიტორინგად“ და გეი-ალღუმებად.

ამ ტრაგიკომიკური მდგომარეობის დასახვა ერის მიზნად ფრიად საეჭვოს ხდის ჩვენი ერის ნამდვილად არსებობას — მართლა ერი ვართ თუ საშოვარზე მეოცნებე, გათითოვაცებულ ადამიანების გროვა? არა მგონია რამდენადმე სერიოზულ ქართველს ნათელი პასუხი ჰქონდეს ამ კითხვაზე. ერთი რამ სრულიად აშკარაა: საქართველოს დასავლურმა გეზმა სულ მოკლე ხანში ზნეობრივად წაახდინა ქართველი კაცი! ამ უზნეობის მთავარი უბედურება ისაა, რომ ის არაა გაცნობიერებული — წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება და ამიტომაც დღითიდღე იზრდება. ასეთ პირობებში დასავლური ნიჰილიზმის ქადაგებამ სწრაფად მიაღწია მიზანს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სიკეთისა და ბოროტებისადმი მგრძნობელობა სრულიად გაქრა. თუ მე არ შეჩვენება და მართლა ასეა, მაშინ ეს სულელო სიკვდილია და ქართველი ერი აღარ არსებობს!

ჩვენს სიცოცხლეს დაადასტურებდა ჩვენი უნარი — ეჭვი შევიტანოთ „დასავლურ ფასეულობებში“ და ვირწმუნოთ ვეფხისტყაოსნის ზნეობა. ძალგვიძს თუ არა ეს? ამ კითხვაზე პასუხი გამოცხადებასავით დამიძო თბილისურმა გეი-ალღუმმა, რომელშიც ორივე მხარემ ისახელა თავი. ზედ სულზე მომისწრო ამ პასუხმა ყოფნა-არყოფნის კითხვისგან დატანჯულ ფილოსოფოსს.

ჩვენს გეებს უნდა ვუსაყვედურო: მათ მეტი თავმდაბლობა ჰმართებო. აკი თავმდაბლობა ამშვენებს ვაჟკაცს! არაა საჭირო წარამარა შეგვასხნონ თავიანთი უპირატესობა და გული მოგვიკლან. ქუჩის ოპონენტებს კი ცოტათი მეტი დაფიქრება ჰმართებო: უნდა გაბრაზდნენ დასავლეთელ ბატონებზე, ვინც დაანესა გეი-ალღუმები და ამ უბედური ადამიანების კონსტიტუციურ უფლებად და მოვალეობად გამოაცხადა ასეთი ალღუმების ჩატარება. ხოლო ნაკლებად უნდა გაბრაზდნენ იმ პედერასტ ვაჟკაცებზე, რომლებიც თავიანთ კონსტიტუციურ უფლებას იყენებენ და კონსტიტუციურ მოვალეობას პირნათლად აღასრულებენ.

გურამ ბათიაშვილი

„ნუ ვიხილავთ წარსულის ნბრეკას“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც შენი არ ესმით, ნათქვამს, ნაწერს გიუკუღმართებენ.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— იქ, სადაც ვცხოვრობ — თბილისში, ან იერუსალიმში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ბედნიერება წარმოსახვის ნაყოფია, დედამიწაზე არ სახლობს, თუმცა ადამიანებს მსგავსი განცდა ზოგჯერ ეუფლებათ, მეტწილად იმ სასულიერო მოღვაწეთ, რომლებიც გატაცებით მსახურობენ იმას, რისაც ძლიერ სწამთ, და იმით, ვინც საზოგადო საქმისათვის იბრძვის.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— რომელი ერთი გავიხსენო...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ყველა ის პირი, ვისაც სამშობლოს სახელმწიფოებრივი ინტერესები ესმოდა და აქედან გამომდინარე მოქმედებდა — ფარნავაზიდან მოყოლებული აგერ ელიზბარ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის ჩათვლით...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— შაგალი, XX საუკუნის 20-ანი წლების ავანგარდისტები, ზურაბ ნიჟარაძე, ედმუნდ კალანდაძე, რუსუდან ფეტვიანი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— დიდსულოვნებას, ქველმოქმედების, მიტევების ნიჭს.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— სიყვარულისას ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, სიამოვნებით ვისმენ ფალიაშვილს, ყანჩელს, რაველს, მოცარტს, იმ გენიალურ უჩინარ „კომპოზიტორებს“, რომლებმაც მეგრული მუსიკალური ფოლკლორი შექმნეს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ერთგულებას.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— უჩინარესი არის კითხვა — სულიერების სავანე, მოთხოვნილება, აუცილებლობა — წერა შემდეგ მოდის ადამიანთა საქციელის მიახლოებითი ანალიზი, მინასთან ურთიერთობა, გადაბარვა, ხვნა, სხვა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ბავშვობაში — დ'არტანიანი, ახლა — გურამ ბათიაშვილი.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— გააზრებული სიკეთის ქმნის ნიჭი, იუდეის მეფე სოლომონისეული დევიზი — ქველმოქმედება ღმერთისთვის მიცემული სესხია. ძალიან მომწონს და პატივს ვცემ იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ მონაგარს გონივრულად „ასესხებენ ღმერთს“.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მიმტევებლობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— გატანის ნიჭს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მიმტევებლობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— შრომა — იმის კეთება, რაც გიტაცებს, გიყვარს. ალბათ, ეს გაახლოებს წარმოსახულ ბედნიერებასთან.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ღმერთმა დამიფაროს!

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— უფრო ორგანიზებული, ვიდრე ვარ, ცოტა ილბლიანიც.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი, ცისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მინდვრის ყვავილები

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— დავით კლდიაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, შექსპირი.

— თქვენი საყვარელი პოეტი?

— რუსთაველი, აკაკი, გალაკტიონი, ბიბლიური დავით მეფე — მეფსალმუნე.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— მაზნიაშვილის ჯერ აფხაზეთის — ტუაფსემდე რომ ჩავიდა (1918 წ.), მერე ბათუმის (1921 წ.) ოპერაციები, ისრაელისა და არაბული სამყაროს ექვსდღიანი ომი, ოპერაცია „ენტებე“.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ასეთი არ მყავს.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ადამიანები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩნენ — აფხაზეთი, სამაჩაბლო ე.ი. სამშობლო არ მიატოვეს და კვლავაც ქართველებად რჩებიან.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მეფე თამარი.

— საყვარელი სახელები?

— მარიამი, ლანა, თეა, ლიკა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— დაუნახაობას, გაუტანლობას, შენიღბულ ამპარტავნობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ალა-მაჰმად-ხანი, ჰიტლერი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ასეთი რამ არ ვიცი. რეფორმებს ცუდად ვიცი.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— სიმღერა.

— როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— უხმაუროდ, ახლობელთა გარემოცვაში.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— როცა მეგობრები მეკითხებიან: „როგორ ხარ?“ ვპასუხობ: „ისე არა, როგორც შენ გინდა, მაგრამ არც ისე, როგორც რამდენიმე პირზე სათნოლიმილოდებულ გარენარს“.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ასეთი ქმედება არ არსებობს. შემწყნარებლობა არ არის დამოკიდებული ამათუიმ ქმედების არსზე, შემწყნარებლობა დამოკიდებულია შემწყნარებელი პიროვნების განათლებაზე, კულტურაზე, ზნეობაზე.

— თქვენი დევიზი?

— დიდი ებრაელი რელიგიური მოღვაწე ჰილელი წერდა: სხვას არ გაუკეთო ისეთი რამ, რაც შენ რომ გააკეთო, გულს გატკენს.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ეჰ, რა მეოცნებე ადამიანები ხართ!

მაგრამ რახან მეკითხებით, ალბათ, არსებობს ასეთი ალბათობა, ამიტომ შევბედავდი: ადამიანებს ერთმანეთის ეს-



მოდეთ. ეს კი ნიშნავს: არ იქნება ომი და ჩემს თანამემამულეებს ვერ ეტყვიან: ორ დღე-ღამეს გაძლევთ შენი სახლი დაანგრიო, აი, იქით — საზღვრის მიღმა გადაიტანო.

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

აქედან მათასა კილომეტრზე

ვარლამ შალამოვს

მაგიდას ოთხნი უსხედან. შუაში ყელყარყარა, ლურჯი, კვარტიანი ბოთლი უდგიათ, როგორც გადატრუსულ საყანე მინდორზე გვიანი შემოდგომის მარტოხე.

ბოთლი ცარიელია, ამიტომ მისკენ მიპყრობილი ოთხი მწუხარე მზერა დასიცხული ბუზივით დაცოცავს შუშის გლუვ ზედაპირზე.

სამს ჭიპამდე ჩახსნია სახელოაკეცილი, სამამულო წარმოების ჩითის გახუნებული პერანგები.

მაგიდის კიდეზე გვერდულად მიწოლილი, მუთაქასავით ნითურბალნიან მკლავზე თავჩამოდებული გენა ხანდახან რალაცას ამოილულულეებს, მეორე, მის პირდაპირ მჯდომი პეტია, შუბლზე ქოჩორჩამოშლილი ჯეელი, გამონრუპულ სირჩას ჩიკორივით დაბზრიალებს ხოლმე და, როგორც ლოტბარი მის რაკუნს აყურადებს.

ფანჯრის მხარეს, სკამის საზურგეზე ყელგადაგდებულ ანტონს, თვალი აბაჟურზე გაშტერებია. ტურეზაცმაცუნებულს ისეთი ტანჯვა ეხატება სახეზე, თითქოს „პრეისტორიულ ქვაზე“ რომელიღაც მკვდარი ენის წარწერის ამოკითხვას ცდილობდეს. აქეთ, სამზარეულოსკენ მყოფი, ამათზე უფრო მოშინაურებული, ნელზემთ შიშველი მასპინძელი ფომიჩი ზის. ფომიჩს, მალალ, მინდვრის მზით გამოშაშრულ კისერზე თავი ჩამოუკიდია და კალთაში ჩაყრილ, ამობრუნებულ ხელებს დამნაშავესავით დაჰყურებს.

— რაო, ნელან რას ამბობდი, რას ვუყურებდიო? ქსენია გრიგორევენა სტაჟიანი ბოზია, მაგრამ სიკეთე არ უნდა დავუკარგოთ, წლების განმავლობაში ბევრი განვრთნა, მოჩიტა, დაავაჟუცა და ახლაც რომ უბერავს, რა გასაკვირია, ვისი რა საქმეა... ეგ მაგ ქალბატონის, ასე ვთქვათ, პროფესიაა, როგორც შენთვის ტრაქტორისტობა, გენასთვის — ვეტერინარობა... აი, შენი კი გამკვირვებია...

— რა გაგკვირვებია, პეტია? — ამოიხაველა ფომიჩმა.

— მთელი პერიპეტეები რომ აღგვიწერე, ვინ ზემოდან და ვინ ქვემოდან, ამდენ ხანს როგორ უყურე, გამოტყდი, სხვისი სიამოვნებით ტკებობდი?

— ცვედანი! — აბაჟურისთვის თვალი არ მოუწყვეტია ანტონს.

— რა ვიცი, ძმებო, აკი გითხარით, საბქელში ეჩალიჩებოდა-მეთქი და ფინლის გამოსატანად შესული თავზე რომ წავადექი, ველარ გავინძერი.

— ვერ ნაატაკე, ორთითა, უკანალში?

— ბიჭი მაშინ იქნებოდი, ფაშატიდან ის ვილაც ხვადი გადმოგვეღო და შენ შემეჯდარიყავი, მაგრამ მაგის ტ...კი ვინ მოგცა, — ამოიხროტინა გენამ.

— ჰო, ჰო, ეგრეთა... რა თვალებს გვიბრიალებ, გენყინა? ემანდ ვინმეს რამე არ მოსჭამო...

— თანაც ძირში! — პეტიას ოპერატიულად დაეთანხმა ეგენა და მკლავზე თავს ადგილი მოუნაცვლა.

— რას მეუბნებით, ძმებო... მე ვისი ჩამომგდები ვარ...

და მე არ ვიხილავ უმძიმეს სურათს, თუ როგორ მიდგომია მარტოკაცი და როგორ ანგრევს თავის მამა-პაპულ სახლს, ე.ი. ანგრევს თავის მესხიერებას, წარსულს.

— შუა გზაში მიგვატოვა, ბოთლი ვერ გაუვსია და მაგას იზამდა?

— გესმის? ჩვენც მაგას ვჩივით... ამიტომ, სჯობია, ვიდრე ევდოკია მოგვისწრებს, ჩამოახსა... აგე, შუა გზაზე მიგვატოვაო... სადაური წესია... რაო, აღარ არის? — თვალეზმონკურებულმა პეტია „შემოდგომის ხე“ შეარხია, — რა ჩვენი პრობლემა! დაგვაბატიყე ძმაო? ივალდებულე? შეასრულე კიდევ! გაანძირე ტვინი, ევდოკია მიხაილოვნა არაყს სახლსიქით სად წაიღებდა... მოძებნე, სადმე თახჩაში ექნება გადამალული... ჩემმაც ისეთი თვალისმოფარება იცის, კონტინერით ცხვირწინ რომ მედგას, მაინც ვერ დავინახავ... ქალები ხომ ნამდვილი ჯადოქრები არიან... ამიტომ, მეც ჩემებურად ჯავრს ვიყრი ხოლმე... გამეღვიძა ამას წინათ, პახმელიაზე, ბოთლში ჩარჩენილი ლუდით ყელი გავისველე, ცოტა აზრზე მოვედი... ვხედავ, ახლობელი გვსტუმრებია... ცოლისდა, უფრო სწორად... მე კი მინდა!.. ხომ გესმით? დავუძახე ცოლს, მაგრამ სად არის, ყველა გაკრეფილა, მარტო ეს დედაკაცი გახვეულა საბანში და ისე ფშვინავს გეგონება დილის ნიავეზე ბალახი შრიალებს... ბევრი არ მიფიქრია, ბევრი ფიქრი სინდისის ქენჯნას აღვიძებს... ავნიე საბანი და შევეუნექი... თავიდან იუკადრისა, შეიცხადა, მაგრამ ყბაში რომ ვხეთქე, აბრეშუმით დამყოლი გახდა.

დაბრუნდა ცოლი ბაღჩიდან... ვნევერ გასუსული, როგორც გითხარით, ცოტა ზნეობამაც გაიღვიძა, მგონია დედაკაცი გამთქვამს, ჩაუკაკლავს ყველაფერს და წინასწარ ტანში მაჟრიალებს, კარისკენ თვალი მიჭირავს... თურმე კრინტიც არ დაუძრავს და ჩვენც ავანყვეთ... რა მოხდა მერე, ქვისლს ხელს თუ წაახმარ...

— აჩმახებ, პეტია!

— ვაჩმახო, შენი რა მიდის?

— აბა, ცოლისდა სად გაოხრია, — გამოფხიზლდა მკლავზე თავმიდებული.

პეტია მჯერ აბაჟურზე თვალგაშტერებულ ანტონს გადახედა, მერე მასპინძელს.

— მეც ეგრე მახსოვს, არ უნდა გყავდეს, — ენის ბორძიკით ამოშაქრა ფომიჩმა.

— ჰო, შეიძლება... ალბათ... ვალიარებ, მგონი მართლები უნდა იყოთ! — მოისრისა ოფლით დაცვარული შუბლი, — მაგრამ რომ მყოლოდა, მაინც ასე მოვიქცეოდი.

— ეგ სხვა საკითხია, ბოლოს და ბოლოს პრინციპის საქმეა! — ხვედასავით დამძიმებული თავი ასწია გენამ, — აჰა, ა, კაცი, მაინც პირველ ჩვენებას აწვება!.. შენ კი ანტონ ძროხა თუ მოიპარე რა მოხდა მერე... ვერ გაგიგეს? შეგარგოს, ძმაო!.. ღმერთი მოწყალეა, იქ, ჩვენ რომ ვიცით, ყველანი მაინც ვცხონდებით... მთავარია ტყუილი არ უნდა იკადრო, როგორც ამან, — სალოკი თითი მიაშვირა მასპინძელს და ღრმად და საფუძვლიანად ამოასლოკინა, — ერთი ცისტერნა არაყი მაქვსო, ეს წყალწყალა გეჯას ნარეცხი კი დაგვიდგა, — ხელი მოუქნია ბოთლს, მაგრამ ააცილა და მაგიდას დაემხო.

— ეგეთები არ გინდა! — პეტია ქერა ქოჩორის ბლუჯას დასწვდა — ეს ძროხას დარდობს და, არ გახსოვს, ჩიხში დაყენებული ასტონიანი ხილის ვაგონი რომ გავტყებთ? მთელი დამე ვეზიდებოდით — მოკვდა ცხენი, იმდენი ყუთი მოვაძუტუგეთ სოფელში... აი ეს იყო საუკუნის, ეპოქალური ძარცვა!.. ვინ დაგვიფასა, საოლქო კომიტეტის სიგელი მაინც არ გვეკუთვნოდა?... როგორ ხერხიანად მოვიქეციოთ — ყარაულს ერთი ბოთლი სპირტი ჩავაცეცხლეთ და მივაძინეთ... დიდი საქმე, გზადაბნეული, კერძო პირის ძროხა თუ მოიპარე! აბა, მიდი, სახელმწიფო გაძარცვე, ნაღლიტე რამე, ყველა იმის მხა-

რეზე როა, მილიცია, პროკურატურა, სასამართლო, ძალი და მამაძალი... ჩვენნაირ ხალხს როგორ უნდა იჭერდნენ, ნამუსი აღარ არის? აქეთ შენ, მარტო, იქით — სახელმწიფო, მონსტრი! მეტი გმირობა გინდა?

- შენც ხაარ, რა, არ იცი ნამუსი ვის უნდა მოსთხოვო?
- ნამუსი კი არა, არაყი მოვთხოვე და აღარ მოაქვს...
- ბოლომდე მანვებით არა? რაკი არ მიჯერებთ აბა ერთხელაც ვცდი, — მაგიდას დაყრდნობილმა მასპინძელმა ძლივს აიტანა ტანი და სამზარეულოსაკენ წაბარბაცდა.
- არაყის დასათრევად ჩვენ რომ ამდენს ვწვალვობთ, შენ არაფერი გეხება? რატომ არ შეუტევ ფომიჩს... — უსაყვედურა პეტიამ ანტონს და გენაც აპყვა:
- ჩკალოვი ხომ არ ხარ, დროზე გამოდი ღრუბლებიდან!
- მაგარი რამეა... მოგეხმარებოდით, ეს დაფანტული ნახირი რომ არ მყავდეს მოსაძებნი... რა სიმსუბუქეა, ბიჭებო, „ლომკა“ ისეთი ნეტარებაა...
- ნებით ჩამო-მეთქი, უპარაშუტოდ არ გადმოეშვა და კისერი არ მოიტეხო.
- მამ რას იზამს, ეს პარაშუტის გამხსნელია?
- ეჰ, რომ იცოდეთ, რამხელა სიამოვნება!
- სიამოვნება და იყავი, შენი დასალევიც ჩვენ დაგვრჩება.
- რა ხდება, აქამდე ვერ მიაგნო? — გახედა პეტიამ სამზარეულოს კარს, — ნამდვილად გამაგიჟებს!.. ხო გახსოვთ, ერთმა ფული რომ წაიღო, აღარ მოიტანა და ტყეში ხეზე ფეხებით დავეკიდე... მეტყევეს ენახა, თორემ სული გასძვრებოდა... ფომიჩი კიდევ... ღირსი არ არის?... ვილაც შენს საბძელში ქალს ხეხავს და სარგადაყლაპულივით უყურებს!.. რა კლასიფიკაცია უნდა მიუყენო ასეთ საქციელს?
- ნებით რომ გამოცხადდეს და მილიციაში განაცხადოს, შეიძლება თხუთმეტი დღეც კი არ მისცენ, პანლურის ცემით უკან გამოისროლონ.
- მერე, როგორ უყვართ პანლური.
- ჰო, მოპანლურებს სპეციალურად ამზადებენ!
- თუ სახელმწიფო ხარ, მოპანლურებიც უნდა გყავდეს!
- ასეთებზე ახიც არის — თავის სახლში, თავისი ცოლის გადამალული არაყისთვის რომ ვერ მიუგნიათ... ჩვენ, სამივეს ორ-ორი სროკი მაინცა გვაქვს მოხდილი... ამ ჩვენ ფომიჩს კი, როცა დაბერდება, შვილიშვილებთან ნეტავი რა ექნება გასახსენებელი... ტრაქტორზე მზე რომ დააჭერს და კისერს გაუხურებს ხოლმე?
- მასპინძელი ხელცარიელი დაბრუნდა, სკამზე ძველებურ პოზაში დაჯდა და თვალები საცოდავად დააფახულა:
- არ არისო!
- ვინ გითხრა?
- ცოლმა!
- რას მიედ-მოედები, როდის დაბრუნდა? — გადახედეს ერთმანეთს.
- არ ვიცი... მეც ვერ გავიგე... იქ არის, რძეში ჩამბალ ფუნთუშას მიირთმევს! — ცერი ზურგსუკან, სამზარეულოსკენ გაიქინა.
- პასუხად კატის კნავილი მოესმათ.
- ჰოო, — თავი დააკანტურა პეტიამ, — ძალიან სამწუხაროა!.. ხედავთ, ძმებო, იმხელა ქალმა, ოთახში, ჩვენ თვალწინ ისე გაიარა, ვერც ერთმა ვერ დავეინახეთ... აი, ხოხმა!.. აკი ვთქვი, ალქაჯები არიან-მეთქი.
- გამოვსირდით! — დაეთანხმა ქოჩორა.
- ძალიან! გაშრა ყელი და მამ რა დაგვემართებოდა... ტვინი აღარ მუშაობს, დაჯდა მოტორი, უარს ამბობს... სანვავს თხოულობს... ცოლმა როგორ უნდა გაგიბედოს, არ არისო!
- თუნდაც მართლა არ იყოს!
- და ჩვენ, ამნაირ კაცთან მაღალ იდეალებზე ვსაუბრობთ.
- ასე ბაბილონს ვერ ავაშენებთ!
- თანაც როდის, ერთი წყება აგურილა რომ გაქვს დასანყობი, — ამოიხორა პეტიამ.

- ღმერთს ჩვენი სიკეთე რომ სდომებოდა, ცოლს არ მოიგონებდა... იგივე შინსახკომია...
- ამიტომაც არ მთავრდება ჩვენი გზანი ტანჯვისანი... შენ რას იტყვი?
- ანტონს მოეშვი გენა, ნახირი არ დაეფანტოს... ფომიჩს მიხედე!
- გულსატკენია, როცა ოჯახში ცოცხს უფრო მეტი ფასი აქვს...
- იმ ცოცხს, რომელიც ჩვენი ძვირფასი ფომიჩის ზურგზეც ბევრჯერ გადამტვრეულა...
- გეყოფათ! — ამოიგმინა მასპინძელმა, ცივ წყალგადავლებულივით შეაფრთოლა, მაგიდას მუშტი დაჰკრა და ნამოსადგომად წამოინია.
- პირველ ცდაზე გაუჭირდა, მაგრამ აქეთ-იქიდან ხელი შეაშველეს.
- ეს უკვე სხვა საკითხია, კაცურმა იმპულსებმა გაიღვიძეს! — წააქეზა პეტიამ.
- მასპინძელი მიჯახუნებულ კარს მიღმა გაუჩინარდა.
- ცოტა ხანში, სამზარეულოში, რაღაც გაბრაზუნდა, რასაც კატის ჩხავილი და სკამის ნაქცევის ხმა მოჰყვა.
- სიჩუმე ჩამოვარდა.
- სამივე გაისუსა. აბაჟურს მიჩერებულიც ჩამოფრინდა ღრუბლებიდან — მასთან მიგორებული ბოთლი ისევ მაგიდის შუაგულისკენ გამოაჩოჩა.
- ფომიჩის მოლოდინში დათითობულ „ბელომორ-კანალს“ მოუკიდეს, გააფუილეს და მაგიდას აფორიაქებული მასპინძლის ჩრდილიც დაეცა.
- ჰა, რა ჰქენიო.
- ვქენი!
- მოიტანე? — გახარებულები მიაჩერდნენ ხელებში.
- არა!.. ისევ უარი მითხრა... მეც ავედექი და... მივხარჩვე!
- მაგიდაზე კაპრონის თოკის ნაგლეჯი დააგდო.
- მუჭში დახვეული ჭრელი კაპრონი გაიშალა, გასრიალდა პრიალა ზედაპირზე და სამივე ელდანაცემი წამოვარდა, გეგონება მათ წინ უწმინდური გაფართხალდა.
- რა ჩაიძინე? — გონს პირველი პეტიამ მოეგო.
- მივხარჩვე... ცოლი დავახრჩვე! — დააზუსტა სკამზე მოწყვეტით დახეთქებულმა, მერე ლანალუნით მიყრილ-მოყრილ საფერფლეს და ჭიქებს შორის მკლავები გამოატარა, ბორკილის დასადებად მაჯები გამოიშვირა და აქვითინდა, — ძვირფასო მართლმსაჯულებო, არ დამინდოთ, ღირსი ვარ, მომისაჯეთ რამდენიც გინდათ... ვიმსახურებ... მეტი რა ვთქვა!.. ერთხანს ყურთასმენის წამლები სიჩუმე ჩამოვარდა.
- ოთხივემ ლამის სუნთქვაც კი შეწყვიტა.
- სამზარეულოს კარს აღარც გამოკეტილი, აკნავლებული კატა ფხოჭნიდა.
- ძმებო, აქ ჩვენ აღარაფერი გვესაქმება! — როგორც იქნა ამოიქმინა გონსმოსულმა, ხმაათროლოლებულმა პეტიამ.
- თითქოს ამას ელოდებოდნენ, მაგიდის გარეშემო აირიგნენ, ვილაცას სკამი წამოედო, ვილაც თავად წაბორძიკდა, მაგიდას დაეჯახა, გაახოხა და გადაგორებული კვართიანი ფილაქანს დაენარცხა — მზის შუქზე ნატეხები მოლურჯო-მომწვანოვად აციაგდნენ.
- ოთახში დაბორილებულებმა, როგორც იქნა, ძლივ-ძლივობით, კარისკენ გზა გაიგნეს.
- გარეთ, კიბეზე, მორიგეობით აჭრიალდნენ ხის საფეხურები, მიჯახუნდა ჭიშკარიც და მალე კვლავ საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა.
- მარტოდ დარჩენილმა მასპინძელმა გამეტებით ითხლიმა შუბლში დამუშტული მარჯვენა, კაპრონის თოკი მუჭში ჩაბლუჯა, გულში ჩაიკრა და მწარედ აქვითინდა.
- სამზარეულოში, ციმბირული, ბომბორა სახლის კატა სამზარეულოს მაგიდის ფეხთან უძრავად ეგდო და ბუდეებიდან ამოცვენილი თვალის კაკლები გაოცებისაგან დასჭყეტოდა.

Varna

პეტერის!

ეს ამბავი, ამბავი ცალფეხა ყვავისა, იმით დაიწყო, რომ ხმელი პურის ნატეხი სანაგვისათვის ვერ გავიმეტე, ეგებ ბელურებმა მიირთვან-მეთქი, აივნის მხარეს, ფანჯრის რაფაზე ჩამოვდე. დიდხანს არ გაუვლია, ზურგშექცეულმა ვიგრძენი და კედელზეც დიაფლიმით ვაკრთა ფანჯარას მომდგარი, უცნაური ჩრდილი. მერე, ამ ჩრდილმა, შუშებზე „გაიარ-გამოიარა“ და, რომ შევბრუნდი, ხელში რაფაზე დაფრენილი, ბოლთას საცემად გამზადებული, ზურგსუკან ხელებდანყობილ ჯუჯა კაცივით ყვავი შემრჩა.

სტუმარმა ჯერ პურის ნაღება დააპირა, მერე გადაიფიქრა, ნისკარტი ღონივრად დაჰკრა, ნაწილი მოატეხა და ხახაში გადაუშვა.

თავგადაწეულ დაყვლეფილ თვალებზე დაეტყო, რომ მაგარი ლუკმის გადაყლაპვა გაუჭირდა.

ფანჯარას მივუახლოვდი. თხელი ფარდა გადავნიე.

ჩემი დანახვა, მაინც და მაინც, არ ესიამოვნა, პური მიატოვა და სკუპ-სკუპით ადგილი მოინაცვლა, გამერიდა.

ფარდა დავუშვი.

მალე ველარც ყვავი დავინახე და ველარც პურის ნატეხი.

ამის შემდეგ, ყვავი, ყოველ დღით, დანიშნულ დროზე, „გრაფიკით“ მოდიოდა. მეც პურს დავახვედრებდი ხოლმე და წყალობაზე უარს არ ამბობდა, თუმცა, ჩემი მიახლოებისას მაინც ფრთხილობდა, რაფის ბოლოსკენ გადასკუპდებოდა და ნაწყენ მზერას არ მამორებდა.

ერთ დღეს, სტუმართან ბაასმა შემიყოლია, დამავინწყდა რაფაზე პურის ჩამოღება.

საუბარში გართულს კაკუნის ხმა ჩამესმა.

ინსტინქტურად შემოსასვლელი კარისკენ წავედი, მაგრამ იქ არავინ დამხვედრია.

კაკუნი განმეორდა.

აივნიდან ყვავი მიხმობდა.

გავყუჩდი.

უფრო ხმამაღალი კაკუნი განმეორდა.

არც ახლა გამოვეპასუხე და გაცეცხლებულმა შავმა „პიგ-მეიმ“, ფანჯარას ისეთი ხათქახუთქი აუტეხა, ლამის ნისკარტით შუშა ჩამოიღო.

პური ზურგსუკან დავემალე და აივანზე გავედი.

რაფაზე სკუპ-სკუპით რომ გადაინაცვლა, მაშინ შევამჩნიე, ყვავი ცალფეხა ბრძანდებოდა.

„სანარმოო ტრავმა“ თუ რომელიმე ომში დაკარგა? ეგებ მარშალ ნეის კოკარდიან ქუდზე დაასკინტლა, ანდა სამხედრო ადლუშის დროს ჰიტლერს ენა გამოუყო და ამის გამო დასაჯეს?“ — შევეცადე ყვანჩალას დახეობების მიზეზი ამომეცნო.

ვიდრე რაფაზე პურს დავდებდი, გაბრაზებული მიყურებდა, ჩემი კუთვნილი რა იქნაო.

პური დაინახა თუ არა, აღარ მომერიდა, თავისკენ გააჩოჩა და ძიძგნა დაუწყო...

ყვავმა დუბულტთან ახლოს, პატარა, მყუდრო მოსაცდელიანი, სარკინიგზო ბაქანი გამახსენა. გამახსენა სამოცდაათიანი წლების ბოლო, გრილი გაზაფხულის დღი.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

პერონზე, მატარებლის ჩამოდგომას, რამდენიმე მგზავრი ელოდებოდა. ფილაქანი ყვავებით იყო გადაშავებული, მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა მიიქცია — ყვავი ცალფეხა იყო, საბილეთო სალაროს შესასვლელთან, ძახილის ნიშანივით, სკუპ-სკუპით „მიდი-მოდიოდა.“ ზოგჯერ შედგებოდა, ფილებს შორის ამოღერილ სიმწვანეს ნისკარტს ჩაჰკრავდა, თითქოს გარღვეული სარჩული უკან უნდა ჩააბრუნოსო და მოსაცდელში შემსვლელსა და გამომსვლელს, სასტუმროს პორტიესავით, თავის დაკვრით ხვედებოდა.

დამაინტერესა, ნეტავი ფეხი მატკვისი რუსული თუ გერმანული ოკუპაციის დროს დაკარგა-მეთქი, მაგრამ ვინ მეტყოდა? შინ დაბრუნებისას ლექსი გამოვაქვეყნე:

„ფანჯრიდან ვხედავ, დასეირნობს ყვავი ბაქანზე, საგარეუბნო მატარებლით ჩამოსულ მგზავრებს თავის კანტურით ესალმება. დაახლოებით ოთხმოცი წლისა (ჯერ მთლად ბავშვია), ხმას იბოხებს და მედიდურობს, თითქოს ის იყოს ოცდამეერთე საუკუნის ბატონ-პატრონი.“

„თუმცა ვინ იცის!“ —

ვფიქრობ ჩემთვის...“

ვფიქრობდი და, აჰა, ოცდამეერთეშიც არ გამომეცხადა დუბულტელი ყვანჩალას ალი-კვალი, ზუსტი ასლი?

როგორც ზღვის სანაპიროს სჩვევია, ღრუბლიანი ცა ხანდახან წვრილ წვეთებს წამოაყრიდა ხოლმე და მალევე გადაიღებდა.

მოსაცდელი დარბაზის კუთხეში, საგაზეთო ჯიხურთან ატუზული, ხელებგაცრეცილი, მოხუცი ქალი წყლიან სათლში ჩანყობილ, უფერულ ნარცისებს ყიდდა.

ზურგსუკან, შორიახლო, სანაპიროს შლამში გართხმული, გიგანტური მედუზასავით თრთოდა ბალტიის ზღვა. იქიდან ამონასუნთქი ცივი ორთქლი ლიბ-

რავდა ჰაერს და შემოგარენს. რკინიგზის გადაღმა, ჩავარდნილ მწვანე ვაკეზე ლაქაშმორეული, ლურჯი ტბა დედამიწის ფართოდ გახელილი, ფხიზელი თვალივით აჰყურებდა ზეცას.

უსიომვნო ნიოკით თავზემით გადავლილ თოლიებს კენწეროვლად ყვავები შეუბანებდნენ ხოლმე.

საერთო აურზაურში მხოლოდ ცალფეხა არ ერეოდა.

ბაქანზე ახალგაზრდა, ბავშვიანი წყვილი გამოჩნდა.

სამიოდე წლის კიკინებჩანწულმა გოგონამ მამას ხელი გააშვებინა და რატომღაც ჩემკენ გამოიქცა:

— Varna, Varna, Varna! — წკრიალა ხმით იძახის და თითო ცალფეხა ყვავზე მანიშნებს.

მზიარულმა ხმამ ირგვლივ ყველაფერი გაათბო, მხოლოდ თავშეკავებული ლატვიელები უყურებენ ნირშეუცვლელად გოგონას — მართლაც რა მოხდა განსაკუთრებული, ყვავი ყვავია, აქ ხომ ამნაირები გუნდ-გუნდად ირევან, ან ხეებზე შესხმულულები ჩამოგყეფენ ან თოლიებთან ერთად ტბის ზედაპირს და ლაქაშებს დასტრიალებენ.

გოგონას ხელები გავუშალე და შესაგებებლად დავიძარი. ის კიდევ:

— Varna, Varna! — კვლავ მიმეორებს, ყვავისკენ თითგამვერილი, თითქოს მიხვდა, რომ იმ გარემოში უცხო ვარ და პირველად ვისმენ ყვანჩალას ლატვიურ სახელს.

უცებ, ბავშვმა, ამონეულ ფილაქანს ფეხი წამოჰკრა, ნაბაქცევად წაბარბაცდა.

გავიქეცი, მაგრამ ველარ მივუსწარი, გოგონამ პაჭუა ცხვირი ფილაქანს დაჰკრა.

იმავე წამს ავიტაცე.

ატირებული მკერდზე მომეხუტა.

ლოყასთან ამოდებულ ჩემს ხელისგულზე, ორი წითელი, წვრილი ძაფივით ჩამოგრძელდა ბავშვის ცხვირიდან წამოსული სისხლი.

მოვიდა დედ-მამაც, ახლა სამივე ვუყვავებთ, ვეფერებით.

ჭკვიანი და გამჭრიახი ყვავიცი სულ ახლოს დაგვისკუპდა, თავს დანანებით აქნევს, თითქოს საყვედურობს, ნელა რომ გველო ასეთი რამ არ დაგემართებოდაო.

— Varna, Varna, მოდი, ნაიყვანე ეს მტირალა გოგო შენს ბახალბთან, არ გესმის, Varna! — დაუძახე ყვავს და გოგონა უცებ ჩანყნარდა, ჩემმა ქართულმა აქცენტმა გააღიმა.

ამას რომ მივხვდი, რალა გამაჩერებდა, კიდევ რამდენჯერმე ვუხმე «ლატვიურად» ყვავს და ცხვირის ტკივილი ვილას ასსოვდა.

ჩემმა აქცენტმა, მხოლოდ გოგონა კი არა, პირქუში უფროსებიც გაამხიარულა.

ღმერთი, რჯული, ყვავიცი კი გახალისებული დახტოდა.

მერე ჩამოდგა მატარებელი.

მანამდე, მეყვავილეს, სათლიდან თაიგული ამოვალებინე და ბავშვს ვაჩუქე.

კონა მანეთი ღირდა!..

ჩაიარა იმ მატარებელმა.

ვინ იცის, მას შემდეგ კიდევ რამდენმა...

ზურგსუკან, ბალტიის სიცივიტ გალურჯებული წყალთხელი თახთახებდა.

ბუფერების დაგადუგით დამფრთხალი ფრინველები, მატარებლის ჩავლის შემდეგ, მაზუთიან განძელებზე და რელსებზე ისევ სხდებოდნენ.

მატარებლიდან, სხვებთან ერთად, შენც ჩამოხვედი.

ვიამბე, რაც პერონზე მოხდა.

ყოჩაღ, — შემაქე, — ლატვიელების გაცინება, მითუმეტეს გამხიარულება იოლი არ გახლავს, ნიჭი და არტისტიზმი უნდაო... პეტერის!

ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს პატარა, ლატვიელი გოგონა ისევ ხელში მიჭირავს.

ამ გაგანია ზაფხულში, მაშინდელი, ტბიდან და ბალტიის ზღვიდან მობერილი სუსხი კვლავ სხეულში დამივლის და ღამეულ ცას გავაძახებ:

— Varna, Varna, Varna!

ქება აბანოს

გახსოვს ავლაბრის ძველი აბანო, კედლებდაბზარული, ნესტის ობმოკიდებული კუთხე-კუნჭულით?

აბანოს საერთო, საშხაპეებიანი დარბაზის გარდა, ნომრებიც ჰქონდა, მათ შეძლებული მოქალაქეები უფრო ეტანებოდნენ.

თავიანთი ფუმფულა ცოლებითა და შვილებით შეიკეტებოდნენ და ერთმანეთს აღვრიჭინებდნენ.

ემში აბანოსი მაინც უფრო საერთო დარბაზი იყო. კაპიკეზად, თუ გინდა დილიდან საღამომდე ფეხი არ გამოგვდგა, ვინ იყო შენი ხმის გამცემი.

ღია, კაფელაყრილ კუბეებში უხვად მოჩქეფდა ქაფქაფა წყალი. გაანელებდი, როგორც გესიამოვნებოდა, გაჩერდებოდი შხაპქვეშ და თბებოდა სიამოვნების ჟრუანტელდავლილი სხეული, უცებ ქრებოდნენ კანზე დაყრილი ბუსუსები.

ჩამონოლილი მძიმე ოხშივარი, აბანოს სპეციფიკური სუნით თავიდან თუ სულს გიგუბებდა, თანდათან ეჩვეოდი. ტანზე დაცურებული საუნის ქაფი თავდაღმართში გარბოდა, ფეხებთან შეგუბებული ჩასაძრომს ეძებდა, რომ აქაურობისთვის თავი დაეღწია.

დარბაზში მუხლებამდე დაშვებულ ტრუსიანი, უღვაშა, ტარაკანივით შავი მექისებებიც დაბორილებდნენ. მსურველებს ბეტონის ტახტზე მიაგორებდნენ, მისდგებოდნენ და ღდინს აცლიდნენ.

იყო ერთი ხვნეშა, ხელების გადაგრეხვა, აფუებულ ქაფში ჩაკარგული სხეულის კუთვა და ნეტარება.

ტახტზე განოლილს, მექისე, ძვალ-რბილს უერთიანებდა, თან დაჰკლიდინებდა:

— აბანოში გამოჩნდება

შავი დრაქი, თეთრი დრაქი...

აბანოში, აბანოში,

აბანოში გამოჩნდება...

— კაცო, მეტი აღარ იცი, რამდენი უნდა იმეორო გაფუჭებული პლასტიკასავით, ან გააგრძელებ, ან შეწყვიტე, შაიჭამა გული, რალა... — ამოიღრენდა კლიენტი.

შევ კაცს ეგლა აკლდა, პრეტენზია მიელო.

— რა გინდა, ჩემი ჭია გავახარო...

— მერე, ჩემი ნერვების ხარჯზე? ნადი სახლში და იქ გაახარე!

— არ მოგნონს? ნომერში შებრძანდი, მე დაგიშალე? „შავი დრაქი, თეთრი დრაქი...“ აბა, ერთი გადაბრუნდი, ვნახოთ შენ როგორი გაქ?..

— ეე, რალაც ცუდად მიაცვ-მოაცვამ, გაიგე?

ირგვლივ მყოფები ვიციწოდით.

ვისაც მექისესთან არ უნდოდა საქმის „დაჭერა“, ზურგს ერთმანეთს უხეხავდნენ.

მაგრამ მანამდე, ამ საერთო, თბილ ჯოჯოხეთში შემოსვლამდე, შიშველ-ტიტველს „განსანმენდელი“ უნდა გამოგველო — ცივი გასახდელი, იატაკზე მორიალებული ბინძური წყლით, ზინტიანი ქოშებით, ფანერის კარადებით, მათ აბლაბუდებში გაყურებული, ბებერი ტარაკანები რომ თვლემდნენ...

— მაგარი რამე დავამულამე, — მესმის ერთხელ მეზობელი საშხაპედან, — უკვე რამდენი წელია, აბანოში მაშინ მოვდივარ, როცა თბილისის „დინამო“ თამაშობს, — კაცივილის ვერ ნახავ, მიდი და რამდენიც გინდა იბაიროამე.

— „არარატი“ როცა თამაშობს მაშინ რას შვრები? — ეკითხება ვილაც.

— რა უნდა ვქნა, აქედან ერევანში ხო არ წავალ!

— არ წახვიდე, არა, ვინც იქ არიან ისინიც ჩამოიყვან და თბილისის ცარიელ აბანოებში იარეთ.

— კარგი, ეგრე ვიზამთ! — დაეთანხმა და კუპეს წინ გაიარ-გამოიარა.

მარჯვენა მკლავზე სვირინგი ჰქონდა, წარწერით — „არ ენლო ქალ!“ — ძახილის ნიშნიან წარწერას ასობგერა ს- აკლდა.

— ზამთარში საფეხბურთო სეზონი არ არის და დაუბნავი გაზაფხულამდე მაგრად აყროლდები.

— ეე, აბა შენა ხარ, რა! კალათბურთი ხოა...

— არტურ, აღარ მოისვენებ, მაინც და მაინც გინდა ქართველებს დაეხევიანო?

— რას ამბობ, მაგას როგორ იკადრებენ, კარგი ხალხია...

მართლაც „კარგები“ ვართ.

იცინა, არტურმაც და სხვებმაც, ჩვენზე უკეთესად გვეცნობენ... ახლა აღარც აბანოში დადიან და აღარც სტადიონზე.

სადღაა ის ფეხბურთი, თამაშის დროს, მეზობლის კაცებს, საერთო ეზოში ჩამოაქვთ დომინო და მაგიდას კოჭებს მთელი ძალით უხათქუნებენ...

სამაგიეროდ არ გამოტოვებენ ლათინო-ამერიკულ და თურქულ სერიალებს.

ეჰ, აბანო!

არტურა ბაიათებს მარტო უბერავდა შხაპქვეშ, ქართველები ყელის ძარღვებს ვიბლდვნიდით „დინამოზე.“

ძველი აბანო!

აბანო...

მარკ იზრაილოვიჩი

გამომცემლობის რუსულ განყოფილებაში, შესვენებამდე ატყდა ჩორქოლი.

მალე, სასწრაფოს სანიტრებმა და თანამშრომლებმა, ვინ-რო დერეფანში ძლივს გამოატარეს საკაცებზე გაწოლილი, გულგადაღლილი, წარბებდაფანჩული ბერიკაცი.

ავადმყოფს ტუჩები ჩატეტკოდა და უპეები ცრემლით და-ბერილი ტომსიკებით ეკიდა.

— მარკ იზრაილოვიჩ, ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება! — გვერდით მდივანი ქალი მოჰყვებოდა, დაბნეულს „კორდამინიანი“ ჭიქის დადგმაც რომ ვერ მოეფიქრებინა.

ბატონმა მარკმა ბიბლიური წარბები შეარხია, დამძიმებული ქუთუთოები ასწია, უფერული თვალები ჭერზე გაურკვეველ წერტილს მიაპყრო და გულდანყვეტილმა ამოიგინა:

— „Прощай, немая Россия!“

— Прощай, прощай! — ავტომატურად დაეთანხმა ვილაც წრიპინა ხმით რუსული რედაქციის ჭრელი ეროვნული წარმომავლობის ჯგუფიდან.

— გიჟდება ლერმონტოვზე, — წამჩურჩულა ბატონმა ნიკამ.

— ამიტომ ესიყვარულება ამ მძიმე წუთებში რუსეთს?

— ესიყვარულება თუ არა, ეგ ჯერ კიდევ საკითხავია —

„Прощай, немая Россия, страна рабов, страна господ...“

— ბატონო ნიკა, ხომ იცით კედლებსაც ყურები აქვთ!

— მერე, აიყვანონ ავტორი, მიხილ იურევიჩი, მე რა შუაში ვარ, აგერ დგას, ჯვრის ქვემოთ, მცხეთის მისადგომებთან.

— ახლა ძეგლების დაპატიმრებაც დაიწყონ?

— ასეც რომ მოხდეს, გაგიკვირდება?

დამრეც კიბეზე საკაცე ფრთხილად ჩაჰქონდათ. ავადმყოფი ქვემოთ დაცურდა, მაგრამ მუცელთან გადაჭერილმა არტაშანმა შეაკავა, არ გაუშვა.

ულონო, ბებერი ხელები საკაცის კიდეებს ინსტინქტურად ჩაეჭიდნენ.

ერთი წუთია ადამიანი, — ჩაილაპარაკა დანანებით ვილაცამ.

რას ნიშნავდა ეს „საკრალური“ ერთი წუთი ოთხმოცდაათი წლის ბერიკაცისთვის, რომლის წინაპარმაც მენამული ზღვის ფსკერი თავისი თვალით იხილა, არც ფონენდოსკოპს და არც საავადმყოფო ფურცელს არ აინტერესებდა.

მამათა ცოდვებს შვილებს მოვკითხავო, გააფრთხილა უფალმა სინას უდაბნოში ისრაელიანები.

მე არ ვიცი გულის იშემიური შეტევით გადავარდნილ ბერიკაცს ან მის შთამომავლებს ცოდვად თუ მაღლად ჩაეთვლებოდა წელანდელი წამოძახილი.

სასწრაფო მანქანის უკანა კარი დაჯახუნდა.

სირენის უსიამოვნო ხმა რუსთაველზე გაიწელა.

ლიმილი

ხაჭოს ხინკალი მოინდომა. მადადაკარგული და პირგაუგემურებული არც ამისთვის გიჟდებოდა, მაგრამ რაღაც მაინც ხომ უნდა შეეჭამა, მომბებურებული ავადმყოფობით დაღდასმული ცოტა ჯვანზე რომ მოსულიყო.

ცხელი, ორთქლავარდნილი ლანგარი შემოიტანეს და ოვალური ფორმის მაგიდაზე დადგეს.

სახე მოეჭმუნა, ნახარშის სუნმა გააღიზიანა, მაგრამ რაღა უნდა ექნა, აქეთ-იქიდან მხარში შევუდექით, სკამთან მივიყვანეთ, დავსვით და დასიებული, რუმბივით ფეხები ძლივს შეაჩოჩა, შემალა მაგიდის ქვეშ.

მათლათა ახლოს მივუწიე.

ამრეზით დახედა ცალ მხარეს ჩანაოჭებულ, შუაზე ჩაჭრილი ფოთლებივით ჩანყობილ ხინკალს.

მეუღლემ სამი ცალი რომ გადაუღო, შეჰღრინა, გეყოფაო. მაგიდაზე ჩამოდებული, დამძიმებული ხელი ჩანგალს წაატანა, ხინკალი ააკონწიალა და ძლივს მოკბირა.

წვენი გულისპირზე ჩამოვღვარა.

პირველად ვნახე მისი სიბრაზით ცრემლჩამდგარი თვალები.

უმწეობამ აადულა.

— თუ ჩემი ყურება ზიზლს არა გგვრის, შეგიძლია ჭამა, გადაილე.

მთელი შიგნეული ყელში მქონდა მობჯენილი, კრიჭა შეკრული, მაგრამ რა მექნა, გადავილე, მოვკბირე და საჭმელად რომ წამეჭებინა, მეუღლეს ხელიც შევუქე.

რაც არ უნდა მეთქვა, მის გულს აღარაფერი ეკარებოდა, მიზანსაცდენილი ტყვიასავით მიზუზუნებდა.

მეუღლე, ფლოსტების ჩოჩილით, სამზარეულოსკენ წავიდა.

ოთახში მარტონი დავრჩით.

ჩანგალი მიაგდო, აცახცახებული მარჯვენა პირზე მოისვა, დაელოდა ცოლი კარს როდის მიიხურავდა და დალილი თვალებით მომაჩერდა.

— ასეა, ჩემო ძმაო, მოგვიწევს გამოთხოვება, ერთმანეთთან დამშვიდობება, ეს ჩვენი ბოლო ტრაპეზი იყო!

რაღაცის თქმა დავაპირე.

პასუხად თავი გადააქნია, არ გინდაო.

შემანუხებელი სიჩუმე ჩამოვარდა.

მზე ალაპლაპებდა მაღალ ფანჯრებში ჩასმულ შუშებს. ფანჯრის წინ ჩარიგებულ ყვავილებში მორიალე, დილის თბილი, შემპარავი ქარი თავდახრილ ლერებს წამოაყვლეყვებდა, წელში გამართავდა და ყვავილები ოთახში შემოიჭყიტებოდნენ ხოლმე.

მერე ისევ ჩაიმალებოდნენ.

მერე ისევ...

ავადმყოფი უყურებდა, უყურებდა, რაღაცნაირი ენით აუნერეელი გულდანყვეტით და, ბოლოს, ფანჯრიდან მომზირალ მოუსვენარ სტუმრებს... გაუღიმა...

...

პანაშვიდზე, ქარიან დღეს, ფანჯარას ვუყურებდი, მაგრამ ნანანავის ბოლოზე გამობანტული ბაფთებივით ყვავილები აღარ ამოფრიალებულან, იდგნენ თავჩაქინდრულები, მონყენილები.

მიცვალებულს კი, ნამცრევივით, სწორედ მაშინდელი ღიმილი შერჩენოდა.

პუპუზა

საპრეზიდენტო არჩევნების ბუშია საქართველოში, თანაც, კრემლიდან დანიშნული ცეკას მდივნების ნაცვლად პირველი, ნამდვილი არჩევნები.

როგორც წესი და დემოკრატიულობის საფუძველთა საფუძველი, ქამარს რამოდენიმე კაცი „ისწორებს“, თუმცა, გულისგულში, ყველამ იცის, რომ, საარჩევნო ბიულეტენში, ქართველ ერს თავის რჩეული უკვე მონიშნული ყავს.

თეატრთან ხალხმრავლობაა, შესასვლელთან, სვეტებიან „ავანსცენაზე“, მეგაფონებით ჩამსკრივებულან არც ისე მრავალი, პრეზიდენტობის კანდიდატის, პუპუზას გუნდის წევრები, ჟურნალისტები, ადგილობრივი თანამგრძობლები, ასე ვთქვათ, მხარდამჭერები.

შეხვედრაზე მოსულ მოქალაქეებს, თავისი საპრეზიდენტო საპროგრამო სიტყვის შემდეგ, პუპუზა წერილობით შეკითხვებს პასუხობს.

კანდიდატის მეტსახელი, „პუპუზა“, უკვე წინასწარ ქმნის ჰუმორულ დამოკიდებულებას, ამ მეტად მნიშვნელოვანი თავყრილობისადმი, ამას ემატება თავად „ტახტის“ მძიმე-

ლის ვიზუალური მხარე, ენამოსწრებული, არაორდინარულად მოაზროვნე მეცნიერისა და პოლიტიკოსის ძალდაუტანებელი, ხუმრობანარევი კილო და ტონი, იგრძნობა, რომ თავადაც მოესხნება კანდიდატის სტატუსს რომ ვერ გასცდება, უბრალოდ, ამომრჩეველებს, საზოგადოებას კიდევ ერთხელ წარუდგება, მოახსენებს, სად დგას, როგორ დგას და რატომ დგას.

პუპუზა ისეთი მოსაუბრეა, არ შეიძლება რომ არ მოუსმინო. მოგონოს თუ არა მისი პოლიტიკური გამჭრიახობა, ეს ცალკე საკითხია... თუმცა, რატომ არ უნდა მოგონდეს, სათადარიგო კარიდან არ შემობრძანებულა, არც მეცნიერებაში და არც პოლიტიკაში, ბევრისგან განსხვავებით, რაც გულში აქვს, ის — ენაზე და, როგორც ვთქვი, არც იმას არ მალავს, რომ მისთვის მთავარია არჩევნებში მონაწილეობა და არა გამარჯვება, მაგრამ შეკრებილ საზოგადოებას მისი მოიარებით ნათქვამი არ აკმაყოფილებს — ვილაც ქალბატონი, წერილს კი არა პირდაპირ ულტიმატუმს უგზავნის.

პუპუზამ ჯერ თვალის გადაავლო და მერე გზავნილს დაუყოვნებლივ კითხულობს:

„რომ ვიცოდე, ზვიად გამსახურდიას არ აირჩევენ და თქვენ გახდებით პრეზიდენტი, აქვე, სახალხოდ ნავთს გადავისხამ და თავს დავიწვავ.“

პუპუზამ ჩაილიმილა, სათვალე მოიხსნა და შეკრებილებს გადახედა, თითქოს უნდოდა დაეთვალა, კიდევ რამდენი აპირებდა თავზე ნავთის ბიდონის მოპირქვევებას და თქვა:

— დანყნარდით, ქალბატონო, ეგ საშიშროება ნამდვილად არ გამეუქრებათ, სახალხოდ გაპირდებით, უეჭველად ზვიად გამსახურდიას აირჩევენ.

ატყავდა მოწონების ღრიანცელი.

თავის ნათქვამს, სხვებთან ერთად, ტაშს პუპუზაც უკრავდა.

მოკლედ, კმაყოფილმა საზოგადოებამ ქუდი ქერსა ჰკრა — მართლაც, პუპუზა და პრეზიდენტი?

სახელის გამო მაინც, თორემ...
პუპუზა!..

მას შემდეგ, გავიდა ხანი და რუსთაველზე აგორებული ლალატი, აფხაზეთის დაკარგვითა და ბალტიის მიძიმე ტექნიკის შემოყვანით დაგვირგვინდა (ოჰ, ეს გაჭირვების ტალკვესი რუსები, სადაც არ უნდა იყვნენ, იქაც კი არიან).

პირველი პრეზიდენტი ისე გაუძევეს, იმ ქალბატონისათვის არც უკითხავთ, ნავთის გადავლებას და თავის დაწვას ხომ არ აპირებდა.

თუმცა საამისო ნავთი სადღა იყო — ჩამონვა ბნელი და უკუნი, ყველა გაგებით და ყველა ასპექტით.

ახალმოვლენილი, ქვეყნის მთავარი, ჩვენი მოუცილებელი ცრუნინასწარმეცხველი, უახლოესი წლებში ხალხის გაბედნიერების დიდ, არნახულ აფეთქებაზე ლაპარაკობდა, მისი ხელქვეითები კი „ხელებდაკაპინებულები“ (როგორც თვითონ უყვარდა გამოთქმა) ბტყენიდნენ ისედაც ბუმბულგაცლილ თანამოძმეებს, თავად „დალაი-ლამა“ კი, აფხაზებსა და ოსებს, ოფიციალურ შეხვედრებზე, უბოდიშებდა, ქართველები თქვენთან ვტყუივართო.

ჩვენთან თუ ტყუოდა ვინმე, ამაზე არაფერს ამბობდა და, კიდევ რომ ეთქვა, პირველ რიგში თავისი თავი უნდა დაეხსენებინა...

ეჰ, პუპუზ, პუპუზ, საღერლელი რად ამიშალე, ოცი წლის შემდეგ ძველი „მუთაქები“ რად ამომანენინე, რა ხათაბალაში გამაყოფინე თავი. გამხდარიყავი პრეზიდენტი, ეგებ ყველაფერი წაღმა წასულიყო, დიდი საქმე თუ ერთი დედაკაცი თავზე ნავთს გადავივლებდა...

გავიდა საკმაო ხანი და, ყოფილ კანდიდატს, ქრონიკულ ოპოზიციონერს, ჯერ გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში, მერე — ნიქოზის მფრინავთა პოლკის ბაზაზე განლაგებულ, სამშვიდობო ბატალიონის ბანაკში შევხვდი.

პირველი სტუმრობა იმ პერიოდს დაემთხვა, ყოფილ კიროვის პარკში, სხვა ავტორების წიგნებთან ერთად, პუპუზას წინასიტყვაობით გამოსული „ვეფხისტყაოსანიც“ რომ დანვეს.

ამ სამწუხარო ამბავმა ჩვენამდეც ჩამოაღწია. ვიდრე თათბირი დაიწყებოდა, სტუმრად ჩამოსულ პუპუზას, გამგეობის თავმჯდომარემ „მიუსამიძირა“, გავიგე თქვენი „ვეფხისტყაოსანი“ რომ დაუნვიათ და ძალიან მეწყინაო.

ეჰ, ნეტა მართლაც ჩემი იყოს და თუნდაც რვაასი წლის მკვდარი ვიყო, — გაეცინა პუპუზას, ალბათ, ასეთი უვიცობის მოწმე მაინც არ ვიქნებოდიო, — ისე, თუ გინდა შენს ხალხზე იბატონო, ამაზე განათლებულები ხელმძღვანელებად არ უნდა დაუნიშნოვო, — გადმომჩურჩულა.

ნიქოზის სამშვიდობო ბატალიონთან შეხვედრის შემდეგ, პარლამენტარების ერთ ჯგუფს, თამარაშენის და ვანო მაჩაბლის სახლ-მუზეუმის დათვალიერება უნდოდათ.

რადგან ცხინვალის გავლა მთლად უხიფათო არ გახლდათ, მასპინძლებმა სამხედრო მანქანა და გაცილება შემოგვთავაზეს...

ძარაზე, ჩვენთან ერთად, შეიარაღებული ჯარისკაცებიც ამოვიდნენ, მაგრამ პუპუზა არ ამოდის, ფეხს ითრევს.

ვკითხეთ, რატომ არ ამობრძანდებით, თქვენლა გელოდებითო.

რას გეტყვით, იცით, გვიპასუხა მცირე პაუზის შემდეგ, მე ჩემს სამშობლოში, ბადრაგის თანხლებით ვერ ვივლიო.

რა უნდა გვექნა, ის ერედვში წავიდა, ჩვენ გავიარეთ ცხინვალი და ჩავვდიეთ თამარაშენში.

სახლ-მუზეუმთან მოგროვდა სოფლის მოსახლეობა.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი გულდამწვარი პარლამენტარების უმეტესობას ბოლომდე წარმოდგენილი ჰქონდა, სად იყვნენ ან რატომ იყვნენ, ოთხმოციანი წლების ბოლოდან მოყოლებული, რა გადაიტანეს აქაურებმა — უბის წიგნაკებში ისეთ ფაქტებს, პრობლემებს ინიშნავდნენ, გაკვირვებულები ისმენდნენ, აქამდე გაგებულები, გაანალიზებულები და მოგვარებულები რომ უნდა ჰქონოდათ.

რა თქმა უნდა, ეს ფაციფუცი, ღიმლის მომგვრელი იყო და „ვალდებულების“ მოხდას უფრო ჰგავდა, როცა არც „მიცვალეული“ გებრალეა, არც იმისი „ჭირისუფალი“ და მაინც მიდიხარ „პანაშვიდზე“, რადგან სხვები მიდიან და შენს პირად საქმეს და საჯდომსმორგებულ სავარძელს ასე სჭირდება.

შეხვედრის დამთავრებამდე, პუპუზაც გამოჩნდა — ქალაქის გამოვლა რომ არ ინება „ბადრაგის“ თანხლებით, ერედვიდან, მთებზე გაჭრილი, შემოსავლელი რთული და სახიფათო გზით გადმოსულიყო და ამოლაფული ჩექმებით შემოგვიერთა.

ადგილობრივებისათვის იმის მსგავსი არაფერი უკითხავს, რაც დანარჩენ პარლამენტარებს ანცვიფრებდათ — იმ მიძიმე წლებში, პუპუზა, ხეობების ყველაზე ხშირი სტუმარი იყო, ხელისგულზე ედო აქაურობის ყველა სატიკვარი.

უკან რომ ვბრუნდებოდით, კიდევ ერთხელ შესთავაზეს, იქნებ აქედან მაინც დაგვემგზავროთ, სნაიპერს ან ბოვეიკებს არ გადაეყაროთო, მაგრამ ამჯერადაც შორს დაიჭირა, ხელი აგვინია და თანმხლებ ბიჭთან ერთად, ისევ ნაცად გზას დაადგა...

მე კვლავ თეატრის წინ გამართული შეხვედრა და მას შემდეგ განვლილი წლები მახსენდება და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ არც ისტორია ვარგა მასწავლებლად, არც ჩვენ — მოსწავლეებად, რადგან ყველა შეცდომას ბეჯითი უვიცობით ვიმეორებთ.

გულუბრყვილოა კეთილშობილება — ჩემს სამშობლოში ბადრაგით ვერ გავივლიო.

ვაი, რომ ახლა ესეც სანატრელი გაგვიხდა — მზაკვარმა მტერმა და რეგენმა შინაურმა ისეთი დრო დაგვიყენეს, ჩვენს ქვეყანაში აღარც ბადრაგით გავლას აღარ გვთავაზობენ.

ბიჭი

სკრის ლტოლვილთადასახლება.
ჩიხში გაჩერებული ვაგონებივით ჩამწკრივებული, ერთ-
ფეროვანი სახლებისგან მოშორებით, ნახნავებს შორის დარ-
ჩენილ ბორცვზე ბიჭი დგას და ჩრდილოეთისკენ გაიყურება.
ცა მოკრიალებულია, გარკვევით ჩანს კავკასიონის ფერ-
დებიდან მწვერვალებისაკენ აკრფილი თოვლი და ნისლი.
იქით მიმართული ბიჭის მზერა რაღაცას თუ ვილაცას
ეძებს.
მითხრეს, ხშირად აი, სულ ეგრე, ძეგლივით გარინდული
დგას, დგას, ვილაცას გიჟი ეგონებო...
ბიჭის შემხედვარე, ვფიქრობ:
იქნებ ვინმემ სცადოს სამშობლო წართმეულის პორტრე-
ტის, ქანდაკების შექმნა.
ნეტავ თავიანთ ცოდვილ სულებზე სულ არ ფიქრობენ
მტაცებელი იმპერიების „დემოკრატი“ მამები?
ლტოლვილი ჭაბუკის თვალებში არეკლილ მხოლოდ მო-
ნატრებულ მწვერვალებს კი არა, იმ ქართულ ქარს ვხედავ
შუბლზე ჩამოშლილი ქოჩრის ბოლოებს რომ უძენდავს და
გრუზა თმას მშობლიური ნიავის თითები ეფერება.
ომი დამთავრდა, მაგრამ გრძელდება მისი თანამდევი,
მძიმე ტკივილები, რომლებიც უბედური ადამიანების სულებს
გამუდმებით წინკნია.

თვალსაზრისი

მართლაც, როგორც ამბობენ, ყველაფერი პოლიტიზებუ-
ლია თუ, არ ვიცი რა დავარქვა.
დილით, მალაზიაში შეძენილი პურით გადმოვდივარ ქუჩა-
ზე.
მეორე მხარეს, ტროტუარზე მომავალი ყოფილი კომისარი
ხელს მიწვევს, მესალმება და ღიმილით მეუბნება:
— ჩვენს ასაკში სირბილი სასარგებლოა.
— ჰო, მაგრამ ძალიან არ უნდა აუჩქარო, ნება-ნება...
— რა თქმა უნდა, ვინც იჩქარა, რა მოიგო!
— არც იმან — ვინც არ იჩქარა...
— რა კარგად თქვი... აჯობებს „ზალატაია სერედინა“ გე-
ჭიროს, — მოიშველია არანაკლებ მშობლიური რუსული.
— დიახ, ისეთ მანძილზე არ უნდა გაიქცე, რომ უკან ვეღარ
დაბრუნდე... უფრო სწორად, საიდანაც წამოხვედი ვეღარ მი-
აგნო.
— მართალია! — როგორც ძველ ოფიცრებს სჩვეოდათ,
ხელში მომუჭული შავი ტყავის ხელთათმანები პირთან მიიტა-
ნა და შეთქმულივით ჩამურჩულა, — ეს ჩვენი პრეზიდენტი
ნამეტანი ბევრს და შორს დარბის და არა მგონია ეს სირბილი
სასიკეთოდ დამთავრდეს.
— უფრო სწორად დაფრინავს.
— ჰო, დაფრინავს! — დამეთანხმა და დამფრთხალმა მზე-
რა იქაურობას მოავლო, არავინ გვისმენდესო.
დავემშვიდობეთ ერთმანეთს და სხვადასხვა მიმართულე-
ბით წავედით.
მე ისევ გავრბოდი — ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ და
პური უნდა მიმეტანა.
იმას კი კვლავ „ზალატაია სერედინა“ ეჭირა...

ომი შიშილთა

ძირითადი საკვები, პურთან ერთად, ეს ორი სახეობა იყო.
სხვადასხვა წონის, სხვადასხვანაირი შეფუთვის, გემოსი
და ხარისხის, მოჰქონდათ და ქუჩა-ქუჩა, მანქანებით არიგებ-
დნენ.

წინიბურა და მაკარონი, ჩემს ხსოვნაში, საბოლოოდ დაუ-
კავშირდა აგვისტოს ომს — ერთი მეორეს მახსენებს, მეორე
— პირველს.
წარმომიდგენია იმათი მდგომარეობა, ვინც გასულ საუკუ-
ნეში, ლენინგრადის ბლოკადა გამოიარა და, შიმშილით განა-
მებულმა ერთხელ მაინც დააგემოვნა...
ფუჭი!..
იმის წარმოდგენაც კი ძნელია, რომ შეიძლება, ალყაშე-
მორტყმულ, ნევისპირა ქალაქში ჩარჩენილი კომპოზიტორი,
გაყინულ ოთახში, კლავიშებზე, მუსიკალურ საოცრებას რომ
აქანდაკებს, შუალამისას, შიმშილით გატანჯული... ვირთხაზე
ფიქრობს!
შიმშილის აპოთეოზია, როცა შიმშილისაგან აგონიაში
მყოფ ფილმის გმირს, ჩარლი ჩაპლინი ინდაურად ეჩვენება და
დასაკლავად დასდევს.
ვირთხა მაინც...
უფაქიზეს სულსაც ერევა გაავებული კუჭი.
აპოთეოზი შავი მელოდისა...
მაგრამ უფრო მძიმე და უარესიც არსებობს:
„ტრაგედია უგმიროდ“ —
დამშეულ შვილებს მჭადი შეუსანსლა.
შეადარე ახლა შოსტაკოვიჩის ტრაგედია — ჩაძინებულს
აჯანყებული სხეული თუ ვირთხას მოაღანდებს.
გააჩნია, ვისთვის რაა აპოთეოზი...
მახსოვს, იმ დღეებში, ერთი მეზობელი ჩიოდა, ამომივიდა
ყელში სულ წინიბურა და მაკარონიო.
არ იცის, რომ ერთ დროს, ვილაცას, ვირთხა ამოუვიდა
ყელში.
ვილაცას — შვილებისათვის განკუთვნილი მჭადი — გონე-
ბაზე მოსულს, სინდისის ქენჯნამ გულ-მუცელი რომ ამოუტ-
რიალა და ყულფი გამოანასკვინა.
მერე, აპოთეოზის დაღმავალი ნაწილი —
„რალა ჩემს ვენახში, რალა ჩემი კარის უკან, ჩემი ბან-
რით...“

ინდაური

რაც უფრო ღრმად ეფლობა მმართველის სავარძელში,
მით უფრო კარგავს სიცოცხლეს, ადამიანურ ცნობისმოყვა-
რეობას, ღიმილიც კი, ზომიერი და ცივი, ისე მოეფინება ხოლ-
მე სახეზე, რომ ზედმეტი არ მოუვიდეს და ასე, თანდათან, თა-
ვისი დაწესებულების ყველაზე უინტერესო ექსპონატად გა-
დაიქცა.
თვლებიდან სიხარულის, აღტაცების, გულუბრყვილო
ეშმაკური სხივები ქრებიან და ეჭვების მრავალფეხები იბუ-
დებენ, დროდადრო ზანტად იზმორებიან და შეცდომაში გა-
მოჭერილ თანამშრომლებს საცეცების მარწუხებში წურა-
ვენ.
მოკლედ, ისეთი გახდა, მიღებაზე თავისი ძველი, თამამი,
მხიარული ორეული რომ მივიდეს, უეჭველად იკითხავს:
— მაპატიეთ, ნაადრევად დაბრძენებული, გაფხორილი ინ-
დაური აქ ბრძანდება?
რა კარგად შეარქვა, უკეთესს ვერც მოვიფიქრებდი, კაბი-
ნეტში მართლაც ინდაურივით წამოყინულა, გადასქელებულ
უკანალს ხანდახან შეათახთახებს, რათა უფრო მყარად, მო-
ხერხებულად მოერგოს, საფუძვლიანად შეავსოს ფუნჩულა,
ტყავადაკრული სავარძელი და ვიდრე კისერნაგრძელებულს
ყიპყიპი ამოხდებოდეს, თვალს ნეტარებით ნაბავს.
მერე ღილაკს წითელაკიან საჩვენებელ თითს დააჭერს
და მდივანს რაც შეიძლება მკაცრი სახით ჰკითხავს:
— ჯუნა, ვიდრე დავბრუნდებოდი, ხომ არავინ მიკითხა?
პასუხით დაკმაყოფილებული, ღილაკიდან აღებულ თითს
ისე დახედავს, თითქოს აღარ იცის რა უყოს, სად წაიღოს. მე-

რე შუბლზე მიიღებს და მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი გაირინდება.

ზის და არ ახსოვს, რომ ყველა ინდაურისათვის, ბოლოს მაინც, დანა ილესება...

თუმცა ვინ იცის, ვეგებ იმ ბედნიერ გამონაკლისთა შორის მოხვდეს, პრეზიდენტები საახალწლოდ რომ შეინყალებენ ხოლმე?

„ეფოსრიჯება“

— აგერ, ახლა, მწერალთა კავშირისაკენ რომ მოვდიოდი, მაჩაბელზე, შემომხვდა დაჯღარკული პოლიკარპე, — ასე დაიწყო, ერთხელ, თავისი გამოსვლა, კონსტანტინე გამსახურდიამ მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში.

ვისაც უკვდავი (მარად!) ყვარყვარეს ავტორი არ უნახავს, ვერ შეიგრძნობს ბოლომდე „დაჯღარკულის“, — თანაც ბატონ კონსტანტინეს ხმის ინტონაციით წარმოთქმული სიტყვის გემოს, ვერ გაიგებს კაი „პარტნოს“ შეკერილი სმოკინგით, როგორ ზუსტად მოარგო დრამატურგის აღნაგობას, მიხრამოხრას, მის ერთთავად შენუხებულ, ამავე დროს „გაშარყეზულ“ გამომეტყველებას.

მწერალს შეეძლო მანამდე უთქმელი, თვითონ შეექმნა, სიტყვად ექცია, თავისთვის სასურველი ფორმა და შინაარსი მიეცა.

სიტყვაც ემორჩილებოდა, როგორც თიხა ოსტატს...

ერთგან ბრძანებს;

„რალა შორს მივდივართ, XIX საუკუნის რამდენი ავტორი ეფოსრიჯებოდა მწერლობას. ბოლოს და ბოლოს შეგვრჩა სულ რამდენიმე მწერალი: ნ. ბარათაშვილი, გ. ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა.“

„ეფოსრიჯება“ — წრიაპით, წერაქვით, ფრჩხილებით კლდეებს ჩაფრენილი მთამსვლელი წარმოგიდგებათ, დაუძლეველის დაძლევის სასონარკვეთილი ჟინით შეპყრობილი ამაოდ რომ იხარჯება სიმაღლესთან ორთაბრძოლაში...

მახსოვს, ტელევიზიაში, ლიტერატურულმა სტილისტებმა, მგონი ცენზორის მოვალეობაც რომ ჰქონდათ შეთავსებული, როგორც წესი იყო, ვიდრე გადაღებას დაიწყებდნენ, ჩემი სცენარი წაიკითხეს, ხელი მოაწერეს და სცენარი რომ გადმომცეს, ერთმა მათგანმა, პირწმინდად თავგადაპარულმა, ასაკიანმა კაცმა, ვანო ღარიბაშვილმა, მწერლის უცნაურობის მაგალითად, ბატონი კონსტანტინე გაიხსენა.

ორმოცდათექვსმეტის თბილისური გამოსვლების შემდეგ, ზვიად გამსახურდია პირველად რომ დაიჭირეს, ეს ბატონი, თურმე, მგონი მთლად უშიშროების სამსახურის შეფის მოადგილე ყოფილა.

— მეორე თუ მესამე დღეა, დარეკა ბატონმა კონსტანტინემ, — გვიყვება აწინდელი სტილისტი, — გვთხოვა, ჩემი ზვიადი ავიყვანიათ და იქნებ დამეხმაროთ და გამოუშვათ.

უარს როგორ ვეტყობდი. ყველანაირად ვეცდებით, ბატონო კონსტანტინე-მეთქი.

მართლაც, საქმე მოვაგვარე და შვილის წასაყვანად მწერალიც მობრძანდა.

შევიპატიჟე კაბინეტში, დასვვი, სხვებიც შემოვიდნენ, ვის არ უნდა „მთვარის მოტაცების“ ავტორთან შეხვედრა და, ვიდრე ზვიადს მოიყვანენ, ვმასლაათობთ, ხუმრობს, რას აღარ იხსენებს, ენაწყლიანობს დიდი მწერალი.

ზვიადის შემოსვლა, კარისკენ ზურგიით მჯდომმა მამამ, უკან მოუხედავად იგრძნო.

ველოდებით, როგორ შეხვედებიან ერთმანეთს, რას ეტყვის მშობელი, ალბათ მაღლიერების სიტყვების იმედიც გვაქვს, იმის გამო რაც მოხდა...

თვალდახელშეშა შეიცვალა ბატონი კონსტანტინე, თითოთი მოიხბო თავისთან ზვიადი და სახეგამკაცრებულმა ახედა.

ერთხანს დუმდა, მერე კი დაჰკრა ხელი მაგიდას:

— შვილო, ზვიად, გამაგებინე რატომ მაგდებ ასეთ უხერხულ დღეში, ამ მათხოვრებთან სამათხოვროდ საქმეს რატომ მიხდი! — მოგვაშვირა ხელი და მოულოდნელობისაგან გავეშრით, ხმა ველარ ამოვიღეთ...

ა, ასეთი უცნაურები ხართ მწერლებო, ჩაიღიმა „სტილისტი“, ვითომ მხოლოდ „უცნაურობა“ იყო ბატონი კონსტანტინეს გულისწყრომის მიზეზი.

გასულ საუკუნეშიც ბევრი ეფოსრიჯებოდა მწერლობას, იმდენი, მეცხრამეტეს რომ არც დასიზმრებია.

ბატონმა კონსტანტინემ, ქართველი ერის სალოცავ ძეგლს ძეგლი დაუდგა. მცხეთაში ჩასული, სვეტიცხოვლის ჩრდილოეთის კედლისკენ მივისწრაფი ხოლმე.

იქ მწერლის მიერ უკვდავყოფილი, ოსტატის მარჯვენა მეგულეა.

უზლისციხე

მარბიელივით შემოსეული ქარები იკლებენ ქვაბებს, კლდეში გამოკვეთილ დარბაზებს, გრილ ტალანებს და ხმაურით გადი-გამოდიან ნაპრალეებში, თითქოს ხერხავენ წვიმითა და ყინვით დახეთქილ კლდეების აისბერგებს.

მხოლოდ ქარს უმხელს საიდუმლოს გაქვავებული ქალაქი. ნეტავ ვის უპყრია ან სად მარხია ის ჯადოსნური ჯოხი აქაურობას რომ გამოაცოცხლებს, ამ საწნახლებიდან გადმოჩქეფილ ყურძნის წვეს აახმიანებს ქვევრებში, აღმურაკრულ თონეებში აიტკიცება დაბრანული შოთ-ლავაში და ჩირაღდნები გაანათებენ ბინდაცემულ ქუჩაბანდებს.

შეყვარებული გოგო-ბიჭი, საბძლის უკან მოეფარა მტკვრის ხეობაში შემოცურებული მთვარის ფხიზელ თვალს. არ ვიცი, სახელები რა ჰქვიათ, მაგრამ ვიცი, რომ მათი სიყვარული გადარჩა, რადგან ახლა აქ ვდგავარ, მათი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

ვინრო გასასვლელით ქალაქის დასავლეთით გავდივარ. ნაპირისკენ, დაქანებული კედლის ქიმზე შემდგარი ჩავყურებ ჩახერგილ ლოდებს.

ისინი, თავის დროზე, მაღლა იდგნენ და ქვაში ნაკვეთი ქალაქის ირგვლივ განსხვავებულ ლანდშაფტს, რელიეფს ქმნიდნენ.

ჩემს თავზემთ, ბუნებრივად გამოქანდაკებული კაცის პროფილის ცხვირწინ კინკიბურაზე შემოდებული ვეება ლოღია და, ასე მგონია, ქარის კიდევ ერთ ღონიერ შემოტევას ველარ გაუძლებს.

ქვემოდან ზემოთ ავიყურები. ლოდიდან დაშვებული ვერტიკალი სწორედ ჩემს სხეულზე გადის.

აღრე თუ გვიან ლოდი უნდა ჩამოვარდეს, ძირს დაენაცოს. იქნებ სწორედ ახლა დგება მისი მოწყვეტის წამი?

ვდგავარ გაჯიუტებული და ლოდს თვალს არ ვაცილებ — ქარმა ქვეს აფცქვნილი ნამცეცები გადმომაყარა, თითქოს შეიძრა, აქანავდა კედლის ნატეხი და მომუჭულ თითებში ოფლმა გამოყოხა.

იქნებ, იქნებ...


საკუთარ თავს ხელი ვკარი, ჩემს მხრებზე დაშვებულ, უხილავ ვერტიკალს გაუუსხლტი, გავერიდე...

*

საწერ მაგიდაზე, საყვავილეში ჩემი უფლისციხელი სტუმრები — ფოთოლშემქნარი წითელი კუნელის და ასკილის ტოტები მიდევს.

აქ მშვიდად და უდარდელად არიან, არ აწვიმთ და არ ათოვთ, კედლის „ფხაზე“ ამოსულებს აღარც ქარი ევაჯგურებათ და არც მწყემსი ბიჭის თხები ემუქრებათ.

ორივეს მე ჩემსას, ჩემი ოთახის სიმყუდროვეს ვახარებ, მაგრამ ვინ იცის, იქნებ მაინც იქ ურჩევნიათ?



ოდა სიცოცხლის მშვენიერებას — ცოტა არ იყოს, გაცვეთილი სიტყვებია, მაგრამ ძნელია გამოძებნო უფრო ზუსტი და შესაფერისი განსაზღვრება მალხაზ მაჭავარიანის ლექსებისათვის, სადაც, თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია, რომ შევნიშნოთ, ყველა სიტყვა, ფიგურა, ფრაზა თუ საგანი სიცოცხლის საწყისის გამოხატვას ემსახურება, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი ამას დახვეწილი, მაღალი გემოვნებით ახერხებს და ამიტომაც არის მისი ლირიკული მონოლოგები ესოდენ სანდო და დამაჯერებელი.

სასაუბრო ინტონაციებსა და მშვიდ ტონალობებში ნათლად გამოიკვეთება პოეტური საზრისი — სამყარო დუალისტურია, ერთმანეთს ებრძვის კეთილი და ბოროტი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და სიხარული და, კაცმა რომ თქვას, არის ამ ბანალურ შეპირისპირებაში რაღაც, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, ეს არის სწრაფვა შინაგანი თავისუფლებისაკენ, რასაც ბუნებრივად მოსდევს საკუთარი თავის, საკუთარი ცხოვრებისა და ყოფიერების შეცნობის სურვილი.

სავსებით ნათელია ლირიკული გმირის ცნობიერების, აზროვნებისა და მსოფლშეგრძნების მთლიანობა. ავტორმა იცის, როგორ მართოს სიტყვის პოეტური სტიქია. ფლობს საიმისო ძალასა და ნებელობას, რომ გამოხატოს არსებობის მშვენიერება და გვაგრძნობინოს სიყვარული, ცოცხალი ენერჯის ბედნიერი გამოვლინება.

მალხაზ მაჭავარიანი

ქარიშხალი ქრის აქეთ,
რაც ზეციდან მოსულა.
და ბნელ ტალღის სიმაღლემ,
როცა ფიქრიც დაფარა —
მთელი ღამე ვინაღვლე,
მერე მზემ გამახარა ...

ყოვლის შიშობა

I
შემოდგომაზე მჩუქნი გაზაფხულს, —
სიხარულს მჩუქნი მზიანი სევდით...
შენით შევყურებ ზეცას, არნახულს,
მზის დედამიწას ჯვარცმულის ბედით —
დავყურებ... და: მაქვს „უთვალავი ფერით“
ქვეყანა — ესეც შენგან და შენით,
შენს თბილ ხელშია სიცოცხლე ჩემი
ანუ შენივე გადასარჩენი...

II
სასჯელის დროს ჩანს აქ შენი სახე?! —
სახე სასტიკი და ლმობიერი
ჩანს: სასჯელის დროს თითქოსდა ვნახე
წამით — უცნობი შენი იერი...

და შეუცნობელ მზით დამამუნჯე,
მთლად დამაბრმავე ბნელში ნათელით...
და ასე უძლურს, გულის საუნჯედ
ღრმად ჩამისახე მსხნელი სახელი.

III
გმადლობთ შენ, ქრისტე — ტკბილო იესო,
რომ ბოროტისგან მიხსენ და, სულით —
ბერს გამახსენე ბავშვობის ეზო
ციცინათლებით გაბრწყინებული...
და კიდევ: მწუხრად ჩურჩული ქარის,
ლურჯ სიჩუმეში დედის ძახილი.
შენ კი მეჩვენე ჯვარზე თუ ჯვარით —
ნაგვემ-ნაცემი და თავდახრილი...
გმადლობ შენ, ქრისტე — ტკბილო იესო,
რომ შემინყალე ბერი... და სულით —
კვლავ გამახსენე ბავშვობის ეზო
ციცინათლებით გაბრწყინებული.

ცხოვრება

წვიმის ოკეანეში:
მშველელი კვლავ ფიქრია
და შენ მზიან მხარეში
მეგულები, ფიქრია...
და მივცურავ მზისაკენ
ანუ შენკენ მოვცურავ...

ბაელები...

ჭექა-ქუხილი... წვიმა.
სევდა გაბმული სიმაღ
სულის საკრავზე... ტკბილად —
ცრემლით უმღერის იმას,
ვინც ალარა მყავს გვერდით
და მენატრება ხშირად...

ფიქრები ქარში...

ფიქრებო,
წვიმა რად მენატრება...
მოწყდა ყვაველი,
როგორც ვარსკვლავი —
მტკივა სამყარო
და ცრემლიც წყდება,
როცა ქარი ქრის
კვლავ გულსაკლავი...
ცივი ფოთოლი
და გული კვდება
ქარში... ცეცხლივით
დღეა ჩამქრალი:
გამოთხოვების დროება დგება —
უმზეო მზერა აღმოსავალი...

...სარკეში

ფიქრის სარკეში ოცნებები ქრება ოცნებით
და დაუფინყარ სიყვარულით მანვალებს ვნება ...
აქვე: თითქოსდა თვლემენ გზების უტყვი მონმენი —
ფეხსაცმელები,
დაღლილ ფეხთა მშვენიერება ...
ფიქრის სარკეში არეკლილი ჩემი ცხოვრება
კვლავ დაიმსხვრევა შეღამების მხესავსე მთვარით —
მზერის პეპელა ნათლის ნამსხვრევს დაეკონება
და ნამსხვრევებში ვარსკვლავივით გაკრთება
ქალი ...

ოცნება

ქვეყნად ყოველივეს განსაზღვრავს ამინდი
და არ უხარია სულს უამინდობა.
წუხელი ოცნებით ზეცისკენ გავფრინდი,
დღისითაც ცხოვრება მის ფრთებს
მიენდობა,
რადგან უსაშველოდ მომბეზრდა რუტინა
და მკლავს ერთფეროვან დღეების დინება...
ფიქრმა სინამდვილეს მრავალი უთმინა,
მან კი ოცნებაზე მძლავრობა ინება...

თუმცა ვერ დაძლია ცისკენ ფრთავაშლილი,
სასურველ მყოფადთან მუდმივი კავშირი...

თაზოს...

ვერძნობ,
რომ შენ ჩუმად იტირებ ჩემზე, —
მამის ცხოვრება არეულია...
თრობით ვოცნებობ კოსმიურ გემზე,
ცისკენ გაფრენა ისე(ვ) მწყურია...
და გავფრინდები ადრე თუ გვიან,
როცა ინებებს ბედის მწერალი.
(საფლავის ქვის მთლელს,
თენგიზი ქვია,
ქვაზე სახეთა მხატვარს — ჯემალი).
კვლავ მათთან ერთად ვქეიფობ დღესაც,
სუფრას სიცოცხლის მადლი წარმართავს...
და წამოდგომით ვადიდებ ზეცას,
სიღრმით რომ მალავს ნამდვილ სამართალს.

მიქაძენა

შენ მხოლოდ თმების
შრიალი გესმის —
შენი გაშლილი თმების
შრიალი
ქარში
და გადის ცხოვრება ჩემი
უშენოდ
ქრება ყოფნის სინაზე —
სიცოცხლე ჩემი
ქრება
და
გული
მწყდება იმაზე,
რომ იგი ქრება
და იფერფლება საგვს ფურცელი —
შენით სიტყვებად ქცეული ვნება...

ღამე

დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო!
ილია II

გვიანი ავტომობილის
ხმა —
უძილობა ზიარი.
ბნელი,
მზის ჩასვლით შობილი,
და შენზე ფიქრი მზიანი —

უფალო!.. შვებად რომ გიხმობს
დაღლილი ადამიანი...

ღრუბლები

ღრუბლები —
თეთრი ნახატებია,
მთვარის კაშკაშა შუქზეც ჩნდებიან
ღრუბლები
და ცა ნათლის ფერია,
როდესაც მზეა —
თითქოს მღერიან
და სხივთა შორი ჩქერალებია
ღრუბლები
ცაზე,
საკვირველია...

**ნარწარა ნიბნეა:
„ყვავილების სახელები“**

სულ ყვავილების სახელები რომ შევისწავლო,
მაინც დაჩრდილავს მათ სინაზით ერთი სახელი —
ვარდი! თუ ვერ ვჭვრეტ მას ჩემს ბაღში,
უსაზღვროდ ვჯავრობ,
უსაზღვროდ ვხარობ იმავ ბაღში მისი მნახველი...

სიყვარულის დღე...

ქალი და ვარდი — რომელი რომელს
ჰგავს... ქალი ვარდს თუ ვარდი
ქალბატონს ...
გადარჩენილი სქესთამკვლელო ომებს —
შორეულ ცის ქვეშ დავრჩი აქ მარტო,
ანუ უშენოდ ვარ სიცივეში
და ველარ ვთბები მაისის თვეშიც,
ვარდი და ქალი — რომელი რომელს
ჰგავს... მივართმევდი ვარდს გულის მპყრობელს,
რომ მყავდეს... მერე მომკლავდნენ ერთად —
ვარდი და ქალი, ქალი და ვარდი ...
.....
ნეტავ დღის შუქი მარადის ენთოს,
მაგრამ მზე უკვე ნელ-ნელა ჩადის...

ბავშვების დანახვისას

შეხედეთ ბავშვებს და დარწმუნდებით,
რომ ჩვენ ყველანი ვარსკვლავები ვართ.

მხოლოდ ბავშვები,
მხოლოდ ბავშვები —
სხვა არაფერი არის საშველი ...
მათ მივენდობი,
მათ მივემხრობი,
მათზე მზრუნველი ფიქრით დავშვრები ...
და გავუცინებ —
გამიცინებენ,
გამახარებენ მხოლოდ ბავშვები,
მათ სიკაშკაშეს ვუმზერ
და ვფიქრობ:
სხვა არაფერი არის საშველი!..

ჩანჩქარი

სოფლის ავტობუსით მივდიოდით
მდინარის პირას,
როდესაც ჩემი მზერა
ჩანჩქერმა მიიპყრო
და გვერდით მჯდომმა მეუღლემ
გალიმებული სახით მითხრა:
„ეს ჩანჩქერი მე ვარ“.
იმ დროს არც არაფერი
მიკითხავს მისთვის,
მაგრამ დიდხანს მახსოვდა
მეუღლის ეს სიტყვები
და ვერ გამეგო,

თუ რატომ შეადარა მან თავი
იმ ჩანჩქერს...
და აი, უკვე დიდი ხნის შემდეგ,
ერთ-ერთი ჩემი ახლობლის ოჯახში,
კედელზე გაკრული ძველი აფიშა
ვნახე,
რომელზეც (ხსენებულ ჩანჩქერთან)
ჩვენში ერთ დროს კარგად ცნობილ
ანსამბლ „სიმი“-ს მხოლოდ
სოლისტი მამაკაცები იყვნენ გამოსახულნი...
.....
ჩემი მეუღლე კი ამ ანსამბლის
ერთადერთი ქალბატონი და პირველი ხმა
იყო...



რა ნაივური, ერთგვარი ბავშვური თამაშით იწყება ნინო ქუთათელაძის პოემაში იმ სისხლიანი იარების გზა, რომელზედაც მხოლოდ პოეტები „იარებინ ფეხაკრეფით“. დანარჩენები დადიან, დარბიან, დაძრწიან, დაიჯიმებიან... სამყარო ჯერაც სავესტა რეალური ზღვითა და ხმელეთით, რომელიც რატომღაც აღარც შიშს იწვევს და აღარც აღტაცებას.

მთები და კუნძულები კი ძველებურად წყლისა და მიწის გვირგვინებია. ამ გვირგვინს რახანია აღარ ნატრობს ადამიანი, მას არ დგამენ საზეიმოდ, ყველას თვალწინ, საყვირთა ნიალიდან დაძრული ცოცხალი მუსიკის ფონზე; ნომინაციაში — სამყაროში სიკეთის, სინათლის, უბინობისათვის განეული გარჯის საზღაურად. მისთვის არ ზრუნავენ, არ ნადირობენ. ამიტომ ეს გვირგვინი არც ჯილდოა და არც მონაპოვარი. იგი სულისა და გულის მუდმივი მდგომარეობაა, ყველასაგან განსხვავებული ცხოვრების წესით. ამ წესში ლოგოსი უპირველესია. სიტყვას წონა აქვს, ფასი ადევს, კლდიდან დაგორებული სიზიფეს ლოდივით მძიმეა და განუწყვეტელი საზიდი. მაგრამ ამაზე არ წუნუნებენ, რადგან ტანჯვასთან ერთად „იქნებ ეს არის თავისუფლება“. თავისუფლება სიტყვის ძალა და სინათლეა. ამის დავიწყება უგნურებაა „სიტყვას ივინყებენ მხოლოდ ყმანვილები და აბათილებენ საკუთარ გათენებას“.

ნინო ქუთათელაძე რახანია ბავშვი აღარაა, მაგრამ ნაკადულივით სუფთა და გამჭვირვალე მისმა შემოქმედებითმა მეხსიერებამ უამრავი რამ შემოგვინახა და მათი შემხედვარე „გრძნობ, როგორ გაცვივა სინათლის მერცხლები“... ნინოს პოეტურმა შეუპოვრობამ სოფლის კვამლივით ჩვენი ცხოვრების ტკბილ-მწარე ფრაგმენტები დააკრისტალა და შექმნა ფერადოვანი სამყაროს რუკა. რუკაზე გაფანტული პატარ-პატარა კუნძულები კი გზის მაჩვენებელი ისრებივით მიზანმიმართულად აკინძა და ყველაზე დიდ თავისუფლებას — უფალს გვაზიარა.

**ნინო ქუთათელაძე
ჩემი კუნძულები**

ჩემი კუნძულები
ჩემი ალუბლის კუნწულები
ჩემი სისხლმდენი იარები
სადაც ფეხაკრეფით ვიარები
ჩემი აბრეშუმის სამოსელი
ჩემი მოუსვლელი მოსასვლელი
ჩემი ალმასი და ჩემი ლალი
ჩემი უნათლესი სახილავი

კუნძული პირველი

ვინა თქვა, სიმდიდრე ოქრო და ვერცხლია?!
ვინა თქვა, ღამე სიცოცხლეზე მეტია?!

აქ მხოლოდ ხომალდით მოცურდები,
აქ მხოლოდ სიტყვები ლოცულობენ,
მდინარეები მღუმარედ მიდიან,
რადგან მდინარება სიცოცხლის ხიდია,
ზავია სიცოცხლესთან, ომთან, ბრძოლასთან...
აქ ბრუნდებიან როცა ილღებიან,
როცა ცხოვრება მხოლოდ იჭვება,
როცა გათენებას კრძალვით ეფერები,
როცა აღარავინ გემტერება!
აქ თავისუფლებას ხელით ეხები,
გრძნობ, როგორ გცვივა სინათლის მერცხლები...—

შავი კი არა, თეთრია ფრინველი
და ყველაფერი არის ახალი,
პირველი, პირველი...
გასაკვირველი მხოლოდ ვნებაა —
საოცრებაა!

ნელა ადინარ, მთის ჰავას ნებდები
და ზანზარებენ სხეულის კედლები,
ბოლოს ჭურჭელიც ნელ-ნელა იმსხვრევა,
ივსება ღრუბლებით, ქათქათა ღრუბლებით
და თავისუფლდები!
ჰოი, რა სიგიჟეა ეს სტრიქონები,
რა სისულელეა, როცა ყოვნდები
და სვამ მძიმეებს, წერტილებს, წერტილებს...
მერე იმ მძიმის სიმძიმეს აიტან
და დააგორებ კლდის სიმალლიდან,
ისიც სიზიფეს ლოდივით ბრუნდება!
იქნებ ეს არის თავისუფლება?!

ილაჯგანყვეტილი და მიუსაფარი
აშენებ სოფელს, ქალაქს, სამყაროს...
როცა ხელდები, როცა სველდები,
როცა წვიმები ქარში ნელდება,
როცა ილღები, მაშინ ბრწყინდება...
თავდავინყებით ხანძრებს ევლები,
მხოლოდ სიტყვები, მხოლოდ ბგერები!..

ჩარჩოს ვერ ეგუება შენი ჰარმონია,
იწყება მღუმარე ფერის აგონია,
აქ წერტილები რალა სათქმელია?!

წერტილი წერტილია —
ყველაფრის დასასრული,
წერტილი სამყაროა ჩამქრალი, დაისრული,
წერტილის მეშინია!

წერტილი დაურთეთ მხოლოდ გასართობად,
მხოლოდ სათამაშოდ, გულის მოსაოხრად,
ან ციურ მნათობად, რომელიც სხვა ფერია,
რომელიც თვითონაც ფრინველია,
გაინავარდებს და მინავლდება!

მთიდან გადმოხვდავ ბარში ათინათებს,
სულში მობარბაცე სიტყვა გაგინათებს,
ამოიშვებებს, ამომღერდება,
რადგან სიტყვები არა ბერდება,
სიტყვებს ივინყებენ მხოლოდ ყმანვილები
და აბათილებენ საკუთარ გათენებას!

ჰოი, გაუთენე დილა მადლიანი! —
რადგან გათენება შენთვის ადვილია,
რადგან ეს კუნძული შენი ადგილია —
მე მხოლოდ ჩამოვალ, როგორც მოგზაური
და შენს ხეებზე ვიმოგზაურებ,
თან მხოლოდ მარტო, მხოლოდ ეულად,
რადგან აქ მხოლოდ ერთი უნდა დასახლდეს!
უნდა გაიგო, რომ მასპინძელი
შენ კი არა ხარ, ეს კუნძულია!

მასთან ყველაფერი უძღურიან!
ის აქ ღვთაებაა,
ბატონ-პატრონია,
ან იქნებ ჩემი მიწიერი სატურნია,
რომელიც უნდა აფეთქდეს,
რომ თეთრი დაღვაროს,
თეთრი და რძისფერი,
თანაც სპეტაკი და გასაკვირველი...
ან თოვლად მოვიდეს,
თოლიები დაიმარტოვოს,
და ნაპირებზე დააყენოს
სიბრძნის მცველებად,
გზას უპატრონოს,
აქ მოსასვლელ გზას უპატრონოს,
ანდა ჩახერგოს კარაველებით...

მისი ნებაა, მისი სურვილი,
მე მორჩილი ვარ, თავდადრეკილი...
და უვალ თოვლით გადახუნძლული
ჩემი კუნძული
ბედისწერაა,
ჩემი ზვავია, ჩემი ავდარი
და ყველაფერი,
ყველაფერზე მეტი რაც არი!

კუნძული მეორე

ეს სევდიანი კუნძულია,
ქართლის ველებივით მომზირალი —
მასში სინანულს უზუფვლია,
მოედინება და მოიბღავის...
ეს სიამაყის კუნძულია,
რომ ისევ ის ხარ, რაც იყავი...
დანგრეულ ტაძრების გუფუნია,
შეუმჩნეველ ქარებს ეტანება,

რომ ცისარტყელად გაიმშვილდოს,
დაკოდელ მხრებში გაიშალოს,
შეიგრძნოს სრულყოფის ნეტარება.

ვინ შესძლებს ღამეები დაითვალოს,
რომელთაც არ მოჰყვება გათენება?!

ეს კუნძული ჩემი ტკივილია,
რომ ვერ ვიყუჩებ და ვერას ვშველი,
კუნძულზე მეტად კუზია ჩემი,
რომელსაც დავათრევ და ვეფერები,
რომელიც ბავშვობიდან ავიკიდე
და შევალამაზე სიმღერებით.

ის მარადიული წყურვილია,
თავისუფლებას დანატრული,
აქ ყველას საკუთარზე უზრუნია
და გაუწირავთ გაზაფხული...
ნეტავ ერთი კაცი მაპოვნინა,
ჩემსავით ტკივილებით დაზაფრული!

ჩემსავით მარტოსული კუნძულია
ამ გაუგებარ სამყაროში,
ტყეთა უსასრულო საგალობლით,
წყართა უსპეტაკეს ავგაროზით!
სიყალბის მორევში ჩაძირული
ყალბი, უსახური მეგობრებით,
და ისევ მოთმინებით ელოდება,
როდის გადაივლის ქარ-წვიმები?!
ათასი გული აკინძული,
ერთიერთმანეთზე დამსხვრეული,
ყველა ჩემიანი გარდასული —
ვის უნდა მათი გახსენება?!

აქ ჩემი ბავშვობა დავინახე —
ეს მე ვარ ხელში გაზაფხულით,
თუ გაზაფხულური გაცივებით...
მთებზე დასძახიან არწივები,
არე ნისლებით ალანძული
ბებერ სხეულზე მენებება...
ღმერთო, დაიფარე სამლოცველო
და ააცილე მაქციები!

ეს სევდიანი კუნძულია,
ჩემთვის სინათლე და უკუნია,
გამომტვრეული ლუსკუმაა,
ჩემი ბედივით ძნელსაცნობი...
ღმერთო, ხელაპყრობით გევედრები,
აატანინე მოთმინება,
არ დაემრიტოს სიბრძნის წყარო,
არ დაიხვიოს ლაჩრის ჯვალა,
სხივი უმატოს ხსოვნის კანდელს,
ჩამოიცილოს სიყალბის დროშა
და გაუსწოროს თვალები დრო-ჟამს!

ო, რა სევდიანი კუნძულია,
მაგრამ ჩემია, ჩემი იდილია,
სიხარულია და ყვირილია,
აფეთქებაა, ძრწოლა, ვნებაა,
ჩემი ცრემლებია, ჩემი ტირილია...
აქ მუდამ შვებაა,
თუ თავაშვებაა,
მაინც ჩემია, ჩემი კუნძულია!

კუნძული მისამ

ამ კუნძულამდე დიდი მანძილია,
 მისი მიგნება არც ისე ადვილია!
 აქ ყველა თავისით უნდა მოვიდეს,
 გზას ვერ ასწავლი
 ამქვეყნად ვერავის...
 ჩემი კუნძულია, ჩემი საესავი...
 ორი პირობაა მისი გასაღები:
 ფერისცვალება და სიმარტოვე!
 როცა სინათლისკენ დაიძვრები,
 უნდა სიხარული მიატოვო
 და გადაგეშლება აისები,
 მარადისობის ანდამატი
 ამ კუნძულისკენ გაგაქანებს...

მას არ სჭირდება იალქანი,
 მას არ სჭირდება ქარის ფრთები,
 არც უთვალავი გაისები,
 მას არ სჭირდება სამოსელი,
 ის შიშველია, როგორც წვიმა,
 ან როგორც ცრემლი...

მასზე ლაგდება ყველაფერი:
 ველები დარდით დაზარალებული,
 ფერი და ოცნება გაყინული,
 მამული ვერცხლზე გაყიდული,
 სინდისი ოქროზე გადაცვლილი,
 სინანული და ლალადისი,
 ფიცის გატეხვა და უგულობა,
 რასაც გვერდი უნდა აუარო,
 რასაც გული ვერ ეგუება...

მაგრამ გახედავ სინათლეზე
 და გაგახსენდება პატიება,
 გაგახსენდება მეგობრობა,
 გაგახსენდება სასოება,
 გაგახსენდება სიყვარული
 დაუკარგავი თუ დაკარგული...
 შენა ხარ მაშინ დარდის დარი,
 სინათლე — შენი საფიცარი,
 რომელმაც დაგიბრუნა თვალის ჩინი
 და დანანებით გაიცინებ,
 რომ წარსულია, რაც კი არის,
 ქარი ჩადგა თუ ჩაიარა,
 დელგამამ და წვიმამ გადაილო...
 ო, რა უეცრად გაიდარა!

ეს კუნძულია სასწაული,
 ფიქრს წაებმება გაზაფხული,
 დაბლა ხეობები იყვავილებს,
 მაღლა — ჩაუქრობი სიყმანვილე...
 ეს კუნძულია აქაური —
 ეს კუნძულია სასწაული.

სწორედ ამ კუნძულზე გული არ ბერდება
 და ხელში გრჩება მშვენიერება,
 რადგან სინამდვილე ასე მწარეა,
 სასჯელიც მისი ალიკვალია...
 თუმცა ყველაფერი წარმავალია,
 ვინც მას მიაგნო, აღარ არიან!
 ან ცოტა შემორჩა...

ცოტა ცოტაა
 და ბევრზე ბევრი უმცარია,
 ირგვლივ წყალია,
 ირგვლივ წყალია...

მერე რა არის გასაკვირველი?!
 ის კუნძულია და წყალი ეფერება,
 ულოკავს ქვიშრობებს უნაზეს სიმღერით —
 ის არის პირველი,
 ერთადერთია
 და სულს აზვიმებს ერთადერთობით...
 თქვენ მხოლოდ ერთობით
 ამ ჩვენი ერთობით,
 დამცინით, როგორც სხვას დასცინოდით;
 თქვენი ფიქრები და მზერა მარტივი
 მხოლოდ ცხოვრებას თუ გაგიადვილებთ...

ის კუნძული კი ისევ შორია,
 ვერ დაისვენებთ მის კლდიან ნაპირზე,
 ვერ გაშლით ქოლგებს,
 ვერ იპატივებთ! —
 ვერ მოიჩრდილავთ ლამის სინაზეს
 მეზობლისა თუ სხვების ჯინაზე!

ვერასდროს გაიგებთ, ეს რა კუნძულია,
 თუ არ ვიყვირე ჯიქურ, პირდაპირ...
 ის არც ლეგენდაა და არც იგავი,
 გახლავთ უკვდავი...
 მისი გაქრობა არ შეიძლება,
 უწყვეტი ფიქრია და მოთმინება,
 და თუკი ბედმა ასე ინება,
 აქ დაივანებს შენი წარსული,
 გადანისლული შენი სიზმრები —
 მისი სახელია ჭეშმარიტება —
 მასზე მშვენიერი სხვა რა იქნება!

სხვა და სხვა

კიდევ...
 სხვაც ბევრი კუნძული მაქვს,
 ისე მდიდარი ვარ, რომ მეტირება,
 ჩემი არსებობის გამართლება
 ამ კუნძულებზე ილანდება,
 აზრებს აზრი მოსდევს,
 აზრთა წყება
 მხოლოდ სიტყვებად თუ დაიღვრება...

ამ კუნძულებზე არაფერს გეტყვით,
 მათშია ერთია კონტინენტი,
 ან თუნდაც მისი მსგავსი მიწა,
 რომელიც ყველას და ყველაფერს იცავს,
 სიყრმის ოცნებებს რომ დაიფარავს,
 ნატყვიარ გულებს რომ შეიფარებს...
 აქ ყველას შეუძლია დავანება,
 მისი გზა ყველასთვის ნაცნობია —
 ის გადახსნილი აორტაა
 და სისხლის მდინარედ ედინება,
 მხოლოდ ამ სისხლით ზიარება
 არის ნეტარება...
 რადგან ის თვითონ უფალია
 და ვინც მას გულით მიენდობა,
 თავისუფალია,
 თავისუფალია!

ჩემი კუნძულები
 ჩემი ალუბლის კუნძულები
 ჩემი სისხლმდინარე იარები
 სადაც ფეხაკრეფით ვიარები
 ჩემი აბრეშუმის სამოსელი
 ჩემი მოუსვლელი მოსასვლელი
 ჩემი ალმასი და ჩემი ლალი
 ჩემი უნათლესი სახილავი

თემურ გაბუნია

რომანი-მისტერია

დიდი ამერიკელი მწერლის უილიამ ფოლკნერის შემოქმედებას ყველაზე ხშირად ფროიდ-იუნგისეული თვალთახედვით განიხილავენ, მის რომანებს აანალიზებენ ისტორიულ ჭრილობაც, მათში პოპულარულ ბიბლიურ და მითოლოგიურ ალუზიებსაც. ასევე საუბრობენ გარკვეულ მსგავსებაზე ფოლკნერისა და შექსპირის მხატვრულ აზროვნებას შორის. მწერლის ქალი პერსონაჟების შესახებ საკუთარ აზრს გამოთქვამენ ფემინისტებიც, თუმცა ფოლკნერის შემოქმედება ნაკლებად განხილული მისტიკური თვალთახედვით, არადა მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებში „სული რომ ამომდიოდა“ სწორედ მისტერიების განუყრელი ატრიბუტები — ცამეტი ადამიანი და კუბო — ფიგურირებს...

ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ამ კუთხით განგვეხილა ეს რომანი-მისტერია, ასევე ორივე სიტყვა გვეთქვა ქალბატონ მედეა ზაალიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანზეც, რომელიც ქართულ მკითხველს ფოლკნერის ამ შედევრის უკეთ გაცნობაში ეხმარება...

ცამეტის სიმბოლიკა

საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციების ფონზე საკმაოდ პოპულარული გახდა საიდუმლო საძმოები. მათი უკვე ინტერესდობდნენ არა მხოლოდ ანტროსოფოსები და თეოსოფ-ოკულტისტები, არამედ მწერლებიც. ამ თვალსაზრისით არც ფოლკნერია გამონაკლისი. ნაწარმოებში, „სული რომ ამომდიოდა“, საიდუმლო სერობასთან მიმსგავსებული ეპიზოდები აქვს დახატული, რომელშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცამეტი ადამიანი და კუბო ფიგურირებს... ცამეტსა და კუბოს ტოლსტოის „ომი და მშვიდობაშიც“ ვხვდებით. საიდუმლო საძმოში პიერ ბეზუხოვს თორმეტი წვერი იღებს. მას თვალებს უხვევენ და კუბოში აწვენენ...

მისტერიებისა და საიდუმლო საძმოების თემას პირდაპირ თუ ირიბად ეხებოდნენ სხვა გამორჩენილი მწერლებიც: კნუტ ჰამსუნი, ალექსანდრე დიუმა, ჯეიმზ ჯოისი... ჰამსუნის „მისტერიების“ გმირი ნაგელი შუალამისას ტყეში რვაკუთხოვან კოშკში მცხოვრებ ბრმა მუსიკოსს ხვდება, ეს ისტორია სხვა არაფერია, თუ არა იგავი წარმართულ მისტერიათა „ინიციაციის“ შესახებ... შუალამის მზის სიმბოლიკა ამ შემთხვევაში უბრალოდ შვიდი ბრმა ანგელოზითაა ჩანაცვლებული... „ულისეში“ პაროდული ფორმითაა წარმოდგენილი ე.წ. „შავი მესა“, რომელსაც რომანის პერსონაჟები ვითომდაც ხუმრობით აღასრულებენ, არადა სხვადასხვა ეპიზოდებში გაბნეული ამ მესის ნაწილები რომ შეაერთო, ერთი ლოგიკურად გამართული და დასრულებული „შავი ნივთი“ გამოვა. საიდუმლო ორგანიზაციის წევრია „ულისეს“ მთავარი პერსონაჟი ლეოპოლდ ბლუმი, ისევე, როგორც დიუმას არამისი. ყოფილი მუშაკეტერი ჯერ სასულიერო პირი ხდება, მერე კი უკვე იეზუიტთა ორდენის გენერალი. ეს ახალი სტატუსი განუსაზღვრელ ძალაუფლებას ანიჭებს, მას ემორჩილებიან არა მხოლოდ ორდენში განწევრიანებული ლეთისმსახურები, არამედ მეკობრეთა გემის კაპიტნები და თვით ზასტილის ციხის უფროსიც კი...

ამრიგად, რომ შევჯავამთ ზემოთჩამოთვლილ მწერალთა რომანებში მოთხრობილი ამბები ამ ტაბუდადებულ თემასთან დაკავშირებით, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნება, თითქოს დამტვრეული შუშის ნაჭრები ერთმანეთს მივადეთო. მართლაც, ტოლსტოი მოგვითხრობდა საძმოში ახალი წვერის მიღების რიტუალის, ჯოისი — „შავი მესის“, ჰამსუნი — იგავებისა და ინიციაციის, დიუმა კი — ორდენის მეთაურის საქმიანობის შესახებ.

რა საიხლე შეაქვს ფოლკნერს?

რომანში „სული რომ ამომდიოდა“ არა მხოლოდ ცამეტის სიმბოლიკა ფიგურირებს, არამედ გარკვეული მინიმუმაცაა გაკეთებული საიდუმლო საძმოების ფუძე-ლეგენდაზე. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ალუზიების მთელი ჯაჭვი...

თუმცა, ვიდრე ამ თემას განვიხილავდეთ, სასურველი იქნება გავარკვიოთ, როგორი იყო თვით მწერლის დამოკიდებულება რელიგიისადმი. ფოლკნერი დოსტოევსკივით ღრმად მორწმუნე არ ყოფილა, მაგრამ მას ნამდა, რომ ადამიანი რელიგიის გარეშე ვერ გამოიმუშავებდა იმ ინდივიდუალურ ქცევის წესებს, „რომლითაც იგი უფრო უკეთესი ხდება, ვიდრე მაშინ იქნებოდა, მხოლოდ საკუთარ ნებას რომ მიჰყოლოდა“. ფოლკნერის აზრით, ნებისმიერი რელიგია ახსენებდა ადამიანს „თავის ვალდებულებას კაცობრიობის წინაშე“ (საუბარი ჯინ სტაინთან). მწერალმა მშვენივრად იცოდა, რა იყო ქრისტიანული და რა — ანტიქრისტიანული, რომანებში „ხმაური და მძვინვარება“, „სული რომ ამომდიოდა“ და სხვა... ცოდვით დაცემულ ადამიანთა გვერდით ხატავდა ღვთისმშობი და მორწმუნე პერსონაჟებსაც — კორა ტალსა და დიხოს, რომლებიც ისე განსხვავდებოდნენ კედი კომპსონისა და ედი ბანდრენისგან, როგორც ცა — მიწისაგან. მეტიც, ფოლკნერმა „ხმაური და მძვინვარების“ პერსონაჟი საკუთარ თავსაც კი შეადარა: „დიზლი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი გმირია, რადგან იგი მამაცია, გამბედავი, ძლიერი, ნაზი და პატიოსანი. ის ჩემზე უფრო მამაცია, ძლიერი და პატიოსანი“ (იქვე).

რით დაიმსახურა დიზლი მწერლის ესოდენი სიყვარული? როგორც ჩანს, ყველა ზემოთჩამოთვლილი თვისებების გარდა ერთგულდობა და ღვთისმოსაობითაც. ის კომპსონების ერთგული რჩება, მზადაა აიტანოს მათი წუნური, მენიშვნები... სწორედ მას მიჰყავს რომანის დასკვნით მეოთხე ნაწილში ბენჯი ეკლესიაში, ტირის ამ ოჯახის თავზე დატრიალებული უბედურების გამო. სხვა პერსონაჟთა ფონზე ფერადკანიანი მსახური ქალი მართლაც შუქურასავითაა, სიკეთესა და სათნოებას რომ ასხივებს. აი, ამგვარია ფოლკნერის დამოკიდებულება საკუთარი მორწმუნე ლიტერატურული გმირისადმი, თუმცა მწერალს არ უყვარდა რელიგიური თემის განვრცობა, ის უბრალოდ ხატავდა ადამიანებს, შემოჰქონდა სიმბოლოები, ბიბლიური და მითოლოგიური ალუზიებით გარკვეულ ფონს უქმნიდა საკუთარ ნაწარმოებებს, მათ ანალიზს კი მთლიანად მკითხველს ანდობდა. „ვგონებ, არცერთ მწერალს დრო არ აქვს... ქადაგების. თუ ქადაგებას ცდილობს, მწერალი კი არ ყოფილა, არამედ მქადაგებელი“, ბრძანა მან 1962 წლის აპრილს უესტ პოინტში საუბრისას. საკუთარი შეხედულებებისთვის მწერალს არასდროს უღალატია...

ლიტერატორები უილიამ ფოლკნერის საუკეთესო ნაწარმოებებად ძირითადად ოთხ რომანს ასახელებენ: „ხმაური და მძვინვარება“, „ახესალომ, ახესალომ!“ „აგვისტოს ნათელი“ და „სული რომ ამომდიოდა“. სწორედ ისინი ხვდებოდნენ სხვადასხვა გამოკითხვებისა და კვლევათა ნუსხეებში XX საუკუნისა თუ ყველა დროის 100 საუკეთესო წიგნს შორის. ამ ოთხეულიდან ყველაზე იდუმალდობით მოცულად სწორედ 1930 წელს შექმნილი რომანი „სული რომ ამომდიოდა“ უნდა მივიჩნიოთ. მასში არის რალაც ამოუცნობი, რითაც კნუტ ჰამსუნის რომან-გამოცანას „მისტერიებს“ შეიძლება შევადაროთ.

ფორიად იდუმალი ამბები მოხდა წარსულ ზაფხულს ნორვეგიის პატარა ზღვისპირა ქალაქში“, ასე იწყება „მისტერიები“ და მალე ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ სიტყვა იდუმალი მწერალს შემთხვევით არ უხსენებია. რომანის მთავარი გმირი ნილსენ ნაგელი თავდაპირველად ყურადღების ცენტრშია, ის ექომაგება ნახშირის გადამზიდავ მაიცას, რომელსაც რწმუნებული აპამპულებს. ნაგელი ღირსეულია, მაიცა კი — უმწეო. თუმცა ბოლოს ყველაფერი ტრიალდება. ნაგელი, რომელსაც გემიდან თვითმკვლელობის მიზნით გადამხტარი კაცის გადარჩენისთვის მედალი აქვს მიღებული, თვითონვე იხრჩობს თავს. „უმწეო“ მაიცა კი ძალით ეუფლება ქალს, ვისი ცოლად მოყვანაც ნაგელ-

მა ვერ შეძლო. მწერალს თითქოს ჩაფიქრებულ აქვს პირველი უკანასკნელად აქციოს, უკანასკნელი კი — პირველად. რომანის კითხვისას მკითხველს უამრავი რამ აოცებს: ვიოლინოს ფუტლიარი, რომელშიც ვიოლინო არ დევს; ნაგელის ნიჭი, გამოიცნოს თუ რა დაწესებულება იყო ქალაქის ერთ-ერთ შენობაში დიდი ხნის წინათ ან რა ერქვა მაიცას ბავშვობაში და სხვა...

მსგავსი უცნაურობებითაა სავსე ფოლკნერის რომანიც „სული რომ ამომდიოდა“. 1957 წლის 15 აპრილს ვირჯინიის კოლეჯში მწერლისთვის შემთხვევით არ დაუსვამთ ასეთი შეკითხვა:

„მ-რ ფოლკნერ, თქვენი წიგნებიდან ყველაზე მეტად მაფორიაქებს — კი არ მაფორიაქებს, მაცვიფრებს — „ოდეს ვკვდებოდი“. ვიღაცამ მითხრა... მგონი რომანში ცამეტი პერსონაჟია — ეს პერსონაჟები ადამიანის ცამეტ ნაწილს გამოხატავსო, მართლა ასეა?“ ამკარა უზუსტობა იყო სტუდენტის მიერ დასმული შეკითხვის მეორე ნაწილში, რადგან რომანში თხუთმეტი მთხრობელია, პერსონაჟი კი გაცილებით მეტი. მაშ რატომ არ აუხსნა მწერალმა ახალგაზრდას, რომ მის ნაწარმოებში ბევრი მოქმედი პირი იყო? „ფოლკნერს სიტყვა შეაწყვეტინეს ან უბრალოდ შეკითხვის დასმელს არ შეუსწორა...“ — ვარაუდობს მთარგმნელი ქალბატონი მედეა ზაალიშვილი. შესაძლოა ასეც იყოს, თუმცა ნუ გამოვირცხავთ სხვა ვერსიებსაც. იქნებ მწერალმა შეგნებულად ღიად დატოვა საკითხი, რათა თავისი რომანი-მისტერია ბოლომდე ამოუცნობი დაჩრჩხილიყო. დავუკვირდეთ მის პასუხს:

ფოლკნერი: „არა, ისინი იყვნენ... მე კვლავ ხალხზე ვწერდი. თავს ვუყრი ხალხს და... ეს უბრალო თოურ დე ფორცე-ია... დავხატე ოჯახი და ორი დიდი კატასტროფა დავატეხე თავს, რაც ადამიანს გადახდენია, წყალდიდობა და ცეცხლი. აი, სულ ესაა...“

როგორც ვხედავთ, ფოლკნერი არ ამთავრებს თავის პერსონაჟთა შესახებ გამოთქმულ ფრაზას, „არა, ისინი იყვნენ...“ ამბობს და მერე სხვა თემაზე გადადის. ვინ იყვნენ ისინი ან რამდენი იყვნენ, გაუგებარი რჩება. თავის მხრივ, არც სტუდენტს ჰქონდა თავისი შეკითხვა რიგიანად ჩამოყალიბებული და გააზრებული. სინამდვილეში მას პერსონაჟები კი არ უნდა დაეთვალი, არამედ საიდუმლო სერობასთან მიმსგავსებულ ეპიზოდში თევზის ჭამაში მონაწილე ადამიანთა რაოდენობა. ფოლკნერი საგანგებოდ არც უსვამს ხაზს, რომ თევზს სწორედ თორმეტი ადამიანი მიირთმევს, მაგრამ თუ ტექსტს კარგად ჩაუვკვირდებით, მივხვდებით, რომ ეს ასეა. უზარმაზარი თევზი, რომელიც თითქმის 7-10 წლის ვარდამანის ხელა იყო, დიუი დელმა დაჭრა და ტაფაზე დადო, მაგრამ არ შეუნვაგს. ის ვახშამზე არ უჭამიათ, რადგან როცა ექიმმა პიბოდომ იკითხა „დაიკო, ბიჭმა რომ დიდი თევზი დაიჭირა, სად არის?“ გოგონამ უპასუხა: დრო არ მქონდა, რომ მომემზადებინაო. „დრო უნდა მოგეძებნა“, საყვედურობს მამა და ნანობს, ედი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემთვის თევზს არ დაინანებდაო. ვახშამად ხელმოკლე ოჯახი სტუმრებს მხოლოდ მწვანელით, თალგამით, პურითა და დოთი გაუმასპინძლდა. ედი კუბოში ოთხმა ადამიანმა ჩაასვენა: ენსიმ, კეშმა, ვერნონ ტალმა და ექიმმა პიბოდომ. მრავალჯერაა საგანგებოდ ხაზგასმული, რომ ამ დროს ჯუელი და დარლი შინ არ იმყოფებოდნენ. თევზი მოგვიანებით შეწვა ვერნონ ტალის მეუღლემ — კორამ და ის მხოლოდ დილის ათი საათისთვის მიირთვეს, როცა ექიმმა პიბოდომ თქვა: „ცოტა წავიხემსოთ. თითქმის გათენდა კიდევ...“ ამის შემდეგ ჭირისუფლები და მისასამძიმრებლად მისული ადამიანები, რომელთაგან ზოგიერთს თვალი არ მოუხუჭავს და თავსხმა წვიმაში ღამით კუმს კუბოს დასრულებაში ეხმარებოდა, სასაუზმოდ მიდიან და, რალა თქმა უნდა, თევზს მიირთმევენ, რადგან სახლში სხვა საჭმელი (მწვანე ხაჭაპური) არც აქვთ. რამდენი ადამიანი ესწრება ამ ე.წ. „საიდუმლო სერობას“? თორმეტი. ვერნონ ტალი, მისი მეუღლე კორა, პიბოდი, კუიკი, არმს-



ტიდი, უიტფილდი, ჰაუსტონი, ლითლ-ჯონი, ბი-დია ბილი, ენსი, კეში და დიუი დელი. ამ დროისთვის ვარდამანი იქ არ არის, რადგან, პიბოდის თქმით, იგი სამზარეულოში შევარდა ღრიალით და „ეცა კორას, როცა დაინახა რომ ის თევზს წვავდა“. დიუი დელმა ვარდამანი ფარდულში გაიყვანა. შემდგომ უკან გაბრუნებული ცოლქმარი ტალეტი ვარდამანს ერთი მილის მოშორებით ჭაობის ნაპირას ნახულბენ. მიუხედავად იმისა, რომ იქ თევზი არავის არასდროს ენახა, ბიჭი დაჟინებით იმეორებდა, ერთი თევზი იქაც არისო. სახლში არც დარლი და ჯუელი იყვნენ, რადგან მათი ფორანი არხში ჩარჩა. სწორედ ამიტომ გამოვიდა მოსაუზმე ადამიანთა რაოდენობა თორმეტი. და აი, მაგიური წრეც შეიკრა.

მაგრამ ვინ არის მეცამეტე?

„დედაჩემი თევზია“ — ამ ერთადერთი წინადადებისგან შედგება რომანის ერთ-ერთი თავი, რომელიც „საიდუმლო სერობასთან“ მიმსგავსებულ ეპიზოდს წინ უსწრებს. ამრიგად, ეჭვს არც უნდა იწვევდეს, რომ მეცამეტე ედი ბანდრენია, კუბოში უკუღმა მწოლი, რომელიც პატარა ვარდამანის ცნობიერებაში ქრისტეს სიმბოლოსთან, თევზთან, ასოცირდება...

„ეჰ, რა აღარ ხდება კაცის სულში! დავუშვათ ერთხელ, სალამოს, საზოგადოებაში ხვდებით და იქ თორმეტიოდე კაცს მოუყრია თავი, მეცამეტე კი — ეს შეიძლება ვინმე ტელეგრაფისტი ქალი იყოს, თუნდაც კანტორის მოხელე ან კაპიტანი, მოკლედ, ყოვლად ჩვეულებრივი, უმნიშვნელო პიროვნება — ჰოდა, აი, ის მეცამეტე ზის თავისთვის კუთხეში, საუბარში არ ერევა და საერთოდ არაფრით იქცევის ყურადღებას, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო პირადად, არამედ, როგორც ფაქტორსაც, რომელიც ზეგავლენას ახდენს თავმოყრილ საზოგადოებაზე...“ (კნუტ ჰამსუნი — „მისტერიები“)

კნუტ ჰამსუნისა არ იყოს, ფოლკნერის რომანში მისტერიის მეცამეტე წევრად ქცეული ედიც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა. სწორედ მისკენაა მიჰყვებილი ყველა ყურადღება, მაგრამ რატომ იმეორებს ფოლკნერი სამჯერ, კუბოში უკუღმა ჩაანვინესო? ან რატომაა ვარდამანის დაჭერილი თევზი თვალამოგდებული, ედი ბანდრენი კი — თვალგდებარე? რად ჩახატა მწერალმა კუბოს სურათი, რომელსაც კედლის საათის ფორმა აქვს, განა სიტყვის ისეთ დიდოსტატს, როგორც ფოლკნერია, კუბოს აღწერა გაუჭირდებოდა? ხომ არ გვაქვს საქმე რალაც უცნაურ მისტერიასთან? მაშ რატომ ჰგონია პატარა ვარდამანს, რომ დედამისი მკვდრეთით აღდგება?

დაიხ, როდესაც ოჯახის წევრები და სტუმრები თევზს ჭამენ, სულ თორმეტი ადამიანი, „უწებურად გვასვენდება საიდუმლო სერობა, როდესაც იესო ნაკურთხ პურს უნაწილებს მოციქულებს და ეუბნება: „მიიღეთ, ჭამეთ. ეს არის ჩემი ხორცი“. ვარდამანი ამბობს, „ხვალ შეწავვენ და ის გადაიქცევა ვარდამანად, მამად, კეშად და დიუი დელად, მაშინ კუბოში აღარაფერი იქნება და ის სუნთქვას შეძლებს“ (მედეა ზაალიშვილი, ბოლოსიტყვაობა).

ამრიგად, პატარა ვარდამანს ჰგონია, რომ დედამისი სუნთქვას დაინყებს და კუბოში აღარავინ იქნება. ანუ მას სჯერა, რომ ედი მკვდრეთით აღდგება. მაგრამ, ვინ არის კუბოში უკუღმა ჩანვინილი ედი ბანდრენი და რისი სიმბოლოა ის? მისადმი მიძღვნილი თავი „ედი“ ასე იწყება: „ნაშუადღევს, როცა გაკვეთილები დამთავრდა და ბოლო ცხვირმოუხოცავი ბიჭიც წავიდა, იმის მაგივრად, რომ შინ წავსულიყავი, წყაროზე ჩავედი, სადაც შემეძლო მშვიდად ვყოფილიყავი და ყველა მძულებოდა“. ამრიგად, ედის არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ სიყვარულსა და სათნოებასთან. პირიქით, უსიყვარულობით ისე იყო გაბოროტებული, რომ ამქვეყნად მოვლინებისთვის ღამის საკუთარი მამაც კი მოეძულებინა. პედაგოგად მუშაობისას ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა, ვინმეს რამე დაეშავებინა, რომ ერთი კარგად გაეწკეპლა.

მოსწავლეების დასჯა სიამოვნებასაც კი ანიჭებდა და ნიშნისმოგებით ფიქრობდა „არა, ახლა ხომ გახსოვართ? არც ახლა ვარ თქვენი ეგოისტური ცხოვრების საიდუმლოთა მოზიარე?! ჩემი სისხლი თქვენ სისხლს ახლა მაინც ხომ შევურიე-მეთქი!“

თითქოს ამ მონოლოგით ფოლკნერი მიგვანიშნებს, რომ ზიარება არა მხოლოდ ხორციით, არამედ სისხლითაც ხდება. ეს ინგლისურ ტექსტში უფრო კარგად ჩანს — „who have marked your blood with my own for ever and ever“. ედის რატომღაც ჰგონია, რომ თავისი სისხლი მოსწავლეებისაში სამარადყოფამოდ (for ever and ever) შეურია. სინამდვილეში მარადიული ფეხტი მხოლოდ ქრისტეს სისხლსა და ხორციან ზიარებას აქვს. საგულისხმოა, რომ ქართულ თარგმანში ეს ეპიზოდი გაგებულია ისე, თითქოს ედი არა მოსწავლეებს, არამედ საკუთარ შვილებს წკებლავდეს, რა თქმა უნდა, ფოლკნერის თხრობის არაქრონოლოგიურობიდან გამომდინარე, ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება, მითუმეტეს, რომ ცოტა მოგვიანებით ნათელი ხდება, რომ ედი არც შვილებს ზოგავს, მათაც ცხვირმოუხოცავებს უნოდებს და წკებლავს. ზოგადად ფოლკნერს საყვედურობდნენ ხოლმე, რომ ის გრამატიკული ნორმების დაცვის თვალსაზრისით პირველკურსელის დონესაც კი არ აკმაყოფილებდა. ამ ეპიზოდში მას გამოყენებული აქვს ნაცვალსახელი **them**, მაგრამ მის წინ არ დგას არსებითი სახელი, ამიტომ ცოტა გაუგებარია, ვის გულისხმობს მწერალი — სკოლის მოსწავლეებს თუ საკუთარ შვილებს. რადგანაც მთარგმნელმა, ქალბატონმა მედეა ზაალაშვილმა, მიიჩნია, რომ ედი საკუთარ შვილებს წკებლავდა, მან ნაცვალსახელი **them** თარგმნა „გოგო და ბიჭებად“. ედის ხომ ერთი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი ჰყავდა. შემდეგ ქართულ ტექსტში ჩნდება სიტყვა „თითქოს“: „თითქოს სხვადასხვა სისხლისანი ყოფილიყვნენ და მეც სხვა სისხლისა ვყოფილიყავი.“ ორიგინალში არსადაა სიტყვა „თითქოს“ (**as if**), მათ, ვისაც ედი სცემს, არც ედისთან და არც ერთმანეთთან არანაირი სისხლით ნათესაობა არ აკავშირებთ: „and blood strange to each other and strange to mine“. ამრიგად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პირველ შემთხვევაში ედი საკუთარ შვილებს კი არ წკებლავს, არამედ სკოლის მოსწავლეებს... (იხ. — **Teaching Faulkner — published by the center for Faulkner's studies Southeast Missouri State University — Cash Bunden's Tool Box in Faulkner's As I Lay Dying — by Barbara Ann Cass**).

აი, რა ძნელად გასაგები და უცნაურია ე.წ. სისხლის შერევასთან ანუ „ილუზორულ ზიარებასთან“ დაკავშირებული ეპიზოდი. უჩვეულოა თვით რომანიც, რომელიც ვირჯინიის კოლეჯის სტუდენტისა არ იყოს, „გვაფორიაქებს, კი არ გვაფორიაქებს, გვაკვიფრებს“. დიახ, უპირველეს ყოვლისა, წიგნი გვაკვიფრებს რელიგიური თემების შეტრიალებით. რომანის მთავარი პერსონაჟი ედი, კუბოში უკუღმა რომ ჩაუნფენიათ, არსებობის მცდელობაზე წევრია, ოღონდ არა ქრისტიანულის, არამედ ანტიქრისტიანულის. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს სიტყვა „უკუღმა“. ის სიძულვილის სიმბოლოა და არა სიყვარულის.

„პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმრთი იყო სიტყვა იგი“, ასე იწყება იოანეს სახარება, ედისთვის კი სიტყვა ანუ ლოგოსი არარაობაა. „მივხვდი, რომ სიტყვას ფასი არა ჰქონია. სიტყვებს არავითარი კავშირი არა აქვთ იმასთან, რასაც ისინი გამოხატავენ“. მას არც დედობაზე აქვს მალალი აზრი, პირიქით, მიაჩნია, რომ სწორედ შვილებმა შეუზღუდეს პირადი თავისუფლება. ედისთვის უცხოა სინაულის, რადგან მისთვის ცოდვაც (ცარიელი სიტყვაა).

სრულიად საპირისპირო თვისებების მატარებელია ამავე რომანის პერსონაჟი კორა ტალი. „თუ ქვეყნად საერთოდ არსებობს ვინმე — კაცი იქნება თუ ქალი, რომელსაც უფალი ისე მოაქცევს, რომ მერე საითაც უნდა გაუშვას, ვეღარავინ აცდუნებს, — ეს კორაა“. სწორედ კორა ტალი ამხელს ედი ბანდრენს ურწმუნობაში. ედი მუდამ არასწორად იაზრებდა ქრისტიანულ შეგონებებს, „ცხოვრების აზრი სიკვდილისთვის მზადებაა“ — მან უკუღმა გაიგო და, რაც მთავარია, ასევე უკუღმავე აღასრუ-

ლა. ედი და კორა რალაცით იოანეს გამოცხადებაში აღწერილ ქალებსაც კი ჰგვანან, ედი — დიდ მეძავს, კორა კი იმ დედაკაცს, ბიბლიური ვეშაპი რომ ებრძვის და ვერაფერს აკლებს. ედი ბანდრენი აპოკალიფსური დიდი მეძავის მსგავსად უნდა მოიძულონ, „და ხორცი მისნი შეჭამონ და... დაწუნან ცეცხლითა“. უკანასკნელ ჟამს ქვეყნიერების მაცდუნებელ ბაბილონს უზარმაზარი ლოდით წყალში ჩაგდება ელოდება, მის მაცდუნებელ სულს, დიდ მეძავს კი — ცეცხლში დაწვა. მდინარის გადალახვისას ედის გვამი მართლაც რომ ლოდით ვარდნა წყალში, ხოლო იმ თავლას, სადაც ის ასვენია, დარლი ცეცხლს უკიდებს. ედისაც მოიძულებენ. მას თითქოს საკუთარი შვილებიც კი დასცინიან. კეში ჯერ კიდევ სულთმობრძავს უმზადებს კუბოს, თანაც ზუსტად იმ ფანჯრის წინ, სადაც ედი წევს. დარლი, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარს დედა, სამგლოვიარო პროცესიის დროს იცინის, ჯუელი სამდოლარიან საქმეზე წასვლას ამჯობინებს მომაკვდავ დედასთან ყოფნას. დიუი დელი ზუსტად ედის დაკრძალვის დღეს მრუშობს, ენის კი კბილების პროთეზს იკეთებს და ახალი ცოლი მოჰყავს. დაბოლოს, პატარა ვარდამანი გარდაცვლილ დედას შემთხვევით ბურლით თვალს თხრის.

რა არის ეს? შავი იუმორი, როგორც ლიტერატორებს მიაჩნიათ, თუ რალაც სხვა, აქამდე უცნობი მხატვრული ხერხი. ალბათ, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუკი ვიტყვით, რომ ეს მისტიკაა. „ედი ბანდრენს“ ჭამენ საიდუმლო სერობასთან მიმსგავსებულ ეპიზოდში. მისი გვამი ჯერ წყალში ვარდება, შემდეგ კი იწვის. მას მოიძულებენ ოჯახის წევრებიც და უცხოებიც, რადგან ჯეფერსონში ჩასვლისას იგი უკვე ყარს. ედი მაცთუნებელი სულია, რადგან მან აცთუნა ადგილობრივი მოძღვარი — უიტფილდი. აი, ის ნიშნები, რითაც ედი აპოკალიფსის დიდი მეძავის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ. ედი იყო გაბოროტებული ადამიანი, რომლის ცხოვრების არსაც შურისძიება წარმოადგენდა. თითქოს სიკვდილის წინაც ამ გრძნობით იყო დამუხტული. „პირობა მომეცი, როცა მოკვდები, ჯეფერსონში წამასვენე“, სთხოვს იგი ენის. ედიმ კარგად იცის, ხელმოკლე ოჯახისთვის რა რთულიც იქნება ამის გაკეთება, მაგრამ მაინც დაუფინია, თხოვნა შეუსრულონ.

ესაა შურისძიება, თუმცა ისეთი, რომლის არსაც ენის ვერასდროს ჩასწვდება. და აი, მალე გარდაცვლილის ჯეფერსონში გადასვენება დიდ გამოცდად იქცევა ბანდრენების ოჯახისთვის. მდინარის გადალახვისას კეში (უფროსი ვაჟი) ფეხს მოიტეხს, დარლი, რომელსაც აღარ შეეძლო ფეხმოტეხილი ძმის ტანჯვისა და მიხრწნილი გვამის სუნის ატანა, თავლას ცეცხლს უკიდებს, რის შემდეგაც მას ჯეკსონის საციფეთში ამწესებენ. ჯეფერსონში ჩასვლები კი ყველა შემხვედრში ზიზღს იწვევენ. მიცვლებულის სუნის გამო მათ ახლოს არავინ უჩერდება. „ნუთუ ამისთვის ემზადებოდა ედი? ეს იყო მისი ცხოვრების აზრი? მაგრამ იქნებ „ისინი ყველანა...“ — როგორც ფოლკნერი იტყობა და აღარ დაასრულებდა, ედი-ევა ბანდრენის მიერ ჩადენილი პირველცოდვის გამო ისჯებოდნენ?

ბანდრენების ოჯახი

ბანდრენების ოჯახში შვიდი წევრია — ედი, ენისი, კეში, დარლი, ჯუელი, დიუი დელი და ვარდამანი. როგორც ჩანს, მწერალს ეს ოჯახი, გარკვეული თვალსაზრისით, მოაზრებული ჰყავდა როგორც კაცობრიობის მინი-მოდელი, რომელსაც, ბიბლიური წარღვნისა და ნანინასწარმეტყველები ცეცხლის სტიქიასთან დაპირისპირების გარდა, უნდა გადაეტანა კაცობრიობის მიერ განცდილი სხვა განსაცდელიც. ფოლკნერს ზოგადად ახასიათებდა პარალელთა გავლება საკუთარი რომანების პერსონაჟებსა და ბიბლიურ ან მითოლოგიურ გმირებს შორის. ეს პარალელები, მართალია, ძირითადად ძალიან სიმბოლური იყო, მაგრამ ისინი მაინც არსებობდნენ. მაგალითად, რომანში „აბესალომ, აბესალომ!“ ჩვენ ვხედავთ გარკვეულ მსგავსებას ბიბლი-

ური დავითისა და თომას სატკენის შვილებს შორის. ჰენრი, თომასის ვაჟი, რაღაცით ბიბლიურ აბესალომს ჰგავს, რომელიც თავის ნახევარძმას, ბონის კლავს, საკუთარი დის, ჯუდიტის, დასახსნელად სისხლის აღრევის ცოდვისგან. რომანის „სოფელი“ პერსონაჟ იულის მკვლევარები მითიურ სემიოტიკას ადარებენ, ხოლო ქრისტემასი („აგვისტოს ნათელი“), 33 წლისა რომ იწყებს თავის ე.წ. „მოღვაწეობას“, შეიძლება პატარა ანტიქრისტიცად კი შევრაცხოთ... დიხს, ფოლკნერს ჩვეოდა ბიბლიურ და მითოლოგიურ პარალელთა გავლენა. გვაქვს თუ არა მსგავს მოვლენასთან საქმე რომანში „სული რომ ამომდიოდა“?

როგორც ნაწარმოების ერთ-ერთი თავის, „ედის“, კითხვისას აღმოვაჩინეთ, ჯუდიტი, ბანდრენტა მესამე ვაჟი, ცოდვით დაცემის ნაყოფია. დარლი, რომელიც ბევრი დაფარული მოვლენის არსს წვდება, ხშირად ეკითხება თავის უფროს ძმას „ვინ არის მამაშენი, ჯუდიტ?“ როგორც ირკვევა, ამ ცოდვის შვილის მამა ადგილობრივი მოძღვარი უიტფილდია. ამრიგად, ჯუდიტი ღვთისმსახურის უკანონო შვილია. იგი ერთთავად ცხენზე ზის, რის გამოც კენტავრს ადარებენ. ჯუდიტი ქედმაღალია, ძმებისგან ფიზიკური ძალითაც გამოირჩევა და გამბედაობითაც, დედისა კი გამორჩეულად უყვარს, რის გამოც მეზობელი კორა საყვედურობს კიდევ, შენი ვაჟი ღმერთზე მეტად გიყვარსო. ედი ამას არც უარყოფს: „ჯუდიტა ჩემი ჯვარიცა და ხსნაც. ისლა მისხნის მე წყლისგან და ცეცხლისგან“. ამრიგად, აქ საუბარია რაღაც კერპთაყვანისმცემლობასთან მიმსგავსებულ სიყვარულზე. ედის გულში ღვთის ადგილი ერთ მოკვდავ ეგოისტ ბიჭს დაუკავებია. მართლაც რომ დროული იქნება დავსვათ ასეთი კითხვები: რომელი მოდგმაში გავრცელდა თავდაპირველად კერპთაყვანისმცემლობა? ვინ იყვნენ კენტავრები? როგორ ხსნიდნენ კაენის დაბადებისას ადამის ნათქვამ სიტყვებს: „კაცი შემეძინა უფლისგან“ ბიბლიის არატრადიციული კომენტატორები და ვის მოიხსენიებდნენ ქედმაღლებად და ამპარტავნებად წმინდა წერილსა თუ წარმართულ მითებში?

„დაბადებაში“ ვკითხულობთ: „შეიცნო ადამმა ევა, დედაკაცი. დაორსულდა ევა და შვა კაენი და თქვა: კაცი შემეძინა უფლისგან“. ადამმა ევა მხოლოდ ცოდვით დაცემის შემდეგ შეიცნო. ბიბლიის არატრადიციულ კომენტატორთა აზრით, კაენი ადამისა და ევას შვილი კი არ ყოფილა, არამედ ნათლის ანგელოზისა და ევასი. თურმე სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს სიტყვები — „კაცი შემეძინა უფლისგან“ (შტაინერის ვერსიით ელოიმისგან). ისინი ამტკიცებენ, რომ ვითომდაც ნათლის ანგელოზი, რომელიც ადამიანის შექმნაში ღებულობდა მონაწილეობას, ცდუნდა პირველი ქალის, ევას, სილამაზით და მიუდგა მას. ეს თურმე ის ნათლის ანგელოზია, რომელიც შემდგომ სატანად იქცა. ბიბლიის ამგვარი ინტერპრეტაცია რაღაცით წარმართულ მითსაც კი მოგვაგონებს პიგმალეონის შესახებ, რომელსაც საკუთარი ქმნილება შეუყვარდა. წმინდა მამები ბიბლიის ამგვარ განმარტებას სასტიკად ეწინააღმდეგებიან. მათი აზრით, ანგელოზი თავად არის შექმნილი არსება, ამიტომ მისი წარმოჩინება ვინმეს ან რაიმეს შემქმნელებად ყოველად მიუღებელია. „ანგელოზები, როგორც ქნილებანი, შემქმნელები არ არიან“ — ბრძანებს იოანე დამასკელი.

ამპარტავანი იყო სატანა, რომელმაც ღმერთთან გატოლება მოისურვა. კაენის მოდგმის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაც ამპარტავნებაა. ქედმაღლები იყვნენ შერეული მოდგმის ნაშთიანი — ბუმბერაზებიც, ისევე, როგორც წარმართულ მითებში ნახსენები ტიტანები. ორბუნებოვანი არსებანი, კენტავრებიც, ბერძნულ მითებში ამპარტავნებად და ურჩებად არიან მოხსენიებულნი. ფოლკნერი საკმაოდ აშკარად მიგვანიშნებს კენტავრულ, ბიზონურ-ადამიანურ და ღორადადამიანურ ორბუნებოვნებაზე რომანის ბოლოს. დარლი, რომელიც მატარებელით ჯექსონის საგიჟეთში მიყავთ, რატომღაც იცინის. ვარდამანი, მისი უმცროსი ძმა, ცდილობს გაარკვიოს, რა აცინებს დარლის. „რაღაც სისხლის აღრევას ჰგავს: ხუთცენტისან მონეტაზე, ერთ მხარეს ქალია, მეორე მხარეს ბიზონი. ორი წაღმა

მხარე აქვს და არც ერთი უკულმა. არ ვიცი, რას ნიშნავს. დარლს პატარა ჭოგრიტი აქვს — საფრანგეთიდან ჩამოტანილი, ომისდროინდელი. იქიდან ქალიც შეგიძლიათ დაინახოთ და ღორიც, ორი უკულმა მხარე აქვს და არც ერთი წაღმა. ეს კი ვიცი, რაც არის, „ამიტომ იცინი, დარლ?“

„დიახ, დიახ, დიახ, დიახ“ („სული რომ ამომდიოდა“).

აი, რომანი-მისტერიის გასაღები. დარლი, რომელიც ყველაზე გასაიდუმლოებული მოვლენების არსსაც კი სწვდება, ვინც ხვდება, რომ ჯუდიტი უკანონო შვილია, იცინის... მაგრამ რატომ დააკავშირა ფოლკნერის პერსონაჟმა ხუთცენტისან მონეტაზე გამოსახული სიმბოლოები სისხლის აღრევასთან? ის, ვინც იცნობს როზენკროიცერების ფუძე-ლეგენდას, სადაც მოთხრობილია როგორ აცთუნა ევას სილამაზემ ნათლის ანგელოზი, რომელიც შემდეგ სატანად იქცა, მონეტის სიმბოლოვან და ამ ლეგენდას შორის კავშირს უთუოდ აღმოაჩენს. როგორც ჩანს, ფოლკნერს სურდა სუსტი ნებისყოფის ღვთისმსახურ უიტფილდსა და დაცემულ ანგელოზს ანუ ბიბლიურ მხეცს შორის რაღაც მსგავსება ეპოვა, ედი კი ევასთან გაეიგივებინა. საგულისხმოა, რომ მითიურ სისხლის აღრევაზე შექმნილ ფილმებში სატანისტი პერსონაჟი ხან ტახად გარდაისახება ხოლმე, ხან კი — მგლად... ერთ-ერთ ფილმში — „მხეცი“, ჩვენს კინოთეატრებში XX საუკუნის 90-იან წლებში რომ გადიოდა, სატანა ქაობიდან ამოსული დათვის სახით არის გამოყვანილი, რომელიც ტყეში მოსივრნე ქალთან ამყარებს კავშირს. კუდიანი ადამიანი, დათვისა და ქალის ურთიერთკავშირისგან რომ იშვა, თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ცხენების მოვლას ანდომებს. ბუნებრივია ისმის კითხვა, რატომ შემოიტანა რეჟისორმა ეს სიმბოლო (ფილმი ცხენების ჩვენებით იწყება და ასევე სრულდება), რა კავშირი აქვთ ამ უწყინარ ცხოველებს აღნიშნულ თემასთან? დავუბრუნდეთ ფოლკნერის რომანს. ქალი და ბიზონი — ხუთცენტისანზე, კენტავრს შედარებული ჯუდიტი, პირამიდა და სამკუთხედში ჩასმული თვალი ერთდოლარიანზე.

ფოლკნერს, რა თქმა უნდა, ალღო არ ღალატობდა, კუპიურების სიმბოლიკას მისტიკოსები ქმნიდნენ, რომლებიც საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ ბერძნულ, ეგვიპტურ და ინდურ მითებსა და ლეგენდებში, ასევე როზენკროიცერთა თქმულებებში. ეს 1935 წელსაც დადასტურდა, როდესაც რუზველტის თანხმობითა და ნიკოლოზ რერისის მხატვრობით შეიქმნა ერთდოლარიანის თანამედროვე დიზაინი. რერისი ცნობილი მისტიკოსი მხატვარი იყო, საიდუმლო საძმოს წევრი, რომელიც ინდოეთშიც კი იმყოფებოდა საგანგებო ექსპედიციაში მითიური შამბალას საპოვნელად. ერთდოლარიანის სიმბოლიკაც ერთგვარი ნაზავია სხვადასხვა ქვეყნის მითებისა და ლეგენდების. თუმცა რერისის ეს სიმბოლიკა არ შეუქმნია, რადგან ის ჯერ კიდევ 1776 წლის 4 იანვრიდან არსებობდა და ასახული იყო აშშ-ს დიდ ბეჭედზე. აგურის ცამეტი დონისგან შემდგარი პირამიდა სწორედ ამ ბეჭედთან გამოვიდა ერთდოლარიანზე, ისევე, როგორც ცამეტი ვარსკვლავი, ცამეტი ზოლი დროშაზე და სხვა.

ბუნებრივია, იბადება კიდევ ერთი ლოგიკური შეკითხვა, რა კავშირი აქვს ყოველივეს კენტავრების მოდგმასთან? არსებობს კი მითოსამყაროში რაიმე ლეგენდა, რომელიც ხუთცენტისანისა და ერთდოლარიანის სიმბოლიკის ახსნაში დაგვეხმარებოდა? ან რას უნდა ნიშნავდეს პირამიდის წვერში მოთავსებული თვალი? როგორც მოგვხსენებთ, შივას მესამე თვალი წინასწარმეტყველებისა და ნათელხილვის ნიშანია, მანათობელი მძივი ჰქონდა გამოსახული შუბლზე ამირანს, სახელი პრომეთე წინასწარმეტყველს ნიშნავდა, შივა იყო ცეცხლისმფრქვეველი, პრომეთე და ამირანი კი ცეცხლისგამტაცებლები (ცეცხლის სიმბოლო ქართულ მითოსში ყამარმა ჩანაცვლა). ამრიგად, თვალი მისტიკოსთა ენაზე წინასწარმეტყველ პრომეთე-ამირანის სიმბოლო გახლდათ. არსებობდა კიდევ ერთი ცეცხლის გამტაცებელი ტიტანიც უცნაური სახელით — „ფულკანი“, რომელსაც ბიბლიის არატრადიციული კომენტატორები კაენის შტოს ფარულ გამგრძელებლებად მიიჩნევდნენ. ანუ ისინი ამტკიცებდნენ, რომ

თითქოს წარღვნის შემდგომაც განმეორდა იგივე, რაც ოდესღაც ბიბლიურ მხეცსა და ევას შორის ვითომდაც მოხდა. ანუ თითქოს ვინმე ტიტან „ვულკანს“ ახალი ევასგან, ქამის ერთ-ერთი ცოლისგან, შეეძინა ვაჟი, რომელიც შერეული კენტავრული მოდგმის მამამთავარი უნდა გამხდარიყო. მაგრამ რატომ ცხენ-ადამიანური და არა, ვთქვათ, ბიზონურ ან დათვ-ადამიანური? როგორც ცნობილია, ცხენი პირველად პრომეთემ მოაშინაურა. ამიტომ არცაა გასაკვირი მისტიკოს ქურუმებს პრომეთეს მოდგმა კენტავრულად მიეჩნიათ. დააკვირდით სახელების აკუსტიკურ მსგავსებას — კენ-ტავრი, ცხენ-თავი, განდ-ჰარვი... ამ სიტყვების უღერადობა თითქოს რომელიღაც წინარე-ბაბილონური ფუძე ენის საფუძვლებთან გვაბრუნებს. განდჰარვებიც, კენტავრებისა არ იყოს, ცხენისთავიან შივაიტური მოდგმის ხალხად ითვლებოდნენ ძველ ინდოეთში. ამრიგად, შივა, პრომეთე, ამირანი და ტიტანი „ვულკანი“ სავარაუდოდ ერთი და იგივე პიროვნებაა, რომელიც სხვადასხვა მისტიკური სკოლის მიმდევარმა ქურუმებმა სხვადასხვა სახელ-ეპითეტებით მონათლეს. ამ ეპითეტთა უკან მდგომი ადამიანი უნდა ყოფილიყო ღვთაებრივი (ცეცხლის გამატყვევებელი ტიტანი, რომლის ნამდვილ სახელსაც რატომღაც ტაბუს ადებდნენ ქურუმები. მაგრამ რა კავშირი ჰქონდა ამ იდუმალ ადამიანს ეგვიპტესთან?

ერთ-ერთი ბერძნული მითი მოგვითხრობს, როგორ ურჩია პრომეთემ დეკეულად გადაქცეულ იოს (სავარაუდოდ, ნაბუქოდონოსორის მსგავსად ლიკოპათით დასწეულს) ეგვიპტეში ჩასვლა, სადაც ჯერ კიდევ დაუბადებელი მისი პირმშო ააშენებდა ქალაქ მემფისს და ეგვიპტის პირველი მეფეც გახდებოდა... პრომეთეს წინასწარმეტყველება ახდა, ეგვიპტეს მართლაც მოეწვინა მემფისის ამშენებელი პირველი მეფე, მაგრამ ვინ იყო მისი მამა? ამის შესახებ მითში არაფერია ნათქვამი. საგულისხმოა, რომ შემდგომ სწორედ ჩრდილოეთ აფრიკიდან გადმოსახლებულმა ქამიტებმა გაავრცელეს მთელ მსოფლიოში წარმართობა, რომლის ერთ შტოსაც მავანნი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კაენის ხორციელ შთამომავლებსაც კი მიიჩნევდნენ. ქალი და ბიზონი, ბიბლიური მხეცი, სისხლის აღრევა, აი, რა იყო გამოსახული ხუთცენტიანზე... იქნებ დარლისაც სწორედ ეს აცინებდა, ცოდვით დაცემის ნაყოფი ჯუეელი, მისი ნახევარძმაც, ხომ ერთგვარი კერპი იყო, ის გახლდათ ედის კერპთაყვანისმცემლობის ღმერთი...

ლიტერატურული პარალელები

დიდი მწერლები ისევე ურთიერთმოქმედებენ, როგორც ციური სხეულები. ერთ სისტემაში მოტრიალე პლანეტები გარკვეულ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ზოგიერთი ვარსკვლავი ძალიან უამკაშაა, ზოგი კი არა. რაც უფრო უამკაშაა ვარსკვლავი, მით უფრო შორს მიდის მისი შუჭი. ჰომეროსმა და შექსპირმა ბევრ მწერალს გაუნათეს გზა. ბევრი დიდი შემოქმედის რომანებში ვხვდებით ალუზიებს მათი პოემებიდან. ამ თვალსაზრისით გამოწკრიპებს არც ფოლკნერი და ჯოისი წარმოადგენენ. XX საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი რომანების — „ხმაური და მძვინვარების“ და „ულისეს“ — თვით სათაურებიც კი შექსპირისა და ჰომეროსის ზეგავლენითაა შერჩეული. იგივე იქმნის რომანზე „სული რომ ამომდიოდა“. ნაწარმოებში ქმრის მოლაპატე ქალი რომ უნდა იყოს გამოყვანილი, ამას თვით სათაურიც მიგვანიშნებს, რომელიც ჰომეროსის „ოდისეადან“ არის აღებული. სამშობლოში დაბრუნებულ აგამემნონს მოლაპატე ცოლის ნაქეზებით ეგისტემ ნადიმი მოუწყო. სწორედ ამ ნადიმზე დაკლეს ხარივით საკუთარ სახლში ბერძენთა მეფე, ისე რომ მახვილის აღება ვერც კი მოასწრო. „მომაკვდავმა ერთი წამოვიწიე, მახვილისთვის მინდოდა წამეტანა ხელი, მაგრამ გამეცქა ის ძალღატაკი დიაცი, — სულამომდინარს არც პირი დამიმუნა და არც თვალეები დამიხუჭა“, — ეუბნება აგამემნონის სული ოდისეესს. სწორედ ამ სიტყვამ, სულამომდინარმა,

უბიძგა მთარგმნელს, ქალბატონ მედეა ზაალიშვილს, რომანისთვის „სული რომ ამომდიოდა“ ეწოდებინა.

„ჰომეროსის უკვდავი ნაწარმოების ინგლისურ თარგმანში კლიტემნესტრა დახასიათებულია როგორც „ძალღატაკი დიაცი“ (განსხვავებით ქართულად თარგმნილი „ძალღატაკი დიაციგან“). ეს უსიამოვნო შედარება მხოლოდ მოლაპატე დიაცი თუ შეეფერება. როდესაც ვარდამანი ნახვრეტებს ამბოურლავს კუბოზე, ედის სწორედ თვალეები დაუშავდება“, — აღნიშნავს მთარგმნელი. პატარა ვარდამანმა, რა თქმა უნდა, ეს ბავშვური სისულელით გააკეთა, ვითომდაც კუბოს ფანჯრები სჭირდებო, მაგრამ მეზობელი ვერნონ ტალი ასე არ ფიქრობს, მას მიაჩნია, რომ ბანდრენებს „განკითხვის დღე დასდგომიათ. ამ ბიჭში ღვთის ხელი ურევია, რათა განსაჯოს და შერისხოს ენს ბანდრენი“. იმავეს ამბობს მისი მეუღლე კორაც, როცა თავსხმა წვიმამი მისასამიძმრებლად მიდის — „ენს ბანდრენის განკითხვის დღეა, უფალი თვალს აუხელს და მიახვედრებს, თუ რა ცოდვის გზას დასდგომია“. ეს ჩვეულებრივი წვიმა არაა, ყოველ შემთხვევაში ბანდრენების ოჯახისთვის, აღიღებული მდინარეები ხიდეებს ანგრევს, ჯეფერსონამდე მისვლა მხოლოდ ფონის გავლით შეიძლება, ისიც დიდი რისკის ფასად. და აი, თვალდათხრილი ედი დიდ განსაცდელში აგდებს საკუთარ ოჯახს, ისევე, როგორც ძალღატაკი კლიტემნესტრა აგამემნონს...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფოლკნერისა და ჯოისის, ასევე სხვა დიდი მწერლების შემოქმედებაში ხშირად გვხვდება ალუზიები შექსპირის პიესებიდან. ფოლკნერი ცხოვრებას თეატრს ადარებს, ბედისწერას კი რეჟისორს, რაც მაკბეტის ცნობილი მონოლოგის ერთგვარ გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. მისი რომანის სათაურიც „The Sound and The Fury“ ხომ სწორედ მაკბეტის მონოლოგიდანაა აღებული, სადაც ცხოვრება სცენასა და იდიოტის მიერ მოთხრობილ ამბავთანაა შედარებული, რომელიც სასესა „ხმაურით და მძვინვარებით“. „Told by an idiot, full of sound and fury, signifying nothing“ („მაკბეტი“, V, 5).

ფოლკნერის ორი უძლიერესი რომანი „ხმაური და მძვინვარება“ და „აბესალომ, აბესალომ!“ თითქოსდა ამ მონოლოგის განწყობით სუნთქავს, შემთხვევითი არ არის, რომ „ხმაური და მძვინვარების“ ერთ-ერთ მთხრობელად იდიოტი ბენჯი გვევლინება (Told by an idiot). შექსპირის კიდევ ერთი პიესა-შედარების, „ჰამლეტის“ სუნთქვა იგრძნობა ფოლკნერის რომანში „სული რომ ამომდიოდა“. ინგლისურ ენასთან მცირეოდენი შეხების მქონე ადამიანიც კი მიხვდება, თუ როგორ ჰგავს შემოილი დარლის მონოლოგი ჰამლეტისას — „I don't know if I am or not“ („სული რომ ამომდიოდა“). „To be or not to be that's the question“ („ჰამლეტი“).

აი, დარლის მონოლოგი:
 „And before you are emptied for sleep, what are you. And when you are emptied for sleep, you are not. And when you are filled with sleep, you never were. I don't know what I am. I don't know if I am or not“. ქალბატონი მედეა ზაალიშვილი ამ მონოლოგს ასე თარგმნის: „...რომ დაიძინო, უნდა დაცარიელდე, სანამ დაცარიელდები, რას წარმოადგენ. დაცარიელებული აღარ არსებობ. როცა ძილი თავს წაგართმევს, თითქოს არც ყოფილხარ. მე არ ვიცი, მე რა ვარ. მე არ ვიცი, ვარ თუ არა“.

როგორც ვხედავთ, არც ქართულ თარგმანშია დაკარგული ის მუხტი და მუსიკა, რის გამოც დარლის მონოლოგი ჰამლეტისას შეიძლება შევადაროთ. რა თქმა უნდა, ეს არ არის შექსპირის გადამღერება, აქ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ ორი დიდი ხელოვანის შეხვედრაზე ან სულიერ ნათესაობაზე. საზოგადოდ, ფოლკნერი არც უარყოფდა, რომ მწერლები ერთმანეთზე გავლენას ახდენდნენ. 1957 წლის 15 მაისის საუბარში უნივერსიტეტისა და შტატის საზოგადოებასთან, როცა სთხოვეს, ვერგლიოუსის „ენეიდას“ შესახებ აზრი გამოეთქვა, მან ნახევრად ხუმრობით თქვა, „დარწმუნებული ვარ, თუ ვერგლიოუსი ნაკითხული მაქვს — არ მახსოვს ჰო თუ არა — მასაც გავძარცვავდი, რადგან მწერალზე ყველაფერი მოქმედებს, რასაც კითხულობს“. ფოლკნერი მართლაც „ძარცვავდა“ შექსპირს, ჰომეროსს, ჯოისს,

კითხს... მან შექმნა საკუთარი სამყარო — იოკნაპატოფას საგრა-
ფო, რომლის ბინადარნიც ხანდახან რალაციტო ჰგავდნენ არა მხო-
ლოდ ძველი ალთქმისა და წარმართული მითების გმირებს, არა-
მედ შექსპირისა და ჰომეროსის პერსონაჟებსაც. ჯოისის, ვირჯი-
ნია ვულფისა და ჰენრი ჯეიმზის მსგავსად, ფოლკნერიც მოგვე-
ლინა იმ ეპოქისთვის სრულიად ახალი, ცნობიერების ნაკადის
ტექნიკით შესრულებულ ნაწარმოებთა ავტორად. რომანები
„ხმაური და მძვინვარება“, „აბესალომ, აბესალომ!“ და „სული
რომ ამომდიოდა“, ამ თვალსაზრისით, საკმაოდ ნიშანდობლივია.

ცნობიერების ნაკადი

ტერმინი „ცნობიერების ნაკადი“ ლიტერატურათმცოდნე-
ობაში ფსიქოლოგიიდან შემოვიდა. ის პირველად გამოიყენა
ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა უილიამ ჯეიმზმა „ფსიქო-
ლოგიის პრინციპები“. ხანდახან ცნობიერების ნაკადსა და
შინაგან მონოლოგს სინონიმებად მიიჩნევენ, თუმცა ეს ასე
არაა. „ლიტერატურულ ტერმინთა ოქსფორდის ლექსიკონში“
დაზუსტებულია ამ ორი ტერმინის მნიშვნელობა. შინაგან მო-
ნოლოგში პერსონაჟის ფიქრები გადმოცემულია პირდაპირ.
მასში არ არის აუცილებელი დარღვეული იყოს მოვლენათა
გადმოცემის ქრონოლოგია და ლოგიკა. შინაგან მონოლოგში
რაციონალურად და ორგანიზებულადაა წარმოდგენილი პერ-
სონაჟის ფიქრები. ცნობიერების ნაკადში კი არაა აუცილებე-
ლი დაცული იყოს მოვლენათა გადმოცემის ქრონოლოგია,
ლოგიკა და გრამატიკული ნორმები. ის თვითდინებით მიდის,
მდინარესავით, სწორედ ამის გამო უწოდეს ნაკადი.

ცნობიერების ნაკადის ტექნიკა ლიტერატურაში, რო-
გორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად ჯეიმზ ჯოისმა დაამკ-
ვიდრა. ამ ტექნიკითაა დაწერილი უილიამ ფოლკნერის „ხმაუ-
რი და მძვინვარებაც“. რაც შეეხება 1930 წელს შექმნილ ნა-
წარმოებს „სული რომ ამომდიოდა“, ის შეიძლება მივიჩნიოთ
ერთგვარ „ჰიბრიდულ“ რომანად, რომელშიც აღწერილობითი
ჩვეულებრივი თხრობის მანერის პარალელურად ცნობიერე-
ბის ნაკადის ტექნიკაცაა გამოყენებული. მასში უხვადაა შინა-
განი მონოლოგებიც. აი, მაგალითიც — დიუი დელი, რომე-
ლიც ფეხმძიმედაა და უნდა, რომ ნაყოფი ოჯახის უჩუმრად
მოიშოროს, ექიმ პიპოდის დანახვაზე ფიქრობს:

„სულ ჩემი მარტოობის ბრალია. მარტოობას რომ არ
ვგრძნობდე, სულ სხვაგვარად იქნებოდა, მაშინ არც მარტო
ვიქნებოდი. მაგრამ მარტო რომ არ ვყოფილიყავი, ჩემს ამბავს
ყველა გაიგებდა. თუ მოინდომებდა, ბევრ რამეში დამეხმარე-
ბოდა და მაშინ მარტოც აღარ ვიქნებოდი. მაშინ მარტოობაც
ვერაფერს დამაკლებდა“.

ეს ტიპური შინაგანი მონოლოგია. მასში მოვლენები ქრონო-
ლოგიურადაა გაანალიზებული, არ არის დარღვეული ლოგიკა,
დაცულია პუნქტუაციის ნიშნებიც. თუმცა დიუი დელის ფიქრები
ხანდახან ცნობიერების ნაკადის ტექნიკითაცაა გადმოცემული.
აი, მაგალითიც: „რასაც მინდა იმას გავაკეთებინებ, შენც იცი, რომ
მე ეს შემიძლია. ვთქვათ და ვუთხარი — აქეთ მობრუნდი-მეთქი.
მაშინაც ასე იყო, როცა მოკვდა, ვთქვათ და ასე მოვიქციე, ნიუ ჰო-
უში წავალთ, ქალაქში წასვლა აღარ მოგვიხდება. ავდექი, ამოვა-
ცალე დანა თევზს, სისხლისგან იცლებოდა და დარლი მოვკალი
(დიუი დელი ფიქრით უკვე ირეალურ ზმანებათა სამყაროში გადა-
დის, ის საკუთარ თავს მიაწერს ისეთ ქმედებებს, რაც არასდროს
ჩაუდენია, ირღვევა მოვლენათა ქრონოლოგია, ერთმანეთშია
არეული წარსული, აწმყო, მომავალი. შემდგომ უკვე ფოლკნერი
საჭიროდ აღარც მიიჩნევს სასვენი ნიშნები დასვას. — თ.გ.)

ვარდამანის გვერდით რომ მეძინა კოშმარები მკლავდა ხოლ-
მე. ერთხელ მეგონა გამეღვიძა-მეთქი მაგრამ ვერც ვერაფერს
ვხედავდი და ვერც ვერაფერს ვგრძნობდი ჩემს ქვემოთ საწოლ-
საც ვერ ვგრძნობდი ვერც ჩემს არსებობას ვგრძნობდი ჩემს სა-
კუთარ სახელსაც ვერ ვისვენებდი აღარც ის ვიცოდი რომ გოგო

ვიყავი არც ის ვინ ვიყავი აღარც ის ვიცოდი გავიღვიძე თუ არა
არც ის მახსოვდა გაღვიძებას რა ენაცვლებოდა და თითქოს რა-
ლაც მიჰქროდა არც ის ვიცოდი რა დრო იყო და ბოლოს მივხვდი
ქარი დამტრიალებდა თითქოს ქარი მოვარდა და იქითკენ წამი-
ლო საიდანაც მოვარდა არც ოთახში იყო და არც მძინარე ვარდა-
მანთან ჩემს ახლოს ტრიალებდა და შიშველ ფეხებთან ისე გაის-
რიალა როგორც გრილმა აბრეშუმის ქსოვილმა“.

ეს უკვე ცნობიერების ნაკადია, მასში აღარაა დაცული
თხრობის ქრონოლოგია, ლოგიკა და გრამატიკული ნორმები.
უნდა ითქვას, რომ მთარგმნელმა ძალიან კარგად გაართვა
თავი როგორც შინაგან მონოლოგებს, ასევე ცნობიერების ნა-
კადით შესრულებულ ეპიზოდებსაც. ქართულ ტექსტში შე-
ნარჩუნებულია ფოლკნერისეული თხრობის შინაგანი მუსიკა,
რიტმი. მთლიანობაში ნაწარმოები ძალიან ადვილად იკითხე-
ბა, არ არის დაკარგული დინამიკა, რაც ძალიან იშვიათად
ხდება ფოლკნერის რომანების გადმოქართულებისას.

ფოლკნერის ჯადოსნური ყუთი

ფსიქოანალიზის მოყვარულ ლიტერატორთა ყურადღების
მიღმა არც ფოლკნერის რომანი-მისტერია „სული რომ ამომდიო-
და“ დარჩენილა. როგორც მოგვხსენებთ, ლიტერატურულ ჟურ-
ნალში „მისისიპი ქუორთერი“ სისტემატურად იბეჭდებოდა და
იბეჭდებდა „ხმაური და მძვინვარების“, „ავგისტოს ნათელის“, „აბე-
სალომ, აბესალომ!“-ისა და ფოლკნერის სხვა რომანების ფროიდ-
უნესეული მიმოხილვა. ინტერნეტის გამოგონებამ კიდევ უფრო
გააფართოვა ფსიქოანალიზის მოყვარულ მკვლევართა მოღვაწე-
ობის არეალი. დღეს ამ თემაზე ძალიან ბევრი მასალა დევს ინგ-
ლისურენოვან საიტებზე, მათ შორის საინტერესო კვლევებიცაა.
გამორჩეულ ინტერნეტ-ნერილებს რიცხვს შეიძლება მივაკუთფ-
ნოთ ლიტერატორ ბარბარა ენ კესის ნაშრომი „კემ ბანდრენის
ხელსაწყოების ყუთი“, სადაც საუბარია ენ. „კასტრაციის კომპ-
ლექსის“ ფოლკნერისეული ინტერპრეტაციის შესახებ. როგორც
მოგვხსენებთ, ფროიდს მიაჩნდა, რომ ადამიანები ხელსაწყოების
დაკარგვას ქვეცნობიერად „კასტრაციასთან“ აიგივებდნენ.
მკვლევარის აზრით, ბანდრენების ოჯახის წევრები მდინარეში
ჩაძირული სადურგლო ხელსაწყოების ამოღებისთვის ვითომდაც
იმიტომ იგდებდნენ თავს საფრთხეში, რომ ისინიც „კასტრაციის
კომპლექსით“ იყვნენ შეპყრობილნი. შეიძლება დაეთანხმო ან არ
დაეთანხმო ბარბარა კესის მოსაზრებებს ფოლკნერის მიერ ფრო-
იდისტული სქემის გამოყენების შესახებ, რადგან ბანდრენების
ხელმოკლე ოჯახისთვის ყოველი ნივთის დაკარგვა დიდი დანა-
კლისი იყო და ჯუელიც შესაძლოა სწორედ ამის გამო ყვინთავდა
მდინარეში თავგამეტებით და არა რალაც „კასტრაციის კომპლექ-
სის“ გავლენით, თუმცა მოლთი ეს თემა დროებით გადავდეთ,
რადგანაც წერილის მეორე ნაწილი, რომელიც უკვე სიმბოლიკას
შეეხება, გაცილებით საინტერესოა...

ვინც რომანი დაკვირვებით წაიკითხა, უთუოდ გაისხენებს,
რომ კემს სულ ცხრა სამუშაო იარაღი ჰქონდა, თუმცა ედის ჯე-
ფერსონში გადასვენებისას მხოლოდ შვიდი მიაქვს. ბარბარა კე-
სი გვახსენებს, რომ ოჯახის წევრიც შვიდია. მდინარიდან მხო-
ლოდ ექვს იარაღს იღებენ, რაც, მისი აზრით, სიმბოლური მი-
ნინარეა ოჯახის ექვს ცოცხალ წევრზე, ხოლო მეშვიდე იარაღი
(saw-set-ი), რომელიც იკარგება, სიმბოლურად მოგვანიშნებს
ედის სიკვდილზე. ინგლისურ ტექსტში მართლაც შვიდი ხელ-
საწყოა ნახსენები: the plane (შალაშინი), the hammer (ჩაქუჩი),
the square (—?), the rule (რულეტი), the chalk-line (გადასაზომი
თოკი), the saw (ხერხი) და the saw-set (—?). როგორც ვხედავთ
ქართულ თარგმანში ორი ხელსაწყო საერთოდ არ ფიგურირებს,
მოგვიანებით saw-set-ი ნათარგმნია ახალ ხერხად, რაც შეცდო-
მაა. არადა ბარბარა კესი სწორედ ამ ორ იარაღს ანიჭებს განსა-
კუთრებულ მნიშვნელობას, ისევე, როგორც ჩაქუჩს, რომელსაც
ჯუელის სიმბოლოდ თვლის. კემის ხელსაწყოების ყუთში მხო-

ლოდ saw-set-ი აღარ ბრუნდება, ინსტრუმენტი, რომელიც მკვლევარს ედი ბანდრენის სიმბოლოდ მიაჩნია. რა თვისებებით აკავშირებს ერთმანეთთან ხელსაწყოებსა და ბანდრენების ოჯახის წევრებს კესი? რატომაა, მისი აზრით, შალაშინი დარლის სიმბოლო, square კი — დურგალ კემის? დავინყოთ saw-set-ით, თავდაპირველად დავადგინოთ, რა იარაღია. როგორც მოგეხსენებათ, ხანგრძლივი ხმარების შემდეგ ხერხის კბილანები ბლაგვედება და იღუნება. ხერხს მხოლოდ გალესვა არ შეეძლება, საჭიროა კბილანები ოდნავ იყოს გადაღუნული პირშექცევით, რათა ხეში ფართოდ შევიდეს და არ გაიჭედოს. კბილანების გადაღუნვის დასარეგულირებლად არსებობს სპეციალური სადურგლო იარაღი saw-set-ი, რომელსაც შესაძლოა კბილანების გამსწორებელიც ვუნოდოთ. მაგრამ რატომ მიიჩნევა მკვლევარი ბარბარა კესი მას ედი ბანდრენის სიმბოლოდ? ედი სახასიათო შტრიხებით მართლაც ჰგავს კბილანების გამსწორებელს, ის ადრე, გათხოვებამდე, მასწავლებელი იყო, მკაცრი პედაგოგი, და მოსწავლეებს აიძულებდა, სწორად და წყნარად მსხდარიყვნენ. ეს ჩვევა გათხოვების შემდეგაც გამოჰყვა. ქმარსაც კი ეუბნება, წელში გასწორდიო, ხოლო როცა გასაკრეჭია, შენიშვნას აძლევს. ედი საკუთარ ოჯახს სრულად აკონტროლებს, მის უკანასკნელ სურვილს თვით გარდაცვალების შემდეგაც კი ასრულებენ... ამრიგად, როგორც ვხედავთ, კბილანების გამსწორებლის ფუნქცია ლითონის გასწორება-გადაღუნვაა, ედიც თავისი ძლიერი ნებისყოფით იმორჩილებს ოჯახის წევრებს.

ბარბარა კესი საგანგებოდ აღნიშნავს, ფოლკნერი კარგად ერკვეოდა სადურგლო საქმეში და ერთხელ მწერალი ინსტინქტურად მომუშავე დახელოვნებულ დურგალსაც კი შეადაზრაო. როგორც ჩანს, მეცნიერი მართალია, რადგან მსგავსება კემის იარაღებსა და ბანდრენების ოჯახის წევრებს შორის იმდენად თვალშისაცემია, რომ უკვე მნიშვნელობაც კი აღარ აქვს, ფოლკნერმა ეს სიმბოლიკა დახელოვნებული დურგალივით უნებლიეთ შემოიტანა თუ წინასწარგანზრახულად.

განვავრდით კემის მდინარეში ჩაძირვას გადარჩენილ ხელსაწყოთა მიმოხილვა. მეორე სადურგლო ინსტრუმენტი square (კუთხის საზომი), რომელიც რომანის ქართულ თარგმანში ასევე არ ფიგურირებს, კემის სიმბოლოა. რითი ჰგავს დურგალი მას? მკვლევარი ამ მსგავსებას ბანდრენთა უფროსი ვაჟის პედანტური ხასიათით ხსნის. როგორც ვიცით, კემი ბავშვობაში ეკლესიიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. როცა ეკითხებიან, რა სიმალლიდან ჩამოვარდიო, ასე პასუხობს: „ოცდარვა ფუტი და დაახლოებით ორნახევარი დიუმი“. აი, რა ზუსტ ციფრს ასახელებს კემი, თითქოს მართლაც რაღაც საზომი ხელსაწყო იყოს.

(plane — შალაშინი). კემის უმცროსი ძმა დარლი შალაშინის სიმბოლოა, რომელიც ხანდახან ძალიან ღრმად შედის ზედაპირში, მაშინ ის ფიცრის ზედაპირს კი არ ასწორებს, არამედ პირიქით — ჩეჩავს. ასევე ზემოქმედებს ადამიანებზე დარლიც. ის ზოგიერთ პიროვნებას ამშვიდებს, მაგალითად, კორა ტალს, რომელსაც თითქოს რწმენასაც კი უძლიერებს... დარლი ისეთი თვალებით უყურებდა სულთმობრძავ ედის, რომ კორა ტალს გული, უნებლიეთ, ღვთის უზომო სიყვარულითა და მოწყალებით აევსო. რაც შეეხება სხვა პერსონაჟებს, მაგალითად დიუი დელისა და ჯუელს, მათ მიმართ დარლი პირიქით, ნერვების ამშლელისა და გამაღიზიანებლის ფუნქციას ასრულებს. ის დას მიაჩნებდა, რომ მას დედის გარდაცვალება ხელს აძლევს კიდევ, რადგან ამით საშუალება მიეცემა ჯეფერსონში ჩავიდეს და ყველასგან შეუმჩნევლად აბორტი გაიკეთოს. დარლი ასევე ხშირად აღიზიანებს ჯუელსაც, როგორც რომანიდან ჩანს, ისინი არ ესწრებოდნენ დედის გარდაცვალებას, რადგანაც მამამ ტვირთის გადასაზიდად გააგზავნა, მაგრამ როცა დაბრუნდნენ და სახლის თავზე მოტრიალეს კაკაჩები დაინახეს, მიხვდნენ, დედა გარდაცვლილიყო... და აი, მაშინ დარლი, რომელმაც იცის, რომ ჯუელს ყველაზე მეტად თავისი ცხენი უყვარს, ძმას ეუბნება, ნუ გემინია, შენი ცხენი არ მოკვდებოდაო...

როგორც უკვე ვთქვით, დარლი ხშირად მიმართავს ჯუელს, რომელიც უკანონო შვილია, აკვიატებული შეკითხვით: „ვინ იყო მამაშენი, ჯუელ?“ სწორედ ამ მწარე შეკითხვებმა და მინიშნებებმა აიძულა დიუი დელი და ჯუელი, ჯეკსონის საგიუეთისთვის გაენირათ დარლი (ერთმა ის დაასმინა თავლის დაწვისთვის, მეორემ კი შეიპყრო და ხელისუფლებას გადასცა).

ჩაქუსს, მთავარ სადურგლო იარაღს, ბარბარა კესი ჯუელთან აიგივებს, კენტავრთან. ჯუელი ფიზიკურად ძლიერია, გადამწყვეტილებებსაც სწრაფად იღებს. ედის ის გამორჩეულად უყვარს. კენტავრისა არ იყოს, ჩაქუსიც ორბუნებოვანია, ტარი ხისა აქვს, თავი კი — ლითონის.

(chalk-line — გადასაზომი თოკი) — ეს სადურგლო ინსტრუმენტიც ორი კომპონენტისგან შედგება, თოკისა და ლურჯი ცარცისგან, რომელიც თოკის ერთ ბოლოზეა მიბმული. ბანდრენთა ქალიშვილი დიუი დელიც ყოველთვის ვილაცაზეა მიჯაჭვული, ხან მომაკვდავ დედაზე, ხან კი პატარა ვარდამანზე, რომელზე მზრუნველობაც დედის გარდაცვალების შემდეგ სწორედ მას დაეკისრა. ის ვარდამანს არ შორდება, ერთად ძინავს, აბორტის გასაკეთებლად რომ მიდის, მაშინაც კი თან მიყავს და გარეთ ალოდინებს...

ენს ბანდრენი, ოჯახის უფროსი, ბარბარა კესის აზრით, ხმარებისგან გაცვეთილ რულეტს ჰგავს, მისი გამოთვლები ძირითადად არაზუსტია. იგი გვიან იძახებს ექიმს, როცა მის მოსვლას ფაქტობრივად უკვე აზრიც აღარ აქვს; წვიმს, ის კი დარლისა და ჯუელს მაინც აგზავნის ფორნით ტვირთის გადასაზიდად, ფორანი არხში იჭედება, რასაც მთელი რიგი უსიამოვნებანი მოჰყვება... თუმცა რულეტის ფუნქციას ენსი მაინც ასრულებს, სოველ შემთხვევაში მაშინ, როცა საქმე პირადად მას შეეხება, მსგავს შემთხვევებში მას ყველაფერი გათვლილი და გაზომილი აქვს. იცის, როდის გაუყიდოს ჯუელს ცხენი, როდის წაართვას ათდოლარიანი დიუი დელის, როდის ჩაისვას კბილების პროთეზი და როდის მოიყვანოს ახალი ცოლი...

დაბოლოს (saw — ხერხი), ეს ხელსაწყო პატარა ვარდამანის სიმბოლოა. ბარბარა კესის აზრით, ბავშვის მეტყველება ძალიან წააგავს ხერხის წინ და უკან მოძრაობისას გამოცემულ ხმებს: „Durn him, I Showed him. Durn him; You need't to cry [...] Jewel got her out. You needn't to cry.“

აი, კემის ხელსაწყოების ჩამონათვალიც! ბარბარა კესი თავისი კვლევის დასასრულს იხსენებს იმ შეკითხვას, რომელიც ერთხელ ფოლკნერს დაუსვეს სიმბოლიკასთან დაკავშირებით: „— იყენებთ თუ არა სიმბოლიკას წინასწარგანზრახულად თქვენს ნამუშევრებში?“

ფოლკნერი: მწერალი წინასწარგანზრახულად არ იყენებს სიმბოლიკას, ის ამას ინსტინქტურად აკეთებს. მწერალი რაღაცით დურგალს ჰგავს. როდესაც მას რაიმე ხელსაწყო ჩირდება, ის უზრალად იხრება და იღებს მისთვის საჭირო ხელსაწყოს. ამას უნებლიეთ აკეთებს, დაუფიქრებლად“.

ბარბარა კესის აზრით, მკითხველი ვერასდროს გაარკვევს, ფოლკნერმა თავისი პერსონაჟები „წინასწარგანზრახულად“ დააკავშირა კემის ხელსაწყოებთან თუ „ინსტინქტურად“, თუმცა მას ღრმად სწამს, რომ მწერალი ხშირად იხრებოდა, რათა თავისი სადურგლო ყუთიდან ამოედო ის ხელსაწყოები, რომლითაც ბრწყინვალე რომანებს შექმნიდა...

ვერაფერს ვიტყვით, ფოლკნერს მართლაც რომ ჯადოსნური ყუთი ჰქონია!

1. იხ. რუდოლფ შტაინერის „ვარდის და ჯვრის საიდუმლო“, ასევე „ებრაელ ბრძენკაცთა ოქმები“.
2. დეკვლად ქცეული იო უნებლიეთ ნაბუქოდონოსორის ასოციაციას იწვევს, რომელსაც სამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში საკუთარი თავი ხარი ეგონა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ნაბუქოდონოსორი ლიკოპათიით იყო დასნეულებული. უფრო ვრცელი კომენტარი ამ თემაზე იხილეთ ლოპუხინის „განმარტებით ბიბლიაში“.

„სადაც უნდა ვიცხოვრო, ჩემი პოეზია ქართული ლიტერატურის ნაწილია“

(თამარ შაიშვილაშვილს ესაუბრა ირმა შიოლაშვილი)

— ირმა, რატომ არის შენთვის მნიშვნელოვანი ლექსების მუშაობა კრებულში?

— საერთოდ, ყველა წიგნი მნიშვნელოვანია ავტორისთვის, მაგრამ არსებობენ წიგნები, სადაც სათქმელს ერთი ამოსუნთქვით ამბობს, და თან გრძობს, რომ ეს მარტო ერთი ამოსუნთქვა არ არის, სათქმელის ახალი ტალღაა წამოსული, ეს ტალღა და ეს სათქმელი ჰგავს და არც ჰგავს მანამდე დაწერილსა და ნათქვამს...

— რა არის ეს ახალი სათქმელი, რომელიც მანამდე არ იყო შენს პოეზიაში? — წიგნის რედაქტორი გიორგი ლობჯანიძე წერს: ერთმანეთს შეერწყა ქართული და გერმანული გამოცდილება და საინტერესო პოეტური სინთეზი მივიღეთო. ვთანხმები?

— სასიამოვნოა, როცა ჩემი თაობის ნიჭიერი ადამიანები წიგნს ასე საინტერესოდ აფასებენ. გიორგი ბავშვობიდან იცნობს ჩემს შემოქმედებას და ანალიზიც ჯანსაღად შეუძლია. რაც შეეხება გერმანულ გამოცდილებას, სრულიად ბუნებრივია, წლების მანძილზე აღქმული და გააზრებული შენი ფესვებიდან წამოსულ სათქმელს შეერწყას.

— 15 წელია გერმანიაში ხარ. რა იგულისხმება გერმანულ გამოცდილებაში?

— გერმანული, ევროპული გამოცდილება თავისუფლებას, კლიშეების დამსხვრევასა და ახლის დამკვიდრების სურვილს ნიშნავს. თუმცა ყოველთვის ქართულ ფესვებს ვეყრდნობოდი, ანუ ნოვატორი გამიზნულად არასდროს ვყოფილვარ, გერმანულმა გარემომ, გერმანულ პოეტებთან ურთიერთობამ, გერმანულ უნივერსიტეტში შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სწავლამ თავისი დალი დამასვა და ეს, როგორც ჩანს, შემოქმედებაშიც ბუნებრივად აისახა.

— შენს შემოქმედებას როგორ აღიქვამენ გერმანელი ლიტერატურისმოყვარულები, თუ ფიქრობენ, რომ შენი სათქმელი განსხვავდება გერმანულ პოეტთა სათქმელისგან...

— პოეტებს, ეროვნების მიუხედავად, მონათესავე სული აქვთ, მაგრამ ყველა პოეტში საკუთარი ერის სულის ნაწილი დევს. ჩემი შემოქმედება ქართული ფესვებიდან იღებს სათავეს და მეც ალბათ ამით ვარ გერმანელი კოლეგებისთვის საინტერესო. როდესაც ჩემი “ფოთლების ხიდი” გერმანულ ენაზე ითარგმნა, რედაქტორმა წიგნის შესავალში სწორედ იმას გაუსვა ხაზი, რომ ჩემი სათქმელი ხმა არის საქართველოდან და ჩემი პოეზია ქართული სულის აღქმასა და გაგებაში დაეხმარება გერმანელებს...

— და მაინც, შენი აზრით რით განსხვავდება ქართული პოეზია გერმანულისგან?

— ჩვენთან პოეტებს უყვართ მისტიკურ, თუნდაც მიღმიერ სამყაროდან გადმოტანილ თემატიკასთან შეჭიდება, ღრმა და პოეტურია ქართული ლექსი და სულიერი, ამაღლებული. თუმცა გერმანული პოეტთა მსგავსად, ჩვენშიც ბევრი ეჭიდება ყოფით, სოციალურ თემატიკას. ამაშიც მთავარია ნიჭი, როცა ნიჭიერად და საინტერესოდ დაწერ, ნაწარმოებიც შედგება. თუმცა, უნდა ვალიარო, დღესაც იმ აზრის ერთგული

დავრჩი, რასაც 20 წლის წინათ ვფიქრობდი: როცა უცხოურ გამოცდილებას ქართული ხელოვანი თავის კულტურაში გადმოიტანს, ის ქართულ სამოსში უნდა შეახვიოს, თორემ ერს სიახლის გაგება გაუჭირდება. ძლიერი მაშინ ხარ, როცა უპირველესი სათქმელის მიტანას ახერხებ შენს ერთან, როცა შენს ერს ესმის შენი.

— ვინ არიან შენი საყვარელი გერმანული პოეტები?

— ძალიან მიყვარს ნელი ზაქსი და პაულ ცელანი. ასევე ელიზაბეტ ბორშერტი და როზე აუსლენდერი. როგორც ხედავთ, ქალებისა განსაკუთრებით კარგად მესმის.

— რა არის მათი პოეზიისთვის დამახასიათებელი?

— გრძობები, და გრძობებზე ასე ვემოცონებიანა და წერა.

— შენი ლექსების მეოთხე კრებულს — “ფოთლების ხიდი” — გერმანულად თარგმნაზე დიდხანს იმუშავეთ...

— დიას, მე, ჩემი მეუღლე (რომელიც პროფესიონალი მთარგმნელია) და რამდენიმე თანამედროვე გერმანელი პოეტი ლექსებს დიდხანს ვთარგმნიდით. ეს ძალიან გრძელი და რთული პროცესი იყო. გერმანული პროფესორი და მწერალი ული როტფუსი გახლდათ წიგნის რედაქტორი და საერთოდ, გამოცემის ინიციატორი. კრებული სერია „კავკასიური ბიბლიოთეკის“ მესამე წიგნად გამოიცა.

— შარშან, თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გერმანულად თარგმნილი შენი ამ წიგნის წარდგინება...

— თვითონ ვისურვე, რომ წარდგინება ჩემს ქალაქში გამართულიყო. შემდეგ კრებულს გერმანიაში, ქალაქ მინდენმა ევროპულ ავტორთა გაერთიანების შეკრებებზე უმასპინძლა. მაღევე ბონშიც მქონდა საღამო, ერთი თვის შემდეგ კი საინტერესო შემოქმედებითი საღამო ისევ ქალაქ მინდენში გაიმართა — რუსუდან ფეტვიანის ერთ-ერთმა გალერისტმა მიმიწვია. მე ლექსები რუსიკოს ნახატების ფონზე საათზე მეტხანს ვიკითხე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში.

— და როგორი შეფასება მოჰყვა?

— ძალიან დადებითი. ალბათ საინტერესო ეჩვენათ ჩემი პოეტური სახეები და სამყაროს პოეტური აღქმა. ჩემი აზრით სახეები და მეტაფორები თარგმანებში მეტ-ნაკლებად ჩაიკარგა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც საკმარისად გადარჩა.

— ამ საღამოებს საქართველოთი დაინტერესება თუ მოჰყვა?

— რა თქმა უნდა. სადაც ქართველი პოეტი წარდგება, იქ უამრავი შეკითხვა დაისმის საქართველოზე. ზემოთ ნახსენებ



სალამოს ერქვა — “არქაული საქართველო სიტყვით და ფერით”. ხმამაღალი სახელწოდება იყო და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა.

— გული დამწყდა, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ირმა შიოლაშვილს ქართულმა მხარემ არ დაუძახა...

— მართალი გითხრა, ეს ძალიანაც არ გამეკვირვებია, რადგან არანაირ “კლანს” არ ვეკუთვნი. თუმცა კი გულდასაწყვეტია, რომ შენი ქვეყნის ხელმძღვანელობა თვალებს ხუჭავს შენს არსებობაზე და იმაზეც, რომ შენი წიგნი საქმაოდ კარგი გერმანული გამომცემლობის მიერაა გამოცემული.

ზემოთაც ვახსენეთ, რომ გერმანული წიგნის წარდგინება თბილისში გაიმართა და ეს მოვლენა შარშან მედიამაც საკმაოდ ფართოდ გააშუქა. ისე, ჩემი და ჩემნაირების უცხოეთში ბრძოლაც ამ შემთხვევას ჰგავს, ცალად მდგომებს დაგვაქვს პეშვებით საქართველო და გული გვტკივა, რომ სამშობლოს უცხოეთში წასული ნიჭიერი შვილები ხშირად არ ახსოვს. მე პირადად, სადაც უნდა ვიცხოვრო, ქართული ლიტერატურის ნაწილი ვარ და ყოველთვის დამწყდება გული, როცა ჩემი ქვეყანა ჩემს არსებობაზე თვალებს დახუჭავს. ძალიან ხმამაღლა კი ვსაუბრობ...

— სამწუხაროდ, რაც თქვი, საქართველოში მცხოვრებ იმ შემოქმედთა ხვედრიცაა, ვინც ასევე არცერთ დაჯგუფებას არ ეკუთვნის... ირმა, ვინც გიცნობს, კარგად იცის, რომ ქართული სიტყვა 1999 წლიდან პირველად შენ გაახშირე გერმანული რადიოთი...

— ბრძოლა მაშინაც ცარიელი ხელებით დავიწყე. ამ საქმეშიც ისევე გერმანელი კოლეგები დამიდგნენ მხარში. უცხოეთში ცხოვრების დროს ერთმა რამემ გადამარჩინა — პირველ რიგში იმისთვის დავიწყე ბრძოლა, რომ თავი არ დამეკარგა. ქართულად ეთერში გასვლაც ამ ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი იყო.

— ახლა ქართულ საკვირაო სკოლასაც უძღვები ბონში...

— მეც ისევე, როგორც ბევრი უცხოელი, ერთგვარ ტვირთს დავატარებ, შვილებს ჩემი მშობლიური ენა ვასწავლო. საკვირაო სკოლაში ჩემი შვილებივით შერეული სისხლის მქონე ბავშვები მოდიან, ან ის ქართველი ბავშვები, რომლებიც გერმანიაში დაიბადნენ და ქართული თითქმის არ იციან.

— შენი ახალი, მეხუთე კრებულის — „ორშაბათი“ — წარდგენაზე მწერლის სახლში შენი ახალი ლექსების ნაკადს ემიგრანტული უწოდეს. ეთანხმები?

— ბელა ჩეკურიშვილის ეს მიგნება ცოტა არ იყოს მტკივნეული იყო ჩემთვის. თუმცა იმ ფაქტს ვერ დავემაღლები, რომ ბოლოდროინდელ ნაწერებში ჩემი ყოველდღიურობა იგრძნობა. მაინც ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ამ ტვირთს მომაშორებს ჩემი მკითხველი...

— წიგნს „ორშაბათი“ რატომ უწოდე?
— ორშაბათი ერთ-ერთი ლექსის სათაურია. როცა ეს ლექსი დაიბადა, ვიგრძენი, რომ ახალი ტალღა წამოვიდა ჩემს შემოქმედებაში.

— შენთვის რას ნიშნავს ორშაბათი? რა სიმბოლური დატვირთვა აქვს?

— ყოველთვის შეიძლება ყველაფერი ახლიდან დაიწყო. ჩემი ცხოვრების კრედიტს ეს არის.

— და მაინც, რა შეგძინა და რა წაგართვა ევროპაში ცხოვრებამ?

— გერმანიაში ცხოვრება, ყოველდღიურობა, ინტეგრირებისთვის მუდმივი ბრძოლა ბევრი დაუწერელი ლექსის ფასად დამიჯდა, თუმცა იქ ცხოვრებამ მაინც ძალიან გაამდიდრა ჩემი სამყარო ალბათ იმიტომ, რომ ჩემს ფესვებს არასდროს მოვწყდი, თორემ თავი რომ დამეკარგა, ჩემი სული უცხო კულტურას საერთოდ ვერ მიიღებდა. სადაც უნდა ვიცხოვრო, საზრდოს ყოველთვის ქართული ფესვებიდან მივიღებ.



ნოდარ გურაბანიძე

სამყარო თეატრალის თვალთ

სანმოკლე პარაპანდი

1958 წელს ერთმა ტეხასელმა, 23 წლის ყმანვილმა ვან კლიბერნმა (კლაიბერნმა) მაღალმა, სპორტულად განვრთნილმა და ამერიკელთათვის ეგზოტურ და მამახასიათებელი ოპტიმიზმით სავსემ, ლამის დააჩოქა ჯერ მოსკოვი, ხოლო შემდეგ მთელ საბჭოეთს ისე დაახვია თავბრუ, რომ ცოტა დააკლდა რუსეთის სახალხო გმირად მის გამოცხადებას.

სწორედ ამ წელს მოსკოვში პირველად ტარდებოდა ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა გრანდიოზული საერთაშორისო კონკურსი. მთელი მსოფლიოს მელომანთა და მუსიკოსთა ყურადღება აქეთ იყო მოპყრობილი. მოსკოვში თავი მოიყარეს პლანეტის საუკეთესოზე საუკეთესო ახალგაზრდა პიანისტებმა. საერთაშორისო კონკურსის საბჭოთა ორგანიზატორებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ პირველ პრიზს უეჭველად დაუფლებოდა რუსული პიანისტური სკოლის წარმომადგენელი და ეს მოლოდინი სრულიად არ ყოფილა საფუძველს მოკლებული, რადგანაც ამ სკოლის მაღალი რეპუტაცია საყოველთაოდ იყო ცნობილი. მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველი ტურიდან აშკარად გამოიკვეთა ერთი ფავორიტი — ვან კლიბერნი. ტურიდან ტურამდე ფანტასტიკურად იზრდებოდა მისი პოპულარობა მსმენელთა შორის, მოსკოველი ქალიშვილები, და არა მარტო კონსერვატორიის სტუდენტები, საათობით ელოდნენ მის გამოსვლას ქუჩაში, რათა საკუთარი თვალით ეხილათ ბუნების ეს ახალმოვლენილი საოცრება...

დადგა ბოლო, დასკვნითი ტურის დღე და ვან კლიბერნმა დაუკრა მთავარი საკონკურსო ნაწარმოებები — ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრისთვის — დაუკრა ისეთი აღმაფრენით, ისეთი შთაგონებით, რომ მსგავსი რამ შემდგომ აღარასოდეს არ განუცდია.

მაღე ცნობილი გახდა, რომ ჟიური ურთულესი დილემის პირისპირ აღმოჩნდა — ტრიუმფი ისეთი დიდი იყო, ხოლო აღიარება ისეთი საყოველთაო, რომ პირველი პრიზი აშკარად ამერიკელს ეკუთვნოდა (მქუხარე ტაში გადაფარა ქანდარიდან სამგზის გადმოსროლილმა ფრაზამ — „პირველი პრემია ვან კლიბერნს!!!“), მაგრამ ეს ხომ რუსული საფორტეპიანო სკოლის პრესტიჟის შელახვა იქნებოდა!? ამასთან, ეს იყო ჩაიკოვსკის სახელობის პირველი საერთაშორისო კონკურსი სსრკ-ში. აქ უეჭველად უნდა გავიხსენოთ ის რთული პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რაც თავნება ხრუშჩოვის დროს,

ხალხს მიძიე ტვირთად აწვა. ეს იყო „ცივი ომის“ ერთ-ერთი ყველაზე ცხელი პერიოდი. სულ მცირე სიმპათიის გამოვლენაც კი უცხოელებისადმი, განსაკუთრებით ამერიკელებისადმი, ლამის სისხლის სამართლით დევნას ექვემდებარებოდა.

განიხილებოდა ასეთი ვარიანტიც, რომ პირველი პრემია ორ პიანისტს – ამერიკელს და რუსს გაეყო (ეს მეორე იყო ლევ ვლასენკო, რომელსაც ადრე თბილისის მუსიკალური სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული), როგორც ეს მოხდა შემდეგ, 1962 წელს, როცა პირველი პრემია გაიყვეს რუსმა ვლადიმერ აშკენაზიმ და ინგლისელმა ჯონ ოგდანმა. მაგრამ ყოფრით თავი შეიკავა.

მნიშვნელოვან საერთაშორისო მასშტაბის სკანდალი. ძალზე ცუდ დღეში იყო ჟიურის თავმჯდომარე, მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტი ემილ გილელსი. ვითარება ისე გამწვავდა, რომ სსრკ-ს კომპარტიის გენერალური მდივანი ხრუშჩოვიც კი ჩარიცხა საქმეში. ნიკიტას უკითხავს – ნუთუ გამოსავალი არ არისო. იქ მყოფ გამოჩენილ პიანისტს სვიატოსლავ რიხტერს ჩაულაპარაკებია (თუ გამომსახველი ყველგან უჩვენებია), გამოსავალი ერთია – კლიბერნს ხელის მტყვნებს თუ წავაწყვეტო (ეს ისტორია მოვისმინე მუსიკისმცოდნე პავლე ხუჭუასაგან, მოსკოვისა და ლენინგრადის მუსიკალურ წრეებთან ძალზე დახლოებული მოღვაწისაგან).

მოკლედ, ბოლოს მაინც სამართალმა იზიმა და გამარჯვებულად ამერიკელი გამოცხადდა (II პრემია – ლევ ვლასენკოს). რუსული მუსიკის მესვეურებს სანუგეშოდ ის ჰქონდათ, რომ კლიბერნის პედაგოგი როზალია ლევიჩა მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებული (ოქროს მედალოსანი) გახლდათ და ეს ცოცხალი ანელებდა მათ განზილვებას, იმის თქმა კი ავიწყებოდათ, რაც გაიხსენა ჩემმა მეგობარმა, მუსიკისმცოდნე გულბათ ტორაძემ, ვან კლიბერნის გარდაცვალების გამო დაწერილ თავის მშვენიერ ესეში. კერძოდ, როზალია ლევიჩა, თავის პიანისტ მეუღლესთან ერთად, 1899-1901 წ. ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში (იხ. „ვეჩერნი ტბილისი“. 04.03.2013). რუსი მუსიკისმცოდნეები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ კლიბერნის შესრულება თავისი სულისკვეთებით რუსული იყო. ეს მულაგდებოდა მუსიკალური ნაწარმოების ფორმის შეგრძნებასა და გაჟღერების ფერწერულობაში.

კლიბერნი ერთბაშად გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი პიანისტი, ამერიკის ლეგენდარული გმირი. მისი პოპულარობა განუზომელი იყო, საკონცერტო მოღვაწეობა – უშრეტო. 1960 წელს მან თბილისში, ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში (ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „გოფოლექტის ბაღში“, მაშინდელი პლენანოვის პროსპექტი) გამართა კონცერტი, რომელსაც ფენომენალური წარმატება ხვდა ნილად. იმ დღეებში – ამასაც გულბათ ტორაძე იხსენებს – „საქართველოს საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში“ ამერიკელ პიანისტს დაუფინყარი შეხვედრა გაუმართეს, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს მუსიკალური სამყაროს უთვალსაზიროესი წარმომადგენლობაც. იქვე ჩააცვეს თეთრი ჩოხა და ჩექმები, თავზე კი თეთრი ფაფახი დაახურეს. სწორედ ამ შეხვედრაზე კლიბერნს უთქვამს, ჩემი პედაგოგი როზალია ლევიჩა ძალზე გულთბილად იხსენებდა საქართველოს და ქართველობასო.

მაგრამ მოსკოვის ტრიუმფატორი ვან კლიბერნი დარჩა ლეგენდარულ პიანისტად და დიადი პიანისტი მაინც ვერ გახდა. გარდაიცვალა 2013 წელს, 78 წლისა. უკანასკნელი ოცი წელი სულ განმარტოვდა (თითქმის ისე, როგორც მწერალი ჯერომ სელინჯერი და მოჭადრაკე ბობი ფიშერი), აღარც საჯაროდ უკრავდა, აღარც ხმის ჩამწერ სტუდიებს ეკარებოდა. შეწყვიტა პედაგოგიური მოღვაწეობა, ახლოს არ იკარებდა ჟურნალისტებს. მაგრამ სულის მხნეობა და ოპტიმიზმი მაინც მთლად არ დაუკარგავს. საინტერესო ამბავს აცხადებდა: „შემოქმედებითი გზის დასაწყისში მე არაადამინაურ, ენითუთქმელ დაძაბულო-

ბას განვიცდიდი, როცა განუწყვეტელმა კონცერტებმა ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელ, უსასრულო მართონად აქცია... მე მხოლოდ ერთხელ, მოსკოვში, ოცდაათი წუთის მანძილზე ვიყავი გენიოსი. სწორედ ამ ნახევარ საათს დამნათოდა თავზე შარავანდედი. მთელი ჩემი სიცოცხლე ვგრძნობდი ამ ნათებას და ეს შთაგონებით მავსებდა... არა აქვს მნიშვნელობა, რომ ვერ გავხდი დიდი ოსტატი, მე ის წუთებიც მყოფნიდა საამაყოდ“...

საოცარია, უეცრად მოვარდნილმა შთაგონებამ დიდი ოსტატი მცირე ხნით გენიოსად აქცია!

„კვილა კარეტა“ გაუსწრო სოციალისტურ ლოკომოტივს

XX საუკუნის ოციან წლებში მოსკოვის ორი თეატრი — „დიდი თეატრი“ და „სამხატვრო თეატრი“ ბენზე გადურჩნენ განადგურებას. როგორც მოსკოვში გამოშვებული დიდფორმატიანი მრავალგვერდიანი გაზეთი „კულტურა“ („Культура“ №8, 2012), რომელიც თითქმის მთლიანად ხელოვნებასთან (უპირატესად თეატრთან) სტალინის ურთიერთობას ეხება, გვაუწყებს, თავგაცხელებულმა, რევოლუციური (ანუ ნგრევის) აზარტით შეპყრობილმა ბოლშევიკებმა წამოაყენეს წინადადება – ხალხისაგან ესოდენ შორს მდგარი „დიდი თეატრი“ თავისი არსით და გარეგნული იერით თვითმპყრობელობის იდეის გამოხატველი, როგორც მისი სიმბოლო, უნდა დაინგრესო (Надо снести).

სტალინს ამ წინადადების წინააღმდეგ გაულაშქრია და ასე გადაურჩინა ეს მსოფლიოს მნიშვნელოვანი კულტურის კერა.

კარგი დღე თურმე არც სამხატვრო თეატრს ადგა, რომელიც სოციალისტური კრიტიკის მიერ გამოცხადებული იყო, როგორც „ძველი ბატონკაცური კარეტა“, რომელიც ვერასოდეს ვერ დაენევა „სოციალისტურ ლოკომოტივს“. მაგრამ სტალინს სწორედ კლასიკური ხელოვნება მოსწონდა, რადგან მასში ხედავდა განსაკუთრებულ ძალას და სიდიდეს, რომელსაც ხელწინააღმართო „დერჟავინკული იდეების“, არამედ კომუნისტური იდეების პროპაგანდა. მას არ იზიდავდა, წარმოიდგინეთ, არც ვს. მიეერხოლდის „რევოლუციური თეატრის“ ავანგარდული ხელოვნება და არც ა.ტაიროვის „კამერული თეატრის“ ნატიფი ესთეტიკა, რომელსაც „ნამდვილი ბურჟუაზიული“ უწოდა (თუ რა დამართათ მალე ამ თეატრებს და მათ ხელმძღვანელებს, თეატრის ისტორიიდან კარგად არის ცნობილი).

ბოლშევიკური პარტიის ლიდერთაგან სტალინი ყველაზე ხშირად დადიოდა თეატრებში. ვახტანგოველები იგონებენ, რომ სტალინი თეატრში მოდიოდა არა მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებებზე, არამედ ჩვეულებრივ სპექტაკლებზე, ჯდებოდა მეექვსე რიგში, როგორც უბრალო მაყურებელი და უყურებდა წარმოდგენებს. როგორც ჩანს, მას მოსწონდა ვახტანგოველთა „თეატრი-დღესასწაულის“ ესთეტიკა, მაგრამ მასზე წინ მაინც სამხატვრო თეატრის ხელოვნებას აყენებდა: „ჩანს, თქვენი არტისტები ნიჭიერები არიან. შესაძლოა მათ არ გააჩნიათ იმდენი ხელოვნება, როგორც სამხატვრო თეატრის არტისტებს, მაგრამ ცხოველმყოფელობა, აი, ცხოველმყოფელობა კი თქვენ მეტი გაქვთ“ — ეუბნებოდა იგი ვახტანგოვის სახელობის თეატრის მესვეურებს.

სერგეი კიროვის მკვლევლობის შემდეგ ძალიან გამკაცრდა დაცვის რეჟიმი თეატრში და სტალინი ძირითადად ორი თეატრით — „დიდი თეატრით“ და „სამხატვრო თეატრით“ — შემოიფარგლა. ორივე ამ თეატრში სტალინს მოუწყვეს სათანადოდ აღჭურვილი ლოჟები, თუმცა დიდ თეატრში კი იყო სამეფო ლოჟა, მაგრამ სტალინი იქ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შედიოდა, როცა ან ფრიად მაღალი რანგის სტუმარი მოჰყავდა ან მისთვის საყვარელი სცენა თამაშდებოდა. მაგალითად, უყვარდა ოპერა „ივან სუსანიის“ საფინალო სცენის დასაწყისი, როცა მინინი და პოჟარსკი ცხენებით შემოდისო. ეს სცენა

სტალინის რეჟისორული იდეა ყოფილა (უნდა ვაღიარო, რომ მთლად მოსაწონი იდეა არაა). საერთოდ ეს ოპერა მისი ერთ-ერთი სათაყვანებელი მუსიკალური ნაწარმოები გახლდათ.

აქ არ შემძლია არ გავიხსენო სახელოვანი მუსიკოსმცოდნე პავლე ხუჭუა, რომელიც თეატრმცოდნეებს სამი სემესტრის მანძილზე გვიკითხავდა დასავლეთ ევროპისა და რუსული მუსიკის ისტორიის კურსს. მუდამ მომღიმარი, თვალში სიკეთის გამოძახებელი ნათებით, ყველასადმი კეთილგანწყობილი ბ-ნი პავლე ნამდვილი ერუდიტი იყო, პოლიგლოტი, განსაცვიფრებლად ინფორმირებული და, რაც ცალკეა აღსანიშნავი, უჩვეულოდ წარმატადი მთხრობელი, რომელსაც არამარტო მუსიკის სამყაროში შევეყავით, არამედ უამრავ საინტერესო ამბებს გვაცნობდა დიდ კომპოზიტორთა პირადი ცხოვრებიდან. მგლინკას ოპერა "ივან სუსანიჩი" საუბრისას მან ასეთი რამ გაიხსენა: სტალინი „დიდ თეატრში“ დასწრება ამ ოპერის პრემიერას. ეტყობა, სპექტაკლის დადგმით მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩენილა. წასვლის წინ ეს უკითხავს მხოლოდ „კი მაგრამ, ნუთუ ივან სუსანიჩის ეპოქაში რუსეთში სამღვდელთა არ არსებობდა?“ როგორც ჩანს, სპექტაკლის ავტორები შიშობდნენ – საბჭოთა კრიტიკამ რელიგიური პროპაგანდა არ დაგვანაოსო, და, შესაბამისად, მოუხდენიათ ოპერის კორექცია. სტალინის ამ შენიშვნის შემდეგ იყო სწორედ, რომ „განახლებული“ სპექტაკლის ფინალში დიდი პომპეზურობით, მდიდრულ კოსტუმთა თვალისმომჭრელი ბრწყინვალეობით და სიდიდით გამოდიოდა ლამის მთელი სინედრონი, რაც სპექტაკლს განსაკუთრებულ სიდიადეს და მონუმენტურობას სძენდა.

კომპოზიტორ გლინკას ეს ქმნილება არ ყოფილა გამონაკლისი, ცნობილია სტალინის განსაკუთრებული სიყვარული ჩაიკოვსკის „პიკის ქალისადმი“, ხოლო მისი ბალეტი „გედის ტა“, თეატრის ადმინისტრატორთა მოწოდებით, ოცჯერ უნახავს (მოსწონდა „ნათელი ყაყაჩო“ და ბორის ასაფიევის ბალეტიც „პარიზის ცეცხლი“. ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ მოუხმია ქორეოგრაფი და უკუთხავს „ამ ბალეტს აქვს ჩემი სახელობის პრემია?“).

მაგრამ საბოლოოდ დრამატული თეატრებიდან განსაკუთრებით „სამხატვრო თეატრი“ უყვარდა. იგი ხშირად მოწონებულ იცნების სანახავად მოდიოდა აქ, ხანდახან პარადული კოსტუმითაც კი, ხშირად მარტო, ჯდებოდა ბენუარის მარჯვენა ლოჟაში, ფარდებს ამოფარებული. უყვარდა კ.ტრენიოვის „ლუბოვ იაროვია“, ა.ოსტროვსკის „ცხელი გული“ და, რასაკვირველია, განსაკუთრებით ბულგაკოვის „ტურბინთა დღეები“. ერთ-ერთი მთავარი გმირის შემსრულებლისათვის, ნიკოლაი ხმელიოვისათვის უთქვამს: „Хорошо играет Алексея. Мне даже снятся ваши черные усики, забыть не могу“.

„სულტურაში“ გამოქვეყნებული მასალებიდან შეიძლება ცალკე გამოვყოთ ორი, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი მოსაზრება. პირველი ეხება სამხატვრო თეატრს: „ფსიქოლოგიური თეატრის მიმართულების შენარჩუნება სტალინის დამსახურებაა!“

სწორედ სტალინის წყალობით ეს „ძველი ბატონკაცური კარეტა“ საბჭოთა კულტურის სიამაყედ იქცა. მაგრამ ნამეტანი მოუვიდა. წლების მანძილზე შეიქმნა ამ თეატრის და „სტალინისლავსკის სისტემის“ კულტი, რამაც საბჭოთა თეატრების სტილისტური და შემოქმედებითი მრავალფეროვნება თითქმის ერთ სიწმინდედ დაიყვანა.

მეორე დასკვნა: „ნათელია, რომ სტალინის ძალისხმევით საბჭოთა ისტებლიშმენტმა შეიყვარა ოპერა, ბალეტი და კლასიკური ხელოვნება“. მე კი დღემდე გულწრფელად მივიჩნევ, სად, როდის შესძლო სტალინმა თეატრალური ხელოვნებისა თუ კლასიკური ბალეტის ასე შეყვარება? მან ხომ მთელი ახალგაზრდობა და სიჭაბუკე რევოლუციურ ბრძოლებში, გადასახლებებში, პარტიულ საქმიანობაში გაატარა?! ან სად პოულობდა ამ სახელმწიფო-კოლოსის შემქმნელი დროს ხე-

ლოვნებისათვის?! ბოლოს კი, სხვათა შორის, ეს ყველაზე მეტად მივიჩნევ, რა იყო ეს უცნაური ახირება ერთიდაიმავე სპექტაკლის ათჯერ თუ ოცჯერ ნახვისა?

აი, ბალეტებზე მისი ხშირი სიარული არ გაგვიკვირდება იმ შემთხვევაში, თუ ვერწმუნებით ერთი რომანის ანონიმურ ავტორს, რომელიც სტალინის რომანტიკულ ამბებს მოგვითხრობს სამ მსახიობთან – ცნობილ მეცნობარანოსთან, ვერა დავიდოვასა და ბალეტის ორ ვარსკვლავთან – ალა შელესტან და ოლგა ლეპეშინსკაიასთან. სხვათაშორის, ო. ლეპეშინსკაიას მოგონებათა ერთი ფრაგმენტი მკრთალად მიგვანიშნებს სტალინთან მის შესაძლო რომანს. ბალეტინა იხსენებს თავის პირველ გამოსვლას დიდი თეატრის სცენაზე: „მაგარი კომკავშირელი ვიყავი, აქტიურად ვენოდი საზოგადოებრივ საქმიანობას. გულწრფელად მჯეროდა კომუნიზმის გამარჯვების. სტალინს არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ხშირად მოდიოდა ჩემს სპექტაკლებზე (მიაქციეთ ყურადღება: „ჩემს სპექტაკლებზე“-ო ნ.გ.) და ლოჟაში ჯდებოდა. ვიცოდი, რომ ის იქ იყო და ვცდილობდი ლამაზ პოზებში დგომას. გაანგარიშებული მქონდა მისი ხედვის რაკურსიც კი. მეუბნებოდნენ, რომ სტალინი თურმე მე „სტრეკოზას“ (გადატ. ანცი, ცქმუ-კია. ნ.გ.) მიწოდებდა“ („Культура“, 8.2013). როგორც ჩანს, ამ ბალეტინამ იმდენი იანცა და იცმუკა, რომ ბოლოს, სტალინის ლოგინში ამოჰყო თავი... როგორც ინდაურმა საცივში...

P.S. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ა.შელესტსა და ო.ლეპეშინსკაიას ერთმანეთი სძულდათ, როგორც მანგუსტსა და გველს.

ლეონიდ პასტერნაკი, მამა ბორის პასტერნაკისა

რუსთაველის თეატრის ლონდონში გასტროლები („რაუნდ ჰაუზი“, „რიჩარდ მესამე“, 1980წ.) დასასრულს უახლოვდებოდა. ჩვენმა მასპინძელმა, მილიონერმა რობერტ მაქსველმა მთელი დასი მიიპატიჟა თავის ოქსფორდის სასახლეში. მაქსველმა, რომელიც ჭკვიანი და გამჭრიახი პოლიტიკოსი გახლდათ, ბანკეტზე მოიწვია სსრკ-ს ელჩი ინგლისში ნ.ლუწკოვი. ძალიან დაძაბული ვითარება იყო, მაგრამ „პოლიტიკურ სიციყეთა მიუხედავად საქართველოს რუსთაველის თეატრი მაინც ჩამოვიდა ლონდონელ მაყურებელთან შესახვედრად“ – წერდა გაზეთი „ტაიმსი“. ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის გამო შემკრთალი ელჩი იშვიათად სტოვებდა თავის რეზიდენციას ლონდონში. უკვე ოქსფორდის სასახლეში ვიყავით, როცა ნ.ლუწკოვმა დარეკა და მასპინძელს მოუბოდიშა – დამავიანდებო. მაქსველის მსახიობმა ქალიშვილებმა დასის წევრები საკუთარ, თვალწინდებულ პარკში გაიყვანეს სასაფრთხოდ. მაშინ ახალგაზრდა რამაზ კლიმიაშვილმა, რომელიც ოქსფორდში სწავლობდა და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ სახელი გაითქვა როგორც შეუპოვარმა პუბლიცისტმა და პოლიტიკურმა მიმომხილველმა (სხვათა შორის, ცნობისმოყვარე რამაზი პირადად მე დავაპატიჟე ამ ბანკეტზე, ვითომც რუსთაველის თეატრის დასის წევრი), შემომთავაზა ცნობილი რუსი მხატვრის, ლეონიდ პასტერნაკის გამოფენის („Oxford University Press“) მონახულება. ლეონიდ პასტერნაკი გახლავთ მამა გენიალური რუსი პოეტის ბორის პასტერნაკისა და სწორედ ოქსფორდშია დაკრძალული.

სამწუხაროა, რომ ეს შესანიშნავი რუსი (ანუ ებრაელ-გერმანელ-ბრიტანელი) მხატვარი შვილის დიდების ჩრდილში მოექცა და დღემდე თითქმის მივიწყებულია თვით რუს ხელოვნებათმცოდნეთა მიერაც. კაცმა რომ თქვას, რა ჩემი გამოსასარჩლებელია და, ლეონიდ პასტერნაკი ნამდვილად არ იმსახურებს ამგვარ დამოკიდებულებას. შესაძლოა ამის მიზეზი ისიც იყო, რომ იცხოკ-ლები პასტერნაკი (ლეონიდ პასტერნაკი) გულმხურვალე სიონისტი გახლდათ, ალექსეულ მინაზე

მონაწილეობდა იერუსალიმის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში (როგორც მხატვარ-გრაფიკოსი) და, როცა მოსკოვში მასწავლებლობდა ფერწერის, ქანდაკების და არქიტექტურის სასწავლებელში, ოფიციალურად განაცხადა უარი პირველად გადართვაზე. XIX ს-ის შუა წლებში იგი სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში (მისი ერთ-ერთი პედაგოგი იყო ცნობილი რუსი პეიზაჟისტი ი.პიშკინი). ხშირად იფინებოდა „პერედვიჟნიკებთან“ ერთად. იყო გაერთიანება „მირ ისკუსსტვოს“ წევრი. 1921 წელს ემიგრაციაში წავიდა, 1938 წელს გადაინაცვლა ინგლისში და ოქსფორდში დასახლდა (გარდაიცვალა 1945წ.)

სხვადასხვა დროს მისი ნატურები იყვნენ ცნობილი ადამიანები: მ.გორკი, რ.მ.რილკე, ს.რახმანინოვი, ფ.შალიაპინი, ა.სკრიაბინი, მოცეკვავე ადა რუბენშტეინი, ლევ ტოლსტოი (ცნობილია მისი შესანიშნავი კომპოზიცია „ტოლსტოი ოჯახთან ერთად იასნაია პოლიანაში“). მის მიერ შექმნილი პეიზაჟები არაფრით არ ჩამოუვარდებოდა, თუ არ აჭარბებს კიდევ, ვთქვათ, სახელგანთქმული ლევიტანის პეიზაჟებს. მისი „ოქროს შემოდგომა“, „ფანჯარასთან. შემოდგომა“, „მზის სხივი“, „ნაძებები და ზღვა“ გამოირჩევა მზის სხივებით გამოწვეული რეფლექსიების უნატიფესი გადმოცემით. თავის დროზე რუსული საზოგადოება აღტაცებული შეხვდა მის მიერ შექმნილი უსტრაციების (ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, „აღდგომა“, ლერმონტოვის დრამატული თხზულება „მასკარადი“, პოემა „მწირი“). მის მიერ შექმნილი ათასზე მეტი გრაფიკული ნახატი, აკვარელი, ფერწერული ტილო მილიონობითაა ტირაჟირებული, მაგრამ მაინც, ვიმეორებ, შეიღის, ბორის პასტერნაკის, ჩრდილშია მოქცეული დღემდე.

როცა მე და რამაზ კლიმაშვილმა მოვიწახლეთ ლეონიდ პასტერნაკის მუზეუმი, იგი ის-ის იყო იკრებდა ძალებს და იწყებდა მისი მხატვრული ნაწარმოებების კომპლექტაცია და კატალოგიზება. ამის მიუხედავად, რაც ვნახეთ, ჭეშმარიტად მხატვრული ოსტატობის ნიმუში იყო. რომ არა რამაზ კლიმაშვილი, ამასაც ვერ ვნახავდ.

ეს ებრაელ-გერმანელ-ინგლისელი მხატვარი, რომლის ტილოებში რუსული ბუნების მშვენიერ განწყობა იშვიათი ოსტატობითაა გადმოცემული, რუსეთმა „გაიუცხოვა“. ინგლისელებმა კი მას სპეციალური მუზეუმი გაუხსნეს ოქსფორდში, ხოლო ებრაელებმა მისი სახელი უწოდეს ტელ-ავივის ერთ-ერთ ქუჩას.

ლუსიენ ფროიდი, შვილიშვილი ზიგმუნდ ფროიდისა

ლონდონში, გალერეა ლეფერში (Lefere Gallery) და გალერეა Tate Britain-ში გამოფენილმა ლუსიენ მაიკლ ფროიდის ფერწერულმა ნამუშევრებმა ჩემზე ნარუმული, შეიძლება ითქვას, შოკისმომგვრელი შთაბეჭდილება დატოვა.

ლუსიენ ფროიდი გახლავთ შვილიშვილი დიდი ზიგმუნდ ფროიდისა, მაგრამ სახელგანთქმული პაპის დიდებას არ დაუჩრდილავს მხატვარ ლუსიენის სახელი, და, სხვათაშორის, არც ხელი შეუწყვია მისი განდიდებისათვის.

თუ ფსიქოანალიზის გენიალური ფუძემდებელი ადამიანის სულის სიღრმეში არსებულ ფარულ შრეებს იკვლევდა და მის ქვეცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს ანალიზებდა აქამდე შეუღწეველში შეღწევის გზით, მისი შვილიშვილი ე.წ. „ფიგურატიული ფერწერის“ აღიარებული მეტრი, თავისი უკიდურესად ნატურალისტური მხატვრობით „გარედან“, ადამიანის სახის, სხეულის უმცირესი დეტალების გამოსახვით (ცდილობდა ნატურის სულის წვდომას. იგი ამბობდა „ადამიანებს ვხატავ არა ისეთებს, როგორებიც არიან, არამედ ისეთებს როგორებიც შეიძლება ყოფილიყვნენ“.

ლუსიენ ფროიდი ხატავდა მხოლოდ პორტრეტებს და შიშველ ფიგურებს. მას თავისებური წესი ჰქონდა: ვიდრე კარგად

არ გაიცნობდა მოდელს, ხატვას არ იწყებდა. თავის სახელოსნოში ინვევდა სადილად, დიდხანს ესაუბრებოდა სხვადასხვა თემაზე, ამასობაში იგი სწავლობდა მოსაუბრის სახის გამომეტყველებას, მისი შესტების ენას, სხეულს, მის საყვარელ პოზას, როგორც ჩანს, ქარიზმატული შემოქმედი იყო და ადვილად შეეძლო ადამიანების მოწონება. ამას მოწმობს მისი ურიცხვი რომანული თავგადასავალი, რომლებიც არც დონ ჟუანისა და არც კახანოვას ფათერაკებს არ ჩამოუვარდებოდა. ულამაზესი ცოლები ჰყავდა (მისი პირველი ცოლი კეტლინ გარმენი – ცნობილი სკულპტორის ქალიშვილი, მხატვრის ყველაზე ცნობილი პორტრეტების მოდელი იყო (მაგ. „Girl with a white dog“) და უამრავი საყვარელი, რომლებთანაც ბარე ათი შვილი ჰყავდა (ყველას მისცა თავისი გვარი). დახატა მრავალი სახელოვანი ადამიანი, რომელთა სხეულის ყველა ხვეული, სახის ყველა ნაოჭი, ძარღვები ხელის მტევანსა და ტანზე, კაპილარების ქსელი, კანის ფერი მეცნიერული სკრუპულოზურობით შესწავლილი, ტილოზე აღიბეჭდებოდა მსუყე პასტოზური მონასმებით. მის მზერას არ ეპარებოდა კანის ტექსტურა, ნებისმიერი ნაკლი, პიგმენტები, სხეულის ბალნიანი ფაქტურა, ლაქა, უმცირესი მუწუკი. ადამიანის არსის შეცნობის მთავარ „ინსტრუმენტად“ მან აქცია ფუნჯის მონასმის (MAZOK) ძალმოსილება. ადამიანის სხეულის უხეში გარსის მიღმა ხედავდა ამ სხეულის ავადმყოფურ არსს. ამიტომ ვთქვი თავში, რომ მისი ფერწერის ხილვამ შოკი მომგვარა-მეთქი. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ ცნობილმა ბრიტანელმა არტკრიტიკოსებმა სასტიკად გააკრიტიკეს მის მიერ დახატული დედოფალ ელისაბედ II-ის პორტრეტი, სადაც ეს დიდი ქალბატონი მამაკაცს უფრო ჰგავს და ნიკაპის ირგვლივ მოშავო მოლურჯო ფერი რაღაც დემონურ გამომეტყველებას ანიჭებს.

ადამიანის სხეულის ამ აპოლოგეტზე ამბობდნენ კიდევ, ფსიქოანალიზში პაპამისს, ზიგმუნდ ფროიდს, გადააჭარბაო. მრავალმა მისმა ნამუშევარმა, განსაკუთრებით ზოგიერთმა მიშველმა ფიგურამ, ჩემში ერთგვარი ზიზღიც კი გამოიწვია, იმდენად შელახა ჩემი ესთეტიკური გრძნობა, მაგრამ მისი დიდი ფერწერული ოსტატობის უარყოფა შეუძლებელია.

მილიონერი ლუსიენ ფროიდი, რომლის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი რუსმა მილიარდერმა რომან აბრამოვიჩმა შეიძინა 8 მილიონად, გარდაიცვალა 2011, 90 წლისა, პატივით და დიდებით მოსილი – დაჯილდოებული იყო ბრიტანეთის იმპერიის ორდენით, ღირსების კავალერთა ორდენით, რუბენსის პრემიით, თანამედროვე ბრიტანელ მხატვართა შორის იყო პირველი, რომლის ფერწერული ტილოებიც გამოიფინა სახელმწიფო საოჯახო მუზეუმში — „Wallace Collection“, სწორედ ამის შემდეგ აღიარეს იგი თანამედროვე მხატვრობის კლასიკოსად.

ჯინს მაკალამ ფროიდი — შვილი ლუსიენ ფროიდისა

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ლიტერატურისა და ხელოვნებისთვის გამოთქმული სტალინური ფორმულა, რომელიც საბჭოთა ესთეტიკის ფუნდამენტალურ ნორმად იქცა — „ფორმით ეროვნული — შინაარსით სოციალისტური“. თითქოს ამის საპირისპიროდ, ჯინს ფროიდის შემოქმედებაზე ამბობენ: „ფორმით აბსურდული — შინაარსით გენიალურად გაუგებარი“. თვრამეტი წლის ჯვინმა პირველი პერსონალური გამოფენა გამართა ლონდონში. აქედან მოყოლებული იგი მრავალი პრესტიჟული ვერნისაჟის მონაწილეა. მისი ნამუშევრები (ფერწერა, სკულპტურა, გრაფიკა, ინსტალაცია, დიზაინი, მედალიონები) მსოფლიოს სახელგანთქმული მუზეუმების მუდმივ ექსპოზიციაშია (ბრიტანეთის მუზეუმი, ეროვნული გალერეა — ლონდონში, საბერძნეთის ეროვნული მუზეუმი, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმი, კარნეგის მუზეუმი პისტ-

ბურგში (აშშ), თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (ზინდაი — ჩინეთი), 2013 წელს, მოსკოვში, პუშკინის სახელობის მუზეუმში, მოენყო მისი მედალიონების გამოფენა).

ბრუკლინის მუზეუმში გამოფენილი მისი ფერწერა და ქანდაკება, ჩემი აზრით, არაფერს აბსურდულს არ შეიცავს. მამამისივით იგი უპირატესობას პორტრეტის ჟანრს აკუთვნებს, მაგრამ მამისგან განსხვავებით, იგი შორსაა უკიდურესი ნატურალიზმისაგან. მასთან მხოლოდ ფორმაა ძალზე უტრირებული. ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება, უპირატესად, მისმა პლასტიკურმა ნამუშევრებმა მოახდინა. იგი ადამიანის ტორსს ნაწილებად ჰყოფს, თითქოს მოდელის ძლიერ დაკუნთულ სხეულში ბომბი აფეთქდა და თანაბარ ნაწილებად დაშალა იგი. ამის მიუხედავად, ფიგურის მთლიანობა არაა დარღვეული და ვგრძნობთ რაღაც უცნაური კატაკლიზმის ძალმომრეობას. თუ მაინცდამაინც გვსურს აბსურდზე ლაპარაკი, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ კონკრეტულად ეს ქანდაკება, მაინც, ცოცხალი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. სკულპტორს უყვარს მრავალგანზომილებიანი, შეწყვილებული პორტრეტული ქანდაკებანი, მეტიც, მაგალითად, ერთ სხეულზე სამი თავი და, ამის საპირისპიროდ, სულაც ბრტყელი, ერთგანზომილებიანი ნიღაბი — სახის გროტესკული პლასტიკა. როგორც ჩანს, მამამისის, ლუსიენის სიკვდილმა, მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და კომპარებისაგან თავდასხნის მიზნით ლუსიენის აგონიის ამსახველი სერია შექმნა, სადაც ჰალუცინაციური ხილვები ჭარბობს (ფერწერა, მუქი ყავისფერი, შავი ფერები პრევალირებენ). მისი მედალიონები კი, მართლაც, განსაცვიფრებელია. იშვიათია მრგვალი, წრიული, ანუ ტრადიციული მედალიონების ფორმა. ჯეისი, ეტყობა ძალიან მოსწონს უცნაური, ჩახლართული, სხვადასხვა მასალისაგან ჩანწული, ზოგჯერ კი კვერცხის ფორმის (ქვა) აბრიხი. მედალიონებზე გამოსახულია ფერადი პეიზაჟები ან პლასტიკური ფორმების კომბინაცია. არ ვიცი რა ტექნიკას ფლობს მხატვარი, ვერ მივხვდი, ბრინჯაოს გარდა რა მასალას იყენებს, მაგრამ ყველაფერი უჩვეულოდ ლამაზია. თითქოს ოკეანის სიღრმეში დანთქმული მხატვარი წყლის უცნაურ სამყაროს აღიქვამს და, უღამაზესი ფლორით და ფაუნით შთაგონებული, ქმნის „მედალიონ-ფერწერას“ და „მედალიონ-სკულპტურას“. ზოგიერთ მედალიონი გამჭვირვალეა, ზოგი კი შიგნიდან ისე ანათებს, თითქოს მასში უხილავი პანანკინტელა ნათურა ჩაუმონტაჟებულიათო.

ყოველივე ამის შემეგ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მას მიღებული აქვს ორი ოქროს მედალი — ფერწერაში (ლონდონი) და სკულპტურაში (რომი). 1991 წელს კი გაიმარჯვა დიდი ბრიტანეთის მოქანდაკეთა საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

„მეფე ოიდიპოსი“, „ოიდიპოს მეფე“ და ოიდიპოსი

რუსთაველის თეატრში რეჟისორ დოდო ალექსიძის მიერ დადგმული სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ (პრემიერა 20.03.1956) გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. გერონტი ქიქოძე წერდა ამ სპექტაკლის გამო: „შედიო რუსთაველის სახელობის თეატრში, შეუერთდით იმ აუდიტორიას, რომელიც სულმოუთქმელად თვალყურს ადევნებს ოიდიპოს მეფის ტიტანურ ბრძოლას ბედისწერასთან, ანუ ყოვლისშემძლე მოირასთან, რომელსაც თავად ღმერთებიც კი ემორჩილებოდნენ, და თქვენ დამეთანხმებით, რომ ეს დიდი ტრაგედია დღესაც კათარზისს, ანუ მაყურებლის სულის განწმენდას იწვევს, თუმცა ის ოცდაოთხი საუკუნის წინაა შექმნილი“.

სტეფან მოკულსკიმ (სსრკ-ში ერთდერთმა აკადემიკოსმა თეატრმცოდნეთა შორის) დოდო ალექსიძის ამ სპექტაკლს „უპრეცედენტო მოვლენა“ უწოდა მთელ საბჭოთა თეატრ-

ლურ სივრცეში, ხოლო გიორგი ტოვსტონოგოვის აზრით, „ეს იყო სპექტაკლი, რომელიც გვაოგნებდა თავისი სიმკაცრით და ძალმოსილებით... მისი გმირები შეპყრობილი იყვნენ წინააღმდეგობით, ჭეშმარიტების ტკივილიანი ძიებით“.

მეფე ოიდიპოსის როლს სამი მსახიობი თამაშობდა: აკაკი ხორავა, სერგო ზაქარიაძე და ეროსი მანჯგალაძე. სამივე თამაშობდა სხვადასხვანაირად (სწორედ ამ გარემოებას ეძღვნება ეს ჩემი ეტიუდიც!), თავიანთი დიდი, ინდივიდუალური მსახიობური ნიჭიდან და ოსტატობიდან გამომდინარე.

აკაკი ხორავა მაშინ (ე.ი. 1956წელს) სამოცდაერთი წლის იყო.

სერგო ზაქარიაძე — ორმოცდარვის (მოგვიანებით შევიდა სპექტაკლში).

ეროსი მანჯგალაძე — ოცდათერთმეტის. რასაკვირველია, ასაკით ამ როლს ყველაზე მეტად შეეფერებოდა ეროსი, რადგან, როგორც ვიცით, დედოფალი იოკასტე, რომელიც ოიდიპოსმა შეირთო ცოლად, დედამისი იყო.

რით განსხვავდებოდა ამ სამი მსახიობის შესრულების მანერა? აკაკი ხორავას ოიდიპოსი იყო დიადი მეფე და დიადი ადამიანი, თითქმის ნახევრად ღმერთი და ნახევრად ადამიანი. როგორც კი გამოჩნდებოდა ხორავას მონუმენტური ფიგურა, თეთრი, გრძელი ხიტონით შემოსილი, თითქოს სკულპტორის მერ გამოქანდაკებული თავით, შუქიანი თვალებით და თავისი განუმეორებელი, ხვერდოვანი, ობერტონებით სავსე ხმით იტყოდა:

**შოი, ბედკრულნო კადმოსის შვილნო!
რას დამხოზილხართ სალოცავი რტოებით ხელში.**

თებეს მოქალაქეებს უმალ რაღაც დიადის, უკიდურესად მნიშვნელოვანისა და მოახლოებული კატასტროფის მოლოდინი ეუფლებოდათ. ა. ხორავას ოიდიპოსს არ ახასიათებდა გარეგნული ექსპრესია, შესტების და მოძრაობების სიჭარბე. მაგრამ მისი ძუნწი, ლაპიდარული შესტი ალსავსე იყო დიდი შინაგანი განცდით და მნიშვნელობით. ვიმეორებ, ეს იყო ჭეშმარიტი მეფე, დიადი პიროვნება, რომელიც ფლობს საკუთარ თავს, სახელმწიფოს, ხალხს და რომელსაც ძალუძს თავისი სიბრძნით ტრაგიკულ განსაცდელში ჩავარდნილი ერის ხსნა. როცა იგი წარმოსთქვამდა:

**...ჩემი დედა თვით განგებაა,
მამა — დრო-ჟამი, ნათესავი — გუნდი ვარსკვლავთა...**

გვჯეროდა რომ იგი ჭეშმარიტად ღვთაებრივი არსება იყო. ანდა, როცა ხელშემართული იტყოდა „ილოცეთ შვილნო! თქვენ ვედრებას ისმენენ ღმერთნი“, ეჭვი არ შეგეპარებოდათ, რომ მას ღმერთების პანთეონში ედგა ტახტი.

ამიტომ, ამ სპექტაკლს (როცა ა.ხორავა თამაშობდა მთავარ გმირს), მე ვუწოდებ „მეფე ოიდიპოსის“ და აქცენტი გადამაქვს „მეფეზე“.

როგორც ვთქვი, სერგო ზაქარიაძე მოგვიანებით შევიდა სპექტაკლში, მარჯანიშვილის თეატრიდან წამოსვლის შემდეგ ოიდიპოსი იყო მისი პირველი როლი რუსთაველის თეატრში.

დოდო ალექსიძემ და თეატრმა როლზე მუშაობის ყველა პირობა შეუქმნეს მსახიობს, მიუხედავად იმისა, რომ ამ როლით იგი არსებითად დიდ აკაკი ხორავას უნდა გასჯიბრებოდა (გნებავთ, დაპირისპირებოდა)... თეატრის ყველაზე დიდ სარეპეტიციო დარბაზში მისთვის სპეციალურად ააგეს ხის მაღალი კიბეები და ხარაჩოები. თეატრმცოდნე ვასო კიკნაძის, რომელიც მაშინ რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე იყო, მეოხებით რამდენიმე რეპეტიციას დავესწარი. დაუჯერებელი რამ ვიხილე. ს. ზაქარიაძე თამაშობდა არაადამიანური ძალით, თავგანწირულად, დაუზოგავად ხარჯავდა თავის განსაცვიფრებელ ტემპერამენტს და ენერჯას.

ეს არ ჰგავდა ჩვეულებრივ რეპეტიციას, ეს იყო თამაში ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარზე. აშკარა იყო, რომ ს.ზაქარიაძე დიდი ნახტომისთვის ემზადებოდა, მისმა ამგვარმა რეპეტიციამ ჩემზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სპეციალური წერილი მივუძღვენი ამ ფაქტს და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დავბეჭდე.

სპექტაკლში სერგო ზაქარიაძე უფრო მრავალფეროვანი იყო, ნიუანსებით, ფსიქოლოგიური დეტალებით მდიდარი. მისი დამაელექტროვებელი ტემპერამენტი მთელი სისხვით გამოვლინდა დრამატიზმით სავსე სცენებში. სერგო ზაქარიაძე – ოიდიპოსის მღვდლად, შინაგანი ტკივილით და გულისწინილით სავსე სიტყვების:

ო, საყვარელო, შვილო ჩემო, რარიგ მებრალვით! მესმის აქ რატომ შერებილხართ, ან რას მავედრებთ... ვხედავ თუ როგორ იტანჯებით, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ ტანჯვას თქვენსა ჩემი ტანჯვა აღემატება –

შემდეგ თებეს მოქალაქენი მშფოთვარენი და ანრიალე-ბულნი, დაეჭვებულები სტოვებენ სცენას, თითქოს მიმხვდარან, რომ მართალია, ოიდიპოსი მეფეა, მაგრამ მათსავით მოწყვლადი ადამიანია, რომ იგი გულგასენილია ხალხის მწუხარების გამო. სერგო ზაქარიაძე ოიდიპოსის პირველ მონოლოგს.

ჰე, ხალხო, ძველი მამამთავრის კადმოსის შვილო! რას დამხოზილხართ სალოცავი რტოებით ხელში –

წარმოთქვამდა არა სასახლის პორტიკზე ხელშემართულად მდგარი (როგორც ამას ძალზე შთამბეჭდავად აკეთებდა ა. ხორავა), არამედ მაღალი კიბიდან ძირს ჩამომავალი. ამ კიბის ორივე მხარეს დაჩოქილი თებეს მოქალაქენი, სალოცავი რტოებით ხელში, სასოებით შესცქეროდნენ ოიდიპოსს. ის კი სათითაოდ აყენებდა ფეხზე მავედრებულ მოქალაქეებს, თვითელს ცალ-ცალკე, დაჟინებულ, გამომცდელ მზერას მიაპყრობდა, რადგან „ყოველი მხრიდან მესმის გმინვა და ლაღადინი... არა სხვათაგან მსურს მეუწყოს, არამედ თქვენგან“.

ს.ზაქარიაძის ოიდიპოსი უპირველესად ადამიანი იყო, რომელიც ცდილობდა სხვა ადამიანთა ტკივილის გაზიარებას და თანადგომას. მართალია ს.ზაქარიაძის შესრულებას აკლდა ა.ხორავას ასე ბუნებრივი ტრაგიკული განცდის სიძლიერე, სამაგიეროდ, მისი მძლავრი ემოციურობა, ტემპერამენტი და ბედისწერისაგან ასე უღვთოდ განწირული ადამიანის ტკივილი, დიდ ზემოქმედებას ახდენდა მაყურებელზე ეროსი მანჯგალადის ოიდიპოსი?

ეს იყო განსაკუთრებული მოვლენა. ოიდიპოსის არცერთ შემსრულებელს არ ახლდა ის სინმინდე, სისპეტაკე და მოუგერიებელი სისადავე თუ განცდის გულწრფელობა.

ეროსი მანჯგალადის ოიდიპოსი განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა ახალგაზრდებში. თვით ოიდიპოსი – ასევე ახალგაზრდა, ლამაზი, მგრძობიარე ქაბუკი-მეფე მზურვალე თანაგრძობას ჰპოვებდა მათში, რადგან ასეთ გმირში ისინი ხედავდნენ სიმართლისადმი, ჭეშმარიტებისადმი უსაზღვროდ ერთგულ თანამოაზრეს, რომელსაც მართალია ბედისწერამ უმძიმესი ცოდვა ჩაადენინა, მაგრამ ამასაც კი არ შეუბღალავს მისი სული. ვერც ხორავა და ვერც ზაქარიაძე ქალიშვილებთან თვალბდათხრილი ოიდიპოსის

გამოთხოვების სცენაში ვერ აღწევდნენ ლირიზმის ისეთ სულისშემძვრელ სიმძლავრეს, როგორც ეროსი...

ამიტომ იმ სპექტაკლს (როცა სერგო ზაქარიაძე და ეროსი მანჯგალადე თამაშობდნენ მთავარ გმირს) მე ვუნოდებ „ოიდიპოს მეფეს“ და აქცენტი გადამაქვს „ოიდიპოსზე“...

1976წ. რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ რუსთაველის თეატრის მსახიობებთან ერთად „ოიდიპოს მეფე“ დადგა მეტეხის ახალგაზრდულ თეატრში. მთავარ როლებს ასრულებდნენ გოგი ხარაბაძე (ოიდიპოსი) და ზინა კვერენჩილაძე (იოკასტი).


გოგი ხარაბაძე მაშინ 34 წლის იყო. თემურ ჩხეიძე – 33 წლის.

1956 წლიდან 1976 წლამდე ქვეყანაში დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრები მოხდა. ბუნებრივია, ამან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. თუ ორმოცდაათიანი წლების მაყურებლისათვის თვითგანმმენდის პროცესთან ერთად მნიშვნელოვანი გახლდათ პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე (ეს დ. ალექსიძის სპექტაკლის ერთ-ერთი უმთავრესი ლაიტთემა იყო), 70-იან წლებში თემურ ჩხეიძის ყურადღება კონცენტრირებული გახლდათ პიროვნებაზე, ადამიანზე, მის დანაშაულზე, უპირველესყოვლისა, მის პასუხისმგებლობაზე საკუთარი თავის წინაშე. მან სოფოკლეს ტრაგიკული გმირის უნებლიე, საბედისწერო შეცდომაზე მოახდინა ფოკუსირება და შეგნებულად აუარა გვერდი ტრაგიკულ პათოსს. შემთხვევით არ აურჩევია რეჟისორს მეტეხის თეატრის სცენა. ამ პატარა სცენაზე აგებული იყო ორსართულიანი ხის ხარაჩოები, რომელსაც ორივე მხრიდან კიბეები მიუყვებოდა. ასეთ ნაგებობაში მორჩმული და ბრძენი მეფე ოიდიპოსი კი არა, მარტოდდენ თებელი ან კორინთელი მწყემსი თუ დაიდებდა დროებით ბინას. თვით ოიდიპოსს არავითარი მეფური ინსიგნაცია არ ახლდა – მას უმკლავებო ტყაპუჭი ეცვა, როგორც თებეს რიგით მოქალაქეს.

სპექტაკლი იყო ძალიან ლაპიდარული. ე.წ. „დატაკი თეატრის“ სტილში დადგმული. ტრაგედიის რიტმიზებული ტექსტი წარმოითქმოდა ჩვეულებრივი, სალაპარაკო ინტონაციით. ტრაგედიის პათოსს საბოლოოდ „ანგრევდა“ მოახლე ქალის (დარეჯან სუმბათაშვილი) გამომწვევად ირონიული ინტონაციებით შეფასებული იოკასტეს ტრაგიკული ინცესტი.

მეტეხის ტაძრის თაღებქვეშ გათამაშებული ეს ტრაგედია მისტერიას ემსგავსებოდა. გოგი ხარაბაძის გმირი არა ბედისწერაში, არა ქურუმთა მიერ წინასწარმეტყველურად გამხელებულ უნებლიე შეცდომაში ხედავდა ტრაგიკულის სათავეს, არამედ თავის თავში, თავის ხასიათში. ამიტომაც იყო იგი სპექტაკლის დასაწყისში ლალი, ტრიუმფატორი. თავის სიძლიერეში ან განსაკუთრებულობაში დარწმუნებული, რომელიც მრისხანებდა და წონასწორობას ჰკარგავდა თუ ვინმე შეკამათებას გაუბედავდა. ამაში ხედავდა მსახიობი ოიდიპოსის ხასიათში ჩაბუდებულ ტრაგიკული შეცდომის არსს. მაგრამ როგორც კი მის არსებაში იწყებოდა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს, ადამიანის ძალასა და სისუსტეს შორის, იგი გადაიქცეოდა ჭეშმარიტების ძნელად შესაცნობ გზაზე ტანჯვით მავალ ყარბაღ. გოგი ხარაბაძე თამაშობდა თანამედროვე ადამიანს თავისი ეჭვებითა და ტრაგიკული შეცდომებით: მსახიობი თითქოს თავის თანატოლებს მიმართავდა.

ამიტომაც მე ამ სპექტაკლს არც „ოიდიპოს მეფეს“ და არც „მეფე ოიდიპოსს“ არ ვუნოდებ. ეს იყო უბრალოდ „ოიდიპოსი“ სხვა აქცენტების გარეშე.



მერაბ ჯიბლაძე

ნავების დირექტორი

ერთი ცხელი ზაფხულის დილას მოსკოვის ასპირანტთა საერთო საცხოვრებლო ჩემი ბათუმელი ნათესავი მენვია. ის ოდინცოვოში მსახურობდა ჯარში და ერთი დღით მოსკოვში გამოეშვათ სასაქონლოდ. მე, როგორც მასპინძელმა, გორკის სახელობის პარკში გასეირნება შევთავაზე.

ნახევარსაათიანი უმიზნო სეირნობის შემდეგ პარკში პატარა გუბურას მივაღიქეთ. ნავსაყუდელთან რამდენიმე ნავი იყო დაბმული. ორი ნავი დავიქირავე ერთი საათით, თითო სამოც კაპიკად. ერთში ჩემი ნათესავი ჩაჯდა, მეორეში — მე. ჩემი ბათუმელი ნათესავი საკმაოდ კარგი მენავე აღმოჩნდა და, ცხადია, მასთან შეჯიბრი ჩემთვის უაზრო იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ გუბურას ცენტრს მივალნიე და უცებ ნაპირიდან ბავშვების ხმა მომესმა: „ბიძია, ჩაგვსვი რა ნავში, გაგვასეირნე!“

ნელა მივუახლოვდი ნაპირს. სამი პატარა ბიჭი იდგა ერთ ხანდაზმულ ბებიასთან ერთად. 6-8 წლის ბიჭები ფრთხილად ჩავსვით ნავში და ტბის შუაგულისკენ გამოვცურეთ. ბავშვები სიხარულს ვერ ფარავდნენ — უცხო ძიამ ნავში რომ ჩასვა.

მოულოდნელად ნავსაყუდელის მხრიდან ყვირილი მომესმა. ვიღაც თეთრ კიტელში გამოწყობილი ბრვე კაცი ხელებს მიქნევდა და ნაპირთან ჩვენ მიცურვას მოითხოვდა.

რა გაენწყობოდა? ნელა მივცურდით ნავსაყუდელთან, სადაც ამ პატარა გუბურას დიდად გაბრაზებული მოხელე გველოდა.

მივხვდი, ეს კაცი ამ ნავებისა და გუბურის უფროსი უნდა ყოფილიყო. ჩემ წინ იდგა ბრვე, ზომაზე მეტად გასუქებული სამოციოდენ წლის შეჭალარავებული მამაკაცი. მისი გაბღენძილი სახის შემხედვარე, რაიკომის მდივანი თუ არა, დიდი უნივერსალის დირექტორი მაინც გეგონებოდათ, კაკარდიანი ქუდი ლუზიანი ემბლემით რომ არ ჰქონოდა დამშვენებული. უსაშველოდ მსუქანი სახის თითოეული კუნთი მის ფიგურას ისეთ მედიდურ იერს ანიჭებდა, რომ მხოლოდ ამ პატარა გუბურისა და რამდენიმე ნავის უფროსობა თუ დირექტორობა ცოტა უხერხული მეჩვენა. მან კეთილი ინება, ხელი გამომიწოდა და ნაპირზე ბავშვების გადასხმაში მომეხმარა. შემდეგ კი ბავშვებს უბრძანა:

— აბა ახლავე მოუსვით აქედან! თქვენ კი, — მომმართა მე, — ნამობრძანდებით ჩემთან პროფილაქტიკაზე.

მივხვდი, პროფილაქტიკა ჯარიმის გადახდას რომ ნიშნავდა. ერთი კი მორიდებით ვთხოვე, ცოტა დავლოდებოდით, ვიდრე ბავშვებს ის ხანდაზმული ქალბატონი მოაკითხავდა, შემდეგ კი სიამოვნებით გავყვებოდი პროფილაქტიკაზე.

ჩხუბს რომ არ ვაპირებდი, ოდნავ გაცეცხულმა გადმოხედა და თანხმობის ნიშნად მედიდურად დამიკრა თავი. რამდენიმე ხანში ხანდაზმული ქალი მობრძანდა და დაზაფრული ბავშვები ისე წაიყვანა, მადლობის გადახდაც კი დაავიწყდა. მე კი ნავების დირექტორის მკლავს შევეხე და „პროფილაქტიკაზე“ ნასვლა შევახსენე.

ჩემი მოულოდნელი შესხენებით ოდნავ დაბნეული ჩანდა, თუმცა მედიდურ იერს სავსებით ინარჩუნებდა. ნელა გავყვით სანაპიროს და ნავსაყუდელის ბოლოს ეულად მდგარ ხის პატარა ფიცრულს მივაღიქეთ. ეტყობა ეს მისი კაბინეტი იყო: ერთი სიძველით ჩაშავებული პატარა მაგიდა, ორი ასევე ძველი ტაბურეტი, ერთი დაბალი გრძელი სკამი, სპორტულ დარბაზებში რომ მენახა, და მოპირდაპირე კედელზე გაკრული პლაკატები მისი უფანჯრო კაბინეტის აღჭურვილობა გახლდათ.

თავაზიანად გამოსწია ერთი ტაბურეტი და მანიშნა დაბრძანდითო. თვითონ მეზღვაურის ნიშნიანი ქუდი მოიხადა, მაგიდაზე დადო და მეორე ტაბურეტზე, კედელთან მოთავსადა. შემდეგ დინჯად გაიფხორა და უაღრესად მედიდური და სასაცილო პოზა მიიღო. ორჯერ ჩაახველა, პატარა, ჭროლა თვალებით შემომხედა და დიდი დამაჯერებლობით დაიწყო:

— ახალგაზრდავ, თქვენ დაარღვიეთ მთელი ოთხი კანონი, რომელიც ჩვენთან არსებობს.

— მართლა ოთხი? — შეკვადრე მორიდებით.

— დიახ, ოთხი, — დამაჯერებლად მიპასუხა, კიდევ უფრო გაიფხორა და განაგრძო, — ჯერ ერთი, თქვენ ხალხი ნავსაყუდელიდან კი არა, ნაპირიდან ჩასვით.

თავი დაუკარი და ვუთხარი, რომ ის სავსებით მართალი იყო.

— მეორე, ნავი გადატვირთული იყო, რადგან ნავში სამის ნაცვლად ოთხნი ისხედით!

ბავშვების წონა რომ გამახსენდა, ცხადია, ნავის გადატვირთვაზე ძნელი იყო საუბარი, თუმცა მაინც დავეთანხმე მისდა გასაოცრად. მან კი განაგრძო:

— მესამე დარღვევა ისაა, რომ ნავში პატარა ბავშვები ჩასვით.

ესეც ნამდვილად სწორი იყო და თავი დაუკარი.

— კანონის მეოთხე დარღვევა კი ისაა, რომ ბავშვები თქვენი კი არა, სხვისია.

გამელიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუკარი: — დიახ, თქვენ ისევე მართალი ბრძანდებით.

რამდენიმე წამს სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობა „პროფილაქტიკა“ სასურველი გზით არ მიდიოდა, რადგანაც ჩხუბს სულაც არ ვაპირებდი. ის კი პროფილაქტიკის შემდეგ სტადიაზე ფიქრობდა. ერთი ამოიოხრა, ძალა მოიკრიბა და განაგრძო:

— იცით, ეს გუბურა გრაფმა როზენბერგმა შექმნა ელისაბედ მეორეს საპატივცემულოდ.

— მართლა? — დიდად გავიოცე.

— დიახ, ასეა და გუბურის სიღრმე მთელი ცხრა მეტრი!

— ო! ნუთუ ცხრა მეტრი?

— დიახ ცხრა მეტრი, და თქვენ ხედავთ, რომ ნავები დაგვიძველდა და ნიჩბებიც უვარგისია?

— დიახ, უვარგისი ნავები და ნიჩბები გაქვთ, — შეკითხვით გაცეცხულმა ვუპასუხე.

— და ეს უვარგისი ნავი რომ გადაბრუნებულიყო, ასეთი სიღრმის გამო თქვენ ხომ დაიხრჩობოდით?

— მე ცურვა ვიცი — გავკადნიერდი და შევეპასუხე.

— თქვენ კი, მაგრამ შეძლებდით ბავშვების გადარჩენას?

— ძალიან ვეცდებოდი — დაბეჯითებით, სერიოზულად ვუპასუხე და დიდი ვაჟკაცივით წელში გავიმართე.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ადვილი საქმეა? იცით, რა მძიმე დღეში ვართ ჩვენ, მაშველები?

თურმე მაშველი ყოფილა, მე კი დირექტორი მეგონა. მაინც დირექტორივით გოროზად გამოიყურებოდა.

— აბა, შეხედეთ ამ პლაკატებს!

კედელზე დაკიდებულ პლაკატებზე მაშველი წყალწაღებულის გადარჩენას ცდილობდა.

— მიპასუხეთ, რას აკეთებს წყალწაღებული? — გაისმა „დირექტორის“ მოულოდნელი შეკითხვა.

ოდნავი პაუზის შემდეგ ვუპასუხე: — წყალში იხრჩობა.

— არა, — მიპასუხა დაბეჯითებით, — წყალწაღებული მაშველს ეჭიდება, ეწევა და წყალში ახრჩობს. აი, ხომ ხედავთ რა მძიმეა ჩვენი პროფესია?

დასტურად თავი დაუქნიე, მან კი მეტად დამაჯერებელი ტონითა და არტისტიზმით მთელი ლექცია დაიწყო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მაშველმა ექსტრემალურ სიტუაციაში.

ლურ პირობებში, როგორ უნდა უზიდავო წყალნაღებულს ისე, თვითონ რომ არ დაიხრჩოს, როგორ უნდა ჩაატაროს ხელოვნური სუნთქვა, როცა მე ერთი ვარ, ან როცა სხვაც მეხმარება, და მრავალი სხვა ფრიად სასარგებლო რჩევაც მომცა. თუმცა ეს ისე გაგრძელდა და ისეთი მოსაბეზრებელი გახდა, გავბედე და მორიდებით შევანყვეტინე:

— ბოდიში, რამდენი უნდა გადავიხადო?

ნავების დირექტორი ისე იყო როლში შესული, ამ მოულოდნელმა შეკითხვამ სრულიად დააბნია. განცვიფრებულმა შემომხედა, მას ხომ პროფილაქტიკა ჯერ არ დაემთავრებინა და, ოდნავ შეცბუნებულმა, რომ მასთან ჩხუბის სურვილი სულაც არ აღმომაჩნდა, განაგრძო:

— იცით, რა მოხდებოდა თქვენ მილიციელებს რომ დაეჭირეთ?

— რა? — ვკითხე დაინტერესებულმა.

— მილიციაში წაგიყვანდნენ და... ახლა იქ ახალი კანონია: ხელკეტების კანონი!

— ეს რა კანონია? რას ნიშნავს?

— ხელკეტი... რეზინის ჯოხია და მილიციაში ხულიგნებს სცემენ.

— განა საბჭოთა კავშირში მილიცია ხალხს ხელკეტებით სცემს? — გავიოცე დიდად.

— დიას, არის ასეთი ახალი კანონი და კიდევ კარგი, რომ გადარჩით. აქ კი მხოლოდ ჯარიმის გადახდა მოგიწევთ. ეს იმიტაცა კარგი, რომ ამ ფულით ჩვენ შეგვიძლია ნავები შევაკეთოთ და ახალი ნიჩბებიც ვიყიდოთ. ამიტომ, ხომ ხედავთ, ეს ყველაფერი თქვენ სასიკეთოდ იქნება.

— ღმერთო ჩემო, მითხარით, რა ღირს თქვენი ჯარიმა და უსათუოდ გადაგიხდით. მართლაც გჭირდებათ ნავების შეკეთება და ახალი ნიჩბების ყიდვა! მეტიც, ამ კაბინეტის გაფართოებაც საჭიროა.

ნავების დირექტორი შეცბა. ეტყობა იფიქრა, რომ პროფილაქტიკა არ განხორციელდა, რადგანაც ჩხუბს სულაც არ ვაპირებდი. მისმა ხმამ რიხი და დამაჯერებლობა დაკარგა და ოდნავ გასაგონად წარმოსთქვა:

— მინიმალური ჯარიმა... სამოცი კაპიკია.

გამეცინა, ამ სამოცი კაპიკისთვის ასე რომ გაისარჯა, მანეთიანი გავუწოდე, მან ხურდა და ორი ოცდაათკაპიკიანი ნავის გაქირავების ბილეთი გამომიწოდა.

ნამოვდექი და ვკითხე:

— თავისუფალი ვარ? შემიძლია წავიდე?

შევატყვე, ჩემი წასვლა ჯერ არ უნდოდა, რადგანაც ჩათვალა, რომ პროფილაქტიკა არ გამოუვიდა — სამოცი კაპიკის გადახდამაც კი გუნება ვერ გამიფუჭა. მეტიც, შემადიკო რომ ღიმილს ვერ ვიკავებდი, და ამიტომ მცირე პაუზის შემდეგ განაცხადა:

— ახალგაზრდავ, ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენთან ასეთი მძიმე საუბარი მქონდა, რა ვქნა, ასეთია ჩვენი კანონები და თქვენც, ალბათ, გუნება გვარინანად გაგიფუჭეთ და ჩემზე ნაწყენიც უნდა იყოთ. ნაადრევად გამოგიძახეთ წყლიდან. თანაც, ალბათ, სტუდენტი ხართ და არ გაქვთ ბევრი ფული, ჯარიმები რომ იხადოთ. სამოცი კაპიკი ხომ მთელი სამი კილოგრამი პურის ფასია? ამიტომ ბოდიშს ვიხდით ამ უსიამოვნო ინციდენტის გამო.

— რას ბრძანებთ, სულაც არა ვარ ნაწყენი და პირიქით, ძალიან მადლობელიც ვარ თქვენი. მე არა ვარ სტუდენტი, თანაც ვფიქრობ, ეს სამოცი კაპიკი ძალზე მცირე თანხაა იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად დაგეხმაროთ თქვენს კეთილშობილურ საქმეში ნიჩბების შეძენასა და ნავების შეკეთების მხრივ. მართლაც ახალი ნავები და ნიჩბები გჭირდებათ. ამასთანავე, მოვისმინე ძალიან საინტერესო ისტორია ამ გუბურას შექმნის შესახებ და გავიგე ის კანონები, რომელიც ამ ქვეყანაში მოქმედებს. ყოველთვის დიდად მაინტერესებდა, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი სხვადასხვა ქვეყანაში და რა კანონები მოქმედებენ იქ. ამიტომაც პირიქით, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. დიდი მადლობა შეხვედრისა და ძალიან საინტერესო საუბრისთვის. ახლა კი დროა წავიდე, ნახვამდის, — ვთქვი და ნამოვდექი.

— თქვენ ალბათ მოსკოვის სტუმარი ხართ, არა? — მკითხა ოდნავ შეცბუნებულმა.

— მე საერთოდ საბჭოთა კავშირის სტუმარი ვარ, — ვიცრუე გარკვეული რეაქციის მოლოდინში, მითუმეტეს, ხრუშჩოვის მოღვაწეობის ბოლო წელი იწურებოდა და მოსკოვი უცხოელებით ჯერ კიდევ არ იყო განებივრებული.

უცხოელის როლი ადრეც მითამაშია და ჩემს რუსულში განგებ ინგლისური ინტონაციებიც შევიტანე. ზოგჯერ ამ ინტონაციით თეატრის დეფიციტურ ბილეთებსაც ვშოულობდი, მაგრამ ისეთ რეაქციას, რაც ამ ოხუნჯობას მოჰყვა, ნამდვილად არ ველოდი.

რეაქცია კი ისეთი იყო, რომ ტყუილის თქმა წამსვე ვინანე. მისი საკალანდო ღორივით გასუქებული თავი უკან გადაქანდა და კედელს მიეყრდნო, გაფითრებული მსუქანი ღოკები დიდ ღაბაბს დაანწა, თვალები დახუჭა და ყბა ჩამოუვარდა, კბილებს შორის ენა გაეჩხრა, კედელს მიყრდნობილი მოღუნებული ტანი თივით სავსე ტომარასავით იდო ტაბურეტზე.

მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. საშინელ დღეში ჩავვარდი. რატომღაც გავიფიქრე, რომ ინფარქტი მოუვიდა და მოკვდა. მისი სიკვდილის მიზეზი კი ჩემი ხუმრობა გახდებოდა. ისე შევშინდი, ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე. მუხლები მომეკვეთა და ისევე ტაბურეტს დავენარცხე. როგორც იქნა ძალა მოვიკრიბე, წამოვინე და რატომღაც მის მარცხენა ყურს ვწვიდი. ვფიქრობდი, მისგან სულ ახლახან ნასწავლი ხელოვნური სუნთქვის ილეთები მესინჯა, მაგრამ ვნახე, რომ სუნთქავდა და ოდნავ დავმშვიდდი, საჭირო აღარ იყო ხელოვნური სუნთქვის პრაქტიკულ ჩვევათა გაკვეთილი. შემდეგ რამდენჯერმე სილა გავანანი, გონზე რომ მოსულიყო. როცა წყალი შევასხი, როგორც იქნა თვალები გაახილა, თუმცა ენა ისევ კბილებს შორის გაჩხეროდა. კიდევ ათიოდე წუთი ველოდი, ვიდრე გონს მოვიდოდა. მთავარია, რომ ცოცხალი იყო. ნამოვდექი და წასვლა დავაპირე, ვინმე მისი თანამშრომელი რომ შემომეგზავნა. მან კი მთელი ძალა მოიკრიბა, აკანკალეული ხელით ჯიბიდან ჩემი მიცემული მანეთიანი ამოიღო, გამომიწოდა და ენის საშინელი ბორძიკით აბლუყუნდა:

— მაპატიეთ, არ ვიცოდი, გემუდარებით...

— დანყნარდით, რას სჩადიხართ, ნუთუ თქვენ აღარ გჭირდებათ ნავების შეკეთება? — გაბრაზებულმა შევძახე, რადგან მეც საკმაოდ დიდი ნერვიულობა გადამხდა მისი სულელური გულის წასვლის გამო.



მხატვარი ბერდია არაბული

ეკა ბუჯიაშვილი

ეს უცნაური, უცნაური საქართველო

ეს ისტორია კი ერთ ძველ ამბავს უკავშირდება. ერთხელ ერთი პატარა ფრანგი გოგონა, სახელად ელენი, მამამ წიგნის ძალიან მიყვარდა.

5-6 წლისა იქნებოდა მამინ. წერა-კითხვის შესწავლა ახალი დაწყებული ჰქონდა და ვერაფრით მიხვდა, თაროზე შემოდებულ ერთ უცნაურ წიგნზე მოხაზულ ასოებს რატომ ვერ კითხულობდა.

— მამა, ეს ნამდვილი ასოებია თუ სათამაშო? — ასე უკითხავს გოგონა-ბუნდოვანს და როცა მამამ აუხსნა, რომ ეს იყო ქართული ასოები, რომ არსებობდა სხვა დამწერლობებიც და კიდევ ბევრი რამ რომ უამბო მსოფლიო ანბანებზე, ეს ამბავიც სწორედ მამინ დაიწყო.

დრო გადიოდა. გადიოდა დრო. პატარა ელენი თანდათან დიდი გოგო ხდებოდა და ის შთაბეჭდილებაც მასთან ერთად იზრდებოდა, ლამის მთლიანად მოცულიყო მისი ფიქრი ბავშვობაში ნახსი იდუმალი ასოებით და დროდადრო სთხოვდა მამას:

— მასწავლე, რა, ქართული!

— ჯერ პატარა ხარ, ფრანგულიც არ იცი, გაიზრდე და გასწავლი. ელენის მამა პროფესიით ფიზიკოსია, ოღონდ ისეთი ფიზიკოსი, ისტორიაც რომ აინტერესებს, გეოგრაფიაც, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთი, ელენის გატაცებას ბავშვურ ცნობისმოყვარეობად მიიჩნევდა და ამიტომაც იყო, რომ დროდადრო პირდებოდა:

— გაიზრდე და გასწავლი. ფიქრობდა, ერთხელაც იქნებოდა და გადაუვლიდა.

მაგრამ... გაიზარდა ელენი და... არა და არ მოიშალა თავისი.

— კარგიო, — მამამ, — თუ ასე გაინტერესებს, მოდი ჯერ ბერძნული ასოები ისწავლე, ეს დაგეხმარება.

ისწავლა. ოღონდ ქართულის სწავლების პირობა რომ შეახსენა მამას, იმან:

— მამინ ჯერ რუსული ანბანი უნდა ისწავლო, რომ გაგიოლდესო. ესეც ისწავლა.

და როცა მამა მიხვდა, რომ ის ბავშვური შთაბეჭდილება უბრალო გატაცება აღარ იყო, რომ ელენი ჯიუტად ითხოვდა თავისას, ბოლოსდაბოლოს უყიდა სახელმძღვანელო და მანაც მისთვის უჩვეულო სამყაროს კარიც ჯერ ფრთხილი, გაუბედავი ნაბიჯებით შეაღო.

მერე ის იყო, რომ მისი ოჯახი პარიზიდან ბურგუნდიაში გადავიდა საცხოვრებლად. უბრალოდ, დაილაღნენ პარიზული ცხოვრებით. სამი შვილი ჰყავდათ, ბინა პატარა იყო, პარიზი — ხმაურიანი, და გადაწყვიტეს, პატარა ქალაქში ეცხოვრათ. ერთხელაც მათი ქალაქის საავადმყოფომ გურჯაანის დიაგნოსტიკური ცენტრი დააფინანსა და 2005 წელს ბურგუნდიას ქართველები ესტუმრნენ.

ახლა რომ იხსენებს:

— პირველად ჩემს ცხოვრებაში ვნახე ადამიანები, რომლებიც ჩემთვის იდუმალებით მოცულ ენაზე საუბრობდნენ. ჩამოტანილი ჰქონდათ ქართული სუვენირები, ეროვნული ტანსაცმელი, მუსიკალური დისკები — ერთი მეც მაჩუქეს. გრძობდნენ, რომ ძალიან მაინტერესებდა ეს ყველაფერი, რადგან ყოველდღე დავდიოდი მათთან. ალბათ ათასჯერ მაინც მოვუსმინე ქართულ პოლიფონიას და სკოლის დამთავრების შემდეგ (ფიზიკა-მათემატიკის მიმართულებით) პარიზის აღმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა ნაციონალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. ჩემი პედაგოგები დიდხანს სთხოვდნენ მშობლებს, იქნებ აზრი შეიცვალოს და ფიზიკა-მათემატიკას დაუბრუნდესო, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო.

— მაპატიეთ, გემუდარებით, მე არ ვიცოდი... თქვენ არ იცოდით... — საცოდავად ლულულულებდა სულ ნახევარი საათის წინათ ეს ზვიადი და მედიდური ნავების დირექტორი.

— კარგად იყავით და დამშვიდდით, თქვენ სრულიად სამართლიანად და კანონიერად მოიქცით. მე არ ვიცოდი კანონები, მთელი ოთხი კანონი დავარღვეე და ჯარიმაც ამიტომ უნდა გადავიხადო. ეს სავესები სამართლიანია და ასაღებელიც არაფერი გაქვთ. გთხოვთ დამშვიდდეთ და არ ინერვიულოთ, კარგად ბრძანდებოდეთ, ნახვამდის, — ვუთხარი და გარეთ გამოვედი.

ნელი ნაბიჯით გავუდექი ნავსაყუდელის ქვაფენილს გასასვლელისკენ, თანაც ვათვალიერებდი, ვინმე მისი თანამშრომელი დირექტორის დასახმარებლად რომ გამეგზავნა. მოულოდნელად ჩემი ყოფილი მასპინძლის ხმა შემომესმა:

—ახალგაზრდავ, ერთი წუთით, გემუდარებით!

ძალიან გამიკვირდა, რომ მან ასე სწრაფად მოიკრიბა ძალა და ძუნძულით ჩემკენ წამოსვლა შეძლო. შევჩერდი და დაველოდე. გაუბედურებული კაცი ბარბაცით მიახლოვდებოდა. საოცარი განსხვავება იყო იმ მედიდურ დირექტორსა და ამ წელში მოხრილ, დაბეჩავებულ კაცს შორის, რომელიც ახლა ჩემ წინ იდგა და თვალეში შემცივინებდა. მომუდარე მზერით შემომხედა, აკანკალებული ხელი გამომინოდა და შემევედრა:

— ახალგაზრდავ, ძალიან გთხოვთ, კიდევ ერთხელ შემოგვიარეთ.

ძალიან გავბრაზდი. რატომ იყო საჭირო ასეთი საცოდავი დამცივრება უცხოელის წინაშე? წუთუ შეიძლება ადამიანმა ასე დაკარგოს საკუთარი ღირსება?

ამიტომაც საკმაოდ უკმეხად მივუგე:

— დიდი მადლობა, დრო თუ მექნა აუცილებლად შემოგივლით, მაგრამ ალბათ ვერ შევძლებ ბავშვების თხოვნაზე უარის თქმას და ამიტომაც კვლავ სიამოვნებით დაგეხმარებით თქვენს მნიშვნელოვან საქმეში, რათა უვარგისი ნავები შეაკეთოთ და ნიჩბებიც გამოცვალოთ. კარგად ბრძანდებოდეთ!

კარგა ხანს ანჯღრია ჩემი ხელი, ორად მოხრილმა დირექტორმა. გასაოცარია, როგორ შეიძლებოდა იმ გაბლენძილი ადამიანის ასეთ საცოდავ არსებად გარდაქმნა!

როგორც იქნა ხელი გავითავისუფლე და ჩემი ბათუმელი ნათესავისკენ გავემართე. როცა გაუბურას საკმაოდ დაუმორდი, ნავსაყუდელს გავხედე. ნავების დირექტორი იმავე ადგილზე იდგა, სადაც დავტოვე, და თავის განვდილ ხელს დაჰყურებდა...

იმ პარკში მეტი აღარ შევსულვარ და აღარც უცხოელის როლი გამითამაშებია.

რუსებს დავცინოდი, მაგრამ როდესაც ჩემი ქვეყნის ხელისუფლების ზოგიერთ გაბლენძილ წარმომადგენელს ვხედავ, თუ რა მლიქვნელური, მონური მონინებით ხედავს ამერიკელსა თუ ევროპელს, სულ ის ნავების დირექ-

ოთხი წელი სწავლობდა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა. ეგონა, ვერასოდეს შეძლებდა ამ ენის შესწავლა. ნანახი რომ არ ჰყოლოდა ქართველები, იმასაც კი იფიქრებდა, რომ არ არსებობდა ქვეყნიერებაზე ხალხი, რომელსაც შეეძლო ამ ენაზე ჩვეულებრივად ესაუბრა და სცოდნოდა ეს უცნაური და ურთულესი ქართული ზმნა.

2011-ში საქართველოსაც ესტუმრა და კიდევ უფრო დაკარგა საკუთარი თავის რწმენა.

— არაფერი მესმოდო, — ამბობს, — ძალიან ბევრს ვშრომობდი, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავდი, საღამოობით შინ დაბრუნებულს ზოგჯერ ტირილიც კი მინდოდა, მაგრამ...

მაგრამ აქ იმდენი სიტობო და სიყვარული დამახვედრეს, სტიმული მომეცა და საფრანგეთში დაბრუნებულმა ახალი შემართებით გავაგრძელე მუშაობა. ორი პროფესორი მასწავლიდა — ნანა მეტრეველი და დომენიკე გოტიე-ელიგულაშვილი. აქ კი თამარ მახარობლიძესთან ვმეცადინებოდი, მოგვიანებით ფატი ანთაძე გავიცანი.

წელს ზაფხულში უკვე მეხუთედ ჩამოვიდა საქართველოში.

ამ ყველაფერსაც ახლა ქართულად გვიამბობს, ზმნასაც მოხერხებულად იყენებს, აქაური ისტორიების მოყოლისას ქართულ ყოფასთან გამინაურებული ხშირად იყენებს სიტყვას „ჩვენი“, და კიდევ, როცა თავის სახელს და გვარს ქართული ასოებით გინერო, ასე აქართულებს:

ელენე ჟერარდენი.

— ელენ, თარგმანით როდის დაინტერესდით?

— ინსტიტუტში სწავლისას თარგმანის კურსებსაც გავდიოდით. მაშინ მოვსინჯე პირველად. შემდეგ ლიტერატურული პრემიის „საბა“ ორგანიზატორებმა ახალი ნომინაცია რომ შემოიღეს — ქართული ნაწარმოებების თარგმანი უცხო ენაზე — მთხოვეს, რეცენზია დამეწერა. აი, მაშინ ვიფიქრე, იქნებ მეც მეცადა-მეთქი.

— ქართულ ლიტერატურას იცნობთ?

— აკაკი წერეთლის პოეზია ნავიკითხე. ვაჟა-ფშაველა ცოტა გამიჭირდა, კონსტანტინე გამსახურდია დავინწყე და ვერ შევძელი, რთული აღმოჩნდა. იოლად გავიგე ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები და „დათა თუთაშხია“...

— საინტერესოა, თანამედროვე ფრანგულ მწერლობაში ვინ არიან აღიარებული სახელები? მაგალითად, ჩვენში ძალიან პოპულარულია ერიკ ემანუელ შმიდტი... და თუ მიგაჩნიათ, რომ დღესაც გყავთ ნობელის პრემიის ლაურეატები და ცოტა დაიჩაგრეთ ამ თვალსაზრისით? ლე კლეზიოს შემდეგ ხომ ნობელი არცერთ ფრანგ მწერალს არ მიუღია...

— ლე კლეზიო ძალიან პოპულარულია, შმიდტიც, ამელი ნოტომიცი... კიდევ ჟან დ'ორმესონი, ლორან გოდე, კლოდ გალე.

— ახალ თაობაში თუ არიან გამორჩეული სახელები? საერთოდ, ფრანგი ახალგაზრდობა თუ არის გატაცებული ლიტერატურით?

— ახალგაზრდობაში პოპულარულები არიან პიერ გრიპარი, დანიელ პენაკი და რენე გოსინი. სამწუხაროდ, ახალი თაობა ნაკლებად კითხულობს საფრანგეთში, თუმცა ეს საერთაშორისო სენი მგონია. ნაკითხული აქვთ, მაგალითად, „ჰარი პოტერი“, „ბინდი“...



ელენე ჟერარდენი

— კლასიკურ ლიტერატურასაც არა? ჰიუგო, ბალზაკი, პრუსტი, კამიუ, სარტრი, ფლობერი, დიუმა.

— სარტრს კი... კამიუსაც... მოპასანიც უყვართ — იოლი საკითხავია და ალბათ ამიტომ.

— პოეტები? ბოდლერი, ვერლენი, მალარმე...

— ვერლენი პოპულარულია... ალბათ ისევე და ისევე იმის გამო, რომ ადვილად გასაგებია.

— ევროპული და ამერიკული ლიტერატურის მიმართ როგორი დამოკიდებულებაა?

— ძალიან პოპულარულია გერმანელი ავტორის, ბერნჰარდ შლინკის თხზულება „ნამკითხველი“, ამერიკელი მწერლებიდან — უილიამ ფოლკნერი და ერნესტ ჰემინგუეი... თანამედროვე ავტორებიდან — ვერგეტყვით, შეიძლება არის კიდევ და მე არ ვიცი.

— სალიტერატურო კრიტიკა როგორ დონეზეა საფრანგეთში? მაგალითად, გერმანიაში თურმე წიგნი რომ გამოვა, მაშინვე მოჰყვება ხოლმე სამი-ოთხი რეცენზია.

— ამ მხრივ ჩვენთანაც კარგადაა საქმე. სამწუხაროდ, ყველაფერს ვერ ვკითხულობ, რადგან ძალიან ბევრს ვმუშაობ და დრო აღარ მყოფნის.

— სადოქტორო დისერტაციას გულისხმობთ?

— დიახ, დისერტაციასაც. ორი წელი მაქვს ამისთვის. თემა — ქართული ზმნა — გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები და ვალენტობა.

ერთხელაც რაჭაში დაიკარგა.

მეგობრებს შეპირებია, როცა ჩამოვალ საქართველოში, აუცილებლად გესტუმრებითო. თებერვალში ჩამოსულა. ცუდი დრო კი იყო რაჭისთვის, მაგრამ სიტყვა არ გაუტეხია და წასულა.

მეგობარს უთქვამს, ნიკორწმინდაში ჩამოდი და იქიდან კი გასწავლიან, როგორ უნდა მომაგნო.

— ნიკორწმინდამდე კი ჩავედი, მაგრამ ჩვენს სოფლამდე არაფერი მიდიოდა. თხმორი სულ ზემოთაა, თან მოთოვა და ემინოდათ მძლოლებს.

— ცხმორი ხომ არა? — თუ ჩაეკითხებით, მაშინვე დაგაკვლიანებთ: არა, არა... თხმორი! ცხმორი კიდევ სხვა სოფელია.

და თუ ამაზე გაგელიმებათ, ასეთივე ღიმილით დასძენს, რომ მაშინ ლამის მთელი რაჭის შემოვლა მოუხდა ფეხით. ჯერ ამბროლაურში წასულა, უფიქრია, დიდი ქალაქია და შანსი მეტია გამოსავლის მოძებნისო, მაგრამ ვერც იქ უნახავს მანქანა, რომელიც თხმორამდე წავიდოდა. მერე — ჭრებალოში. იქ მისი მეგობრის ბიძაშვილი დახვედრია, ძლივძლიობით დაუთანხმებიათ ვილაც წასვლაზე, ისიც იმიტომ, რომ გაურკვეველია — თხმორში თოვლი არ არისო.

— თვითონ თხმორში მართლაც არ იყო თოვლი.

თვითონ ჭრებალოშიც არა, მაგრამ მთელი გზა იმხელა თოვლი იდო, მანქანა გაგვიფუჭდა და ჩავრჩით — შუა ტყეში, სიბნელეში, თანაც მელიისა და დათვის ნაკვალევით ვნახეთ. რაღაც მანძილი ფეხითაც ვიარეთ ჩვენს სოფლამდე.

ახლა სიცილით კი ვყვები, და მთელი სოფელი დღემდე ღიმილით იგონებს ამ ამბავს, მაგრამ მაშინ...

მაშინ ნამდვილად არ მეცინებოდა.

მერე კი საქართველოს ბევრი კუთხე მოიარა: ქართული

დიალექტებითა და კილოკავებითაც დაინტერესდა, ზოგიერთის გარჩევაც შეუძლია. აი, მაგალითად, ქუთაისურ კილოს ვარჩევო, რაჭულსაცო, სვანურს — ვერაო. სვანებისას ლაპარაკსაც ვერ ვიგებ, თუ სვანი ქართულად საუბრობს, კილოსაც ვერ ვხვდები.

სამაგიეროდ ქართულ ყოფითობასა და ხასიათს ჩასწვდენია ღრმად. რალაც მოსწონს, რალაც აკვირვებს, მაგრამ საქართველოში ყოფნა უყვარს ძალიან. ერთხელ დედაც ჩამოიყვანა. ცუდი ამინდები დაემთხვა და ისე ვერ შეძლო ენახა აქაურობა, მაგრამ შთაბეჭდილებები მაინც კარგი ნაილო. მამა ჯერ არ ყოფილა, არც ძმები — ფრედერიკი მამის კვალზე ფიზიკას სწავლობს და მამასავით უყვარს ისტორია და გეოგრაფია, ფრანსუას კი მათემატიკის გარდა არაფერი აღეგებს... და დროდადრო ყველანი ისმენენ ხოლმე ელენის მოყოლილ ამბებს იმ

უცნაური,
უცნაური,
უცნაური ქვეყნის — საქართველოს შესახებ.

— ქართულ ხასიათზე ბევრნაირი აზრი გამიგონია, თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— ძალიან მომწონს ის, რომ ადამიანები თბილები არიან, ეხმარებიან ერთმანეთს, ოჯახები დიდია. საფრანგეთში ამხელა ნათესაობა არ არის — მამაჩემის ბიძაშვილებს პირადად მე არ ვიცნობ. მეზობლებთანაც არ გვაქვს ახლო ურთიერთობა. აქ შეიძლება ერთი ქართველი საზღვარგარეთ წავიდეს სამუშაოდ და ფული თავის ბიძაშვილს გამოუგზავნოს. ფრანგს ეს აზრადაც არ მოუვა. თუ შენ სთხოვ დახმარებას — დას ან ძმასაც კი — აუცილებლად უნდა დაუბრუნო. საქართველოში გადაჯაჭვულები ხართ ერთმანეთზე, რაც ძალიან მომწონს. მარტო არასოდეს იგრძნობ თავს.

— რა არ მოგწონთ, იმასაც გავგიმხელთ?

— უნდა გითხრათ?

— რა თქმა უნდა.

— და არ გენყინებათ?

— არა, არა... შევეცდებით გამოვასწოროთ.

— არ ვიცი, შეიძლება იმიტომ, რომ აღმოსავლეთ საფრანგეთიდან ვარ და იქ, ჩვეულებრივ, სულ სიმშვიდე და სიწყნარეა, საქართველოში ვერაფრით შევეგუე ხმაურს. ხმაურია ყველგან — ქუჩაში, სახლებში, ტრანსპორტში, დანესებულ ბუხარში... ადამიანები ხმამაღლა საუბრობენ, მნიშვნელობა არ აქვს, უხარიათ თუ სწყინთ, კამათობენ თუ ჩვეულებრივ თემებზე ლაპარაკობენ. ოჯახში სულ ვილაც მოდის და მიდის... საფრანგეთში 9 საათის შემდეგ სიწყნარე უნდა დაიწვიოს, თორემ შეიძლება მეზობელმა პოლიციას გამოუძახოს. ტელეფონზე დარეკვაც გვიან მიღებული არ არის. აქ კი ნებისმიერ დროს შეიძლება დარეკოს მობილურმა, მეგობრებმა კიდეც არა უშავს, უცხოებმაც, დაგირეკავენ, ვთქვათ, ღამის ორ საათზე და გკითხავენ:

— აბა რას შვრები, რას აკეთებ?

— და შენი აზრით რას ვაკეთებ? მძინავს!!!

თუმცა ასეც ხდება: გვიანია, ზიხარ შინ მარტო, მონყენილი, უცბად გირეკავენ და გუუბნიან:

— ხინკალი ხომ არ გვეჭამა?

და გიხარია... ბოლოსდაბოლოს ასე გვიან რომ გაახსენდები ვინმეს, ნიშნავს, რომ გულით ახსოვხარ და მარტო სულაც არ ხარ. იცით, თითქოს დროის აღქმა არ გაქვთ ქართველებს...

— და ყველგან რომ ვავიანებთ, ალბათ ესეც ამის ბრალია.

— ოოო, ეს სულ დამავიწყდა... ჩემს დაბადების დღეზე, 31 მაისს აქ ვიყავი. გადავწყვიტე, სახინკლეში გადამეხადა. დავპატიჟე მეგობრები 6 საათზე. პირველი სტუმარი რვის ნახევარზე მოვიდა, დაჯდა. რამდენიმე წუთი ვილაპარაკეთ. მერე

უცბად დაიწყო: რა ხდება, სად არიან აქამდე, მე ლოდინს ვერ ვიტან, რატომ აგვიანებენო... და დაიწყო რეკვა.

სიმართლე გითხრათ, ცოტა გულნატკენი ვიყავი. საფრანგეთში თავის დროზე თუ არ მიხვალ, მასპინძლის უპატივცემულობად ითვლება, თუმცა აქ ამიხსენს, რომ ეს უბრალოდ ჩვეულებაა, არაფერს ნიშნავს... და თანაც მერე ისეთი საღამო გავატარეთ ერთად, ყველაფერი დამავიწყდა.

— ეტყობა დროს სხვა თვალთ ვუყურებთ.

— მარტო დროს? სიტყვასაც. აი, ვთქვათ, შეიძლება გითხრათ ვინმემ: წამო, ხვალ მცხეთაში წავიდეო. ამის გამო სხვა მეგობარს რაიმეს დაგეგმვაზე უარს ეუბნები, რადგან გგონია, რომ ხვალ მცხეთაში მიდიხარ, მაგრამ მეორე დღეს... შეიძლება საერთოდ არ დაგირეკოს, და თუ თქვენ ცდით დარეკვას, ტელეფონი გამორთული ჰქონდეს.

— მაგრამ მერწმუნეთ, როცა გპატიუბთ, იმ წუთას გულწრფელია, მართლა უნდა ამის გაკეთება, მაგრამ... შეიძლება რალაცამ შეუშალოს ხელი. საქართველოში ყოფითობა ისეთი მონესრიგებული არ არის, რომ გადანყვეტილად შეძლო რამის დაგეგმვა. არა... კი არ ვამართლებ...

— არც მე მწყინს... ამას უკვე მივეჩვიე კიდეც. და იცით როგორ ვუყურებ? როგორც თავისუფლებას — აკეთებთ იმას, რაც გინდათ და როდესაც გინდათ. ჩვენ ყველაფერს ვგეგმავთ, თითოეულ დეტალზე წინასწარ ვფიქრობთ, ყველაფერს ანგარიშს ვუნევთ, რადგან იქ ისეთი ცხოვრებაა, სხვანაირად არ გამოდის. ეს ზოგჯერ ძალიან დამლელია... აქ კი სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი ზედმეტი ფიქრის გარეშე, შეგიძლიათ გადანყვეტილება მიიღოთ და, ვთქვათ, ღამის ოთხ საათზე ნახვილებს დაგეგმვაში. რა ვიცი... თავიდან მიჭირდა, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი მომწონს.

კიდეც ის მომწონს, რომ გიყვართ თქვენი ტრადიციები, უფრთხილებით, ცდილობთ, სხვასაც შეაყვაროთ. ფრანგი, მაგალითად, არ დაგინყებთ საუბარს იმაზე, როგორი დიდი ისტორია და კულტურა აქვს, როგორი ტრადიციები და სამზარეულო...

— თუმცა გამიგონია, რომ პარიზის ქუჩებში ფრანგს ინგლისურად თუ დაელაპარაკები, შეიძლება ენა იცოდეს, მაგრამ არ გიპასუხოს.

— კი, ასეა. უმჯობესია ჯერ ჰკითხოთ, საუბრობს თუ არა ინგლისურად და მერე სთხოვთ დახმარება, თორემ საფრანგეთში ფრანგს თუ სხვა ენაზე მიმართავთ, შეურაცხყოფად მიიღებს. აქ ასე არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ქართველები ცდილობთ, ყველაფერი მოაწონოთ და აჩვენოთ უცხოელებს...

— შეიძლება იმიტომაც, რომ საფრანგეთს ყოველთვის საფრანგულად იცნობდა მსოფლიო, საქართველო კი, იყო დრო, საბჭოთა იმპერიის განაპირა პროვინციად ითვლებოდა და, ბოლოსდაბოლოს, ჩვენც გვიანდა, დაგვიანხოს ქვეყნიერებამ...

— საფრანგეთში საქართველო იციან, მაგრამ, სამწუხაროდ, არცთუ კარგი კუთხით. იქ ბევრი ქართველია, რომლებიც მაინცდამაინც სწორად არ ცხოვრობენ და ქართველებზეც სასიამოვნო აზრს ნამდვილად არ ქმნიან...

— ამის მიზეზიც, ალბათ ხვდებით, მოუწესრიგებელი ყოფითობაა. აგერ, უკვე რამდენი წელია საქართველო სულ ქართველებში ტრიალებს — ხან საარჩევნო, ხან რევოლუციების... პირადად მე, იცით, რა მშურს? ფრანგმა ახალგაზრდამ შეიძლება სულაც არ იცოდეს, ვინ არის მისი პრემიერ-მინისტრი. ჩვენში კი პატარა ბავშვიც კი პოლიტიკაზე უწილია.

— მართალია... მე, მაგალითად, ნამდვილად არ ვიცი საფრანგეთში ვინ არიან მინისტრები, სამაგიეროდ, საქართველოს ხელისუფლებაში ვცნობ ყველას — ვიცი, ვინ „ნაციონალი“ და ვინ „ოცნებისტი“.

იცით რატომ? ყველგან — ოჯახში, მეგობრულ თავყრილობებზე, ქართულ სუფრებზე... არ არსებობს პოლიტიკაზე

არ ისაუბრონ. აი, შეიკრიბებიან ერთად, ქეიფობენ, ერთობიან, სადღეგრძელოებს ამბობენ... მერე უცებ დაიწყებენ ლაპარაკს პოლიტიკაზე, იკამათებენ, იჩხუბებენ კიდევც... და როგორც კი სხვა თემაზე გადავლენ, ისევ მეგობრულად გააგრძელებენ საუბარს, სადღეგრძელოებს... საფრანგეთში, მაგალითად, ან მემარჯვენეები არიან ან მემარცხენეები, და ისინი ერთად შეკრებას ერიდებიან ხოლმე...

— **ალბათ გლლით ქართული სუფრა...**

— არა, არა, სულაც არა... ჩემი მეგობრები მეუბნებიან, რომ იღლებიან, მე პირიქით, მომწონს, ვუსმენ... შეიძლება იმიტომ, რომ ამით ბევრ რამეს ვიგებ ამ ადამიანებზეც, ამ ქვეყანაზეც... საერთოდ, მიყვარს ურთიერთობები.

— **სამზარეულო ახსენეთ... თქვენ თუ მოგწონთ ქართული კერძები?**

— ადრე ყველაზე ძალიან ხინკალი მომწონდა, ახლა პირველ ადგილზე მწვადია. ხაჭაპურიც ძალიან მიყვარს, ნიგვზიანი ბადრიჯანიც, ღომს ბევრი ვერაფერი გაუფეც...

— **თვითონაც ამზადებთ?**

— თეორიულად ყველაფერი ვიცი. აქ მომიზადებია კიდევ, მაგრამ საფრანგეთში ძნელია. ფხალი და ბადრიჯანი დედამ სცადა და კარგი გამოუვიდა, მაგრამ ხაჭაპურს ვერ გამოაცხოვ, რადგან ყველი სხვანაირია.

სამაგიეროდ ხაჭაპური შარშან აღდგომას კახეთში გამოვაცხე, მეგობრებთან. ბევრი სტუმარი უნდა მიგველო. დიასახლისმა მკითხა: ხაჭაპურის ცხობა თუ იციო. კი-მეთქი, — ვუთხარი. აგერ, სამზარეულო, ფქვილი, წყალი, ყველი და აბა შენ იციო.

სხვათა შორის, კარგი გამომივიდა.

ასე ვუმასპინძლე კახეთში ფრანგმა ქართველებს.

— **ისე გაშინაურებისხართ ქართულ ყოფას, მგონი უარს არ იტყოდით აქ ცხოვრებაზე.**

— არაფერს გამოვირცხავ. პირიქით, სერიოზულადაც ვფიქრობ ამაზე. თუმცა ჩემი სამშობლოც ძალიან მიყვარს. ახლა ჩემი მთავარი მიზანია დისერტაციის დაცვა. მერე რა იქნება, ვნახოთ. საქართველო ისე მომწონს... აქ ცხოვრების წინააღმდეგი ნამდვილად არ ვიქნებოდი.

„რა ბედნიერება იქნებოდა...“

(ვიკტორ ნოზაძის დაბადებიდან 120 წლის აღსანიშნავად)

„სამწუხაროა, ასეთი ერუდიტი სამშობლოში რომ არ ხარ. წარმომიდგენია, როგორ გენატრება შენი ქვეყანა“, — სწერდა კონსტანტინე გამსახურდია ვიკტორ ნოზაძეს, რომელიც 1920 წელს წავიდა საქართველოდან და აღარასოდეს დაბრუნებულა. ცხოვრობდა გერმანიაში, ავსტრიაში, ინგლისში, ბრაზილიაში, არგენტინაში, საფრანგეთში... წერდა სტატიებსა და ნარკვევებს ლიტერატურის, ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებზე. თუმცა მისი მთავარი შრომებია რუსთაველოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიცა ჩილეში, არგენტინასა და საფრანგეთში. ეს შრომებია: „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებამეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“ და „ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება“.



ზემო იმერეთის ერთ-ერთ პატარა სოფელ მოძეში დაბადებულმა ვიკტორ ნოზაძემ მთელი ცხოვრება ემიგრაციაში გაატარა.

თუმცა მას უნდოდა, ძალიან უნდოდა სამშობლოში დაბრუნება. წერდა კიდევ, ჩემთვის ბედნიერება იქნებოდა სამშობლოში ერთხელ მაინც რომ ჩავსულიყავიო.

სხვათა შორის, 1966 წელს, რუსთაველის 800 წლის იუბილეს აღსანიშნავ დღეებში, მას მიეცა საშუალება სამშობლოში ჩამოსულიყო, მაგრამ თვითონვე თქვა უარი. მიზეზი კი ის იყო, რომ მოსაწვევი დეპუტატი რუსულ ენაზე მისწერეს.

„რუსთაველის იუბილეს მართავენ და რუსულად მწერენ დეპუტას“, — წერდა იგი და იქვე დასძინდა: „რა ბედნიერება იქნებოდა, საქართველო ერთჯერ კიდევ მენახა“.

ვიკტორ ნოზაძე დაიბადა 1893 წლის 17 სექტემბერს საჩხერის რაიონის სოფელ მოძეში; გარდაიცვალა 1975 წლის 24 აპრილს. დაკრძალულია პარიზთან ახლოს მდებარე დაბა ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

წელს შესრულდა 120 წელი მისი დაბადებიდან.

ნოზაძეთა საგვარეულო კავშირის — **„ვიკტორ ნოზაძის საზოგადოების“** — თაოსნობით 2013 წლის 4 ოქტომბერს საზეიმოდ აღინიშნა დიდი მეცნიერის იუბილე, რომელსაც უმასპინძლა **სოფელ მოძის საჯარო სკოლამ**.

საიუბილეო შეკრება გახსნა ამ საზოგადოების თავმჯდომარემ **გაიოზ ნოზაძემ**. მან ისაუბრა სახელოვანი რუსთაველოლოგის ღვაწლზე და აღნიშნა, რომ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რათა ეს ღვაწლი სათანადოდ წარმოჩნდეს და დაფასდეს.

ვიკტორ ნოზაძის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობაზე ისაუბრეს: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერთანამშრომელმა **მანანა კვატაია** „ვიკტორ ნოზაძის საზოგადოების“ გამგეობის წევრმა **სიმონ ნოზაძემ**, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ემიგრაციის მუზეუმის თანამშრომელმა **რუსუდან კობახიძემ**, დემოგრაფმა **ანზორ თოთაძემ**, ჟურნალისტიკა **ივანე ჯაფარიძემ**, საჩხერის რაიონის გამგებელმა **ამირან ნოზაძემ**, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის მოადგილემ **გურამ გოგიამიძემ**, ვიკტორ ნოზაძის შთამომავალმა **გურამ გაფრინდაშვილმა** და ჟურნალისტიკა **მანანა დოლიძემ**.

საიუბილეო ზემის მონაწილეები დაესწრნენ **ვიკტორ ნოზაძის მემორიალური კაბინეტის** გახსნას მოძის საჯარო სკოლაში. მრავალფეროვან ექსპოზიციას ამშვენებს არგენტინიდან ჩამოტანილი საბეჭდი დაზგა, რომელზეც ვიკტორ ნოზაძე აწყობდა თავის სამეცნიერო შრომებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელ მოძეში **ივანეშვილი ვიკტორ ნოზაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა**. უახლოეს ორ წელიწადში კი გამოიყვება **„ვეფხისტყაოსანის განკითხვათა“** დარჩენილი სამი ტომი.

ბაბრატ ხატისკაცი

„ბასტიხს ქვასაცა მაბარსა...“

**(ქანიშვანაძე
საყდრისის ოქროს შესახებ)**

2000 წელს მადნეულის სპილენძისა და ოქროს ცნობილი საბადოების მახლობლად, ე.წ. ყაჩაღიანის უბანზე, საყდრისის გორაზე, გეოლოგიური საძიებო სამუშაოების დროს აღმოჩინეს გვირაბში ქვებით ჩახერგილი შესასვლელი, რის შესახებ ქართველ არქეოლოგებს აცნობეს. არქეოლოგებმა ერთხმად დაადგინეს, რომ საქმე გვაქვს უძველეს მაღაროსთან. ამ აღმოჩენით უმალ დაინტერესდა გერმანიის ბოხუმის არქეოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც ითვლება ძველი სამთო-მეტალურგიული საწარმოების კვლევების მოთავედ მთელ მსოფლიოში. ქართულ-გერმანულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ცალსახად დამტკიცა, რომ საყდრისის მაღარო ოქროს მოპოვებისათვის გამოიყენებოდა და ის უძველესია კაცობრიობის ისტორიაში. აღმოჩენა მართლაც სენსაციურია და მალე, 2006 წელს საყდრისის გორამ უძრავი ძეგლის სტატუსიც მოიპოვა.

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში მაშინ უკვე იდგა ოქროს შემცველი მადნების ბაქტერიული მეთოდებით გამდიდრების პრობლემა, რომელზედაც ინსტიტუტის ერთი ქვეგანყოფილი მუშაობდა. ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტს გიორგი თავაძეს, დირექტორის მოადგილეს, დოქტორ დავით სახვაძესა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, დოქტორ ჯუმბერ ხანთაძეს, როგორც ამ ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებათა სწორად შერჩევაზე ორიენტირებულ, გნებავთ პასუხისმგებელ პირებს, ინტერესი გაგვიჩინდა დეტალურად გავცნობოდი საყდრისში საქმის ვითარებას და ამ მიზნით 2009 წლის აგვისტოში საყდრისი მოვიწახულეთ. სიმართლე გითხრათ, ნანახმა და მოსმენილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და სურვილიც აღგვიძრა, ინსტიტუტის საქმიანობიდან გამომდინარე, მაღაროს კედლებიდან მონგრეული ნიმუშებიც წამოგვეღო.

2009 წლის მიწურულს უკვე მიღებული გვეონდა ნიმუშების მინერალოგიური, ქიმიური, ფაზური და მიკროსკოპულ კვლევათა შედეგები, რომელთაც გვიჩვენეს, რომ საყდრისის ძარღვიდან აღებული ნიმუში შეიცავს 4 გ/ტ-მდე ოქროს, რომლის მეცულობაც, ჩვენი საშუალებებით გამდიდრების პრობლემაში ოთხჯერ გაიზარდა.

ამგვარად, დავიკმაყოფილეთ ჩვენი მეცნიერული წადილი, დავადგინეთ ოქროთი გამდიდრების შესაძლებლობა და საყდრისის საკითხიც ამონურულად ჩავთვალეთ.

გამოხდა ხანი და კომპანია **RMG Gold**-მა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს საყდრისის მაღარო, გადაწყვიტა ამ ტერიტორიის, მათ შორის საყდრისის გორის სამრეწველო ათვისება. მაგრამ არსებული კანონმდებლობის თანახმად, მას ამის უფლება არ გააჩნია, ვიდრე მაღაროს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს. ამიტომ **RMG Gold**-ის უპირველესი ამოცანაა საყდრისისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა. ამან გამოიწვია საზოგადოების ვენებათაღელვება. მეცნიერების — არქეოლოგების, გეოლოგების, მეტალურგების — აზრი ორად გაიყო: ერთნი ამტკიცებენ, რომ ეს უძველესი ოქროსმოპოვებელი მაღაროა, მეორენი ამას „მეცნიერულ ფალსიფიკაციად“ და „მისტიკურ გამოწონა-

გონად“ მიიჩნევენ. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ამ მეორე ბანაკის წარმომადგენლებს, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, არასოდეს გაუპროტესტებიათ საყდრისის რაობის საკითხი, ვიდრე ეს კომპანია **RMG Gold**-ის ინტერესთა სფეროში არ მოხვდა.

ყოველივე ამან გაგვახსენა 2009 წელს ჩვენს ინსტიტუტში ჩატარებულ კვლევათა შედეგები და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით საჭიროდ მივიჩინეთ გამოვხმაურებოდი ამ მოვლენებს.

ჩვენი არჩევანი — წერილი ჟურნალ „**ჩვენ მწერლობაში**“ გამოვრეკვეყნებინა — განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: ასეთ ვრცელ წერილს არავინ დაგვისტამბავდა და, რაც მთავარია, საკითხი ეხება ჩვენს ისტორიას და კულტურულ მემკვიდრეობას. ამან გაბედულება შეგვმატა და, არ დავმაღავთ, იმედიც გაგვიჩინა, რომ თქვენ გონებაგავარჯიშებულ მკითხველს უფრო დავაინტერესებდით ამ პრობლემით.

მამ ასე, ჩვენი ხელთა მრავალი საგაზეთო სტატია, ვიხილეთ მრავალი სატელევიზიო გამოსვლა, მომწინი გავხდით მრავალფეროვანი დისკუსიებისა, რომლებიც, როგორც წესი, მეცნიერული კონცეფციებით დატვირთულ ფონზე ვითარდებოდა. მაგრამ ვერ გავცვით პასუხი იმ კითხვებს, რომლებითაც ოპონენტები აპელირებენ (ალია, №108, 30.08-12.09 2013; თბილისელები, 1-8 აგვისტო, 2013; PRIME Time, 9 სექტემბერი, 2013).

ამ კითხვათაგან უმთავრესია: „**როგორ ადგენდა პრეისტორიული ადამიანი უხილავი ოქროს არსებობას ამა თუ იმ ქანში? როგორ საზღვრავდა მის შემცველობას? როგორ არჩევდა იმ ქანებს, საიდანაც ოქროს ამოღება მექანიკური გზით იყო შესაძლებელი?**“

ეს კითხვა ინვარიანტულია დროსა და სივრცეში. იგივე კითხვა შეიძლება დავსვათ ეგვიპტური ოქროს მოპოვებასთან დაკავშირებით, რომელიც საყდრისის ოქროსთან შედარებით, სავარაუდოდ, 1000 წლით ახალგაზრდაა. იგივე კითხვა შეიძლება დავსვათ უძველეს სპილენძ-ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიის განვითარებასთან დაკავშირებით და ასე უსასრულოდ.

ფაქტია, რომ ადამიანმა მიაგნო და დროთა ვითარებაში დახვეწა მადნებიდან ლითონების და, მათ შორის, ოქროს მიღების ტექნოლოგია. მაგრამ ვიდრე ოქროს მოპოვების პრეისტორიულ საშუალებათა ჩვენს ხელთა ვისაუბრებდეთ, რამდენიმე ზოგად განმარტებას გავაკეთებთ მკითხველის საქმის კურსში შესაყვანად.

ჩვეულებრივ, ოქრო საიუველირო ნაწარმთან ასოცირდება. იგი გამოიყენება აგრეთვე მონეტებისა და მედლების მოჭრის დროს, სტომატოლოგიურ პრაქტიკაში და დეკორატიული დანაწარმების დასამზადებლად. მაგრამ ბევრამ არ იცის ოქროს მნიშვნელობა თანამედროვე ტექნიკის სხვადასხვა სფეროში: ელექტრონიკაში, კოსმოსურ და საავიაციო ტექნიკაში, ბირთვულ ენერგეტიკაში და ა.შ. ოქროს თხელი დანაწარმები გამოიყენება საპასუხისმგებლო ელექტრონული მოწყობილობების, ნახევრადგამტარი ხელსაწყოების, მიკროსქემების დასამზადებლად. ოქროს ფუძეზე შექმნილი სარჩელებით მზადდება სპეციალური ვაკუუმური ელექტრომილაკები, ინტეგრირებული სქემების და სხვა უნიკალურ მოწყობილობათა კვანძები. ოქრო ინფრანითელი სხივების მაღალი არეკვლის უნარით გამოირჩევა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ რადიაციისაგან დაცვის მიზნით „აპოლონის“ სერიის კოსმოსური აპარატების ზედაპირული კვანძები და კოსმონავიგატორული აპარატები ოქროს თხელი ფენით იყო დაფარული და ა.შ.

ამგვარად, ოქროს თავდაპირველი ფუნქცია, რომელიც ძირითადად სამკაულების დამზადებასა და სავაჭრო-გაცვლით ურთიერთობებში გამოიხატებოდა, თანდათან გაფართოვდა და ამჟამად ასტრონომიულად გაიზარდა. სათანადოდ, ყოველწლიურად იზრდება ოქროს მოპოვება და კატასტროფულად მცირდება მისი ისედაც მწირი მარაგები.

მსოფლიოში ოქროს მოპოვების დინამიკას შემდეგი ციფრებით აფასებენ: XVI საუკუნეში მოპოვებულია 760; XVII — 910; XVIII — 1890; XIX — 11600 და XX — საუკუნეში 57700 ტ ოქრო.

ოქროს საშუალო შემცველობა დედამიწის ქერქში $4,3 \cdot 10^{-7}$ % აღწევს, ხოლო ზღვის წყალში 10^{-3} მგ/მ³. ოქროს შემცველ მადნებში ოქრო არსებობს თავისუფალ, თვითნაბადი ოქროს სახით. თვითნაბადი ოქრო წარმოადგენს 43%-მდე ვერცხლისა და ოქროს მყარ ხსნარს, რომელშიც შეიძლება მცირე რაოდენობით გახსნილი იყოს სპილენძი, ტყვია, პლატინა და სხვა ლითონები.

ბუნებაში ოქრო გვხვდება მინერალების სახითაც — კუპრო-აურიტი 20%-მდე სპილენძით გამდიდრებულ ოქროს წარმოადგენს, ბუსმიტოურიტი — 4%-მდე ბისმუტს შეიცავს და ა.შ. სულ ცნობილია 15-მდე ოქროს მინერალი, მაგრამ მათი წილი ოქროს მოპოვებელ ინდუსტრიაში მცირეა.

თვითნაბადი ოქრო ბრჭყვიალა მოყვითალო-მონითალო, ზოგჯერ მომწვანო შეფერილობისაა და ფერს იცვლის მინარევთა ბუნებისა და რაოდენობის მიხედვით. შედგენილობის მიხედვით მისი სიმკვრივეც ცვალებადია და მერყეობს 19,7-15,6 გ/სმ³ ფარგლებში.

ბუნებაში გვხვდება სხვადასხვა დისპერსულობის თვითნაბადი ოქრო: წვრილი (0,05-2მმ) და მსხვილი (2მმ და მეტი). აქვე მკითხველს შეეახსენებთ, რომ ადამიანის ჯანმრთელი თვალის გარჩევის უნარი 0.1 მმ-ია. ეს იმას ნიშნავს, რომ თვალს, როგორც ოპტიკურ მონყობილობას, შეუძლია გაარჩიოს 0.1 მმ ზომის სხეული. მაშასადამე, 0.1 მმ და უფრო მეტი ზომის ოქროს ნაწილაკს თვალი ხედავს და ასეთ ოქროს ხილულს ეძახიან.

ბუნებრივ პირობებში ოქრო გვხვდება მადანარმოქმნელ ქანებში, უფრო ხშირად კვარცხი ან მადნოვან მინერალებში (არსენოპირიტი, პირიტი, ჰალკობირიტი და სხვა სულფიდები). ოქრო არათანაბრადაა განაწილებული მადანში. გვხვდება ღრუბლისმაგვარი, დენდრიტული გროვების სახით, შეიძლება შეზრდილი იყოს ქანის ბზარებში ან კვარცის ძარღვებში. ცნობილია დიდი ზომის ოქროს გროვები. მაგალითად, ურალში, ტიელგინსკის მაღაროში 1936 წ. ერთი დღის განმავლობაში აღმოაჩინეს 2.05; 1.12 და 0.97 კგ, ხოლო მომდევნო დღეებში კიდევ ორი — 14.23 და 9.38 კგ თვითნაბადი ოქროს გროვები. ისევ ურალში, კოლუმინსკის საბადოზე 1936-1940 წწ სამი ბუდიდან ამოღებული იყო 230 კგ ოქრო, ძირითადად 8 კგ-მდე წონის თვითნაბადების სახით.

ზოგიერთ ძირითად საბადოში გვხვდება ოქროთი გამორჩეულად გამდიდრებული გროვები. ვესტბის მაღაროს ერთ, არცთუ ისე დიდი ბლოკიდან ამოღებულ იქნა 0.5 ტ ოქრო. ალიესკის საბადოში 1 ტ ბლოკიდან ამოიღეს 240 კგ ოქრო. კუზნეცის ალათაუში, საბადო „ზნამენიტის“ კვარცულ ძარღვებში ოქროს შეცულობა 5 კგ/ტ აღწევდა.

ავსტრალიაში, ჰარგრეივისის საბადოზე 1850 წ. იპოვეს კვარცის ლოდი, რომლიდანაც 43.35 კგ ოქრო ამოიღეს („კერის ასფუნტიანი“). ბალარატის საბადოზე 1858 წ. 68.2კგ თვითნაბადი ოქრო აღმოაჩინეს („სასურველი თვითნაბადი“). მოლიაგულის მთაზე (ვიქტორია) 1869 წ. 69.6 კგ თვითნაბადი ოქრო იპოვეს („სასურველი უცნობი“). შელენდის საბადოზე 1872 წ. მადნიდან ამოიღეს 260 კგ შტუფი (სამუზეუმო ექსპონატი), რომელიც 93.4 კგ ოქროს შეიცავდა („ჰოლტერმანის ფილა“). კალიფორნიაში, მოზერ-ლოდის საბადოზე მადნის ზოგიერთ მსხვილ ბლოკში ოქროს საშუალო შეცულობა 60-200კგ/ტ ფარგლებში მერყეობდა და ა.შ. და ა.შ.

მსხვილი თვითნაბადებია ნაპოვნი ოქროს შემცველ ქვიშრობულ საბადოებშიც. 1842 წ. 36.02 კგ თვითნაბადი („დიდი სამკუთხედი“) იპოვეს მდ. ტაშკუტარგანკის აუზში, მაისკის რაიონში. იქვე, იმავე პერიოდში ნაპოვნია 52 ცალი 0.4-2.8 კგ თვითნაბადი ოქროს ნიმუშები. 1882 წ. მაისკის რაიონში ნაპოვნია 20 კგ ოქროს ნიმუში, ხოლო 1935 წ. ე.წ. „კურდღლის ყურები“. თვითნაბადი ოქროთი მდიდარი იყო ციმბირის, მთიანი ალტაის და შორეული აღმოსავლეთის ოქროს შემცველი ქვიშრობული საბადოებიც.

თვითნაბადი ოქროს ნიმუშები ნაპოვნია საქართველოს ტერიტორიაზეც, მაგრამ ისინი ბევრად მოკრძალებული ზომებისაა, უმსხვილესი — 0.470 კგ თვითნაბადი ნაპოვნია მდ. ენგურის აუზში, სოფ. აცის მახლობლობაში. აღსანიშნავია, რომ ამ უბანზე ოქროს მადიებლები დღესაც მოიპოვებენ კუსტარული მეთოდით ოქროს. ენგურის მარცხენა შენაკადის, მდ. ლასილის კალაპოტურ დანალექებში ნაპოვნია 0.34 კგ-მდე წონის მრავალი თვითნაბადი. ოქროს მატარებელია მდინარე ცხენისწყალიც — აქ ხშირად პოულობენ 2-3 გ მარცვლებს, ნაპოვნია 40 გ-მდე წონის თვითნაბადებიც. მდ. ხრამის დანალექებში აღმოჩენილია 9 გ-მდე წონის ნიმუშები. მდ. მაშავერას აუზში, მდ. დამბლუდის დანალექებში აღმოჩენილია მსხვილმარცვლოვანი, სუსტად მომრგვალებული ოქროს 16 გ-მდე წონის ნიმუშები და ა.შ.

როგორც ჩანს, თვითნაბადი ოქროს რეგისტრაცია XVIII საუკუნიდან იწყება. რა ხდებოდა მანამდე, არავინ იცის, მაგრამ ცხადია, რომ ათასწლეულთა მიღმა ის ბევრად მეტი იქნებოდა. ოქროს მსხვილი გროვებისა და თვითნაბადების წარმოშობის მექანიზმზე მეცნიერებს ცალსახა პასუხი არ გააჩნიათ, თუმცა ყველა მიიჩნევს, რომ მათი წარმოქმნისათვის ხელშემწყობი ფიზიკურ-ქიმიური პირობები, რომლებიც განაპირობებენ ოქროს კონცენტრირებას ლოკალურ უბნებზე ხანგრძლივ ჰიდრო თერმალურ პროცესებს უკავშირდება.

ამ, ენციკლოპედიური ხასიათის მიმოხილვის შემდეგ საყვარლის ოქროს საკითხს დაუბრუნდებით.

ოქროს შემცველი საბადოები ხანგრძლივ და რთულ გეოლოგიურ პროცესთა შედეგად ფორმირდება. ისინი იყოფა ძირეულ (სამადნო) და ქვიშრობულ საბადოებად. მთის ქანები მუდმივად განიცდიან გამოფიტვას, გარე ფაქტორების (ნალექები, ქარი, ტემპერატურა) ზემოქმედებით დროთა ვითარებაში შეუქცევადად იშლებიან. ქანების

გამოფიტვის შედეგად მიღებული პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც მისი წარმოშობის სანყის ადგილზე რჩება გეოლოგები ელუვიურს უწოდებენ. ასეთი მასალა მთის ქანების სხვადასხვა ზომის დაკუთხული ფორმის ნამსხვრევთა და ნაწილაკთა მექანიკურ ნარევის წარმოადგენს. გამოფიტული მთის ქანების დიდი ნაწილი საუკუნეთა განმავლობაში მდინარეებით გადაიტანება და ტაფობებში ილექება, ნაწილი კი ზღვებსა და ოკეანეებში ჩადის. ამ პროცესს დელივიური ეწოდება. ტრანსპორტირების პროცესში გამოფიტული მასალის შემადგენელი კომპონენტები ურთიერთხახუნის შედეგად ზომებში მცირდებიან და ფორმასაც იცვლიან — მრგვალებიან და გლუვდებიან. ასეთი, ე.წ. ალივიური მასალა ელივიურისაგან ფორმებით მკვეთრად განსხვავდება. ამ ფორმაცვლილების საფუძველზე გეოლოგები განსაზღვრავენ დანალექის გეოლოგიურ ასაკს. ალუვიური წარმოშობისაა ჩვენ მდინარეთა აუზებში დალექილი ლორღი, ხრეში, ქვიშა და თიხნარი.

ტაფობებში ტრანსპორტირებული მასალა ქვიშრობების სახელითაა ცნობილი. რასაკვირველია, ყველა ამ პროცესში მთის ქანებში არსებული სასარგებლო წიაღისეული ელემენტებიც მონაწილეობენ და მათ შორის ოქროც. ასეთი ქვიშრობული წარმოშობის ოქროს შემცველი კვარციტული საბადოა მადნეულის ტერიტორიაზე, რომელიც საშუალოდ 1-1,6 გ/ტ ოქროს შე-



მაღაროში შესასვლელი

იცავს. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ არსებული ე.წ. მეორადი ოქრო, ძირეული ანუ პირველადი მთის ქანების დაშლისა და მათი ტრანსპორტირების შედეგად არის მოხვედრილი.

აქვე უნდა გავიხსენოთ საბადოს ისტორიაც. ის ცნობილი სწავლული-გეოლოგის, გიორგი თვალჭრელიძის ფუნდამენტურ ნაშრომებში შეიძლება ამოვიკითხოთ. ნაშრომები 1958 წ., მოსკოვში, საბჭოთა აკადემიის მიერ გამოცემულ კაპიტალური ექსპტომეულის — Природные ресурсы Грузинской ССР, პირველ ტომში — Металлические полезные ископаемые არის გამოქვეყნებული. ნაშრომები ეხება საქართველოს გეოლოგიური აგებულების გათვალისწინებით საქართველოს ტერიტორიაზე მადნეული წიაღისეულის გავრცელების კანონზომიერებათა კვლევას და ხშირ შემთხვევაში პროგნოზირებასაც, მათ შორის ე.წ. ლოკ-ჯანდარის გამადნების რაიონში, რომელიც ბოლნისის მადანგამოვლინებათა სახელითაც იწოდება. აქ აღმოჩენილია ერთ სამადნო ველში გაერთიანებული ოთხი სამადნო სხეული. მათგან დამბლედოს მონაკვეთზე რეგისტრირებულია 30-მდე 0.3-1 მ სიმაღლის ძარღვული სხეული. ზოგიერთში ოქროს შემცველობა 50გ/ტ აღწევდა და ხილული სახით არსებობდა. რევოლუციამდე ეს საბადო უცხოელების, ხოლო შემდეგ ოქროსმადიებელთა მიერ მუშავდებოდა. ამჟამად ამ უბანზე ოქრო ამოღებულია.

ამავე ჯგუფში განიხილება კაზრეთისა და ფოლადაურის გამადნების ველიც. აქ ჭარბობს ბარიტ-პოლიმეტალური კვარცული მადნები. 1952 წელს კაზრეთის ტერიტორიაზე დადასტურდა სამრეწველო მნიშვნელობის სპილენძ-კოლჩედაური მადნების არსებობა. მადანი თითქმის ჰორიზონტალურადაა ჩანოლილი დედამიწის ზედაპირიდან 25-85 მ სიღრმეზე და წარმოდგენილია სულფიდების, ძირითადად ჰალკობრიტის, პირიტის და სფალერიტის სახით. მადნის ამ ფენას ქუდივით ახურავს 25-85 მ სისქის ოქროს შემცველი კვარციტების ქვიშრობული დანალექი. ეს გეოლოგიური გამოკვლევები დაედო საფუძვლად მოგვიანებით, გასული საუკუნის 70-იან წლებში მადნეულის საბადოს სამრეწველო ათვისებას, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი უმსხვილესი სამთო-მომპოვებელი საწარმოა საქართველოში და ორიენტირებულია სპილენძისა და ოქროს მოპოვებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ოქროს შეცულობა დედამიწის ქერქში ძალიან მცირეა და ინტენსიური მოპოვების შედეგად მისი რაოდენობა სულ უფრო და უფრო კლებულობს. ოქროთი მდიდარ საბადოთა დიდი ნაწილი უკვე ექსპლუატირებულია, ამიტომაც იზრდება მწირ საბადოთა წილი ოქროსმომპოვებელ წარმოებაში.

ეს ფაქტი ადეკვატურ ასახვას პოულობს ა. თვალჭრელიძის და ო. ქუცნაშვილის მიერ კულტურის სამინისტროში წარმოდგენილ დასკვნაში — „ყაჩაღიანის უბნის ისტორიული მალაროს გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური მიმოხილვა“. კერძოდ, ამ დოკუმენტში ნაჩვენებია, რომ ბოლო 150 წლის განმავლობაში ოქროს შემცველ მადნებიდან ოქროს მოპოვების პერსპექტიულობა კატასტროფულად შემ-

ცირდა. მაგალითად, თუ 1850 წელს რენტაბელურად მიიჩნეოდა მადანში 100 გ/ტ ოქროს შემცველობა, ამჟამად ეს რიცხვი სამი რიგითაა შემცირებული. თუ ამ სურათის ექსტრაპოლაციას მოვახდენთ, უნდა მოველოდეთ, რომ იმ „პრეისტორიულ“ ხანაში, როდესაც საყდრისის საბადოს დამუშავება დაიწყო, მასში ოქროს რაოდენობა მნიშვნელოვნად სჭარბობდა ჩვენს წარმოდგენებს და იქ მარცვალთშორის ოქრო ხილული სახით არსებობდა.

ჩვენი მასწავლებელი, აკადემიკოსი ფერდინანდ თავაძე თვლიდა, რომ „ლითონდამუშავება ჩაისახა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ადამიანმა პირველად შეიცნო და განასხვავა ლითონი ქვებისაგან. თვითნაბადი ოქრო, ვერცხლი, სპილენძი თავისი ლამაზი, ბრწყვიალა და მზინავი ფერით, პლასტიკურობით, ჭედვის უნარიტა და წკრიალა ლითონური ხმით მკვეთრად გამოარჩია ფუჭი ქანისაგან. აქედან იწყება ლითონის მიღება-დამუშავების ტექნოლოგია. ამ სფეროში მოპოვებული ცოდნა-გამოცდილება ოჯახურ ან თემურ საიდუმლოებას წარმოადგენდა და მას ემპირიული ხასიათი ჰქონდა...“

პირველყოფილმა ადამიანმა, რომელიც ნადირობით ირჩენდა თავს, ხეტიალს მას შემდეგ დაანება თავი, რაც მინის დამუშავება ისწავლა, ახარა ვაზი და მარცვლული, გახდნა ცხენი და მოიშინაურა ცხოველ-ფრინველი.

ალბათ უკვე მაშინ გაჩნდა კაცი — სელექციონერი, რომელმაც მცენარეთა შეფუარებით მისთვის სასურველი მცენარე მიიღო, პურეულის აბორიგენული ბალახებიდან პურეულის კულტურული სახეობანი ახარა. მაშინ გაჩნდა ალლოთი გამორჩეული კაცი — მადანმცოდნე, თანამედროვე გეოლოგის პროტოტიპი, რომელიც გაერკვა მინაში არსებულ მინერალთა ავკარგინობაში. უძველესი ხელობაა მეთუნეობა — კაცმა თიხისაგან ჭურჭელი დაამზადა და კერამიკულ წარმოებასაც საფუძველი ჩაუყარა და ა.შ. მამასადამე, ცხადია, რომ პირველქმნილ სამყაროში ოქრო ხილული ჩანანინკლების სახით იყო წარმოდგენილი. ამის მრავალი მაგალითი ზემოთ მოვიყვანეთ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საყდრისის ოქროთი გამდიდრებული, გამოფიტვის შედეგად გაშიშვლებული კვარციტული ძარღვი მინის ზედაპირზე გამოდიოდა და ოქროს ბრწყვიალა ჩანანინკლებით მიიქცია ადამიანის ყურადღება. ცნობისმოყვარე კაცმა დაიწყო მისი დამუშავება: მოანგრია და დანაყა მონგრეული მთის ქანი. აქვე შეგახსენებთ, რომ ოქრო გამორჩეულად ინერტული ლითონია. გამდნარ მდგომარეობაში არ ასველებს სილიციუმის ჟანგს (კვარციტს) და სხვა მინერალებს, არ ურთიერთქმედებს ქიმიურად მათთან, ანუ ხასიათდება უმნიშვნელო ადჰეზიით. ეს ნიშნავს, რომ ოქროს შემცველი მადნების დაქუცმაცების, ანუ დისპერგირების პროცესში ოქროს ნაწილაკები ადვილად ცილდებიან ძირითად მასას — ფუჭ ქანს. თუ ასეთ დანაყოლ მასალას გამდინარე წყალში გავრეცხავთ, ოქრო, რომლის სიმკვრივეც სულ ცოტაა ხუთჯერ მეტია ფუჭი ქანის სიმკვრივეზე, დაილექება, ხოლო შეტივანარებული მსუბუქი მასა — ფუჭი ქანი — წყალს გაყვება. ეს არის მადნების გრავიტაციული გამდიდრების სახელწოდებით ცნობილი ფართოდ გავრცელებული მეთოდის უპრინციპული სახეობა, რომელსაც იყენებდნენ ოქროსმადიებლები



ქვასანაყი

ძველად. ამერიკაში, მდინარეების იუკონისა და კლონდაიკის აუზებში „ოქროს ციებ-ცხელების“ სახელით ცნობილი ისტორიული პერიოდი ხანა აღწერილია მხატვრულ ლიტერატურაში.

იმ ცნობისმოყვარე კაცმა, პირველმა მადანმცოდნემ გარეცხილი ოქროთი გამდიდრებული ნაწილი გამოადნო და ზოდად აქცია. ცნობისათვის: სუფთა ოქრო ცელსიუსით 1063 გრადუსზე დნება, ხოლო მინარეები ყოველთვის მნიშვნელოვნად ამცირებენ მისი დნობის ტემპერატურას. ასე რომ, ხის მერქანით თვითნაბად ოქროს უპრობლემოდ გააღებოდა, მითუმეტეს, კერამიკული წარმოების ანბანი უკვე ათვისებული ჰქონდა. მერე ალბათ იმაშიც დარწმუნდა, რომ ოქრო ჭედადი ლითონია და შეიძლება ადვილად მისცე სასურველი ფორმა. ეს პრეისტორიული პროცესი უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე გეოლოგიის, სამთო საქმისა და მეტალურგიის ჩანასახად.

როცა ოქროს სიკეთეში დარწმუნდა და ძარღვის ზედაპირული ნაწილი აითვისა, მინის სიღრმეში გააგრძელა მისი დამუშავება, ძარღვის გასწვრივ გაჭრა გვირაბი, თანაც ისეთი ზომების, რომ უროებით შეძლებოდა ქანის მონგრევა. შედეგად მივიღეთ ამჟამად არსებულ გვირაბთა ლაბირინთი თავისი ჰორიზონტალური და ვერტიკალური განმტოვებით, რომელთა დონეთა სხვაობაც 30 მ აღწევს. როგორც აქ აღმოჩენილი არტეფაქტების დათარიღება გვიჩვენებს, ამ მალაროს ექსპლუატაცია 5-7 საუკუნე გრძელდებოდა.

სმირად ამბობენ, რომ იმ სრულიად გამორჩეული შეფერილობის ძარღვში, რომლის გასწვრივაც არის გათხრილი ამჟამად გამოსუფთავებული მალარო, ხილული ოქრო არაა აღმოჩენილი. რასაკვირველია, ის ამჟამად აღარ არსებობს, ამოღებულია. ზემოთ ამავე რეგიონში არსებული დამბლუდოს საბადოს შესახებ მოგახსენეთ. გასულ საუკუნეში იქაც იყო ხილული ოქრო, ის ოქროსმადიებლებმა ამოიღეს და ამჟამად აღარ არის. რომ დაიაროთ მთელი ალიასკა და კანადა, ხილული ოქროს ნასახსაც ვერსად იპოვით, მაგრამ საუკუნის წინათ ხომ არსებობდა, ამას ხომ ვერავინ ვერ უარყოფს, რომ სწორედ იმ ქვიშრობთა დამუშავებას მიჰყო ხელი ათიათასობით ოქროსმადიებელმა იუკონისა და კლონდაიკის ტერიტორიაზე, სადაც ოქრო შეუიარაღებელი თვალთ ჩანდა და მისი არსებობის დასადასტურებლად სულაც არ იყო საჭირო გეოლოგიური გამოკვლევები და პრეციზიული ანალიზები, რომელთა გამოყენებაც დღეს აუცილებელია ღარიბი ოქროსმეძველი მადნების (1 გ/ტ) ასათვისებლად. ამგვარად, როცა ოქროსმადიებლებზე საუბრობენ, გულისხმობენ მხოლოდ ხილული ოქროს ამოღების პროცესს უმარტივესი ხერხებით, რთული თანამედროვე ქარხნული ტექნოლოგიების გამოყენებლად.

სმირად ეჭვქვეშ აყენებენ საკითხს: როგორ მოანგრია ადამიანმა უფრო მაგარი მთის ქანები ნაკლები სიმაგრის მქონე შრომის იარაღით — ქვებით, რომელთა სხვადასხვა ფორმისა და წონის ნიმუშები ათასობითაა აღმოჩენილი მალაროში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. საკითხის ამგვარად დაყენება მყარი ტანის რღვევის ფიზიკის უცოდინარობით არის გამოწვეული და განმარტებას თხოულობს. სხეულის რღვევა შეიძლება განხორციელდეს სტატიკურ (ბლანტი

რღვევა) და დინამიკურ (მყიფე რღვევა) რეჟიმებში. დინამიკურად მიყენებული იმპულსის (მაგალითად, დარტყმის) პირობებში რღვევა დეფორმაციის გავრცელების სიჩქარეზე უფრო დამოკიდებული, ვიდრე სიმაგრეზე. ამიტომ არის, რომ რკინის ნერაქვით ბევრად მაგარი მასალების მონგრევაა შესაძლებელი. მაღალი წნევის წყლის წვრილი ჭავლით, რომელშიც შეტივინებულია აბრაზიული მასალა, კარაქვით იჭრება მასიური ლითონური და კერამიკული სხეულები. ეს დინამიკურ რეჟიმში რღვევის ქრესტომათიული მაგალითია, ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში და, საბედნიეროდ, თბილისის რამდენიმე სანარმოშიც. დაბოლოს, ბრძნული გამოწონაქვამი — „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, მიუთითებს, რომ ძველად უკვე იცოდნენ მექანიკური დამუშავების დროს დეფორმაციის სიჩქარის გავლენა.

ამასთან დაკავშირებით სრულიად გაუგებარია ოპონენტთა კითხვა: როგორ შეიძლებოდა მაღალი სიმკვრივის მასალის დამუშავება ნაკლები სიმკვრივის იარაღით? ამ ლოგიკით ალმასი, რომელიც უმაგრეს სუბსტანციაადაა აღიარებული (მოოსის შკალით მისი სისალე 10-ია, ხოლო სიმკვრივე 3 გ/სმ³-ია), ვერ უნდა „ერეოდეს“ მასზე ბევრად მკვრივ ლითონებსა და შენადნობებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ალმასის ინსტრუმენტით ადვილად მუშავდება მასზე მეტად მკვრივი მასალები, მათ შორის ვოლფრამიც, რომლის სიმკვრივეც შვიდჯერ სჭარბობს ალმასის სიმკვრივეს.

ამგვარად, ფაქტი აშკარაა, გვირაბი გაჭრილია. როგორ ითხრებოდა გვირაბი იქ ალმოჩენილი იარაღებით? მონდომების შემთხვევაში ნებისმიერმა ჩვენგანმა შეიძლება ეს შეამომოს — აიღეთ იქ ნაპოვნი ქვის ურო, ურტყით კედელს, მონგრეული ქანი დანაყეთ იქ მოპოვებულ ქვასანაყში და დარწმუნდებით, რომ ეს შესაძლებელია, მართალია, მძიმე შრომის ფასად.

გაკვირვებას იწვევს კითხვა: „როგორ ხდებოდა განათების უზრუნველყოფა, როდესაც ერთი ჭრაქიც კი არაა ნაპოვნი, ხოლო ჩირალდანი ადამიანის დახუთვის იგივე შედეგს გამოიწვევდა, რასაც ცეცხლის დანთება“.

ამ კითხვის ავტორს მხედველობიდან გამოიჩინა ტემპერატურის ფაქტორი. საყდრისის მალაროში ზაფხულის პაპანაქებაშიც კი ყინვასავით სიცივეა, თუ რამე არ მოიცივი, გაიყინები. გარემოსა და მალაროში არსებულ ტემპერატურათა სხვაობა იწვევს აეროდინამიკურ ნაკადთა წარმოქმნას — ჩირალდნის წვის პროდუქტი, თბილი და, მამასადამე, მსუბუქი მასა, ზემოთ გადაადგილდება, ცივი ჰაერი — ქვემოთ. ამას კონვექციური ნაკადები ჰქვია და ძალიან ვწუხვართ, რომ ამის შესხენება გვჭირდება. დიახ, მღვიმეებში კვარის ჩირალდებით ჩადიოდნენ. კვარი საათობით იწვის, მაღალი განათებულობით გამოირჩევა და სუნსაც სასიამოვნოს აყენებს. ამაში ყველა დაგვეთანხმება, ვისაც ღამით კვარის შუქზე ხმალაობით უთევზავია.

საყდრისის ოქროთი გამდიდრებული კვარციტული ძარღვი, რომელიც „პრეისტორიულმა“ ადამიანმა აითვისა, ერთადერთი არ უნდა იყოს ამ ტერიტორიაზე. საფიქრელია, რომ მსგავსი, ოქროთი გამდიდრებული ლოკალური უბნები სხვაც იქნება. ეს ვარაუდი უფრო განგვიმტკიცდა კულტურის სამი-



ქვის ინსტრუმენტი

ნისტროში ძეგლის თაობაზე შექმნილი კომისიის პირველ სხდომაზე. მაშინ კომპანია **RMG Gold**-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საყდრისის ნაკვეთზე, რომლის ფართობი დაახლოებით 300X300 მ-ია, კონცენტრირებულია **RMG Gold**-ის კუთვნილ, საექსპლუატაციოდ გამზადებულ, დაახლოებით 20-ჯერ უფრო დიდ ტერიტორიაზე არსებული ოქროს მარაგის ნახევარზე მეტი, და მერე ისიც დააყოლა: თუ საყდრისის არ ავადფეთებთ, ანუ არ დავამუშავებთ, სახელმწიფო 160 მილიონი ლარით დაზარალდება. ამის მთქმელმა ალბათ მერე ენაზე იკბინა. ამიტომ შემდეგ შეხვედრაზე „ფირფიტა გადააბრუნეს“: მანდ ოქროს რა უნდა, ეს ხომ ჩეულერბრივი შუასაუკუნეების სპილენძის მოპოვებელი მალაროა, რომლის მსგავსიც მოფენილია მთელ საქართველოში.

ვთქვით და მართალი ბრძანდებით: საყდრისში სპილენძს მოიპოვებდნენ. მაშინ რა გამოდის, თქვენს მიერ ზემოთ დასმული კითხვა: „როგორ ხდებოდა განათების უზრუნველყოფა“? სპილენძის მოპოვებელ მალაროზე არ ვრცელდება და ადამიანის დახუთვას არ გამოიწვევს? ხომ ხვდებით, რომ კითხვა აბსურდულია. რა ვუნდოთ ამას? თქვენი ტერმინოლოგიის თანახმად, იქნებ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით მოფიქრებული ხრიკი.

დებულებას იმის შესახებ, რომ საყდრისის მალაროში სპილენძი მოიპოვებოდა, ვერაფრით დავეთანხმებით. როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, 2009 წელს ძარღვიდან აღებული ნიმუშის, ჩვენ თვალწინ გაკეთებულმა ანალიზმა უჩვენა, რომ ის ჟანგულებისაგან შედგება, ძირითადად კვარცისაგან (82%) და შეიცავს 4გ/ტ-მდე ოქროს. ამ ნიმუშებში სულფიდების კვალიც კი არ არის აღმოჩენილი, რაც მიუთითებს, რომ ძარღვი შეუძლებელია სპილენძის მატარებელი ყოფილიყო. ჩვენი ეს მოსაზრება ემყარება გ. თვალჭრელიძის ზემოთ მოხსენიებულ გეოლოგიურ კვლევათა შედეგებს, რომელთაც ცალსახად დაადასტურეს ამ ტერიტორიაზე კოლჩედაური სპილენძის არსებობა, რაც მხოლოდ სულფიდთა სახით ხორციელდება ბუნებაში.

საყდრისის უბნის რუკა **RMG Gold**-ის დოკუმენტაციაშია წარმოდგენილი. ამ ტერიტორიაზე ოქროს საშუალო შემცველობა არ უნდა სჭარბობდეს 2 გ/ტ, რაც ზოგადად დამახასიათებელია მადნეულის ქვიშრობებისათვის. აქედან გამომდინარე, მარტივი არითმეტიკით შეიძლება დავადგინოთ, რომ უშუალოდ საყდრისის ძეგლის უბანზე ოქროს შემცველობა სულ მცირე 80 გ/ტ იქნება. ეს კომპანია **RMG Gold**-ის გეოლოგებმაც საუცხოოდ იციან და ამიტომაც იკლავენ თავს, რათა ძეგლი ააფეთქონ და სახელმწიფო არ „აზარალონ“. დალოცვილებო, თუ ეს ასეა, რა უკუუმალობანას გვეთამაშებიან, ღიად დასვით საკითხი და სახელმწიფოს დაუმტკიცეთ ძეგლის აფეთქების აუქციონებლობა. მაშინ იქნებ საზოგადოებაც დარწმუნდეს თქვენი ზრახვების სიკეთეში და კომპრომისულ გადაწყვეტილებაზეც დაგთანხმდეს — ძეგლის გადატანის თაობაზე.

სხვათა შორის ხსენებული რუკის თანახმად ძეგლი **RMG Gold**-ის კუთვნილი ტერიტორიის უკიდურეს ნაწილში მდებარეობს და არა ცენტრში, როგორც ამას საგაზეთო სტატიის აცხადებენ: „საქართველოში მოქმედ უმსხვილესი საბადოს ცენტრალურ ნაწილს ენიჭება ძეგლის სტატუსი, ანუ უნესდება ისეთი შეზღუდვები, რაც იწვევს სამთამადნო საწარმოს ფუნქციონირების შემცირებას ან, საერთოდ მის შეჩერებას...“ ცხადია, სიტყვა **ცენტრალური** პრობლემის დამძიმების მიზნითაა ნახმარი და არა გეოგრაფიის უცოდინარობით. თუ ოპონენტთა ლექსიკას დავესესხებით, ამას შეიძლება ფალსიფიკაცია ვუნდოთ.

ა. თვალჭრელიძისა და ო. ქუცნაშვილის ზემოთ მოხსენიებულ დასკვნაში მოყვანილია „კუსტარულად გამაგრებული

მალაროს სურათების კოლაჟი“. არავითარი კოლაჟი ეს არ არის. სინამდვილეში ეს არის ობიექტის ერთი რაკურსიდან გადაღებული სხვადასხვა გადიდების ერთი და იგივე დეტალი, რასაც ოპონენტთა ენაზე ფაბრიკაცია შეიძლება ეწოდოს.

კიდევ ერთი შენიშვნა: საყდრისზე მომუშავე არქეოლოგებს ნაკლად უთვლიან კვლევათა დასაწყისშივე სამუშაო ჰიპოთეზის სახით მალაროსათვის ოქროს მოპოვებელი ფუნქციის მინიჭებას. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა მეცნიერულ გამოკვლევაში მეცნიერის ალღოს ანუ ინტუიციას განსაკუთრებული როლი ენიჭება — ინტუიცია კარნახობს მკვლევარს სამუშაო მოდელის შერჩევას, რომლის დასადასტურებლად ხშირად მთელი ცხოვრებაა საჭირო. ა. აინშტაინი ამბობდა: „ჩვენ სიამოვნებით ვირჩევთ განსაკუთრებული მომხიბლაობით გამორჩეულ თეორიებს“. ამ თეზისის თანახმად საყდრისის არქეოლოგთა მიერ „მომხიბვლელი ოქროს მოდელის“ შერჩევა სრულიად გასაგებია და ამაში საძრახის ვერაფერს ვხედავთ. ამ სამუშაო ჰიპოთეზის დასადასტურებლად მათ დიდი შრომა გასწიეს და ექსპერიმენტული მასალაც დააგროვეს, თუმცა, ზოგიერთის აზრით, ეს არ არის საკმარისი ფაქტის საბოლოოდ დასადასტურებლად. მეცნიერულ კვლევებს, მითუმეტეს, არქეოლოგიურს, ათწლეულები სჭირდება. მზიასა და ზეზვას აღმოჩენას არქეოლოგებმა დიდი დრო მოანდომეს და ძიება დღესაც გრძელდება. ხანდაზმულია ვანის ექსპედიციაც. რასაკვირველია, საყდრისიც კიდევ ხანგრძლივ კვლევას მოითხოვს და მისი შეჩერების კატეგორიული წინააღმდეგინი ვართ.

ჩვენ არ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ საყდრისის მალაროს ასაკის დადგენასთან დაკავშირებულ პოლემიკაში — ეს არქეოლოგთა საქმეა, მაგრამ იმის მტკიცება კი შეგვიძლია, რომ მალარო ოქროს მოპოვებისათვის გამოიყენებოდა.

საგულისხმოა, რომ მეცნიერთა ნაწილს კავკასია და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორია მეტალურგიის სამშობლოდ მიაჩნია. ვთქვით, ეს სადავო საკითხია, და ნუ დავიჩემებთ პირველობას, მაგრამ ფაქტს ვერ გავექცევით — ხომ ცნობილია ჩვენში უძველესი მეტალურგიული ცენტრების არსებობა. მათი ხილვა გაცეხებას იწვევს და ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ პიროვნებასაც კი დაარწმუნებს, რომ ოდესღაც საქართველოში მეტალურგია მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული.

საქართველოს ტერიტორიაზე ლითონთა მიღების, დამუშავებისა და გამოყენების კულტურა უძველესი დროიდან მომდინარეობს და კაცობრიობის განვითარების ყველა ძირითად ისტორიულ საფეხურს მოიცავს. ამიტომ საქართველო ლითონწარმოების ერთ-ერთ უძველეს ცენტრად არის აღიარებული. აქედან გამომდინარე, სულაც არაა გამორიცხული, ამ ტერიტორიაზე ოქროს წარმოების უძველესი კერა არსებობდეს.

დაბოლოს, თუ პირველი ჰომოსაპიენსი მზიასა და ზეზვას სახით ამ ტერიტორიაზე სახლობდა, რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი შთამომავალი პირველი მადანმცოდნე და პირველი მეტალურგი ყოფილიყო. სასიამოვნო ვარაუდია და ვინც ამის მტკიცებულებათა მოპოვებას ცდილობს, ჩვენიანი იქნება თუ უცხოელი, გვერდში უნდა ამოვუდგეთ, ყოველ შემთხვევაში ხელი არ შეუშალოთ მაინც.

**გიორგი თაყაი
დავით სახვაძე
ჯუმბარ ხანთაძე**

ვლადიმირ ოგნევი

საქართველო — რატომ?

გუშინდელი ამბავი დღეს უკვე ზღაპარი გეგონება... იყო უზარმაზარი ქვეყანა, იყო დიდი მწერლობა — გარდა რუსულისა უამრავ ენაზე.

ერთ ფოტოსურათზე აღბეჭდილია — დღეს ძნელად თუ დაიჯერებთ! — ლხინი საქართველოში ვინმე ვლადიმირ ოგნევის სტუმრობის აღსანიშნავად.

სუფრას კი უსხედან ქართველი მწერლები (მარცხნიდან მარჯვნივ): გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, გია მარგველაშვილი, კარლო კალაძე, სიმონ ჩიქოვანი და სხვ. ზურგით ჩვენკენ მერიქიფედ დგას სერგი ჭილაია, მასპინძელი წყნეთის აგარაკზე, სადაც ვილხენდით. ნუთით მივატოვე სუფრა და ეს სურათი გადავიღე.

ნაჩქარევი და ძუნწი ჩანანერი უბის ნიგნაკში (1968): „17 აგვისტო — მიხეილ ჭიაურელთან. გია დანელია, რეზო გაბრიაძე... 18 აგვისტოს — მცხეთაში. ნოდარ დუმბაძე, ედიშერ ყიფიანი, ბესარიონ ჟღენტი. სალამოს გრიგოლ აბაშიძესთან — „ყავაზე“. ღვინო წითელი და თეთრი, ისეთივე გრადუსებით, როგორც მცხეთის „მარანში“. 19 აგვისტოს — კოჯორი, ირაკლი აბაშიძესთან. 20 აგვისტოს — დანელია და კიკაბიძე (გიას ნათესავებთან). 21 აგვისტოს — წყნეთში, გურამ ასათიანთან. 22 აგვისტოს — ლადო გუდიაშვილთან“.

საყვარელი, კობტა, უაღრესად სტუმართმოყვარე ლადო გუდიაშვილი.

მე და ჩემი მეუღლე თავს დავადექით, როდესაც მუშაობით იყო გართული.

— ერთი ნუთი მაცალეთ. ორიოდე შტრიხილა დამრჩა. ეს — ჰონორარია ექიმისთვის... ესეც ასე, მორჩა.

თეთრ ფურცელზე — გრძელთმიანი ასულის თავია, ერთი წაგრძელებული თვალით. პროფილში.

ვეებერთელა დარბაზი. კედლებზე — სურათები. მაღალი ფანჯრები. ავეჯის ჭაჭანებაც არ არი. ოჯახი შეყუჟულია ორ პატარა ოთახში.

გვანიშნებს გაცრეცილ პარკეტს და ამბობს:

— ამ პარკეტზე თვით პუშკინს გაუვლია! არა გჯერათ! ძალიან ძველი სახლია. პარკეტიც ძველია. ეს კედელი კი — ჩემი სირცხვილია, ჩემი თავის მოჭრა... არ იცით ეს ამბავი? ამ კედელს ამშვენებდა ავტოგრაფები — ტიცინის, პაოლოსი, პასტერნაკისა... რეპრესიები რომ დაიწყო, დავფრთხი. მემინოდა ბერიასი. მეგობარს ვუხმე — მთელი ღამე მოვუნდით შეთეთრებას, ხალიჩა ჩამოვფინეთ. მერე კი ვიტაცეთ თავში ხელი, გამოვფხიზლდით, ბათქაში ჩამოვფხიკეთ. ვაგლახ, გაყვითლებული გაზეთებილა შეგვრჩა, ნახატები და წარწერები წაშლილიყო.

გვაჩვენებს ალბომს — აგერ პასტერნაკის ხელი. ნაცნობი, მქროლავი ხელწერა: „სადაგი დღენი, თქვენთან ყოფნისას, დღესასწაულად გადიქვეყიან“.

პასტერნაკზე ლაპარაკობს სიყვარულით: „მას არა სჩვეოდა გულჩახვეულობა... ის დიდი ბავშვი იყო“.

ვუამბობ ირაკლი აბაშიძის ახალთახალ აგარაკზე, სარდაფზე, სადაც ვეება კასრი დგას და მის ფერდებზე ქართული ანბანის ხვეულით ამომწვარია მეგობართა ავტოგრაფები.

გუდიაშვილი მყისვე ფანქარს იღებს ხელში და წერს: „ცეცხლაძე“. იცინის.

— „ცეცხლაძე“ — ესაა ოგნევი. და ვლადიმირ, ქართულად შენც ლადო გქვია!

ყოველი ქართველისათვის სავალდებულო გამასპინძლების შემდეგ — ჩვენთვის ნაჩუქარ ნახატებზე გულში ჩამწვდომი ავტოგრაფები.

...კიდევ იყო საცავეები მუზეუმში, სადაც კარლო კალაძის მეუღლემ, თვალსაჩინო ხელოვნებათმცოდნე გულნარამ გვაჩვენა „მთელი ფიროსმანი“ (!); ამას ეხება ნაჩქარევი ჩანანერი უბის ნიგნაკში (1962 წ.); არ იცით, რა არის იქ ჩემი და რა არის გულნარასი. ისლა მახსოვს, რომ მეც რაღაც ჭკვიანურს ვამბობდი. რომ ფიროსმანის გმირებს „სელჯუკური“ თვალები აქვთ-მეთქი, რომ კახეთში სახლის სახურავებზე ვნახე საუცხოო კიციურები — ირემი, მონადირე. ფიროსმანის სწორედ იმ მიდამოებიდან არის და რაღაც კავშირი არსებობს-მეთქი. გულნარამ მეოხივით გამიღიმა.

...ერთხელაც თბილისში სიმონოვი და თქვენი მონა-მორჩილი ვისხედით შევარდნაძის პანანკინტელა კაბინეტში. ფანჯარა ღია იყო. სიცხე რუსთაველის პროსპექტიდან, ქალაქის ხმაურთან და კლაქსონების ბლავილთან ერთად, ჩვენამდე აღწევდა. შევარდნაძე წყნარად ლაპარაკობდა. სიმონოვი, რომელსაც კონტუზიის შემდეგ ცალ ყურში ცუდად ესმის, თავისი სავარძლითურთ მასპინძლისკენ მიჩოჩავს. მე ვმორცხვობ და ამიტომაც საუბარი ნახევრად არ მეყურება. საქმე კი მნიშვნელოვან საკითხს ეხება. სიმონოვი შევარდნაძეს სთხოვს მხარდაჭერას იმაში, რომ შეიქმნას ახალი საკავშირო ჟურნალი — „ლიტერატურნაია გრუზიას“ ბაზაზე, რომელიც ერთგულად მისდევს ჰამბურგულ ანგარიშს. სიმონოვი მთავარ რედაქტორის პოსტზე რეკომენდაციას გვინევს — მე და კიდევ ერთ ქართველს. მაგრამ კაბინეტიდან რომ გამოვდივართ, სიმონოვი ამბობს, შევარდნაძე კი გვემხრობა, ოღონდ ფრთხილად მიგვანიშნებს პოლიტიურის სხვა წევრთა, მოკავშირე რესპუბლიკების თავკაცთა შურზე — მაინცდამაინც საქართველო რატომ? გვეტყვიან, აგერ „დრუჟბა ნაროდოვ“ უკვე არსებობს, რას ერჩით, მშვენიერი ჟურნალი არისო.

...ერთი მოგონება ცვლის მეორეს. აი, კობა გურულის სახელოსნოში ვიმყოფები — იმ ლეგენდარული ოსტატისა, რომელმაც, ირაკლი ოჩიაურთან ერთად, ქართული ჭედურობა ააღორძინა. თვალს ვადევნებ მის დაკუნთულ მკლავებს, ყურს ვუგდებ პატარა ჩაქურჩის რაკარუქს გავარვარებულ ფურცელზე... ხმაურობს ფრქვევანა, გრძელი მამები, რომელთა ნისკარტში „ბერდება“ ლითონი და ფერადდება კეთილშობილი ფერით.

...აი, ვსხედვართ ქალაქგარეთ მდებარე რესტორანში თენგიზ აბულაძესთან ერთად. მას ნაუკითხავს ჩემი სტატია თავის ფილმებზე „ნატურის ხე“ და „ვედრება“, ელოდება ჩემი წიგნის გამოქვეყნებას „მერანში“. და უეცრად თენგიზი განზე გასწევს თეფშს, ზედ მწვანელი და ყველი რომ ალაგია, იდუმალი ღიმილით ფოტოსურათების დასტას ათავსებს მაგიდაზე. ახ-მეთქი, თავი ვერ შევიკავე. ფოტოზე გამოსახულია კაცი, რომელიც შეუძლებელია ვერ მეცნო. მოციმციმე პენსენე... ბერია! ეს იყო სამოყვარულო ფოტოსურათები — გადარეცხილი, ხშირად ფოკუსში მოუხვედრელი.

სწორედ მაშინ შევიტყვე ჩანაფიქრი „მონანიებისა“.

მთიდან უკვე მოინეცდა სიგრილე. მეარღნემ დარბაისლურად ჩამოგვართვა განვდილი ჭიქა. მაგიდები დაცარიელებულიყო. აბულაძის მძლოს ეძინა და ვეება კეპკა გადაეფარა სახეზე. როდესაც ქალაქში დავბრუნდით, მთვარეც ამოგოგმანდა.

...თქვენ კი მეკითხებით: მაინცდამაინც საქართველო რატომ?

„ლიტერატურნაია ვაზეტა“, 2013, №18

რუსულიდან თარგმნა
ლამა გიორგაძე

ლელა ჯიყაშვილი მისაველი

ხათაბალა კაცი იყო, — გიორგი ცოცანიძემ, — ამიტომაც გამიჭირდა მასზე წერილის დაწერა და მანამ ვერ გავართვი თავი, სანამ მისი ხათაბალა საქმეების ჩამოთვლა არ დავინწყეო.

ეს „ხათაბალა“ ორ ჯგუფად დაყავი ჩემთვის: ერთი, როცა ლამის იძულებით გარეკავდა ხოლმე თბილისიდან მეგობრებს მთა-ველად, იმის სანახავად და იმასთან საზიარებლად, რასაც საქართველო ჰქვია... რაკი არც დროს ითვალისწინებდა და არც მანძილს, ხშირად ისე გაუხანგრძლივებოდათ სამდღიანი ლაშქრობა უგზოობის გამო, რომ ლამის სამ კვირას გასტანდა ხოლმე.

და მეორე: ხათაბალა იყო, აბა რა, თუ არც ავტორიტეტს დაგიდევდათ და არც საზოგადოების განწყობას, უკვე აღიარებული, პატივდადებული სამეცნიერო შრომების თითოეულ სიტყვას ჩაჰკირკიტებდა, ყველაფერს ზედმინევი იაზრებდა და ლოგიკურად ისეთ დასკვნამდე მიდიოდა, სულ მცირე უხერხულობას რომ გამოიწვევდა ტრადიციების პატივისცემელ მკითხველში! არ დაფიქრებულყავი, ესე იგი, ფიქრი საერთოდ არ უნდა შეგძლებოდა... დაფიქრდებოდი და — ლევან ბერძენიშვილისა არ იყოს — „ხუთიოდ წუთში მანამდე ხელმიუკარებელ კერპს წაგიტყვევდა“! კერპების წაქცევა კი, მოგესხენებათ არაერთ ხათაბალას მოიყოლებს ხოლმე...

ჰოდა ხათაბალა იყო, — სიყვარულით გიორგი ცოცანიძემ, — ხ ა თ ა ბ ა ლ ა!

არადა, სრულიად უცხო კაცისათვის, ასე ვთქვათ, მთვარიდან ჩამოფრენილისათვის, თორემ საქართველოში და იმის იქითაც იცნობდნენ, ცხადია, რა რთული წარმოსადგენი იქნებოდა, რომ მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, ასეთი დიდი მხატვრული მემკვიდრეობის პატრონი, დროს პოულობდა და ამდენ სახათაბალო საქმეში გაერეოდა ხოლმე!

მისი სურათებიდან მყუდროებისა და სიმშვიდის ნელი სუნთქვა „ისმოდა“, სისუფთავის, გამჭვირვალე ჰაერის, სიმართლის ზემსუბუქი განცდა მოდიოდა. ბუნებრივად ხომ ასეც უნდა იყოს: ყველაზე იოლ სატარებლად სიმართლე უნდა ექცეს კაცს. არადა სამყაროში, რომელშიც ცხოვრობდა, სულაც არ იყო ასე: სიმართლე ემძიმებოდათ და ტყუილი ფრთებით შორს მიფრინავდნენ. ამ ტყუილის გამო არ გვეგონოთ, ტრაგიკული და უიმედო განჩინების უკარო ციხე-სიმაგრეში გამოკეცა თავი... პირიქით, ერთი კი არა, ათი და ოცი ხდებოდა: ერთი ჩუბჩიკა, როგორც ეძახდა მთელი ქალაქი და არამარტო მეგობრების ვინრო წრე, ხატავდა, მეორე — „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა, მესამე — ისტორიის საკითხებზე მუშაობდა, მეოთხე — გალაკტიონოლოგიაზე... მეხუთე — სოფელ-სოფელ დადიოდა და ხალხურ მარგალიტებს აგროვებდა, მეექვსე მოყვასზე ზრუნავდა, მეშვიდე ზუმრობდა და მერე როგორ! პოლიტიკურ კარიკატურებსაც ხატავდა... ფოლკლორულ საღამოებს აწყობდა, წიგნების შედგენა-გამოცემას ედგა სათავეში... ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, სადამდე? — გულწრფელად გეტყვით — არ ვიცი!

— ჩემთვის ყველაზე მთავარია, საქმე გაკეთდესო, — უთქვამს არაერთხელ. საქმის მკეთებელთა რიცხვი კი როდის ყოფილა ძალიან დიდი, მაშინ ყოფილიყო, მის სიცოცხლეში. ერთ დღესაც მარტივად ამიხსნა: გადავწყვიტე, ყველა ჩავართო საერთო საქმეში. „ვეფხისტყაოსანი“ მარტო ჩემი სადარდებელი ხომ არ არის, ხომ ყველასია? ჰოდა, ყველამ იფიქროს „ვეფხისტყაოსანზე“! მარტო ესეც არ იყო! ზოგს თუ „ვეფხისტყაოსანზე“ აფიქრებდა, ზოგს — ხელოვნების ირგვლივ უჩნდა საფიქრალს, ზოგისთვის ისტორიის საკითხები ჰქონდა მომზადებული განსახსენებლად, ზოგისთვის კიდევ — პუბლის...

მისი დილა დილის დადგომამდე იწყებოდა. დილაბნელზე, — როგორც ხალხში ამბობენ. მზე რომ ამოიწვერებოდა, უკვე გვარიანად ჰქონდა ნამუშევარ-ნაფიქრალი. ჰოდა დროც დგებოდა, მისგან „საქმეში ჩართულ“ ადამიანებს დაკავშირებოდა. ყველაზე ადრიათი ტელეფონის ზარი ჩუბჩიკასი იყო. კითხვები სხვადასხვანაირი: ზოგჯერ კონკრეტული, მცირე ნიუანსის დამაზუსტებელი, ზოგჯერაც ზოგადი — მომავალი სამუშაო საფიქრალის კონტურების მომცველი!

დიდ ჩანთაში ნელ-ნელა აწყობდა ხელნაწერებსა და ზოგჯერ სურათებსაც და მიდიოდა... სახელოსნოში, მუზეუმში, გამომცემლობაში, გალერეაში... რას გაიგებდი!..

ჩუბჩიკა არ ილღებოდა, იმდენჯერ მივიდოდა საქმეზე, რამდენჯერაც საჭირო იყო: ათჯერ, ოცჯერ, ოცდაათჯერ, ასჯერაც! ჩუბჩიკას არ ეზარებოდა! და, რაც მთავარია, ენერგია რჩებოდა, რომ სახელოსნოში შესულს ეხატა შეუსვენებლად, უანგარიშოდ, უბრალოების და უმნიშვნელოების საფარველს შიგნით გამოხვეულს და ყველაზე მნიშვნელოვანზე მოფიქრალს. მაშინაც კი, როცა ფუნჯით ხელში სტუმარს კარამდე მიაცილებდა, კედლებზე გაკრულ სურათებს სჭვრეტდა და მერე ფუნჯით რამდენიმე შტრიხს მატებდა... იქნებ ჩამოეხსნა კიდეც და გასაცილებელი კართან მიეტოვებინა, თვითონ კი სურათიანად მაგიდას მიბრუნებოდა. მისი „მიბრუნება-მიბრუნება“ წამების საქმე იყო! ვიდრე სტუმარი გალიმბას მოასწრებდა, ისევე კართან განდებოდა. მოქმედების ამ სისხარტემ გააჩინა მითი იმის შესახებ, რომ თენგიზ მირზაშვილი დიდ დროს არ ხარჯავდა სურათებზე და მისი ბოლოდროინდელი ნამუშევრები სწრაფად და ზედაპირულად იყო შექმნილი. სინამდვილეში, მხედველობაში არ იღებდნენ იმ დიდ დროს, რომელსაც მხატვარი თვით მხატვრობის კონცეფციის ჩამოყალიბებას ალევდა, დილაბნელიდან მოყოლებული დაბნელებამდე გონებით წყვეტდა და მერე სურათზეც დაჰქონდა ფერების უტყვი ფილოსოფიის გამოძახილი.

და მარტო ხატვაც რომ არ იყო!...

რამდენადაც სხვადასხვა იყო არსით საქმენი, რომელთაც ენერგიულად ემსახურებოდა, იმდენად მთლიანი იყო მისი, როგორც შემოქმედის სახე. რა იყო ამ ერთიანობის დვრიკი?

რაკი ჩუბჩიკას ხალხური ხელოვნება და საერთოდ ხალხი ყველაზე ახლობლად მიაჩნდა, ხალხის ნიალიდან ამოტანილი ერთი სიტყვა ამეკვიცა მასთან დაკავშირებით — მისავალი. საქართველოში, როცა მიცვალებულთა სულთათვის საკურთხის მოამზადებდნენ, აუცილებლად არგუნებდნენ მომზადებულს ბავშვებსაც და მშიერ-მწყურვალთაც. ითვლებოდა, რომ ეს იყო მისავალი — ეს ნამდვილად მიუვიდოდა მიცვალებულის სულს. საფუძველში კაცთმოყვარეობა და სიმართლის ერთგულება ედო ამ განსაზღვრას. აბსოლუტურ სრულყოფილებას — სულესს, სამოთხეს ეს გზა უკავშირდებოდა — ბავშვური გულწრფელობის, სიმართლისა და თანადგომა-მადლის გზა. თენგიზ მირზაშვილის შექმნილ-ნაფიქრალიც სწორედ ამ ნიშნით ერთიანდება — გულწრფელობის, სიმართლის, მადლის ნიშნით, სწორედ ეს დამოკიდებულება აქვს მას არა კონკრეტულ ავტორიტეტებთან ან კერპებთან, არამედ გლობალურად — აბსოლუტურთან. ამიტომ მისი მემკვიდრეობა მისავალია, ამ სიტყვის ხალხური გაგებით და გზასავალი ინტელექტუალური, შემეცნებითი თვალსაზრისით.

მისი ავტორიტეტისა და მდგომარეობის მქონე ადამიანები ძალიან ხშირად თვითვე წერენ ხოლმე საკუთარ დანვრილებით ბიოგრაფიას, ან მოგონებებს... ამისთვის ნაკლებად ეცაბლა. მაშინაც კი, თუ ეკითხებოდნენ რამეს, ორიოდ სიტყვით შემოიფარგლებოდა. მნიშვნელოვნად რაც მიაჩნდა, ზრუნავდა, მხოლოდ თავისთან არ დაეტოვებინა, აუცილებლად გაეზიარებინა ვინმესთვის პირად საუბარსა თუ საგანგებოდ დასაწერად ნაკარნახევში. მაგრამ ეს „მნიშვნელოვანი“ სხვა იყო

— საზოგადო... ან თუნდაც სხვისი — გალაკტიონის, ვანო მელიქიძის, ფიროსმანის, ან სხვა საქართველოსათვის ფასეული შემოქმედის ცხოვრების დანერგვითი დეტალები... საკუთარ პირად ცხოვრებაზე დასმულ კითხვას რაც შეეხებოდა, ხან ღიმილით, ხან სანახევროდ თქმული სიტყვით, ისე ოსტატურად გაუსხლტებოდა, რომ თანამოსაუბრე აზრზე მოსვლასაც კი ვერ მოასწრებდა.

დაიბადა 1934 წლის 10 თებერვალს, სვანეთში. შემთხვევის ამბავია, დიდი თოვლი მოვიდა და მისმა მშობლებმა სვანეთიდან წამოსვლა ვერ შეძლეს... სვანეთში რატომ იყვნენ? — სად არ იყვნენ! მთელ საქართველოში მოგზაურობდნენ, ისეთ საქმეს ემსახურებოდნენ, რომ უნდა ევლოთ — ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, კედლის მხატვრობა შეესწავლათ.

მამა — რევაზ მირზაშვილი და დედა — სოფიო ლემბერგი მხატვრები იყვნენ.

ვინც კი რევაზ მირზაშვილს იცნობდა, ყველა ერთხმად აღიარებს: არაჩვეულებრივი ადამიანი იყო... თავის თავზე არ ლაპარაკობდა, წარსულსაც იშვიათად იხსენებდა. ამიტომ მხოლოდ მწირი ინფორმაცია არსებობს მისი ყმანცილობისდრინდელი ცხოვრების შესახებ: ჯერ გიმნაზია დაუმთავრებია, შემდეგ კი კადეტთა კორპუსში უსწავლია. ეს ძალიან ავტორიტეტული სასწავლო დაწესებულება იყო, რომლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს გზა ხსნილი ჰქონდათ არამარტო სამხედრო კარიერაში, არამედ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელშიც.

თვითონ არაფერს ყვებოდა, მაგრამ ოჯახში იცოდნენ, იმ შორეულ წარსულში, ალბათ მორიგი პოლიტიკური დაპირისპირების შემდეგ, დაჭრილიც ყოფილა მუხლში...

საქართველოსთვის ყველაზე ტრაგიკულ 1921 წელს რევაზ მირზაშვილი 19 წლისა იქნებოდა. ცხადია, მის პიროვნებაზე აუცილებლად დატოვებდა კვალს ეს სისხლიანი წელი... მომდევნო წლებიც... თავად რევაზს კი ერთადერთ ვაჭზე — თენგიზზე ექნებოდა გავლენა... მართალია, სიტყვაძუნწი იყო და დიდაქტიკურ მსჯელობასაც თავს არიდებდა, შვილი სხეულით გრძნობდა მამის განწყობას. ინერტნობა იმაში, რომ სიმართლე მაშინაც კი უნდა შეეგრძნო და შეეცნო, როცა ის დაფარული იყო. მათ უსიტყვო, ვაჟკაცური მეგობრობა ჰქონდათ. და თუმცა ფერწერასთან დაკავშირებით ხშირად შეიძლებოდა ეკამათათ, მაინც ერთ მთლიანობად რჩებოდნენ ზნეობრივ და მენტალურ ასპექტში.

რევაზ მირზაშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 30-იანი წლების დასაწყისში ერთხანს თეატრში მუშაობდა, შემდეგ — კინოსტუდიაში. თუმცა შეიძლება ფერწერაში ემუშავა და ძალიან სერიოზული შემოქმედებითი შემოქმედებებიც დაეტოვებინა... ხელიც ემორჩილებოდა და ფერისა და სივრცის, შუქ-ჩრდილის განცდაც უზუსტესი ჰქონდა... მაგრამ ოჯახს სჭირდებოდა, სტაბილური სამსახური ჰქონოდა... ამ მიზეზით მთელი თავისი შემოქმედება სწორედ კინემატოგრაფს მიუძღვნა. მას ორმოცამდე ფილმი აქვს მხატვრულად გაფორმებული. “ქაჯანათი” და “გიორგი სააკაძით” დაწყებული, და “შერეკილებით”, “ნატვრის ხით” დამთავრებული. საოცრად მრავალფეროვანი და საინტერესო ხელოვანი იყო. ზოგჯერ დაუჯერებელიც შეიძლება გეჩვენოთ, რომ მიხეილ ჭიაურელის, ელდარ შენგელიას, გიორგი

კალატოზიშვილის, თენგიზ აბულაძის ფილმებზე ერთი და იგივე მხატვარი მუშაობდა... თენგიზ მირზაშვილის თვალწინაც იქმნებოდა ფილმები, რომელთა მხატვრები მამამისი იყო, ზოგჯერ ერთადაც იყვნენ ფილმის მხატვრები. აქ კიდევ ერთხელ ხედავდა, როგორი მნიშვნელოვანი იყო პასუხისმგებლობა და საქმისადმი ერთგული, პედანტურად წესიერი მიდგომა შემოქმედისათვის. და თვითონაც იხვეწებოდა როგორც პიროვნება და როგორც ხელოვანი...

რევაზ მირზაშვილი მთამსვლელიც გახლდათ. ერთხანს ინსტრუქტორადაც მუშაობდა და ჯგუფებს მიჰყვებოდა იალბუზზე. მისგან გენეტიკურად გადაეცა შვილს საქართველოს მთა-ბარისაკენ დაუოკებელი ლტოლვა, მისი მინის სიყვარულის გათავისება და შესისხლბორცება.

მამა საინტერესო კაცი იყო, ამას ყოველთვის აქვს განმსაზღვრელი მინიშნელობა შვილისათვის.

სერიოზული გავლენა ჰქონდა დედის საქმიანობასაც. სოფიოს საქართველოს ყველა კუთხეში უხდებოდა კედლის მხატვრობის, ფრესკების ასლებზე მუშაობა. თენგიზს ყოველთვის მიუწვევდა გული იქით, სადაც დედა ამ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა. დედასთან ჩასულს თამამად შეეძლო გაეცა პასუხი კითხვაზე — რას ნიშნავს თავდადება, რადგან სოფიო იყო ქალი, რომელსაც შეეძლო მართლაც თავდადება გამოეჩინა, ზოგჯერ ღამეც კი გაეთია ხარაჩოზე, ეცხოვრა სოფლისგან მოშორებით, შელეოდა ყოველგვარ კომფორტს და არ ეფიქრა საკუთარ უსაფრთხოებაზეც კი... ოღონდ საქმე გაეკეთებინა! ეს თვისება თენგიზმაც გაითავისა. ვისაც უნახავს, საქმის კეთებისას როგორი იყო, რამხელა ენერჯიას ახმარდა დასახეულ მიზანს, სხვა სიტყვას ვერც შეუფერებს, თუ არა თავდადებას.

უყურებდა მშობლის მიერ შექმნილ ასლებს ზემო კრიხისა და ბუგეულის, სორისა და ბეთანის, გელათისა და ყინწისის ტაძრებიდან და მის თვალწინ ხორცშესხმული, ამაღლებული და უტოლო ხელოვნება ცოცხლდებოდა. ვიდრე სოფიო შეკვეთას მიუხეუდ ჩააბარებდა, შინ ჰქონდა გაშლილი ფრესკის ასლი. საათობით მდუმარედ აკვირდებოდა თენგიზ მირზაშვილი საუკუნეთა მიღმიდან მოღალადე შედეგებს. თვითონაც აღიარებდა, რომ ქართულმა ფრესკამ დიდად განსაზღვრა მისი შემოქმედების მომავალი, უდიდესი გავლენა მოახდინა მის პალიტრაზე. სწორედ აქ ჩადო საფუძველი მხატვრის ტემპერისადმი ერთგულებას და სურათებში ქართული სოფლების ხედების ამაღლებულ განზოგადებას. ისე, როგორც ფრესკის შემთხვევაში ჩვენს თვალწინ შიშვლდება სულიერი მხარე რელიგიური თუ ისტორიული კონცეფციისა, თენგიზ მირზაშვილის შემოქმედებაში ჩნდებოდა იმ ნატურათა შიშვლელი სული, რომელთაც ეხებოდა... და რომელთაც, როგორც წესი, ნაკლებად ასათაურებდა. მნიშვნელობა ჰქონდა არა კონკრეტულ ლანდშაფტს, მის დასახელებას, არამედ იმას, რა იყო „შიგნით“, მის სულიერ-აზრობრივ შრეებში.

ის ისეთ ასპექტებს ეხებოდა, რომელსაც სჭირდებოდა სამშობლოს უზადო ცოდნა და გაუყალბებელი შეგრძნება, ეს არ ასვენებდა, პირდაპირ სოფლებისაკენ ექაჩებოდა! შინაგან ხმას მიჰყვებოდა და როგორც შინ გაშლილ ფრესკების ასლებს, ან თავად ტაძრებში ნანახ უკვდავ შედეგებს, ისე სწავლობდა ცოცხალ საქართველოსაც. ამიტომ იყო თენგიზ მირ-



თენგიზ მირზაშვილი

ბაშვილი ისეთი, როგორც იყო. მისი მოტყუება უკვე შეუძლებელი გახლდათ. უმნიშვნელოს მნიშვნელოვნად ვერ მოაჩვენებდით და მნიშვნელოვანს — უმნიშვნელოდ. ქართული ხელოვნების შედეგების პირისპირ დგომა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ქართველი ხალხის ნიაღში დარჩენა, განაწყობდა ნამდვილი ხელოვნებისკენ. სწორედ იქ გაუმაგრდა ფესვი ფიროსმანისა და ქართული ხუროთმოძღვრების სიყვარულს, ქართული კლასიკური პოეზიისა და ხალხური შემოქმედების ძალდაუტანებელ, ბუნებრივ ცოდნას.

და კიდევ ერთი: როცა ვახსენებ, თენგიზ და რევაზ მირზაშვილები ერთმანეთს ფერწერის საკითხებზე ეკამათებოდნენ-მეთქი, ზოგჯერ კამათის მთავარი საგანი თენგიზის შემოქმედებაც გახლდათ... მამას მიაჩნდა, რომ მისი მონაცემებისა და შესაძლებლობათა მხატვარს თავისუფლად შეეძლო ბატალურ სცენებზე ემუშავა, შეექმნა დიდი ტილოები და წარმატებით აეთვისებინა ის ნიშა, რომელსაც სირთულის გამო ბევრი ვერ ეხებოდა. შვილს კი სრულიად არ აღეგებდა მამის დასახული პერსპექტივა. რომელი ბატალური სცენა შედარებოდა იმ შრეებში ნიაღსვლას, თვითონ რომ პატარა სურათში ახერხებდა. ეს იყო ენითაუწერელი განცდა სულიერების ხილულად ქმნისა. ამას ვერასოდეს შეელოდა!

1953 წელს სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, თუმცა მალევე აღმოაჩინა, რომ აქ სწავლა სრულიად არ ემთხვეოდა მის წარმოდგენას ფერწერის სწავლებაზე. მართალია, უკან იყო უფრო მძიმე წლები, როცა სტუდენტებს რიცხავდნენ და სჯიდნენ შემოქმედებით პროცესთან თავისუფალი მიდგომის გამო... თბილისში იყვნენ ადამიანები, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ იმპრესიონიზმით... მაგალითად, ვალენტინ შერპილოვი, — კაცი, რომელიც სამხატვრო ტექნიკაში ასწავლიდა და რომლის კურსდამთავრებულებიც შემდეგ აკადემიაში მიდიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად. მან მთელ თაობას შეაყვარა იმპრესიონიზმი. თაობას, რომელიც აკადემიაში ფორმალისტების სახელით მონათლეს. „ფორმალისტებს“ კი არ ინდობდნენ, კურსზე ტოვებდნენ, რიცხავდნენ აკადემიიდან...

იდეოლოგიურ მარწმუნები გაუსაძლისი იყო. რუსეთში პუშკინის მუზეუმშიც დაკეტილი გახლდათ, რადგან იქ იმპრესიონისტული სურათების მშვენიერი კოლექცია ინახებოდა, დრო რომ შეიცვალა, მერეა გაიხსნა ექსპოზიცია.

სტუდენტ თენგიზ მირზაშვილს ეს უმძიმესი წლები გავლილი დახვდა, აკადემიიდან არ გაურიცხავთ, არც კურსზე დაუტოვებიათ. მაგრამ მაინც ძალიან ცუდად გრძნობდა თავს ფერწერის ფაკულტეტზე. მისთვის ფერწერა — ფერთი მეტყველება გააცილებით ღრმა და რთული ფენომენი გახლდათ, ვიდრე უბრალოდ ფერთა შეხება, ან პერსპექტივისა და შუქ-ჩრდილის ყალიბში მოქცეული სწავლება. ტყუილი! — აი, რა გადადიოდა ტილოზე ზოგიერთი პედაგოგის განურჩეველი მითითების შემდეგ. ვილაცას უნდოდა, ახალგაზრდა მხატვარს ესწავლა, როგორ არ ყოფილიყო თავისი თავი. ამას ვერ შეეგუებოდა... ამიტომაც უარი თქვა ფერწერის ფაკულტეტზე სწავლაზე და თეატრალურ-დუკორაციული ფერწერის ფაკულტეტზე გადავიდა.

აქ კათედრის გამგე გახლდათ სერგო ქობულაძე (1909-1978), რომელსაც კარგად იცნობდა, რომლის პიროვნულ თვისებებსა და მაღალ პროფესიონალიზმს დიდ პატივს სცემდა.

მასთან, როგორც ლექტორთან, განსაკუთრებული სიახლოვე იმიტომაც ჰქონდა, რომ სერგო ქობულაძემ კარგად იცოდა, რა იყო მთავარი ღირებულება მხატვრობაში. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლას. ახალგაზრდობაში შემოიარა კიდევ საქართველო და სწავლობდა ეკლესია-მონასტრებს, არქიტექტურულ და ფრესკულ მემკვიდრეობას. ეს იყო ის ღირებულება-ნი, რაზეც აღზრდილი გახლდათ თენგიზ მირზაშვილი, ამი-

ტომ საერთო ენა უკვე გამონახული იყო... და კიდევ: სერგო ქობულაძე ხელოვნებას გლობალურად განიხილავდა, არ სცნობდა გეოგრაფიულ საზღვრებს. ახალგაზრდობაში დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით კი იტალიური რენესანსის ხელოვნებით იყო გატაცებული. თავის თავში აერთიანებდა მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების და ქართული მხატვრული აზროვნების ცოდნას, სტუდენტებსაც დიდი სიამოვნებით უზიარებდა გამოცდილებას. თენგიზს, როგორც ჯერ მოაზროვნესა და მერე მხატვარს, ეს მიდგომა ოპტიმალურად მართებული ეჩვენებოდა. ამიტომ ქობულაძის სტუდენტად ყოფნა ხალისით მიიღო.

სერგო ქობულაძე აერთიანებდა იმ თვისებებს, რომელსაც დიდად აფასებდა თენგიზ მირზაშვილი — მახვილგონიერებას, იუმორს, მოვლენათა სრულიად მოულოდნელ ასპექტებში დანახვის უნარს.

სერგო ქობულაძე 1938 წლიდან ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მის მოსწავლეებს ახსოვდათ, რომ ხატვის გაკვეთილებზე პროფესორი ჯდებოდა მათ გვერდით და ნატურიდან ხატვას იწყებდა, მკაფიო ინდივიდუალური თვისებებით დაჯილდოებული მხატვარი და პიროვნება, სტუდენტების შემოქმედებით თავისებურებათა გამოვლენას პატივისცემით იღებდა და მათი სულიერი სამყაროს გამდიდრებაზე ზრუნავდა, ეს იყო ის კულტურული სიმაღლე, სადაც ყველაფერზე შეიძლება საუბარი: სახვით ხელოვნებაზე, კლასიკურ მუსიკაზე, ლიტერატურის შესახებ, სტუდენტებს ახსოვდათ სერგო ქობულაძის ცხარე კამათი ფეხბურთისა და ჭადრაკის გულშემატიკიერებთან.

თენგიზი სიამოვნებით თამაშობდა ჭადრაკს თავის პედაგოგთან... სხვათა შორის, თანრიგის კი ჰქონდა სპორტის ამ სახეობაში...

აუცილებლად უნდა ვახსენო ის მხატვრებიც, რომლებიც აკადემიაში დახვდნენ თენგიზს და, როგორც თვითონ ამბობდა, დიდი წვლილი შეიტანეს მის ფორმირებაში — ედმუნდ კალანდაძე, ელგუჯა ბერძენიშვილი, ზურაბ ნიჟარაძე, დიმიტრი ერისთავი, ჯემალ ლოლუა...

ადამიანებთან ბუნებრივი, ყოველგვარი რანგობრივი მეტნაკლებობისაგან გათავისუფლებული ურთიერთობა იმჟამადაც და შემდეგაც თენგიზ მირზაშვილის მომავალ ცხოვრებაშიც უმთავრეს მრწამსად დარჩა.

თენგიზ მირზაშვილმა აკადემია 1958 წელს დაამთავრა სადიპლომო ნამუშევრით — „დღესასწაული თუშეთში“.

თუშეთი, საერთოდ, ერთი უმნიშვნელოვანი თემია თენგიზ მირზაშვილის შემოქმედებაში. ეს არის არა ლოკალურად რომელიმე კუთხის ხედების გამო შექმნილი ციკლი, არამედ — ციკლი თავისუფლებაზე. პირობითად რა ერქმეოდა მას, ნაკლებმნიშვნელოვანი გახლდათ.

თამაზ ჭილაძე: „თენგიზ მირზაშვილის ნახატების ციკლი „მთათუშეთი“ პირველად ახალგაზრდა მხატვრების გამოფენაზე ვნახე. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ამ ნახატებმა დღესაც ისეთივე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე... მე მთათუშეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ თენგიზ მირზაშვილმა დამაჯერა, რომ ნამდვილად ასეთია.“

ზოგს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს სითამამე, რომლითაც შესრულებულია თენგიზ მირზაშვილის სურათები. ესაა გრაფიკის, ფერწერისა და პოეზიის სინთეზი და ჩვენი ფრესკების ლირიზმისა და ბარელიეფების დახვეწილ, მომღერალ ხაზებს ენათესავება.

თავისთავად, პოეტურმა თემამ მოითხოვა თითქოს ნახატის ასეთი შესრულება და, ჩემი აზრით, ეს იყო ერთადერთი სწორი გზა, რადგან ნამდვილად, ლექსად არ შეიძლება იქცეს ის, რისი დაწერა პროზადაც შეიძლება.

ეს არ არის ჩვენი მხატვრობის ტრადიციებიდან გადახვევა, არამედ დაუმცხრალი სურვილია ახლის პოვნისა და დიდი ტრადიციების გაგრძელებისა.

ყოველ თაობას ერის კულტურულ სავანტურში ახალი სიტყვა და ფერი შეაქვს და ეს ერთობლივი შრომა წინა თაობებთან ერთად ბაბილონის კოშკის შენებას კი არა ჰგავს, არამედ მშვენიერების შეგნებულ ზრდასა და აყვავებას.

თენგიზ მირზაშვილს ქართულ ზღაპრებში გაგონილი უმცროსი ძმის სიჯიუტე აქვს და ხშირად შეგნებულად ივიწყებს იმ უამრავ გასართობსა და ვნებას, რომელიც სიჭაბუკეს ახლავს. მას თითქოს მიზნად დაუსახავს იშრომოს იმ შემოქმედთა მსგავსად, რომლებიც დღე და ღამე გატანჯული შრომით ავსებდნენ და სულს უდგამდნენ ქვებსა და კედლებს, ამშვენიერებდნენ სახლებს და ტაძრებს, ხიდებსა და მოედნებს, და პურისა და წყლის ფასად ქმნიდნენ ხელოვნების უჭკნობ შედეგებს...

„წყლისა და პურის ფასად“... „ზღაპრებში შეხვედრილი უმცროსი ძმის სიჯიუტით“... და სიყვარულით, რომელსაც ხანდახან ავიწროებდნენ და თუშეთის სიყვარულად ნათლავდნენ... სინამდვილეში ეს იყო სიყვარული სიყალბის ქერქმე-მოცლილი საქართველოსი. ეს იყო იმ თავისუფლების კვალდაკვალ სვლა, რომელიც ვინმეს სასწორის ერთ პინაზე რომ მოეთავსებინა, მთელ სიცოცხლეს გადაუნონიდა.

მასხოვს ასეთი ფაქტი: ამბობენ სულ თუშეთს ხატავსო. არ არის მართალი... არ ვხატავ სულ თუშეთს, — თქვა თენგიზ მირზაშვილმა ისე, თითქოს სულერთია, თანამოსაუბრე გაიგებს თუ არაო, თან ფუნჯი არ გაუჩერებია. მაშინ არ აუხსნია არც იმისი მიზეზი, რატომ ამბობდნენ, ასე და არც ის, თვითონ რატომ არ მიიჩნევდა ამას სიმართლედ... არ აუხსნია,

რადგან თუ ადამიანი თვითვე არ მივა თავისუფლებამდე, არ ჩამოიშორებს ყოველდღიურობაში მოძალბებულ ათასობით ტრაფარეტულ აზრს, ვერ ეზიარება მას, რასაც თენგიზ მირზაშვილის სამყარო ჰქვია... იქ თუშეთიც არის და ქართლიც, კახეთიც და ხევსურეთიც, სვანეთიც და იმერეთიც, იქ უსახელო სივრცეებიცაა და მხოლოდ ერთი მიზეზითა და გამართლებით — იქ ნანატრი თავისუფლებაა...

1960 წელს თენგიზ მირზაშვილმა უკვე ასპირანტურა დაამთავრა ნამუშევრით — „პერ გიუნტის“ ილუსტრაციები. არჩევანი ლოგიკური და ღრმად გააზრებული იყო.

შეიძლება ერთი შეხედვით წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ „პერ გიუნტი“ ლოგიკური გაგრძელებაა თუშეთის თემაზე შესრულებული მისი სადიპლომო ნამუშევრისა.

ჰენრიკ იბსენმა „პერ გიუნტი“ 1867 წელს დაწერა იტალიაში. ხელოვნების ისტორიაში მიღებულია, რომ ეს პიესა იბსენის 1865 წელს ასევე იტალიაში დაწერილ „ბრანდთან“ ერთად განიხილება, როგორც ორი ალტერნატიული ტრაქტატი ადამიანის თვითშემეცნებასა და რეალიზებაზე. სწორედ ეს საკითხები იყო უმნიშვნელოვანესი ახალგაზრდა კაცისათვის, რომელიც ის-ის იყო აკადემიას ამთავრებდა და ურთულესი შემოქმედებითი საკითხების გადასაწყვეტად ემზადებოდა.

„პერ გიუნტს“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხიბლი ჰქონდა — მოულოდნელი კუთხით გაჩვენებდა დასმულ საკითხს. ნაწარმოებში ფოლკლორული პერსონაჟები ნეგატიურად და ბოროტად არიან წარმოდგენილნი, გლეხები კი — სასტიკ და დაუნდობელ ხალხად. ეს გახლდათ პიესა, რომელიც ნორვეგიასა და დანიაში ძალიან ნეგატიურად მიიღეს თავის დროზე, უფრო ზუსტად — ახლოს არ გაიკარეს, გადასაგდებად განირჩეს.

ცნობილია, რომ ჰანს ანდერსენმა ამ პიესას სრული უაზრობა უწოდა. ეს იყო ქმნილება, რომელიც მხოლოდ მოგვიანებით მიიღო და გაიზარა კაცობრიობამ... მოაზროვნე და მხატვარი თენგიზ მირზაშვილი შინაგანად გრძნობდა მზაობას მსგავსი „განაჩენისადმი“, თითქოს მისმა ქვეცნობიერმა უკვე იცოდა, რომ მომავალში შერისხულთა გზის გავლაც მოუწევდა, დაუნახაობის, შეუვალი აგრესიის პირისპირაც აღმოჩნდებოდა. სათანადოდ შეიძლებოდა ისიც ვერ გაეგოთ, რასაც საკუთარი ხელოვნების ქვაკუთხედად აქცევდა მომავალში... მაგრამ ეს ყველაფერი მომავალში... ჯერ კი დიპლომი უნდა დაეცვა!

თავის დროზე „პერ გიუნტისათვის“ მუსიკის დაწერა იბსენმა გრიგს სთხოვა. სწორედ ამან გადაარჩინა პიესა დაკარგვისაგან. დრო გავიდა და ისევ მიაქციეს ყურადღება იბსენის პიესას — მხოლოდ გრიგის მუსიკის გამო. ამას მოჰყვა თვითონ პიესის ხელახალი გადახედვაც...

ცხადია, თენგიზ მირზაშვილისათვის ძალიან საინტერესო იყო თავად იბსენი, ავტორი არაერთი მნიშვნელოვანი ფრაზისა... მათ შორის ასეთისაც: „უმცირესობა შესაძლოა ზოგჯერ მართალი იყოს, უმრავლესობა კი ყოველთვის ცდება“. დრო იყო ისეთი, უმრავლესობა დაუნდობლად ცდილობდა ყველაფერი ერთ ყალიბში მოექცია. მხატვარს კი სჭირდებოდა სხვაგვარი ხედვა, სიმკაცრენარევი მითითება არსებულის გასაპროტესტებლად.

„პერ გიუნტს“ ერთი უცნაური თვისებაც აქვს: ავტორი აპროტესტებს რომანტიკულ მიდგომას და პიესა მაინც ნორვეგიული რომანტიზმის სახედ რჩება.

თენგიზ მირზაშვილს ეს საინტერესო ნაწარმოები იზიდავს. პროტესტი, ახლებური ხედვა, არსებულის გადაფასება — აქ ყველაფერი ერთადაა!

აქ არის სიტყვები, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ზოგადად იმ პერიოდისათვის: „მინდოდა რა, ცოლიც შემერთო და სამეფო გვირგვინიც დამედგა თავზე,/ ვიცოდი, მსხვერპლის გარეშე, ვერ გავიდოდი ფონს./ მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი თურმე ამქვეყნად./ კუდი მომაბი? მერე რა, ნეტავ?/ მისი მოგლეჯა ყოველთვის შემიძლია./ მოვიშორებ ბენვის კუდს, თუმცა ვიცი მისი ფასი,/ დამჭირდება რამეში? კვლავ შექნება კუდი მსგავსი.../ ის, რითიც მკვებდნენ ნავაგსაყრელამდე/ ძნელი არ არის ვანთხიო უკან./ დავიფიცო, რომ ძროხა — ასულია? — კი ბატონო, მსგავსი ფიცი ფონს გასულია!/ მაგრამ გეცოდინება: თავისუფლებაზე ოცნებაც ზედმეტია/ და ადამიანურად სიკვდილსაც ვერ შეხვდები./ იქნები გვირგვინოსანი, იცხოვრებ უდარდელად,/ ოღონდ თავისუფლად ვერ გავხალ მინდობ-ველად./ ეს ხვედრი თქვენთვის თუ იმსახურებს დათმობას,/ მე ვერა ძალა ვერ მათქმევინებს თანხმობას!“

რა საინტერესოა, როგორი იყო ამ სიტყვების მთქმელი პერ გიუნტი თენგიზ მირზაშვილის ნახატებში... მისი შექმნილი ილუსტრაციები, სამწუხაროდ, აღარ არსებობს, დაკარგულია. ან იქნებ დროთა განმავლობაში გამოჩნდეს კიდევც...

ფიროსმანი, გალაკტიონი, „ვეფხისტყაოსანი“, „ქართლის ცხოვრება“, შექსპირი, ხალხური პოეზია... ეს მცირე ჩამონათვალია იმისა, რასაც თენგიზ მირზაშვილი სწავლობდა და იკვლევდა. ნებისმიერი მეცნიერი დადასტურებს, რომ თითოე-



ვახუშტი კოტეტიშვილსა და ალექსი ჭინჭარაულთან ერთად

ულს შეიძლება ერთი სიცოცხლე მიუძღვნა და სამეცნიერო კვლევა ვერ დაასრულო... ამიტომაც ძალიან უკვირდით მხატვრის აქტიურობა სამეცნიერო საკითხებში.

სხვისი გაკვირვება ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ თენგიზისათვის. სინამდვილეში, ის გრძნობდა იმ მთავარ ღერძს, რაზეც აკინძული იყო მთელი კულტურა. საერთოდ, თენგიზს ვერ მოაქცევდით რაიმე საზღვარში, იმიტომ, რომ თავად კულტურა მიაჩნდა ერთიან სხეულად, რომლის საზღვარში მოქცევა და დაყოფა მხოლოდ ხელოვნური გახლდათ. ყველაფერი ურთიერთგამომდინარეობდა: მხატვრობისათვის პოეზია და მუსიკა იყო მნიშვნელოვანი, პოეზიისთვის — მხატვრული ხედვა და მელოდიის გაცნა, მუსიკისათვის — სახეობრივი მხარე და საზრისი... ის, როგორც მოაზროვნე, ახერხებდა ამ ყველაფერის ბუნებრივ გაერთიანებას.

მისთვის უმნიშვნელოვანესი გახლდათ პატარა ნიუანსები, მაგალითად, ის რომ მადათოვის კუნძულზე იდგა კოჭლაშვილის დუქანი, სახელად „თეთრი პელიკანი“. მისი კედლები კი ფიროსმანისათვის მოუხატავინებიათ. ნიკალას ფარშევანგები დაუხატავს, იქვე ყოფილა გამოსახული გემი და დიდი თევზი. ის დუქანი დაინგრა და დაშალა, მაგრამ ვალაკტიონის ლექსში, სამუდამოდ დამკვიდრდა „ფიროსმანის ფუნჯით კედლებზე მითოვილ-მითოვილი ფარშევანგები“...

თენგიზ მირზაშვილისათვის არსობრივად განმსაზღვრელი იყო ყველა პატარა მოგონება, ყველა სტრიქონი. რაც მეტად აკვირდებოდა ყველაფერს, მით მეტად გრძნობდა: „გალაკტიონმა ბრწყინვალედ შეიგრძნო ფიროსმანაშვილის მხატვრობა“, — წერდა.

ლექსი „თეთრი პელიკანი“ მინდა გაგახსენოთ: „გადმოფრენას ეს ყორანი/ მადათოვზე აპირებს. / გაანათებს რესტორანი / ტივებიან ნაპირებს. / ასე მიდის ეს ზამთარი / სიზმარით მდევარი, / ასე რეკავს საზანდარი / უქმი, შემაქცევარი. / რომ ისმოდეს საიათნოვას / დაუხანგული ჰანგები, / მიეთოვოს, მოეთოვოს / კედლებს ფარშევანგები. / სული ტირის და როს ნანას, / კოჭლო საჰაკ, ჰპირდები, / დაანებე ფიროსმანას / სევდიანი ტვირთები. / რომ წავიდეს ეს ზამთარი / სიზმარით მდევარი, / რომ რეკავდეს საზანდარი / უქმი, შემაქცევარი. / ოცნებდა, ჩემო ძველო, / ვართ დამეთა მთეველი, / კიდევ ბევრი სადღეგრძელო / დაგვრჩა დაუღვეველი“. (1919 წ.)

„სევდიანი ტვირთები“ თენგიზ მირზაშვილსაც არ აკლდა... მაგრამ ამ ტვირთებს მხრებით შემდგარი რალაცნაირად მსუბუქად ატარებდა... როგორ? — ამოუხსნელია. იქნებ იმ ძალით, რომელსაც საკუთარი საფიქრალის დიდი მნიშვნელობა ანიჭებდა და მხატვარს სირთულეთა მძლეველ ზღაპრულ პერსონაჟად აქცევდა...

დაულალავად უკირკიტებდა თითოეულ სიტყვას, ყოველ მონასმს ყურადღებას აქცევდა, ძირისძირობამდე მიჰყვებოდა... დადიოდა და აგროვებდა აქა-იქ შემორჩენილ ცნობებს ნიკალასა და ვალაკტიონზე, იწერდა, ამოწმებდა... უნდა გენახათ, როგორი ენთუზიაზმით აკეთებდა ამას... იფიქრებდი, ფიროსმანი და ვალაკტიონი მისი ცხოვრების მთავარი ინტერესი იყო... მაგრამ არა! ეს მხოლოდ ნაწილი გახლდათ.

ასეთივე დაკვირვებითა და ენთუზიაზმით აგროვებდა თვითნასწავლი მხატვრის ვანო მელიაშვილის სურათებს, სცენარზე იმუშავა და ფილმიც კი გადააღებინა მელიაშვილზე. მოსწონდა მის ტილოებზე გარინდებული ადამიანები, რომლებსაც „გასალამაზებლად“ შუბლზე თეთრი საღებავი ჰქონდა ჩამოსმული, მხატვრის სიალალე და ბავშვურობა, თვითმყოფადობა. პრიმიტივისტების ეპოქა დასრულებული იყო და ვანო მელიაშვილი გახლდათ უკანასკნელი, რომელსაც შეიძლებოდა ხორციელად შეხებოდი, ამდენად ყურადღების გამახვილება მასზე მართლაც მოსასწრები იყო.

თენგიზს უყვარდა ეთერ თათარაიძის პოეზია, შეეძლო საათობით ესმინა მისთვის. მისი პოეზიის სამყარო ჩემთვის ყველაზე ახლობელიაო, ამბობდა: „ხან ბენვის ხიდს გამკიდებ, /

ხან გზა-ბანრებს ამახვევ, / თავს ხან მქრქალ სხივთ მაფევედ, / ხან ქვევ-ელვ-დელვით დამახვევ. / მაჩქანჩქალებ, მაცხროვებ, / უცხად ფიორ კვართს გამახვევ, / შენ ზნე-ხასიეთს ნატარს / ბოლოს მინას ჩამახვევ“...

იმავდროულად მისთვის ახლობელი იყო შექსპირის სამყაროც. სხვათა შორის ანდრე ტარკოვსკის სპექტაკლი „ჰამლეტი“ მხატვრულად მან გააფორმა. ტარკოვსკის დიდ შემოქმედად მიიჩნევდა. მისი სამყარო უსაზღვროდ საინტერესო იქცენებოდა. ტარკოვსკის საფლავზე საფრანგეთში ასეთი ეპიტაფიაა: „ადამიანი, რომელმაც ანგელოზი დაინახა“... შემთხვევითი არ იყო, რომ ტარკოვსკიმ მხატვრად სწორედ თენგიზ მირზაშვილი აირჩია თავის პირველ სპექტაკლზე... რადგან ორივე შემოქმედს შეეძლო რეალური სამყაროს მიღმა ბევრი დაენახათ და ამ თვალსაზრისით ერთ ენაზე საუბრობდნენ... ორივემ დაინახა!

შექსპირს დაეუბრუნდეთ. თენგიზ მირზაშვილს განსაკუთრებით შექსპირის „მაკბეტი“ უყვარდა.

ამოდ ცდილობ: ვით ბასრის ხმლით კვალს ვერ დააჩნევ ხელშეუხებელს ჰაერს, ისე მე სისხლს ვერ მადენ. დაჰკარ ევ ხმალი ისევ სხვა ზუჩს, ჭრილობის შემტყობს; ჩემი სიცოცხლე შეკრულია გრძნება-თილისმით, - ვერას დააკლებს მას ნაშობი დედაკაცისგან...

ყველაფერი ერთად კი ის თავად იყო — თენგიზ მირზაშვილი, მხატვარი და მოაზროვნე. „ხმლით კვალს ვერ დააჩნევ ხელშეუხებელს ჰაერს, ისე მე სისხლს ვერ მადენ“, — თითქოს გამოწვევას პირდებოდა მთელ მცონარობაში ჩაფლულ სამყაროს და თვითონ ქმედების სიმბოლოდ რჩებოდა.

„თენგიზ მირზაშვილმა პირველად ეტყობა მთაში გაიგონა სიჩუმის ხმა, არა მარტო გაიგონა, შეძლო კიდევ სიჩუმის პარტიტურის შექმნა იმ საოცარი ნიშნის საშუალებით, რასაც პირობითად მუსიკალური ეროვლიფი შეიძლება ვუნოდოთ და რომელიც ერთიანი ძალით ეკუთვნის როგორც მუსიკას, ისე მხატვრობას“, — წერდა თამაზ ჭილაძე.

როგორც სიჩუმის გაცნადა ვერ აქცევ რომელიმე კონკრეტული ხელოვნების დარგის კუთვნილებად, ისე თენგიზ მირზაშვილის დაქვემდებარება იყო ძნელი მხოლოდ ერთი კონკრეტული ინტერესისათვის.

თავის უამრავ საქმეს რომ გაძლოლოდა, დაუშრეტელი ენერგიით რომ მიჰყოლოდა ხშირად ძალიან რთულად სავალ გზას ინტელექტუალურ სივრცეში, სჭირდებოდა სულიერი სიმშვიდე, რომელიც გარკვეულწილად მისი უსაყვარლესი ადამიანების — ოჯახის წევრების — კარგად ყოფნას უკავშირდებოდა. ხშირად აქაც იდგა მღელვარე დღეები, მაგრამ მთავარი — სულიერი სიმრთელე — ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა...

მეუღლე — მანანა თავაძე, შვილები, შვილიშვილები მისი ერთი, ძალიან საინტერესო ნიგნი იყო, რომელსაც ყოველდღე შლიდა და სწავლობდა, რომელსაც ღირსებას არ უკარგავდა, თუმცა მაინც საკმაოდ მკაცრად გაიზარებდა ხოლმე...

სწორედ ოჯახში იყო მისი მთავარი საყრდენი, რომელზეც შეიძლება ხმადალა არც ეთქვა რამე ვინმესთვის, მაგრამ ამისი „ნაკითხვა“ შეიძლებოდა მისივე შემოქმედებაში, მაგალითად 1968 წელს შესრულებულ სურათში „მანანა შვილებით“. შემთხვევითი არ არის, რომ ოჯახის წევრების ხატვისას სწორედ დიდი სულიერება მოდიოდა წინა პლანზე, სულიერება, რომელსაც ოჯახისაგან ისევე იღებდა, როგორც თავად გასცემდა. მისი მეუღლის დახვეწილი, განყენებულობამდე მისული ქართული სახე სურათის განწყობის მთავარი განმსაზღვრელია... ერთხელ რეჟისორ დიმიტრი ბათიაშვილისაგან მოვისმინე, „ეკლესიასავით სახე ჰქონდაო“, — თქვა ერთ მხატვარზე... სწორედ ეს შედარება მახსენდება, როცა ამ სუ-

რათს ვუყურებ. სიჩუმესავით ყოვლისმომცველი სულიერება, რომელიც თენგიზ მირზაშვილის ამ სურათში იკითხება, ყოველდღიურ ცხოვრებაში ზედაპირზე არ იყო ამოტანილი, ათასი საქმით, ინტერესითა და საზრუნავით „ინიღებოდა“, მაგრამ არასოდეს იკარგებოდა.

თენგიზს შეეძლო იმ ძრავით ყოფილიყო, რომელიც დაულალავად ითუხთუხებდა და შინაც კი ისეთ ატმოსფეროს შექმნიდა, რომ კიდევ და კიდევ მეტი შემოქმედებითი პოტენციალი გამომჟღავნებულიყო. შეჭხაროდა მანანას აპლიკაციებს, გიასა და ნატოს ნახატებს, სიძის — რევაზ კიკნაძის — ნარმატებებს მუსიკის სფეროში, შვილიშვილების: ირაკლისა და გიორგის ყოველ წინ გადადგმულ ნაბიჯს ინტელექტუალური თუ პროფესიული თვალსაზრისით.

თავად არ ისვენებდა... გამოფენა უნდა მოაწყო, აუცილებლად! — გამოუტანდა „განაჩენს“ მანანას და მერე აღსრულებამდე თავად შეჭქონდა ლომის წილი.

მასსოვს, როგორ გააკვირვა ყველა გია მირზაშვილის ლექსებმა. რომ არა მამის მცდელობა, კიდევ ძალიან დიდხანს დარჩებოდა დაუბეჭდავი პირველი წიგნი. გია მხატვარი იყო და ჩანაწერებს მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ უთმობდა. თენგიზს კი არ შეეძლო ინდფერენტული დარჩენილიყო, როცა შვილის დანერჩის კითხულობდა; ამიტომაც დაუზარლად მოაგროვებდა ლექსებს და გამოცემლობაში მიჭქონდა...

გიას, ნატოს დახატულ სურათებს ჩარჩოში ჩაასმევენებდა... და შვილიშვილების ჯერ გაუნაფავ, მარტივ, მაგრამ გულწრფელ ხაზებსაც არ ტოვებდა უყურადღებოდ, მათაც ჩარჩოში სვამდა... ასე იცავდა დაკარგვისაგან ძალიან ბევრ რამეს საკუთარ ოჯახში...

მისთვის ოჯახის წევრები არ იყვნენ უბრალოდ ახლობელი ადამიანები, ისინი საინტერესო ადამიანები იყვნენ. ეს კიდევ მეტად აახლოებდა მათთან, მაშინაც კი, როცა მთელ რიგ საკითხებზე სრულიად სხვადასხვა აზრი ჰქონდათ...

საკუთარ ოჯახად მიაჩნდა სიძისა და ქალიშვილის ოჯახი, სადაც დიდი ხალხით მიდიოდა...

რეზოს მამა — ზურაბ კიკნაძე — ხომ ის მეცნიერი იყო, რომელთანაც ისედაც ბევრი რამ ჰქონდა საერთო... მათ არაერთი საინტერესო წერილი შეუქმნიათ ერთად სამეცნიერო სფეროში...

რეზოს დედა — ლამარა გვარამაძე, რომელსაც შვილიშვილთან — გიორგისთან ერთად დიდხანს ეძახდა პატივისცემით, თენგიზისათვის მუდამ სასურველი თანამოსაუბრე იყო; მისგან ის ქართული ესმოდა, ყველას რომ მიევიწყებინა — ლამაზი, ძარღვიანი, სიტყვაკაზმული... სწორედ დაკარგვის პირამდე მიყვანილი სიტყვის — „დიდდას“ მსგავსი... და როცა შვილსა და სიძეს სტუმრობდა, ეს არ იყო უბრალო მოკითხვა, ერთგვარი „შემეცნებითი“ ექსკურსიაც გახლდათ...

ასე რომ, მისი ჩვეული სტილი — ეკეთებინა საქმე ყველგან, სადაც კი გასწვდებოდა, ოჯახშიც, ახლობლებთანაც ვრცელდებოდა.

ის იყო თავგადადებული მამა და პაპა, თუმცა ამას სენტემენტალურ ტონალობაში კი არ გამოხატავდა, არამედ გააზრებულად, დიდი სიმტკიცით, გატაცებით, ინტერესით...

მრავლისმეტყველი ეპიზოდია:

— ალიასკაზე ნავიდე სამუშაოდ? — დაურეკა და ჰკითხა ამერიკიდან შვილიშვილმა — ირაკლიმ.

თენგიზი ავად იყო. მისი ნათქვამი სიტყვები, როგორც ერთ-ერთი უკანასკნელი, ძალიან დიდხანს გაჰყვება ირაკლის:

— უნდა ნახვიდე, კაცმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს!

საკუთარი შემოქმედებისადმი თითქოს ცოტა უდარდელი დამოკიდებულება ჰქონდა, არ უფრთხილდებოდა, თავს არ დაჰკანკალებდა სურათებს. უანგარიშოდ გასცემდა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა. მასსოვს ერთი ასეთი ფაქტიც: ერთ-ერთი ჟურნალისტი ინტერვიუზე მივიდა მასთან. მერე გაოცებული მიყვებოდა: სახელოსნოში მიმიღო, მუშაობდა... მიკროფონი რომ ამოვიღე (ინტერვიუს რადიოსთვის ინერდა), უცებ მითხრა: მოდი, ნურაფერს მკითხავ და სანაცვლოდ აირჩიე რომელი ნახატიც გინდა და გაჩუქებო. ის კი მინახავს, როცა სურათს გჩუქნიან გადაცემის შემდეგ მაღლობის ნიშნად, მაგრამ ასეთი რამ არც მანამ და არც მერე აღარ მომსწრიაო...

რა იყო მიღებული წესი და რა — არა, რას აკეთებდნენ სხვები და რას — არა, თენგიზისათვის სულერთი იყო. მას თავისი დამოკიდებულება ჰქონდა და ერთი წუთით არ უშვებდა აზრს, რომ რამეს კარგავდა — პირიქით, მდიდრდებოდა... რაც მეტს გასცემდა, მით მეტი საუნჯის პატრონი ხდებოდა.

სრულიად განურჩეველი დამოკიდებულება ჰქონდა ფულთან. კარს მომდგარ ხილის გამყიდველს უკან არ მიაბრუნებდა, რაც უნდა ცუდი პროდუქტი ჰქონოდა, იყიდდა... მე თუ არ ვიყიდი, სხვა არავინ იყიდისო...

ერთხელ კი იმ ტაქსის მძღოლს, რომლითაც მგზავ-

რობდა და რომელსაც მსუბუქი ავარია მოუვიდა, დაჰპირდა, მანქანის შესაკეთებელ ფულს მე მოგცემო. გაოცებული იდგა მძღოლი მისი კარის ზღურბლთან და კიდევ ვერ იჯერებდა, რომ ამ უცნაურმა კაცმა ფული გადაუხადა... სამადლობელ სიტყვებს ლულულულებდა... ეს კი დაჟინებით უმეორებდა, სამადლობელი რა გაქვს, მე ხომ ვიჯექი შენს მანქანაში, როცა ავარია მოხდა, ჰოდა ჩემი ბრალიაო! უცნაური ლოგიკაა!

ეს უცნაური დამოკიდებულება ყველასა და ყველაფერთან გახლდათ თენგიზ მირზაშვილის ხასიათი, მისი რწმენა, რომ ადამიანი ფასობს ადამიანად ყოფნით და არა რაიმე სხვა განმსაზღვრელი ფაქტორით...

საერთოდ მიღებულია წესი, რომ მხატვრის ბიოგრაფიას თან უნდა ახლდეს მისი გამოფენების ჩამონათვალი. თენგიზ მირზაშვილისათვის ეს სია ნაკლებმნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან იმისი სრული განჭვრეტა, რას აკეთებდა, ან როგორ, ამ გამოფენების ჩამონათვალით შეუძლებელი გახლავთ:

2007 გალერეა „ვერნისაჟი“, თბილისი, საქართველო.

2006 თბილისი ბანკი, თბილისი, საქართველო.

2006 გალერეა „ვერნისაჟი“, თბილისი, საქართველო.

2005 „გრაფიკა;“ გალერეა „ვერნისაჟი“, თბილისი, საქართველო.

2005 „ორმოცდაათიანი წლები“, გალერეა „ვერნისაჟი“, თბილისი, საქართველო.

2004 გალერეა „ვერნისაჟი“, თბილისი, საქართველო.

2003 გალერეა „ვერნისაჟი“, თბილისი, საქართველო.



რევაზ ინანიშვილი, ზურაბ კიკნაძე
ზაზა ალექსიძე, თენგიზ მირზაშვილი

2002 გალერეა “ვერნისაჟი”, თბილისი, საქართველო.
 1999 გამოფენა მამუკა ჩარკვიანთან ერთად, გალერეა “ვერნისაჟი”, თბილისი, საქართველო.
 1998 გალერეა “ვერნისაჟი”, თბილისი, საქართველო.
 1975 აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი, რუსეთი

ჯგუფური გამოფენები: 2006 თენგიზ მირზაშვილი, გიორგი მირზაშვილი, გალერეა “ვერნისაჟი”, თბილისი, საქართველო.
 1987 ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტული გამოფენა – 1950-იანელები, მხატვრის სახლი, თბილისი, საქართველო.

1987 “ადამიანი, გარემო, ოჯახი”, აშშ-ს 6 ქალაქი.
 1979 ქართული საბჭოთა წიგნისა და ესტამპის გამოფენა, სურათების ეროვნული გალერეა, თბილისი, საქართველო.
 მისი ნახატების გამოფენა ეწყობოდა გერმანიაში, კანადაში, ავსტრიაში, საფრანგეთში...
 თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სურათების გალერეაში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის – შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში; აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი, რუსეთი); სახელმწიფო გალერეაში (მოსკოვი, რუსეთი); უზბეკეთის ხელოვნების მუზეუმში, დენვერის მუზეუმში (აშშ); საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების კერძო კოლექციებში.

ზოგჯერ ისე გაარღვევს ხოლმე შემოქმედი დასაჯერებლის პირობით საზღვრებს, რომ თვითონაც ვერ ხვდება... იმ ფონზე, როცა არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ სადმე განსაკუთრებული პატივით მიეღოთ და წარედგინათ, ელიან რებიანთა და დაეფასებინათ, მან დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი და არა მარტო საქართველოში...

დენვერში 2011 წელს გაიმართა უკვე მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომლის ორგანიზებაში მონაწილეობა ოჯახს ან საქართველოს ოფიციალური მხარის რომელიმე წარმომადგენელს არ მიუღია.

ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ცნობენ და აფასებენ, როგორც შემოქმედს. ხელოვნება კი, მოგეხსენებათ, საზღვრებს არ ცნობს...

* * *

„ხალხურ ლექსში „მამუკა ქალუნდაურის მოკვლა“ არის ერთი ასეთი ფრაზა, რომლითაც მომაკვდავი გმირი თავის მკვლელს მიმართავს:

**ტანზეით ჯაჭვსა ნუ წამყრი, —
 ქერიგოს ქვიშათ ფერი.**

„ქერიგო“ მთავა ჰქვია თუშეთში; „ქვიშას“ კი კლდის ნასალს ეძახიან. ამ პოეტურ ხატში ფერის აღქმით არის განსხვავებული სამშობლოს სიყვარულის უღრმესი განცდა. ასეთ საოცრებას მხოლოდ ხალხურ ლექსში თუ შეხვდებით. ეს არ არის არც ოსტატური განაფულობის ნაყოფი და არც ინტელექტუალური ძიების შედეგი. ეს ხალხის ნიაღისეული ხილვაა — სადა და დიდებული...

...სწორედ ერთ ასეთ ხელოვანზე ფიქრმა გამახსენა „ქერიგოს ქვიშათ ფერი“. ეს თენგიზ მირზაშვილი გახლავთ — ყველა ჩვენი თანამემამულისათვის ახლობელი და საყვარელი მხატვარი. მისი ყველასაგან განსხვავებული ფერწერა უკვე კარგა ხანია შემოვიდა ჩვენს სულიერ ყოფაში და გაგვიშინაურდა. მისმა სურათებმა ჩვენი ოთახების კედლებზე გააჩინა პატარ-პატარა საერკმელები, რომლებიდანაც ჩვენს ბინებს ეფინება საქართველოს მთა-გორების ლბილ ფერთა შუქი...

...განა გასაკვირია, რომ მის ნამუშევრებს დაჰკრავდეს „ქერიგოს ქვიშათ ფერი“? იგი ჭეშმარიტი სახალხო მხატვარია,

ოლონდ ამ სიტყვის უფრო ფართო გაგებით, ვიდრე ამას ტიტული გულისხმობს ხოლმე“, — წერს ვახუშტი კოტეტიშვილი. ჩუბჩიკა მისი ახლო მეგობარი იყო და ვინ, თუ არა მან, იცოდა, როგორ ფერდაფერ ჩამოიქნებოდა სამშობლოს სიყვარული მის შემოქმედებაში. როგორ იკითხებოდა ეს ფერი ყველაფერში: ფერწერაშიც და ნაფიქრალ-ნააზრევეშიც.

„ქერიგოს ქვიშათ ფერი“ იყო მთავარი ამოსავალი წერტილი.

რასაც აკეთებდა, სულაც არ აკეთებდა სათავისოდ — საკუთარი სახელისათვის. მხოლოდ საქმისთვის აკეთებდა. ამიტომაც არაერთხელ საკუთარ მიგნებასა თუ ნააზრევს დაუნანებლად გადასცემდა სხვას, რომ მას დაესრულებინა, წიგნად და წერილად გარდაექმნა... დაუნანებლად ანიავებდა საკუთარ ინტელექტუალურ სიმდიდრეს და სრულიად არ ჰქონდა იმისი განცდა, რომ თვითონ კარგავდა რამეს, რადგან გაკეთებული საქმე დაკარგულად კი არა, ნაპოვნად მიაჩნდა.

თავად გვერდით დადგებოდა და სიამოვნებით ადევნებდა თვალს სხვის წარმატებას... „ქერიგოს ქვიშათ ფერი“ ამამიც იყო... მთავარიც ხომ ეს გახლდათ — ყოფილიყო!

ლევან ბერძენიშვილის სიტყვებით მინდა დავასრულო. მან არაჩვეულებრივი სიზუსტით დაინახა თენგიზ მირზაშვილის ფსიქოლოგიური სახე და მერე ეს დახვეწილი იუმორით შეზავებული წარუდგინა მკითხველებს: „ფოტოსურათებზე ყოველთვის დამკვირვებელივით გვერდით დგას, მაგრამ არასოდეს არ დგას განზე. უნიჭიერესი, უშიშარი კრიტიკოსი, მჩხრეკელი, დაუღლე ისტორიკოსი, ტექსტოლოგი, მუხლჩაუხრელი მშრომელი, პასუხისმგებელი, ჭკვის ცოდნით მომხმარებელი, უპასუხისმგებლო ტალანტების ქვეყნის პასუხისმგებელი მუშაკი. ასი ათასი თამადის და მზიდან დაშვებული პოეტის მივიწყებული სამშობლოს მოუსვენარი მეპატრონე. სხვისი კარგით გაოცებული. დაკვირვების გაკვირებაში გადატანის უნარის პატრონი. მეფე ცხვართა და კაცთა, ხეთა და მთათა, კოშკთა და ეკლესიათა, ყვავილთა და ქალთა. ძალდაუტანებელი გენია, როგორც ეთერის გოეთე („ნკვარამში დგენან მთა, მთის მწვერვალზე, სიბუჯა/სიო ხვია ველს ზენრად“), ხალხური ოქსიმორონი: ბუნებრივი ხელოვნება. თავშეკავებული ძალა. წყნარი ტონების ჰარმონია. ჩუმი მღელვარება, ანუ, უბრალოდ, მხატვრობა, ანუ უბრალო მხატვრობა. ჩუბჩიკა — ფიროსმანის უცნობი ნახატი. ფიროსმანის დახატული სოკრატე, რომელსაც ზევსმა თავისუფლება მიუსაჯა. საყვარელი და მხიარული სოკრატე, რომელმაც სასჯელი ტანჯვად არ მიიღო“...

მუდმივი ძიებითა და სიმართლის შეცნობით დასჯილი... მერე ამ სიმართლის ტარებით დიდ სატანჯველ გამოვლილი... „სევდიანი ტვირთების“ სვებედნიერი მზიდველი — თენგიზ მირზაშვილი, ის, ვისითაც ისევ და ისევ გაოცდებიან თაობები...

* * *

ნუგზარ შატაძე: „თენგიზ მირზაშვილისნაირი კაცები რომ არ იყვნენ ქვეყანაზე, ჩვენს ცხოვრებას მარლი დააკლდებოდა, უმარლო კი არც ცხოვრება ვარგა, არც კერძი — აილე, გადააქციე, ეს კერკეტი კაცი დღესაც დადის, ეძებს, ეძიებს!“

„ეს კერკეტი კაცი“ მართლაც ჩვენი ცხოვრების მარლივით იყო... ყველაზე მთავარი კი ის გახლდათ, რომ სხვებსაც შემოიკრებდა, მთავარს დაანახებდა, არ მოასვენებდა, ვიდრე საკუთარ ნიჭს მაქსიმალურად არ გამოაყენებინებდა.

მას „საყველაფრო“ უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, — ხუმრობდა ვახუშტი კოტეტიშვილი. „საყველაფრო“ უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას ყველას და ყველაფერს ახმარდა... ნახევრად ხუმრობით, ისეთ საქმეებს ადგამდა თავს, მთელი სერიოზულობითაც რომ არ გამოსდიოდათ სხვა კონკრეტულ უნივერსიტეტდამთავრებულებს.

ეს როგორ არ უნდა ნახო და... აიყოლიებდა მეგობრებს და დადიოდა მთა-მთა, ტყე-ტყე, სოფელ-სოფელ... ეს არ იყო უბრალო სიარული. შედეგად ყოველთვის იზადებოდა რალაც მნიშვნელოვანი და არამარტო მის შემოქმედებაში, არამედ ყველასთან, ვისაც აიყოლიებდა, საშველს არ მისცემდა, და-ნახებდა და მერე გააკეთებინებდა.

გიორგი ცოცხანიძე იხსენებდა:
„ერთ შემოდგომას თენგიზმა მისებური შეუვალი დაჟინებით აიყოლია რეზო ინანიშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ზურაბ ნიჟარაძე და თუშეთში გაემგზავრნენ. სოფელ შენაქოში დასახლდნენ, სადაც თითქმის მთელი ორი კვირა გაატარეს. მოსახლეობა ბარშია წამოსული, მხოლოდ მოზამთრები არიან დარჩენილნი თავიანთ დაძაბულ სამემოდგომო სამუშაოებთან. დღისით სტუმრებისათვის არავის სცალია. ჩამტკპარი, ჩამყუდროებული შემოდგომები იცის თუშეთში.“

სოფლის ახლოს ძროხის ფერმაა, რომელიც ჯერ კიდევ არ დაძრულა ადგილიდან, ბარში არ წამოსულა. და აი, თითქმის ყოველ საღამოს, ბინდბუნდის მყუდროებაში, გარემოს მოეფინება ფერმიდან წამოსული გარმონის ჰანგები და თუშური სიმღერის საოცარი ხმები. უკრავს და მღერის ფერმის 16-17 წლის მუშა, ლელა ოსორაული. მეგობრები მაშინვე ფერმისკენ მიეშურებიან და მწყემსებთან ერთად ქობის სიახლოვეს გაშლილ ნაბეჭებზე წამოწოლილნი უსმენენ

ამ საოცარ ჰანგებსა და სიმღერებს. „ნეტავი ვინაც მე მიყვარს, იმას კი ვეყვარებოდე და მემრე გინდაც მთელ აღვანს ჭირივით ვეჯავრებოდე“.

შენაქოში გატარებულმა შემოდგომის იმ ორმა კვირამ ქართულ პროზას შესძინა რეზო ინანიშვილის რამდენიმე უბრწყინვალესი მოთხრობა და მინიატურა. ერთი მათგანის სათაურია „ფერმა მთაში“.

თენგიზ მირზაშვილიც ხომ რეზო ინანიშვილთან ერთად ის შემოქმედა, რომელსაც მოუთმენლობა იპყრობს, რომ ყოველივე ლამაზი ნაწიხი და განცდილი მიაწვდინოს იმათაც, ვისკენაც გამუდმებით ისწრაფის. და აი ამ მოუთმენლობით შეპყრობილი არ მოასვენებს მწერალს, სანამ თავისივე მოთხრობის თემაზე სცენარს არ დააწერინებს, თვითონვე დაუკავშირდება რეჟისორსაც, ვინც ლირიკული ფილმების კეთების დიდოსტატია და ქართველი მსახივრეები მიიღებს უმშვენიერეს პასტორალურ კინოფილმს „ფერმა მთაში“.

ლამარა კიკილაშვილი წერდა ამბავზე, რომელიც თავად რეზო ინანიშვილისაგან ჰქონდა მოსმენილი. შენაქოში იმ წელს თენგიზ მირზაშვილს რეზო ინანიშვილი ერთ სახლში ჩაუკეტავს, სანამ არ დაწერ შენებურ მოთხრობას, არ გაგიღებო... მწერალს ჯერ ხუმრობა ჰგონებია, მერე კი მართლა რომ გადაუტრიალებია გასაღები გარედან მეგობარს, დაუჯერებია, ცხადია... ყველი, პური და ფურცელ-კალამი, გლეხური სიმარტივით გამოყვანილი ფანჯრის ჭრილი, ოდნავ დაბინდული მინები... გარედან შემომავალი გამჭვირვალე სხივი და ყველაზე მონატრებული სუსხიანი სინყნარე... სულ ამის ამარა დარჩენილა რეზო ინანიშვილი...

მართალია თენგიზი გარეთ იყო, მაგრამ მასაც ეს ჰქონდა: პურის ნატეხი, ყველი, ქაღალდი, ფანქარი და სოფლის ბევრისმთქმელი სიჩუმე. და როგორც ეს მოწყენილი, უსასოოდ მიტოვებული ფანჯრებდაფსებული სახლები, ერთი შეხედვით მარადიულ სევდაში ჩაძირული რომ მოგეჩვენებოდათ, მაინც სახლობდნენ და მათ გამო სოფელი მაინც სოფლობდა, ისე რეზო ინანიშვილი და თენგიზ მირზაშვილი იყვნენ კაცები (ბარათაშვილის და ილიას გაგებით), რომლებიც „გაფუყული და გადიდკაცებული ელიტისადმი“ ზურგმექცევით ადამიანის უზენაესთან კავშირის რწმენას გვინარჩუნებდნენ.

ეს ერთი ამბავია მრავალთაგანი...

მის სახელოსნოში მთელი ფილმის გადაღება შეიძლებოდა: საღებავით დასვრილი წითელი ტელეფონი შეუჩერებლად რე-

კავდა.— მევიდა ვინცხა! — ღიმილით ამბობდა ჩუბჩიკა და ყურმილს იღებდა. რალაცას ეკითხებოდნენ ისტორიის თემაზე. ზუსტად პასუხობდა, რა როგორაა, რომელი ლიტერატურა უნდა მოიძიონ და სად უნდა ეძებონ მასალები... მერე ისევ ფუნჯს ჰკიდებდა ხელს და ხატავდა. რამდენიმე წუთში კარზე აკაკუნებდა ვიღაც. ისევ „მევიდა ვინცხა!“ ფიროსმანის ნახატი მოიტანეს, თენგიზ მირზაშვილის აზრი აინტერესებოდა, ნამდვილია თუ არა... რალაცას უხსნიდა და აჩვენებდა. პასუხს სცემდა. ისინი წავიდოდნენ და...

დანებულ სურათს უბრუნდებოდა მხატვარი. რამდენიმე წუთში ისევ წითელი ტელეფონი წკრიალებდა. გამომცემლობიდან იყვნენ. არა, საღამოს არ სცალია, გამოფენა ისხნება, სამ საათზე მივა სამუშაოდ გამომცემლობაში. დიდ ჩანთაში ფურცლებს ალაგებდა და ახლა თვითონ რეკავდა:

— რას აკეთებ? ნაიკითხე? მერე? როდის დაწერ? ხვალ მოხვალ? ცხრაზე მოდი!

კიდევ რამდენიმე წუთი... სამი სტუმარი კართან, ერთი — ნახატის მყიდველი, ორიც უბრალოდ — სტუმარი. ტელეფონის ზარი...

მაგიდაზე ნახატები, ფუნჯები, გადაშლილი წიგნები ელოდნენ მხატვარს...

ისევ ტელეფონი: — მოხვედი, ნიკა? მოვდივარ...

სადარბაზოსთან მანქანაში ნიკა თოფურიძე უცდიდა. წავიდოდნენ და ვინ იცის რამდენი საქმეს გააკეთებდნენ, სად არ მივიდოდნენ. ჩუბჩიკას მთელ ქალაქში ჰქონდა საქმე. ბოლო დროს განსაკუთრებით ხშირად გალერეა „ვერნისაჟში“ მიდიოდა, ზაირა ბერელიძესთან თვითონაც აწყობდა გამოფენებს და სხვა გამოფენების მოწყობის იდეებსაც აწვდიდა გალერეისტს. ყველა საქმეში ერთნაირი თავდადებით ერთვებოდა, იმის მიუხედავად, ეხებოდა მას თუ არა...

სადაც ელოდნენ, ხომ მივიდოდა, სადაც არ ელოდნენ, იქაც შეივლიდა... ასე იმიტომ იქცეოდა, რომ ყველა ეიძულეზინა და საქმე გაეკეთებინებინა. იმიტომაც გამოდიოდა ყველაფერი ლაზათიანი ზედმინევიტით კარგად დამუშავებული, რასაც ჩუბჩიკა აკეთებდა (ან აკეთებინებდა). არ ეზარებოდა, ათჯერ მივიდოდა, ოცჯერ, ან სულაც ასჯერ... შეცდომებს იპოვიდა ტექსტში და გაასწორებინებდა, გამოფენის გახსნამდეც შეივლიდა, გახსნის შემდეგაც. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ათასჯერ წაკითხებდა...

ნიკა თოფურიძე კი მოწმეა ამ ფილმად გადასაღები დღეების — ყველა წუთისა და წამის, დღის განმავლობაში ძალიან დიდხანს იყვნენ ერთად. ნიკამ იცოდა, რომ ეს ბედნიერება იყო, და როგორც ყველა ბედნიერება, არც ეს გაგრძელდებოდა უსასრულოდ, ამიტომ ყველა წუთს ისრუტავდა და იმას სოვრებდა, თუნდაც იმიტომ, რომ მერე მათთვის ეამბა, ვინც ვერ შეეხსნო, თანამონაწილე ვერ გახდა... მოყოლას იწყებს და თვალეები მასაც სხივით ევსება, სწორედ ისე, ჩუბჩიკამ რომ იცოდა, რაიმე ნამდვილსა და ღირებულს რომ ნახავდა და წაკითხავდა:

— „ისეთი კაცი იყო, კარგი კაცი იყო მეთქი რომ ვთქვა — შემრცხვება. კარგზე ბევრად მეტი იყო თენგიზ მირზაშვილი — პროფესიონალი, უკიდევანოდ განათლებული, მიმტვევებელი, კეთილი, კეთილშობილი...“

საოცარი დაჟინებით აკეთებდა საქმეს, თავგადაღებული იყო.

წარმოუდგენელი ერუდიცია და ცოდნა ჰქონდა, გააკოცებდათ. მისი ცოდნა ინფორმაციული ხასიათის არ იყო, განცდითი და შემეცნებელი ჰქონდა ყველაფერი. ამდენს კაცი ვერ ისწავლის, თუ არ უყვარს...

სალამო ხანია, ანანურში ვსხედვართ. პოეტურ გუნებაზე დადგა. ძნელბედობის ფაში იყო, თუმცა ახლაც ძნელბედობის ფაში უდგას ქართველ ხალხს. მაშინ თქვა, ახლანდელი ჩვენი

მდგომარეობა ერთი სტროფით შეიძლება გადმოიცესო...
„გოგოთურ და აფშინადან“ ნაიკითხა:

**უკუნეთია, არ ისმის
კრინტი არსითგან არც რისა,
ცუდად ჩაცმულნი მთანი დგან
ფიქრის მზიდველნი მწარისა,
სულ მუდამ ყინულიანნი,
არ როს მნახველნი მვნანისა.**

ჩუბჩიკა რომ მახსენდება, პირველად წარმომიდგება მისი გაცისკროვნებული თვალები და სველი მუხლები. 25 წლის წინათ ვიყავით მივარდნილ სოფელში — დუმაცხოში, მე, ჩუბჩიკა და გოდერძი ჩოხელი ნავედით. სანამ გოდერძი ხინკალს ამზადებდა, ავედით ჩოხიდან ერთი საათის სავალზე, დუმაცხოს სასაფლაოზე. ჩუბჩიკა ორი საათის განმავლობაში დაჩოქილი უდებდა საფლავის ქვებს ფოტოებს. მოსალამოვდა. შევხედე, კაცს მუხლები სველი აქვს, არადა მთაა, სუსხია... ძლივს წამოიმართა, სისველისა და სიცივისაგან სახსრები სტკიოდა. მაშინ ვიფიქრე, რომ ყველაფერი, რაც ჩუბჩიკას უყვარს, ასე დაჩოქილს აქვს შესწავლილი და შემეცნებული-მეთქი.

1979 წელს 14 აპრილს პირველი ხალხური შემოქმედების საღამო უნდა ჩატარებულიყო.

წინა დღეა. ჩემთან არიან სტუმრად ლექსო ჭინჭარაული, ვახუშტი კოტეტიშვილი და თენგიზი. სუფრა აიშალა, მიდიან, თენგიზმა ჩუმად მითხრა, საქმე მაქვს, მე დავგრჩები, საღამოც ერთად უნდა წავიდეთო. სად-მეთქი... ჩუ, ესენი კი არ მიგვყავსო. მართლაც გავისტუმრეთ ვახუშტი და ალექსი და ნავედით... ფილარმონიის სალაროებში... საღამოს 6 საათი იქნებოდა. ამოიღო 500 მანეთი ჯიბიდან. მაშინ როცა წინა დღეს 20 მანეთი მესესხა, ფული არ ჰქონდა. 200 ბილეთი იყიდა. დორიან კიტიას ნათქვამი ჰქონდა, 50 ბილეთს უფასოდ მოგცემო. არ გამოართვა: მე არ მინდა, სოფლიდან რომ ხალხი ჩამოვა, იმათ მივცეთო. იმ ღამეს 12 საათამდე დავდიოდით და ნაყიდ 200 ბილეთს ვარიგებდით. ვისთან არ ვიყავით: ვერიკო ანჯაფარიძესთან, სალომე ყანჩელთან, ნოდარ დუმბაძესთან...

ველარ მოვითმინე და ვკითხე: ამას რატომ აკეთებ-მეთქი...

მინდა ყველა აუცილებლად მოვიდეს ამ საღამოზე, ივანე ნიკლაური, იოსებ ბაიაშვილი ნახონ... ესენი ერთი-ორ წელიწადში აღარ იქნებიან, არადა, ამათი უნახაობა როგორ შეიძლებაო.

ყველაფერს ჩქარა აკეთებდა, ერთი ამოსუნთქვით. თითქოს ბევრ დროს არ ხარჯავდ, მაგრამ ეს იყო უზარმაზარი განცდის შედეგი. იუმორი იყო გაქცევა მარტივი დამოკიდებულებისაგან. ხშირად მთავრდებოდა უამრავი ნახატის ჩუქებით. ერთი წყება სურათებისა თითქმის ჭერზე დავკიდე, რომ არ მიწვდენოდა და არ გაეჩუქებინა. მაგიდა მივაჩოჩე, მერე ზედ კიბე დავდგი და ისე დავკიდე. იქნებ ხელი არ მოკიდო-მეთქი, იმიტომ, რომ ყველაფერი ძველი გაქრა — გააჩუქა...

ერთ წუთს არ ისვენებდა. ჩემთვის დაურეკავს ღამის სამ საათზე და უკითხავს:

- რას აკეთებ, გძინავს?
- რა დროს ძლია! — ვუპასუხებდი მე.
- კაი, კაცო, მორჩი შაყირს, ახლა ისეთი რამე უნდა წავიკითხო, გავიჟღებო.
- რა უნდა წამიკითხო?
- გალაკტიონის დაუბეჭდავი ლექსი... ამ ლექსს თავისი ისტორია აქვს და გალაკტიონის ლექსს რომ ისტორია აქვს, ის განსაკუთრებული ლექსია.

გალაკტიონი ცუდად იყო, შიოდა, ციოდა. გამომცემელს მისწერა: პალტოთი ვწევარ და ჩემი მეუღლის ხელით გიგზავნი ამ ლექსსო. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვი დაადგენა: ის ლექსი უკან მომიტანე, არ მომწონსო. მოტანა რომ დაუგვიანეს, ადგა, თვითონ წავიდა და გამოართვა... აი, ლექსიც:

**მოგონების ნაზი მტვერი,
შელებილი ლალის ჭიქით,
ფიქრში დარჩა ყველაფერი,
ყველაფერი დარჩა იქით.
როგორ შევწინს მთავრებებს
ხავერდები გობელენის,
მთა და ბარი შევაჯერე,
შეყენება მსურდა ცხენის,
მაგრამ ველარ შევაჩერე.**

იმას უღიზოდა და უყვებოდა რალაც-რალაცებებს, ვისაც შეეძლო გაეგო. ბევრს ხუმრობდა, იუმორი თავშესაფარივით ჰქონდა...

გლუხებთან რომ იყო, არასოდეს გაიღიმებდა. დაჭიმული იყო, რომ მათი არცერთი სიტყვა არ დაეკარგა. გლუხებს ჯერ კიდევ შერჩენიათ სახელმწიფო აზროვნება, ამათგან უნდა ვისწავლოთ ყველაფერიო.

სახელოსნოში დილით 7 საათზე მივიღოდა. მაშინ ფიქრობდა, მარტო იყო. მერე რამდენიმე საათში ხალხი იწყებდა მოსვლას, ზოგი საქმეზე, ზოგიც უბრალოდ... მაშინ ვის არ ნახავდით მასთან და ჩუბჩიკაც ღიმილიან ნიღაბს გაიკეთებდა...

ფიროსმანი როგორ უყვარდა! მისი ცხოვრების მიზანი იყო, მის განცდას ჩანვდომოდა. ნიკალას შვილიშვილები იპოვა, მისი ბიოგრაფიის ყველა დეტალი ზუსტად, შეულამაზებლად იცოდა. ამბობდა, რომ ბიოგრაფიის ისე წარმოდგენა, ჩვენ რომ წარმოვადგენთ ხანდახან, არ შეიძლება.

უშურველად გასცემდა ინტელექტუალურ და მატერიალურ ფასეულობებს. მთავარი იყო საქმე გაკეთებულიყო, და თუ ვერაფერს ვერასოდეს გაიგებდა, რომ იდეა მისი იყო, ან ამ თემაზე ისიც მუშაობდა, სულ არ ადარდებდა. დაახლოებით ისე, ზოგჯერ საიდანაც ძვირფას ნერგს რომ მოიტანდა, ან ყვავილებს გადმორგავდა სადმე, თავისი სახლის წინ კი არა, და წავიდოდა...

„ვეფხისტყაოსნის“ თვითოეულ სიტყვას აგისხნიდა და რეალურად გაჩვენებდა მის არსს, გაყალბებულ ისტორიაზე გელაპარაკებოდა...

ერთად ვიყავით საავადმყოფოში. ექიმი როგორც კი დამელაპარაკა, მაშინვე მკითხა, სიმსივნეაო... პანიკა არ ჰქონია, არც ერთი სიტყვით არ წამოცდენია სინანული, ან შიში. ავადმყოფობაში უფრო სწრაფად და უკეთ მუშაობდა კიდევ. იცოდა, რაც შეიძლება ბევრი უნდა მოესწრო...

პირველი იანვარი თენდებოდა, რომ გარდაიცვალა. თითქოს მხოლოდ მას შეეძლო ასე მოგვექცეოდა: ჯერ ერთი, ვისაც მისი გახსენება მოუწინებდა, საქმეს არ მოცდებდა — ახალი წელია და ისედაც ყველა ისვენებს... და მერე, როგორც უნდა გტკიოდეს გული, გახრჩობდეს ცრემლი, გაისხენებ ამ უზადო ადამიანს და მერე მაინც გაიღიმებ — ახალი წელია, წინ ახალი საქმე, ახალი ცხოვრება გელოდება.

რეზო ინანიშვილი წერდა: „არაფერია იმაზე კარგი მიცვალებულისათვის, ორიოდ კაცმა მიაცილოს სასაფლაოს მყუდრო კუთხეში, რალაც ნაიპუტუნოს თავისთვის სამოსგაქუცულმა მღვდელმა, ჩაუშვან მიცვალებული მინაში, იქვე ნაუქციონ თითი ჭიქა და წავიდნენ საქმემორჩენილები თავთავიანთი გზით. ცოტა ხანში შემხმარმა ფოთლებმა დაფარონ საფლავის ბორცვი. ასეთი ბედნიერები იყვნენ მოცარტი და ფიროსმანი“.

თენგიზ მირზაშვილმა, ისე როგორც თავად რეზო ინანიშვილმა, მოახერხა თავისი ძალიან მაღალი სისადავის ამ გვირგვინით სრულყოფა... სხვადასხვა წელს, მაგრამ ერთი 31 დეკემბერს დაკრძალეს, მეორე, 1 იანვარი რომ თენდებოდა, მაშინ გარდაიცვალა... დღეები იყო ისეთი, მხოლოდ ისინი თუ გააცილებდნენ, მთელი გულით ვისაც ენდობებოდა... სიკვდილითაც არ უღალატეს თავიანთ მრწამსს...

მურმან ჯგუზურია

აი, მიზეზი

აი, მიზეზი და მიზეზის კიდევ მიზეზი. გალაკტიონი

I.

ცხონებულმა მურმან ლებანიძემ გასული საუკუნის 80-იან წლებში შეადგინა და გამოსცა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“.

И дым отечества нам сладок и приятен.

ჩემი მამული ჩემი საქართველოა, ნათელია, მაგრამ ეს იმას არ გამოორიცხავს, რომ შენი მშობლიური მხარე, შენი ნერვი და შენი ადგილის დედა უფრო მეტად გიყვარდეს! ანუ:

მე ძლიერ ვეტრფი კახურ ხედებს, ვერ ვიტყვი, თუმცა, ალაზანი მერჩიოს ენგურს; ენგურს — დონ კიხოტს, ამ კუნაპეტ ღამეში მგრგვინავს და თავქარიანს, პოეტივით რომ ცუდად სძინავს.

სხვა მაგალითი:

Недалеко до Смирны и Багдада, Но трудно плыть, а звезды всюду те же. (ოსიპ მანდელშტამი)

სხვა კახეთში მთვარე. (გალაკტიონი)

მე, ალბათ, როგორც მკითხველი ამჩნევს, სწორედ ამ სხვაობის მომხრე ვარ!..

სხვანაირია კახური სიმღერები, სხვანაირია გურული, იმერული, მეგრული სიმღერა, კახური, სვანური, მეგრული ლექსი. თავისებურია დედა-საქართველოს ყოველი კუთხე და თავისებურია მათი ხელოვნება.

რატომღაც მეგრულს არ სწყალობ-მეთქი, ვუთხარი ერთხელ ბატონ მურმანს. გაიკვირვა, რას მეუბნებიო!

„ანთოლოგიაში“ არ შეგიტანია-მეთქი გაბესკირია, მირცხულავა, ძიგვაშვილი (ძიგუა)-მეთქი.

ამ შეკითხვაზე მურმანმა არ მიპასუხა, დუმილი არჩია, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, დუმილი თავადვე დაარღვია და გამოაქვეყნა ის არგამოსაქვეყნებელი ლექსი (ლექსი?), სადაც მეგრული ენა, აკაკისა და ილიასაგან განსხვავებით, ახალი ეპოთეტიტო მოიხსენია ანუ „მიჯღარკულ-მოჯღარკული“ ენა უწოდა!

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა...

ძირეს კოჩი მიდგარდუნი, წყარ პიც ხედ დო ინგარდუნი...

ასე გადაიღო ცხონებულმა კაკო ჟვანიამ რუსთაველის სტრიქონი.

არ უნდა გადაელოო, მურმანმა! ვინ არ შემცდარა, მაგრამ შეცდომასაც გააჩნია.

შეცდა სულხან-საბა ორბელიანი, როცა მეგრული ენა ჩხიკვთა და კაჭკაჭთა და სხვა ავენოვან ფრინველთა ენად მოიხსენია. ცხონებულმა პოეტმა გაიმეორა.

ერთი ჩინელი ბრძენი გვეუბნება: ერთადერთი და ნამდვილი შეცდომა შეცდომის გამეორებააო. ე.ი. ცხონებული მურმან ლებანიძე, ამ გამონათქვამის გათვალისწინებით, მართლა შეცდა, ანუ უფრო მეტად შეცდა, ვიდრე სულხან-საბა, რაკი-ლა წინაპრის შეცდომა გაიმეორა.

აკაკიმ მეგრულს დიდი ქართული ენის სალარო რომ უწოდა, არ გაიხსენა!

ვწერ ამ ესეის და მაგონდება მუხრან მაჭავარიანის ერთი მცირე ლექსი, ზომით — მცირე, აზრით კი მთელი ჩვენი ამერ-იმერის დამტვევი:

ვნახე ენგური, რომელიც კლდეს ღრიანცვლით ეხლება, ენგურთან, ჩემო არავგო, ხმა აღარ ამოგელება!

როგორი აუცილებელი, ზუსტი სიტყვებია შერჩეული გუნება-აზრის გადმოსაცემად!

„ჩემო არავგო“-ო, მიმართავს საყვარელ მდინარეს, მაგრამ მეორე, არანაკლებ საყვარელ მდინარეს, აღმატებულ ხარისხში მოიხსენიებს, რაც, დაახლოებით, ილია მართლის ცნობილ გამონათქვამს ენათესავება.

აქ არ მინდა ჩამოვთვალო მურმან ლებანიძის მიერ დაწუნებული პოეტების (გაბესკირიას, მირცხულავას, ძიგვაშვილის) შედეგები,

მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ეტყობა, მურმანს ჩუმი ჯიბრი სჭირდა, ალბათ, ადრე წასული პოეტის, გიორგი ძიგვაშვილის, რომელმაც, შეიძლება ითქვას, კონ-გენიალურად თარგმნა რობერტ ბერნსის ლექსები, რაც არ ითქმის ლებანიძისეულ თარგმანებზე. გულლიად რომ ვთქვათ, აჯობა ოციოდე წლის პოეტმა, რასაც მკითხველისგან ფარულად განიცდიდა კიდევ, მაგრამ დაავინდა, რომ გასმენილი სიტყვის დაფარვა არ იქნება.

უცხო კაცთან მე ისეთი მხდალი ვარ, გვერდით როგორ დავუწვები, სერ, მე ისეთი პანანინა ქალი ვარ, რომ სირცხვილით დავინვები, სერ. დედამ კაბა შემიკერა ღამაში, ნითელ-ყვითელ საკინძებით, სერ, ხომ დაჭმუჭნეთ, ხომ გაფუჭდა სამოსი, თუკი გვერდით დავინვებით, სერ. აგერ ქარმა ჩამოყარა ფიქვები, გრძელი არის ზამთრის ღამე, სერ. გაზაფხულზე უფრო დიდი ვიქნები, მოდი, მაშინ წამიყვანეთ, სერ.

თარგმანი რა შუაშიაო, იტყვის, ალბათ, მკითხველი და მართალი იქნება, რაზედაც მიგვანიშნებს წიგნის სახელწოდებაც „ქართული პოეზიის ანთოლოგია“. ამიტომაც დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ, მოიძიოს და გადაიკითხოს უდროოდ დაღუპული პოეტის, ძიგვაშვილის უმშვენიერესი ლექსი „შეხვედრა“, რომელიც ყველა „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“ დაამშვენებდა!..

სხვათა შორის, გიორგი ძიგუა მ. ლებანიძის (და არამარტო მისი) საყვარელი პოეტის, ლადო ასათიანის ამხანაგი იყო; ერთი თაობისანი იყვნენ, ერთსა და იმავე დროში წერდნენ თავთავიანთ შესანიშნავ ლექსებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ანთოლოგიაში“ ასათიანის თითქმის მთელი შემოქმედებაა შეტანილი, მირცხულავას, გაბესკირიასა და ძიგვაშვილისათვის კი, სტამბისა და ქალაქის კარგად მცოდნე პოეტ-გამომცემელს, თითო ფურცელიც დაენანა!

სანუხარ არს ესე.

II.

ამ ესეის შექმნის მთავარი მიზეზი კი ასეთი გახლავთ: მეგობარმა მწერალმა გიზო ზარნაძემ მისასხოვრა თავისი მორიგი წიგნი — მოთხრობა („ტატიამო“), რომელშიც თითქმის მთელი მოთხრობის სივრცეზეა საუბარი ცხოვრებული პოეტის, ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) ერთ-ერთი შედეგის გარშემო. ესაა ლექსი-მეტაფორა, სახელწოდებით „ვერხვი“.

მოთხრობის ლირიკული გმირი, ათიოდე წლის გიზ-ბიჭი, გვიყვება თავის თავგადასავალს. აი, ერთი ეპიზოდი:

„მეცა, მეცა! ეს რაღაც კაი ლექსი ჩანს! გადავდე გაზეთი გვერდზე, საჩქაროდ მოვამთავრე საუზმობა, გადავუტანე ცარიელი ქოთანს ეფრონია ბიცოლას, იმან, სამაგიეროდ, ორი გვერდითელა ვაშლი მომცა და, გახარებული, კვინტრით ვბრუნდები უკან (კაი ვქენი, გუშინ რო მეზობლებთან მისასვლელი გზები გავთოვლე!).“

გამოვალე კარი, ჰაერი გეინმინდება-თქვა; თან გაზეთი მოვიმარჯვე და, რაც შემეძლო, ხმამალა დავინყე კითხვა. ვითამ, არტისტი ვიყავი!

კლდეზე ვდგავარ თეთრი ვერხვი, მხრები ამიტოტებია. ვინმე ხრამში თუ გადასცდა, ხელი გამინოდებია. მებს ვარიდებ მოზარდ ვერხვებს, ტანი აუშოლტებიათ, ფრთებს ისხამენ მტრედები და საბუღარებს შორდებიან. ახლაც ვებრძვი ქარს და წვიმას გული აუშოფოთებია. თუ სიტყვები მცვივა, განა შემოდგომის ფოთლებია!

— უჰ, უჰ, უჰ! შენ გაგიმარჯოს ღმერთმა! მიდი, მიდი, გიზ-ბიჭ, ხმამალა ისაქენი... გადი ბოლოში! — მომესმა ამ დროს ტატიამოს ხმა.

გვეხიბდე გარეთ და რას ვხედავ! აგერ არ მოსდგომია ჩვენს ალაგეს და, თურმე, არ მისმენს!.. მეც, რა მენაღვლებოდა, გავაგრძელე კითხვა:

მცვივა, განა მცილდებიან, თრთიან, განა ხუნდებიან, ადრე აბიზინდებიან, უფრო ადრე ბრუნდებიან; განა მწუხრის ბინდებია, ეს მტრედების გუნდებია, მხრებზე დამაფრინდებიან, ტკბილად აღლუნდებიან.

ვერც შევამჩნიე, კითხვაში გართულმა, ისე შემოსულა ეზოში და დამდგარა წინკარში! ლექსი მეც ძაან მომწონს და კიდევ ვუმატებ ხმას:

ჰე, მამულო, შენს თეთრ გუშაგს განა რული მომრევია?! ფესვი მიდგას შენს მიწაში, ირგვლივ ქარის მორევია, გაქრა ღამე, აღარც ომი, აღარც სისხლის ტბორევია, ეს ჭრილობაც, ეს ღიმილიც ტყვიის ნაამბორევია.

— ჰაიდა გიდი! ჰაიდა, შენი ჭირიმე! კიდოა? — თვალები უბრწყინავს ტატიამოს.

დასტურის ნიშნად თავი დაგუქნიე და უხერხულობა ვიგრძენი — მე შიგნითა ვარ, გაღულუნებულ ცეცხლთან, და ის კი გარეთაა-თქვა!

— შემობძანდი, ტატიამო ბიძია, ცეცხლი ანთია და ყველაფერი!

დააბაკუნა ერთი-ორჯერ ფეხები წინკარში, დეიფერთხა ქული და მუხლისთავები და შემოვიდა, დაჯდა.

კითხვა გავაგრძელე.

მეც ვშფოთავდი! საგულეში ცეცხლის ალი ფრიალებდა! წკრიალებდა გულისკარი, თუ ცისკარი ჭრიალებდა, მეც ვშფოთავდი და ფიქრებში ტვერი მწარედ შრიალებდა, ჩრდილზე ფეხს რომ დამადგამდნენ,

ტანში გამაჟრიალებდა.

შენ გიცავდი, შენთვის დამჭრეს. შეწყდა სისხლი და იარა. შემეხორცდა ნატყვიარი და ტკივილმაც გაიარა!..

— ნეიკითხე კიდო ერთხელ, რა იქნება! ნამიკითხავ? — რავა არა!

ჩრდილზე ფეხს რომ დამადგამდნენ, ტანში გამაჟრიალებდა.

ასე აჟრიალებდა ამ მოთხრობის მთავარ გმირს, ტატიამოს, მთელი დიდი სამამულო ომის („მაღალი ომის“. პასტერნაკი) განმავლობაში და, ამასთანავე, როგორც გვეუბნება პოეტი „ხელი გამინოდებია“-ო, ხელს უმართავს მოთხრობის გმირი მთელ სოფელს, დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას და, ამდენად, სახელი „ვერხვი“ ტატიამოს მეორე სახელადაც მოიაზრება, თუმცა მწერალი ამის თაობაზე სიტყვასაც არ გვეუბნება, ანუ — გვაძლევს თავის უფლებას, მიხვედრის სიხარული რომ განვიცადოთ.

ჩემი ნაადრევი დასკვნა კი ასეთია: როგორც ალიო მირცხულავას „ვერხვი“ გახლავთ შესატანი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, ასევე, გიზო ზარნაძის ამ ნაწარმოებისთვისაც („ტატიამო“) გამოინახება ადგილი ქართული მოთხრობის ანთოლოგიაში.

მკითხველიც არის და მკითხველიც!

მ. ლებანიძისათვის, როგორც ვნახეთ, „ვერხვი“ არ აღმოჩნდა საანთოლოგიო ლექსი.

ცხოვრებული ოთარ მამფორიას გამონათქვამი მაგონდება: მე მწერალი ვარ, ფრანგო, მკითხველი კი არაო!

ანუ მ. ლებანიძეც მწერალია და არა — მკითხველი. მკითხველი კი არადა, ნამკითხველი, ამ შესანიშნავი მოთხრობის, „ტატიამოს“ ავტორია, ანუ გიზო ზარნაძეა, მაგრამ, რაც მთავარია, თავად ავტორზე უკეთესი მკითხველია მთავარი პერსონაჟი, ტატიამო, რომელიც არ ეშვება თავის მოზარდ მეზობელს, მოთხრობის ლირიკულ გმირს და გამუდმებით, ღამის მთელი ზამთრის განმალობაში, ყოველდღე აკითხებს მირცხულავას ნახელავს!

— შემობძანდი, ტატიამო ბიძია, ცეცხლი ანთია და ყველაფერი!“

დააკვირდი, ძვირფასო მკითხველო, რამხელა სივრცეა ჩაფენილი ამ ციციქნა წინადადებაში — „ცეცხლი ანთია და ყველაფერი!“

ეს „ყველაფერია“ მთავარი!

გაგანია ზამთარია. იანვარია, ავდარია. ძვალ-რბილში ატანს ყინვა. „წელან, კარის ჭრიალზე, ნიგვზის ტოტიდან ფრთხილთ აფრინდა აჭახჭახებული შაში. ტოტზე დაზვავებული თოვლი შშრიალით ჩამოეშვა ძირს და საბრალო ტოტი წელში გაიმართა“. ეს ტოტი იგივე ლირიკული გმირია, რომელიც ფარღალალა ქოხში მარტოა და თითქოს არავითარი სახსარი არ გააჩნია, მაგრამ რაკილა ეფრო ბიცოლა და მარო ნათლია, რაკი ტატიამო ბიძია გვერდით ეგულება, რაც მთავარია, რაკი კერია უნთია, გაუძლებს ამ ყიამეთს, საშველი დაადგება.

დიად, თუკი ცეცხლი ანთია, ყველაფერი მოგვეპოვება, ცეცხლი დიდი სიმდიდრეა!

გიზო ზარნაძემ ანიდან ჰამედე იცის ცეცხლისა და ზამთრის ურთიერთობა. ორივეს ზნე-ხასიათი; პირველის სითბო და უანგარობა, მეორის სუსხი და ჭირვეულობა.

გიზო ზარნაძემ მშვენივრად იცის **Скажи-ка, дядя, ведь недаром...** იცის, რომ არამართო კულტუროვმა და ბაგრატიონმა დაამარცხეს ნაპოლეონი, — ზამთარმაც!

და ეს „რიგითი ჯარისკაცის“, გიზ-ბიჭის ცეცხლი დაამარცხებს პიტლერსაც!

დაამარცხა კიდევაც.

ომში ვიყავ, მტერს ბერლინი მივუგრიხე, მოვუგრიხე. აღტაცებით შემოვძახე — ეგ არის და გორის ციხე!

ვისი შეძახილია?

პოეტის „რჩეული“

ქართველი პოეტის, გალაკტიონის!
ვისი ლექსიაო „ვერხვი“, — ეკითხება ტა-
ტიამი გიზ-ბიჭს: აკაკისი, ილიასი თუ ვისი?
ქართველი პოეტის, ალიო მირცხულა-
ვასი.

სავსეა ეს მოთხრობა სასოკიასეული
„ხატოვანი სიტყვა-თქმანით“, სოფლისა
და ეზო-კარის ცოდნით, პირუტყვისა და
ხეხილის ცოდნით, დარ-ავდრისეული ზნე-
ხასიათის ცოდნით, რაც ძვალ-რბილ აქვს
გამჯდარი მოთხრობის ავტორს, რომელ-
საც ხალასი იუმორის გრძნობაც გააჩნია.

ორიოდე ეპიზოდი მოთხრობიდან.

— ტატიაშო ბიძია, ის ნიკოლაა თუ
ვილაძეა, „ფუფუსა“ რატო ეძახიენ, გვარია
ამისთანა?

— რატო ეძახიენ და ძაან დიდი მუცე-
ლი ადგას, ღიპიანია.

— სუქანი ყოფილა.

— უჰ, ნამეტანი!

— ჭამს ბევრს, ალბათ, ძაან, ძაან!

— კი, ბევრს ჭამს და ფეხსალაგში არ
დადის.

— სულ არა?!

— ნნ

— ეუჰ! “

ან:

„სად იყო და სად არა, უცებ პანტელა
გურული შემოგვეფეთა. ფაცხაფუცხით
მოდოდა, ეტყობოდა, ბაზარში. იმიტო
რო, დიდი თეთრი ბატი ამოელლიავებინა
მარცხენა ხელში.

სალამი უთხრეს ტატიაშომ და პანტე-
ლამ ერთმანეთს.

— რავარი ბაზარია, სიმონიჩ, ეფობა
თუ მძვირობა? — იკითხა პანტომ.

— რა ვიცი, ვინ მიგვიშვა დახლებამ-
დე! ისე, შენ საით გაგინევია?

პანტელამ ფეხი მიადგა. საულვაშეზე
ღიმილმა გადაურბინა. თითქოს ატყობსო,
რალაც მაკვარანცხის თქმას რომ აპირებ-
და ტატიაშო ბატონი.

— სა უნდა მივიდოდე, შე კაცო, ვერ
უყურეფ, ბატი რო მიმყავს?!

— ბატს ქე ვუყურეფ, მარა, სა მიგ-
ყავს?

— რა გემართება, სიმონიჩ, სა მიმყავს
და ჩხარში!

— არა ახლა, მაგ ბატის მიმართულე-
ბით თუ ვიანგარიშებთ, წესით და რიგით,
ზესტაფონს უნდა მიდიოდე! — ახითხით-
და ტატიაშო ბიძია.

და მართლაც, ბატი თავით უკან, ზეს-
ტაფონისკენ ჰყავდა ამოლლიავებული!“

ერთიცი ბარემ, მაგრამ არა, კმარა! და-
ნარჩენს ნიგნში მოიძევთ. თანაც, სულ
იოლად, თითქმის ყოველ მეორე გვერდზე...

P.S.

„ყველაზე კარგი საქმე შეშის ჩეხვაა,
რასაც გააკეთებ, შენ წინაა“ (ალბერტ
აინშტაინი).

თოვს, ბარდნის. გიზ-ბიჭი ქოხის წინ-
კარში ჩეხავს შეშას. საცაა ტატიაშო ბიძი-
აც გამორჩნდება...

ლია სტურუას პოეტური „რჩეულის“ წარდ-
გინება გაიმართა კულტურის სამინისტროს სახე-
ლოვნებო დარბაზში. წიგნი დაიბეჭდა გამომცემ-
ლობა „დიოგენეში“, თანადგომით ამ სახელი-
სუფლო ინსტანციიდან; შესაბამისად, ღონისძიე-
ბა მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილ-
მა გახსნა. მოწადინებულად ამორჩეული ცოტა-
თი პათეტიკური სიტყვებით გამოხატა რა სიყვა-
რული ლია სტურუას შემოქმედებისადმი, განავ-
რცო: თქვენს ლექსებზე გავიზარდე და ახლა რო-
ცა ხელმეორედ ვკითხულობ, ნებისმიერ ნიმუშს
წარმოვისახავ თითქოს დრამატული ნაწარმოე-
ბია, რომლის კვალობაზეც მშვენიერი ფილმიც
შეიძლება იქნას გადაღებულიო.

დეპარტამენტის სახელით, უშუალოდ საიდა-
ნაც დაფინანსდა „რჩეული“, პოეტს შემოქმედე-
ბითი წარმატება უსურვა და მეტრეველმა.

გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელ-
მა თამარ ლებანიძემ თავის გამოსვლას პრაგმა-
ტული და რომანტიკული ტონი შეუფარდა. ისაუბრა გამაფრთხილებლად იმაზე,
რომ გამომცემლობებს დღეს ძალიან გაუჭირდა და თუკი იქნება პროექტები თანა-
დაფინანსებით, ახალი წიგნების გამოცემის საქმეც აღარ დაბრკოლდებაო. მერე კი
პირველი ორატორი ქალბატონის დარად დაადასტურა: როგორც მკითხველი, ლია
სტურუას ბავშვობისას გადავეყარეო. აღიარა, საბჭოთა ბიბლიოთეკიდან ერთხელ
როგორ მოიპარა პოეტის ლექსთა კრებული „მზე დედა ჩემი“, გამომცემული „მე-
რანის“ მიერ 1968 წელს. და უჩვენა რა დარბაზს, როგორც ფაქტი, ეს „მშვენიერი
ნადავლი“ და ლამის 50 წლის წინათ დაბეჭდილი სიფრიფანა კრებული, თავიც
იმართლა: ასეთი დანაშაული მხოლოდ თითო-ოროლა თუ ჩამიდენიაო.

სამახსოვრო გახლდათ გამოსვლები მანანა კვაჭანტირაძისა და მანა ჯალიაშ-
ვილის. ორმა უდალოდ ანგარიშგასაწევმა ლიტერატურის კრიტიკოსმა შთამბეჭდა-
ვად წარმოაჩინა ლია სტურუას, როგორც ხელოვანის პორტრეტი. ერთმა თუ მეტად
ზუსტი, რეალიზმით გაჯერებული ფრაზებით გამოხატა თავისი შეხედულება, მეო-
რემ რომანტიზმითა და ალუზიების ჰაეროვნებით შეიმკო სიტყვა: რომ ლია სტუ-
რუა, კაშკაშა მეტაფორების შემქმნელი, ბესიკ ხარანაულთან ერთად, არის ვერ-
ლიბრის კლასიკოსი, ავტორი — ბრწყინვალე სონეტებისა; ფაქიზად და ღრმად
გრძნობს პოეტურ სიტყვას და მისი ლექსები ძალიან უყვარს ახალგაზრდობას...


აღინიშნა ისიც, რომ ლია სტურუა უაღრესად მშრომელი პოეტია; განუწყვეტლივ
ეძიებს სიახლეს, იბრძვის გაბედულად და მამაცად, რათა გავლენა შეინარჩუნოს თავ-
ის სივრცეში. შოთა იათაშვილის მიერ თავის დროზე გამოსატული ეპითეტი ლია
სტურუა — „საკულტო“ პოეტი ზედმინევენით გამართლებულად იქნა მიჩნეული.

ჯანსუღ ჩარკვიანმა ლაკონიურ სიტყვაში დააფასა რა წვლილი როგორც შე-
მოქმედისა, დასძინა, ლია სტურუამ მთელი თავისი ცხოვრება სიყვარულით
იარაო. მერე კი დარბაზს, ჩვეულებისამებრ, ხალისიც მოჰფინა სხარტულა ექსპ-
რომტებით. რასაკვირველია, ჯერ „რჩეულის“ ავტორს ხმამაღლა შეაგება და
ფურცელზე გადანერილიც უსახსოვრა. აღარც მომდევნო გამომსვლელი, არქი-
ტექტორი ვახტანგ დავითაია დატოვა გულნაკლული...

მოგონებები დაულო საფანელად თავის ემოციურ გამოსვლას ვახტანგ დავითაი-
ამ. ასეთ დროს ახალგაზრდული წლების გახსენება სეგდის მომგვრელიცაა და ამაღ-
ლებულ განცდათა დამჩენელიც; ყურისდასაგდებად, რასაკვირველია საინტერესოც.
და რაც დარჩა საამბობლად: დროდადრო პოეტი კითხულობდა საკუთარ ლექ-
სებს. თანაც ისე, რომ ვერავინ წაიკითხავდა უკეთესად.

ლია სტურუამ შთამბეჭდავად ახსნა ისიც, რომ წიგნი საკმარისია პოეტის
პორტრეტის შესაცნობად. და რომ განსაკუთრებით ძნელია ავტორისათვის რჩე-
ულის შედგენა: ლექსების გამეტება გადასაგდებად, თუნდაც ამორჩევა წიგნში
დასაბინავებლად.

წესისამებრ, მადლიერება გამოხატა კულტურის სამინისტროსა და გამომცემ-
ლობა „დიოგენეს“ სარედაქციო გუნდისადმი. განსაკუთრებით აღნიშნა ანა ჭა-
ბაშვილისა და ბესო დანელიას გულისხმიერება, რათა „რჩეული“ მართლაც რჩე-
ულად დაბეჭდილიყო.



ბონდო არველაძე

ნარსულის იარათა სალგუნე მოგაპალშია!

მართალია დაგვიანებით, მაგრამ დაიწყო დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა. მის მეცნიერულ მემკვიდრეობას მიუძღვნეს გამოკვლევები: ანდრე კარბელაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, სოფიო ანდულაძე, ლუარსაბ ტოგონიძე, ბონდო არველაძე... სასიამოვნოა, რომ ინტერესი არ ნელდება და წელს გამოვიდა პოლიევქტოს კარბელაშვილის ისტორიული ნაშრომი — „ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში“ (1902). ხელახლა გამოსცა — გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვაჟა ოთარაშვილმა. აქვე გვსურს აღვნიშნოთ — ვაჟა ოთარაშვილი დღემდე იყო ცნობილი, როგორც პოეტი, ამჟამად კი მოგვევლინა გამომცემელ-ტექსტოლოგის ამპლუაში და — ახლავ ვეტიყვი — წარმატებითაც. მან მარტო აღნიშნული ნაშრომი კი არ მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას, არამედ მასთან რაიმე კუთხით დაკავშირებულ ყველა პუბლიკაციას მოუყარა თავი და კრებულის სახით გამოსცა. ამით უფრო უკეთ წარმოაჩინა მამა პოლიევქტოსის მოღვაწეობის ადგილი და მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში. სიყვარულით და რუდუნებით მოუძიებია კარბელაშვილის ნაშრომადგენელთა მოღვაწეობის ცნობილი თუ უცნობი ფაქტები.



შეიძლება არის, მაგრამ არ მასხენდება ქართული ოჯახის ხუთი წარმომადგენელი წმინდანად იყოს შერაცხული. 2011 წლის 20 დეკემბერს წმინდა სინოდმა ერისა და ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისთვის ძმები კარბელაშვილები (ხუთივე ძმა) წმინდანთა დასში შერაცხა — ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილი) ბოდბელი (1858-1936), დეკანოზი პოლიევქტოსი (1855-1936), მღვდელი ფილიმონი (1836-1879); მათ ეწოდათ წმინდა აღმსარებელნი. ხოლო დეკანოზი ანდრეას (1851-1924) და მღვდელ პეტრეს (1860-1924) ეწოდათ მღვდელმონაზონი. მათი ხსენება დაწესდა 6 სექტემბერს — დეკანოზ ანდრეასა და მღვდელ პეტრეს სოფელ ქვემო ჭალის მახლობლად ტირიფონას ველზე დახვრეტის დღეს (1924). ამ ადგილას აღმართულია ჯვარი და ყოველ წელს აღინიშნება ეს ტრაგიკული დღე.

ახლა მივყვით გამომცემელ-ტექსტოლოგის კვლევას. ირკვევა, კარბელაშვილები ადრე ხმალაძეები ყოფილან. მათი წინაპარი სოფელ კარბიდან (გორის რაიონი) წამოსულა, ჯერ კასპის რაიონის სოფელ საკონითროში (ახლა რუს ოკუპანტთა ჯარი დგას) უცხოვრია, მერე იქვე ახლოს, სოფელ ქვემო ჭალაში დამკვიდრებულა. სოფელ კარბის სახელის მიხედვით გვარად კარბელაშვილი გამხდარა. ეტყობა ამ გვარს სიმღერისა და გალობის ნიჭი მათი დიდი წინაპრის — პეტრესგან — გამოყოლია და მთელი სამი საუკუნე თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მათ შექმნეს გალობის საკუთარი — „კარბელაშვილანთ კილო“. ხუთივე ძმა დიდებულად გალობდა, რაც ნოტებზეც ყოფილა თავის დროზე ჩანერილი.

ბევრმა არ იცის, რომ ილია ჭავჭავაძის — „გლახის ნამბობის“ ერთ-ერთი გმირის, კეთილშობილი მღვდლის პროტოტიპი მღვდელი ფილიმონ კარბელაშვილია. ეს გაარკვია წმინდა ანდრეას მღვდელმონაზონის შთამომავალმა, პროფესორმა ანდრე კარბელაშვილმა.

მოვიდეთ პირველ სიტყვას და მივხედოთ დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილს, რომლის მოღვაწეობას მეცნიერ-ისტორიკოსის ალლოიანობით და პოეტური შემართებით გადმოსცემს ვაჟა ოთარაშვილი. მამა პოლიევქტოსი შუა ქართლის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ქვემო ჭალაში დაბადებულია (1855), გორის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დასრულების შემდეგ სწავლა გაუგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ავადმყოფობის გამო კურსი ვერ დაუსრულა. ერთხანს პედაგოგად უმუშავია გურჯაანში. საეკლესიო მოღვაწეობა დაუწყო 1883

წლის 30 აგვისტოს, როცა დიაკვნად უკურთხებიათ. ამავე წლის 5 სექტემბერს უკვე მღვდელია — თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის კარის ეკლესიის. 1886 წლის 4 მარტიდან გურჯაანის წმინდა ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. სასულიერო სამსახურთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პერიოდიკაში. სისტემატურად აქვეყნებდა წერილებსა და ნარკვევებს სასულიერო და საერო მწერლობის (ცალკეულ საკითხებზე. მისი ფსევდონიმი იყო „პ. ჭალელი“, „პ. ცხვილოელი“, „პ.კ.“, „სამთავისელი“, „უსიტყველი“ და სხვა.

ვაჟა ოთარაშვილს კრებულის საკმაოდ ვრცელ შესავალში მიმოხილული აქვს მამა პოლიევქტოსის საგამომცემლო საქმიანობა. მას გამოუცია ანტონ I-ის „მზამეტყველება“ (1892), „წმინდა მონაზონი ტფილელი“ (1899), „ცხოვრება წმინდა ნინოსი“ (1903) და სხვა. ამ ფუტკარივით მშრომელ სასულიერო მოღვაწეს აღწუსებული აქვს 132 უცნობი ხელნაწერი, აქედან 22 ტყავზეა ნაწერი. მათზე გაკეთებული მინაწერები თავის კომენტარებითა და შენიშვნებით გამოუქვეყნებია „ივერიაში“ (1894, 4). მასვე ეკუთვნის არაერთი ისტორიული საბუთის პუბლიკაცია — „შიმღვიმის გუჯარნი მეფე გიორგი მესამესი — 1770“, „დიდი კურაპალატის გვარი“, „ტბეთის ტაძრის სახარება, ტყავზე ნაწერი 1662“, „ქართული საერთო დროშა“ და სხვა. სსრ ცენტრალურ ისტორიულ არქივისთვის 1925 წელს შეუწირავს სახარება XVII, ჟამნი (XVII), პროკლე დიოდოხოსის, პლატონურის ფილოსოფიის კავშირის ღვთისმეტყველებათა“ (XVII), სძილისპირნი (XVI), დავითნი (XVII) და სხვა.

ჩვენს მიერ 2011 წელს მოკვლეული საარქივო დოკუმენტი მოწმობს, რომ პოლიევქტოს კარბელაშვილს აქტიური მონაწილეობა მიუღია ქვემო ქართლში სომხების მიერ ძველი ქართული ეკლესიების მიტაცების აღსაკვეთ ღონისძიებაში (იხ. პ. კარბელაშვილი — „იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკონი და მღვდელთმთავარი“, შესავალი, გვ. 5-9).

პოლიევქტოს კარბელაშვილი 1898 წლის 14 ივლისს გადმოყავთ ანჩისხატის ღვთისმშობლის ეკლესიაში. მას დადავ მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაო ჩაუტარებია რუს ეგზარხოსთა ბრძანებით დამახინჯებული ანჩისხატის აღსადგენად. კაპიტალურად შეაკეთა და გაარემონტა ეკლესია, კანკელი, განაახლა ხატები და შესწირა საეკლესიო ინვენტარი. ამის შესახებ ვაჟა ოთარაშვილი წერს: „როგორც მამამისმა გრიგოლმა 35 წლის წინათ აღადგინა ტრადიციული ქართული გალობა ანჩისხატის ეკლესიაში, ისე შვილმა ანჩისხატის მღვდელმა პოლიევქტოს კარბელაშვილმა თავის ინიციატივით და რუდუნებით გაახშირა ქართული წირვა-ლოცვა და გალობა ანჩისხატის ბაზილიკაში, რომელიც აკრძალული იყო რუსი ეგზარხოსების მიერ“.

ამგვარი გაბედული ეროვნული საქმიანობა გმირობის ტოლფასი იყო მამის, რადგან აღიქმებოდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად.

მამა პოლიევქტოსმა ანჩისხატის ეკლესიაში მოკალათებული რუსი მონაზვნებიც (სექტანტები) გარეკა და კიდევ სხვა მკაცრი ღონისძიება გაატარა, რათა ქართველთა საკათალიკოსო ტაძარში ეროვნული სულიერება აღმდგარიყო. მისი ეროვნული მოღვაწეობა არ გამოპარვია ჟანდარმერიას, რაზეც მოწმობს არქივში დაცული რუსეთის საიდუმლო დაზვერვის 1901-5 წლების მასალა — „თბილისში მოღვაწე მღვდელი ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილები, რომელთაგანაც პირველი წმინდა მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ ეკლესიაში მსახურობს, ხოლო მეორე ანჩისხატის ეკლესიაში, ცნობილი არიან როგორც აშკარა რუსოფობები და საქართველოში რუსული პოლიტიკის განხორციელების დაუძინებელი მტრები“.

როგორც ჩანს, შესაბამისმა ორგანოებმა მიიღეს ზომები და მამა პოლიევქტოსი ანჩისხატის ეკლესიიდან გააძევეს. მაგრამ მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ეროვნული მრწამსის.

სტეფანე (ვასილი) ბოდბელი

ამ კრებულის გამოცემის მიზანი პოლიექტოს კარბელაშვილის ისტორიული ნაშრომის (როგორც თვითონ უწოდებს) — „ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში“ (1902) ხელმეორედ გამოცემა იყო (პირველად დაიბეჭდა რუსულად 1899 წელს). ხელახალი გამოცემა გამართლებულია, რადგან მას დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და მნიშვნელობა. მამა პოლიექტოსმა მასში მარტო ანჩისხატის თბილისში ჩამოშორების ისტორია კი არ მოუთხრო მკითხველს საზოგადოებას, არამედ დეტალურად გადმოსცა ანჩისხატის ეკლესიის საუკუნეების მანძილზე მტერთაგან იავარყოფა და შემდეგ აღდგენა-განახლების ნაღვლიანი ქრონიკები. მან ერთ-ერთმა პირველმა აღბეჭდა ამ ეკლესიის რეკონსტრუქტორთა ვინაობა. აღწერა არქიტექტურული თვალსაზრისით. დაგვიტოვა ტაძარში შემორჩენილი თუ დაკარგული საეკლესიო საგანძურის ჩამონათვალი, შეადგინა ანჩისხატის ეზოში დაკარგული პიროვნებთა სია, დეტალურად აღწერა ეს ხელთუქმნელი ხატი და გადმოიღო მასზე არსებული წარწერები. მოგვცა საქართველოში ამ ხატის ჩამოსვენების მარშრუტი — ადესა-კონსტანტინეპოლი-ანჩი-ახალციხე-გორი-ქვემო ჭალა-სამთავრისი-მუხრანის-მცხეთის გავლით დედაქალაქი.

თამარ მეფის ბრძანებით ანჩის ხატი ბექა ოპიზარს მალაღი ოსტატობით წარუჭედია, რასაც იუნყება მის არშიაზე გაკეთებული ხუცურია ნაწერია.

აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს დომენტი III-ს (1660-1676) ანჩის ხატი ვაჭრისგან შეუძენია და დაუსვენებია მარიამ ღვთისმშობლის ტაძარში — თბილისში (XVIII). ამის შემდეგ მას ანჩისხატის ტაძარი ეწოდა. მანამდე ზარის ტაძარს ეძახდნენ, რადგან არაბობის დროს მარტო მას ჰქონდა ზარის დარეკვის უფლება.

სად არის სული?..

ჩემი მოძღვრება რა საჭიროა, ეკლესიას ხომ დიდი მრევლი ჰყავს, მაგრამ მინც, ჩემი სიტყვა, ნაღვლიანი და დარდიანი, არც ზედმეტია და არც ურიგო. და, არც კი ვიცი, ვინ იღებს ყურად, თუმცა ნებისმიერი ხმაძალდა თქმული სიტყვით იქმნება ანმყო და მომავალი.

სულიერება ნინათ ჩვენში მეტად საჭირო იყო პიროვნების შესაფასებლად და დასაფასებლად. ახლა კი, ხანდახან მეგონა, ადამიანებს მობეზრდათ ადამიანობა და ასე ერთბაშად, ასე უცებ გადაწყვიტეს ხელი აიღონ ამ „პროფესიაზე“—მეთქი. ეს მცდელობა ცხოვრების გაიოლებისა. მათ ავიწყდებათ, რომ სიცოცხლე მოკლეა, ერთი ნაშა და მივირს, უარი რომ თქვენს დიდი ადამიანურობით, სულიერებითა და კაცთმოყვარეობით მიღებულ და განცდილ სიამოვნებაზე. სულიერება მუდამ საჭიროა გადარჩენისთვის, მაგრამ დღეს იგი მხოლოდ წარსულის წიგნში საკითხავი გამხდარა. ამიტომაც ხშირად მივტირებ წარსულის საუკეთესო ნაწილს. ისლა დავერჩენია, მრავალჯერ გადავიკითხოთ „დათა თუთაშხია“, იქნებ კიდევ მრავალჯერ მოგვეწონოს ეს ღირსებით სავსე ადამიანი.

სად არის სული, ქართველთა სული, სული ნათელი, ლალი და წმინდა, სული — ქართველი? მე ვხედავ მხოლოდ მის ნაპერწკალს, რომ ვერ ინთება, მაგრამ იგივე დიდხანს ვერ გაძლებს, ჩაქრება მალე. უშველეთ რაზე! ეძებთ ყველგან: მთასა თუ ბარში, სოფლად თუ ქალაქად, თითოეულ კაცში, და როცა იპოვნით, შეკარით ერთად, ანათეთ ცეცხლად და გამარჯვებაც ჩვენი იქნება მაშინ. ქართული გენი გაძლიერდება და ქართული სული აყვავილდება. ფურცელზე ნაწერი ცოტაა და ცეცხლად ვერ დაინთება. მითხარით ვინმემ, სად ვიყვირო და სად ვრეკო ზარი?

სულიერება ეს ქვეყნისთვის, სინათლისა და ნეტარების უნივერსალურია. ეს შეგნებული მოთხოვნებია ათ მცნებაზე. სულიერება აყალიბებს საკუთარი თავის ზრდისა და განვითარებისთვის საჭირო მითითებებს და ადამიანთა სულები გადიან გზას სულიერი ცხოვრების დასაწყისიდან მის სრულყოფამდე. მრავალი არ სურს ან არ შეუძლია სრულყოფილებამდე მისვლა, რადგან სხვისი კი არა, საკუთარი თავის მოსმენაც არ ძალუძს ან არ უნდა. უარყოფს, არ უსმენს წარსულს. სწორედ წარსულთან ურთიერთობის განწყვეტის, ფესვებიდან მოგლეჯის, უფესვლად დარჩენის გამოა განათლება, კულტურა და სულიერება ასე ცუდად.

სული მაცოცხლებელი სუნთქვაა, რომელიც ადამიანს ზეციურ, სულიერ სამყაროსთან აკავშირებს. ჰოდა, ზუსტად, სულიც და სულიერებაც ორივე მნიშვნელოვანია და ორივე მათივე სიღრმისეული შეცნობითა და შესწავლითაა მიმზიდველი და საინტერესო. საუბედუროდ, დღეს მავანთაგანს ადამიანის სულის სიღრმისეული შეცნობა კი არა, ზედპირუ-

კრებულის მეორე ნაწილში წარმოდგენილია მამა პოლიექტოსის „პარაკლისი ხელთუქმნელისა ანჩისხატისა, შედგენილი ძველთა ხელნაწერ საგალობელთაგან“ (1902).

ამ განყოფილებაშია შესული ხატისადმი მიძღვნილი თხზულებათა სხვადასხვა რედაქციები: **იოანე ანჩელი** — „გალობანი ანჩისხატისადმი“, „ეპისტოლე ავგაროზ მთავრისაა, რომელი მიუწერია უფალსა ჩუენსა ის ქრისტესა“;

გელათური თარგმანი — ეპისტოლე ავგაროზ მთავრისაა ქალაქისა ედესიას, რომელი მიუწერია უფალსა ღმერთსა ჩუენსა ისუ ქრისტესა და წარსცა ანანიას მიერ მოციქულისა იერუსალიმს“;

ლარგვისული თარგმანი — „ეპისტოლე ავგაროზისა, წაგლინებული უფლისა მიმართ ისუ ქრისტესა“ და სხვა.

ამ თხზულებებს წინ უძღვის ვაჟა ოთარაშვილის კომენტარები და შენიშვნები.

დასასრულ, დეკანოზ პოლიექტოს კარბელაშვილის, „ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში“ მეორე გამოცემა მისასალმებელია, რადგანაც უკვე ბიბლიოგრაფიულ იმეათობას წარმოადგენდა და მკითხველ საზოგადოებას ხელი არ მიუწვდებოდა.

დროული და გასაზიარებელია აგრეთვე ვაჟა ოთარაშვილის მიერ გამოყენებული წინადადება: წმინდანად შერაცხული ხუთი ძმა კარბელაშვილები, რომელნიც სხვადასხვა ადგილას არიან დაკრძალვნი, გადმოსვენებული იქნენ მათ მშობლიურ კუთხეში, კერძოდ, სამთავრისის ტაძრის ეზოში, სადაც შეიძლება მოეწყოს მცირე პანთეონი.

იმედს ვიტოვებ, ამ საპატიო საქმეს დროულად მიხედავს საქართველოს საპატრიარქო და კასპის რაიონის გამგებლობა!

თუ სული ჩაქრა, ერთი გაქრება.

ლად, ზოგადად, პიროვნების ადამიანად აღქმა უჭირს. ბოროტება უფრო ადვილი საკეთებელი გამოდგა, ვიდრე სიკეთე. „ჩემს სიკეთეს ვერავინ ხედავს“, — ხშირად გამიგონია, ამიტომაც, გამორჩენის მოლოდინში, კეთილი სიტყვის თქმაც კი უჭირს. ერთმანეთს მტრობენ, შეურაცხყოფენ, იმეტებენ კიდევ და სულ ავიწყდებათ, რომ ქართველნი არიან და ერთ დროს თვლის ჩინივით უფრთხილდებოდნენ ერთმანეთს. დიდი სიყვარული სუფევდა, გაუტანლობა, შური და კაცთმოძულეობა სარეველასავით არ იყო მოღებული. ზოგი ამას დროს აბრალებს, მაგრამ დრომ თქვა: „მე ვეგავარ, ადამიანები კი გაივილიანო“ ე. ი. ეს ყველაფერი ხალხს მოაქვს და მიაქვს. მოდი და ნადით ღრმა რწმენით, წმინდა სულით და დიდი ადამიანობით. დატოვეთ სახელი — უკეთესი არაფერია. სული არ დაკარგოთ, ნუ განუდგებით მოყვასის სიყვარულსა და ერთგულებას. აქამდე ამიტომაც მოვედით ქართველები — ეს ყველაფერი უხვად გვექონდა. ახლა კი, გვპარავენ, გვტაცებენ, ჩვენ ვხედავთ და მაინც ვიცივით, თავად ვაძლევთ ან ჭრელაჭრულში გამოკრულ, ბრჭყვიალებით მორთულ ემზას ვუცვლით ამ ყველაფერში. ბოლოს და ბოლოს მივხვდებით, რომ უსულოდ ხორცი ვერ იარსებებს, ვერ გაძლებს და დაიღუპება. არ დათმობთ სული, უსულობა, უგულობა... ეს სიამოვნებას არ მოგანიჭებთ.

რას დავმსგავსებთ? არავინ იცის. სახე დაკარგეთ, თავისუფლება და სხვაგვარად გვესმის, თავისუფლება ახლა ის არის, არავინ რომ არაფერი იცის, ჩვენ ვერ ვიყენებთ თავისუფლებას, ჩვენ არც კი ვიცი, რასთან „იჭმევ“ თავისუფლება ეროვნულობისა და სულის დაკარგვას არ ნიშნავს. არც მხოლოდ ღვინოა, არც მხოლოდ სუფრა, ცეკვა-თამაში. თავისუფლება ერთგულებაა გვერდზე მდგომისა და არა დიდკაცობისკენ და სკამისკენ სწრაფვა. ნუ გვიხარია, თუკი ვინმეს ტყუილით ვუგებთ, რა საწყენია, სიცრუე და სიწმინდე იგებს. კატები ყვფენ, ქვემარტობა დათრგუნულია. განათლება ფერწამხდარია. უცოდინრობა დიდ კედლებში ჩაკეტილია, ვერვინ შეაღწევს, სხვა რომ ვერ მიხედვს. თავისუფლება შენიანის სიყვარულია, მერე კი სხვისი.

ვშიშობ, სულის დედაც არ დაგვარგოთ თავსაფრიანი დედაკაცის მსგავსად:

„არასოდეს ჩავარდეს სასონარკვეთილებაში!!! ყოველ გრივალს სიმშვიდე მოსდევს, სიბნელეს-განთიადი და სინათლე, დასავლეთს — აღმოსავლეთი, დაცემას — სინანული, ყოველ ჯვარცმას — აღდგომა, ყოველ პრობლემას — მისი მოგვარება, ყოველ ცრემლს — ღიმილი, ყოველი დაბრკოლების და სირთულის შემდეგ უფალი იესო ქრისტე მოდის!!!“ — ამბობს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ოღონდ იბრძოლე, სულისათვის, ოღონდ იბრძოლე!

ეჟენ დაბი

კაცი და ქალი

გზაზე, რომელიც ზღვის ყურეს მიუყვებოდა, კაცი გამოჩნდა — მაღალი, ხმელ-ხმელი, განიერი მხრებით, მაგრამ ასაკს უკვე თავისი დაეტყო, ოდნავ მოეხარა. კაცს გადახუნებული ჩალის ქუდი ეხურა. მოლურჯო ფერის პერანგის აკეცილი სახელოებიდან დაძარღვული მკლავები მოუჩანდა, მუხლებსა და საჯდომთან ამოკერებული ნაცრისფერი ველვეტის შარვალი ეცვა. მიწისფერი, გაცვეთილი ესპადრილებით ისე მიდიოდა, გეგონებოდა ფეხშიშველად — ნელა და მტკიცე ნაბიჯებით — როგორც სოფლის მცხოვრებთ სჩვევიათ. ერთ ხელში დოქი ეჭირა, მეორეში — ჩალის დანწული კალათა, უკან კი ძალი მოცუნცულედა.

ლორლით ცუდად მოკირნულულ გზაზე კაცი თავგაქინდრული მიდიოდა, ზღვის ყურისკენ არ იყურებოდა, სადაც მზის პირველი სხივები ჯერ კიდევ მუქ წყალს ეაღერებოდნენ. გზის გასწვრივ, მინდვრის კიდეზე, მოჩანდა ალაგ-ალაგ დახვეებული თანაბარი ქვის გროვები, რომლებსაც კაცი დროდადრო თვალს შეავლებდა ხოლმე.

კაცი ძველ კოშკს მიუახლოვდა. ძალი ახლა წინ გავარდა, დაინკავნკავა, დიდი ქვების გროვასთან გაჩერდა და ნკავნკავი განაგრძო. პატარა ფუმფულა ძალი იყო, ბაცი ყავისფერი ბენვით შემოსილი; საყვირით მორკალული კუდის ბოლო და ყურები ნითელი ჰქონდა; ჩაცვნილი ფერდები, თხელი თათები, ვარდისფერი დრუნჩი და უცნაური მწვანე თვალეტი.

— ჰო, რა ამბავია, რა ნკავნკავი აგიტყდა — მოფერებით გაუჯავრდა აქოშინებული პატრონი.

აქ კარგა ხანს ჩერდებოდნენ ხოლმე, კაცი დიდ რიყის ქვაზე ჯდებოდა, ძალი — მტვერში კოტრიალებდა. ლედვის ხეები ბაღის აქეთ-იქით დაერგოთ, შუაში კი თეთრი ვილა იდგა. გალაგნის კედლის წინ კაცმა დოქი და კალათა დაალაგა, კალათიდან ორი ურო ამოიღო, ერთი დიდი, მეორე უფრო პატარა ზომისა.

— ამ დილით ჩეროში იქნები — დაამშვიდა ძალი.

თვითონ კი მზე არ ანუხებდა. მთელმა მისმა ცხოვრებამ მინდვრად, პაპანაქება სიცხეში ჩაიარა. ჭილის ქუდის ჩრდილში მისი აგურისფერი, დანაოჭებული სახე და ერთი კვირის გაუპარსავი წვერი მოჩანდა. ნათელი თვალეტი, დაჟინებული მზერა, ტუჩები მკრთალი, თხელი და უთქმელი ჰქონდა.

კაცი დამტვრეული ქვების გროვასთან მოთავსდა. გრძელი ფეხები გაშალა, წინ ყორექვა დაიდო; მარცხენა ხელის შუა და საჩვენებელ თითებზე ტყვიის ორი პატარა სათითური წამოიცივა; შემდეგ ქამარი მოიჭირა და მუშაობისთვის მოემზადა. ვიდრე უროს ქვას დაჰკრავდა, გზას გახედა, სადაც თეთრი და მონითალო ქვების გროვები ჩამწკრივებულიყო. მთელი ხუთი თვე ყველანაირ ამინდში გზის მშენებლობაზე მუშაობდა. და მთელი ხუთი თვე ძალი გვერდიდან არ მოშორებია. საიდან გაჩნდა ძალი, კაცმა არ იცოდა; ძალი ციბა იყო, დახეტილობდა, დაიკარგა და კაცმა პორტის გზაზე აიყვანა. აი ასე მოხდა. მთელი დღე თითქმის არავინ გაივლიდა. კაცი ქვებს ამტვრევდა, ძალს ეძინა, შემდეგ გაიქცეოდა, კვლავ მისკენ მობრუნდებოდა და ერთმანეთს მშვიდად და უხმოდ უცქერდნენ.

კაცმა ურო დაჰკრა. ქანქარასავით საათობით იმეორებდა ერთსა და იმავე მოძრაობას. ჩერდებოდა ქვების მოსაქუჩებლად და გროვებდა დასაწყობად, ღორლიდან ქვების განსაცალკევებლად, ხან კი დოქიდან წყლის დასალევად. ყოველი დილა ერთმანეთს ნააგავდა. ტკაც! ტკაც! ტკაც! ურო მოსაწყენად ურტყამდა და ამტვრევდა ქვას. ნატეხები ზოგჯერ სახეში ხვდებოდა. მაგრამ მისი გაძვალტყავებული ხელები ვერც უროს ელეოდნენ და ვერც ქვას. პირი მოეკუმბა, მშვიდს და გულცივს თავისი ქვების ფერი დასდებოდა, ჭილის ქუდი მხრებს ცუდად უფარავდა, მზე ნელ-ნელა წვავდა. ძალი წალასლასდა და გალაგნის კედლის ჩრდილ-

ში მინაზე მიეგდო. კაცმა ღიმილით შეხედა, შემდეგ მუშაობა განაგრძო. თავში გამუდმებით ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა „კიდევ ერთი კუმბეტრი, კიდევ...“ და ეს იყო მისი ცხოვრებაც და ძალისაც. ამისთვის კი უროს მოქნევა იყო საჭირო! ხანგრძლივად და გულისყურით მუშაობა, დღიური სარჩოს მოსაპოვებლად თავისთვის და ძალისთვის!



კაცი მუშაობდა, როცა ხმაური მოესმა, თავი ასწია, დახურული ავტომანქანა მოახლოებულიყო. მანქანამ წინ ჩაუარა აყევებულ ძალს, მტვერი შეაყარა და ლურჯ გალავანთან შეჩერდა. მანქანიდან გადმოვიდნენ ფლანელის ნაცრისფერ კოსტიუმში ჩაცმული მოკლე და სქელი ბატონი, თეთრ სამოსში გამოწყობილი იმპოზანტური ქალბატონი, გოგონა და ახალგაზრდა შინამოსამსახურე, რომელსაც რამდენიმე შეკვრა ეჭირა ხელში. კაცმა კვლავ თავის უროს მოჰკიდა ხელი; ძალმა დაიყეფა, კაცმა თავი ასწია და მის წინ მდგომი გოგონა დაინახა.

— ნამსხვრევებს მოერიდე, — უთხრა კაცმა.

გოგონას მშვენიერი ნათელი სახე და ნაზი კანი ჰქონდა, ძალიან უხდებოდა ვარდისფერი კაბა, რვა წლისა თუ იქნებოდა. ძალი მიუახლოვდა და დაყნოსა; გოგონამ ხელი გაუწოდა.

— უუანა! — გაისმა მკაცრი ხმა.

და გოგონა ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა.

ყოველ დილას კაცი ჩვეულებრივ იწყებდა მუშაობას. ხშირად გახედავდა ვილას, რომლის ლურჯი დარბები ღია იყო; ბავშვის სიცოლი ყურადღებას უფანტავდა; შემდეგ ავტომობილი კვლავ გაჩერდა, მოსამსახურე ქალმა და მსუქანმა ბატონმა ჩემოდნები გადმოალაგეს. კაცი ცალი თვალით გახედავდა ხოლმე, ისე, რომ თავის ქვის გროვას არ სცილდებოდა; მაგრამ ძალი წრიალებდა და ერთ დღესაც ბაღის ღობეს თამამად გადაეკვლო. მზე ზენიტში დადგა, კაცმა ურო დადო, კალათა და დოქი აიღო და ყორე ქვაზე ჩამოჯდა. ძალმა უკან მოიბრინა და უკანა ფეხებზე დასკუბდა.

— რაო, შენც მოგმივდა, პატარავ?

ძალს არ უყვარდა პომიდორი, რომელსაც კაცი გემრიელად მიირთმევდა. ძალი მოუთმენლად ელოდა, თან კუდს აქიცინებდა, კაცმა ავანსად პურის რამდენიმე ნატეხი გადაუგდო, რომელიც ძალმა ყბების სწრაფი მოძრაობით გააქრო. კაცს ერთ ხელში პომიდორი, მეორეში კი უროს ნატეხი ეჭირა, ნელა იღეჭებოდა, მისი ყელის ნაოჭები ტუჩებთან ერთად მოძრაობდნენ. ძალი წამოიწია, კალათა დასუნა, ზედ თათი დადო. დღევანდელი დღე, ისევე, როგორც წინა დღეები ერთმანეთს ჰგავდა. კაცმა ქალაღიდან საქონლის ხორცისგან დამზადებული სოფლური სოსისი ამოიღო, ცხიმოვანი, სანელებლით შეზავებული, თვითონაც გემრიელად შეექცეოდა ხოლმე და ძალიც. ძალმა დაინკმუტუნა. ხარბად გადაყლაპა ნატეხი; ორ-სამჯერ კვლავ დაალო პირი, თავისი ულუფა ათვისებული ჰქონდა.

— ვიცი, რა გინდა მითხრა — ჩაიბუტბუტა კაცმა.

ძალი შარვალზე გაეხახუნა, ეს მისი კარგად გამოცდილი ფანდი იყო! ენა გამოყო, პირიდან ნერწყვი წამოუვიდა; ყურები ცქვიტა, რომლის სიღრმიდან დაკულულებული ბალანი უჩანდა. კაცი უარს ეუბნებოდა, უფრო გართობის, ვიდრე სიძუნწის გამო. ბოლოს უთხრა:

— აბა, დაიჭირე!

ძალმა სოსისის ნატეხი გადაყლაპა და კაცს დანაოჭებულ სახეზე ღიმილი მოეფინა. „ყველაფერი სამართლიანადაა, გაიფიქრა კაცმა. მე ხომ პომიდორი და ხილი მაქვს“, რომელიც გზის

პირას შეხმობადანწყებული ლელვის ხიდან დაეკრიფა. ისინი ყველა და პურს შეექცეოდნენ. კაცმა დოქი აიღო და ერთბაშად გადაჰკრა; შემდეგ წყლით აავსო თუთიის ძველი ჭურჭელი, რომელიც ძალმა ხარბად ამოსვლიდა. ძალისთვის სადილი დამთავრებული იყო. იგი კაცს მიუახლოვდა, რომელიც საღებავს ბაქოს ლეჭავდა და თბილი დრუნჩი ფეხზე ნაზად დაადო. კაცი ძალს მოეფერა, მან კი თვალები მოჭუტა. ამ განცხრომაში იყვნენ, როცა უეცრად ზარის მკვეთრი ხმა შემოესმა. ზართან ერთად ხმამალალი შეძახილებიც ისმოდა. კაცმა ვილას გაჰხედა და გაიფიქრა, რომ მეზობლები საუზმისთვის ემზადებოდნენ. ძალის დიდი ცნობისმოყვარეობით ბალის ღობეს მიუახლოვდა.

— ნამოდი, — ჩაიბუზღუნა კაცმა, — ჩვენ არ გვეხება...

ძალის არ განძრეულა. კაცმა თავისი იარაღები მოკრიფა, მხოლოდ თვითონ მუშაობდა, რადგან ამ „ამხანაგობაში“ ადამიანი მხოლოდ ის იყო. ურო ძირს დაუშვა. ორი საათისთვის დღის პაპანაქებაში მხრები და მკლავები ტყვიასავით დამძიმებოდა. ყელი ეწვოდა. დოქიდან სვენებ-სვენებით ხარბად სვამდა წყალს, რომელსაც სიგრილე შემორჩენოდა; ეს შესანიშნავი ნუთები იყო, როდესაც სიგრილე გულმკერდს ესაღებუნებოდა! შემდეგ მზე გადაინვერა, კაცის ჩრდილი რიყეზე დაგრძელდა, გამჭვირვალე და ლურჯი ფერი მიეცა. ძალის, რომელიც კედელთან განოლილიყო და ეძინა, წამოდგა, ტანი შეიფერთხა და კაცისკენ მიცუნცულდა.

— შენი პური გინდა? — ჰკითხა კაცმა.

კაცი ცოტას ლაპარაკობდა, რადგან ძალის სიტყვები არ სჭირდებოდა, თავის ულუფას ელოდა. კაცმა შუადღის ჭამის შემდეგ დარჩენილი პურის მეოთხედი შუაზე გატეხა და ძალს მისცა. თვითონაც ჭამა დაიწყო. კაცმა ჩვეულებრივზე უფრო ნელა, ძალმა კი ხარბად, შემდეგ ნითელი ენა გადმოაგდო. კაცმა დოქი შეანჯღრია და თუთიის ჭურჭელში წყალს ჩაუსხა.

გზაზე პირველი მოსეირნეები გამოჩნდნენ, კაცი მათ ჩრდილებს ხედავდა რიყეზე. არავინ ჩერდებოდა და ეს მეტად ბუნებრივი იყო, რადგან კაცს იქ უხსოვარი დროიდან ხედავდნენ და უცნაურიც იქნებოდა, რომ ქვის მტეხავის წინ ვინმე ორჯერ შეჩერებულიყო. ძალის მეტ ყურადღებას ითხოვდა. მას მოზნერებული ჰქონდა თავისი მეგობრის ჟესტიკულაცია, მისი ცქერა, დიდი ქვის წინ თავდახრილის გამუდმებული კაკუნის, ხმაური. უცებ დაიყვავა, უკანა ფეხებზე აღიმართა და კაცს შეახტა, უნდოდა, მის მეგობარს ცოტა ხნით მაინც შეეწყვიტა რახარუხი და მასთან ეთამაშა.

იმ საღამოს კაცს ძალის შეტევების გამკლავება აღარ დასჭირვებია. რამდენჯერმე მუშაობაც შეწყვიტა, თითქოს რაღაცამ შეანუხა, ბოლოს თავი ასწია: ძალის ველარ დაინახა. დიდი დრო იყო გასული? არ იცოდა. ისინი ხომ ერთმანეთს არ უთვალთვალდებდნენ, თავიანთი საქმეები ჰქონდათ. მაგრამ ახლა ძალის მომხმარებელად იქცეოდა. კაცს შუბლზე ღრმა ნაოჭი გამოეხაზა. კაცს არ დაუძახია, არც დაუსტვენია, მათ ასეთი ჩვევა არ ჰქონიათ. უეცრად ორი ჩრდილი შენიშნა, რომლებიც რიყეზე სწრაფად მოძრაობდნენ: ერთი ძალის, მეორე კი, როგორც გაარკვია, პატარა ფეხების, კაცმა თავი ასწია და ის გოგონა შენიშნა, დილით რომ დაინახა.

— ა, შენც მოხვედი, ძალლო, — თქვა მან. მისი ხმის მშრალი ტონი სინაზემ შეცვალა.

ძალმა თავის ამხანაგს შეხედა. შემდეგ გოგონას, რომელსაც ხელში კარაქნასმული პური ეჭირა და ლოყები დათხვროდა. ძალმა ენა გადმოაგდო, მძიმედ სუნთქავდა, გვერდები

აუდ-ჩამოუდიოდა. გოგონა მხოლოდ კაცს უცქერდა. ძალმა დაიყვავა, თავის ამხანაგს მიეახლა, თამაში მოინდომა, ძირს გაგორდა და ხელი შეუშალა მუშაობის გაგრძელებაში.

გოგონამ გაიცინა.

— ეს თქვენი ძალისა?.. რა ჰქვია?

კაცი მხოლოდ საღამოობით ლაპარაკობდა, როცა დასახლებებში ბრუნდებოდა და თავისი ასაკის ხალხს ხვდებოდა.

— რას ეძახით? — გაიმეორა გოგონამ და კაცს უფრო მიუახლოვდა.

— ძალს ვეძახი.

— ჩვენი ბალიდან გამოსვლა არ უნდოდა!

კაცმა გახედა და გოგონას შეხედა. ღმერთო, ნუთუ შეიძლებოდა, რომ თვითონაც, ორმოცდაათი და მეტი წლის წინათ ასეთი ქერთიანი და ასეთი ფითქინა ყოფილიყო!

— ცუგო! აბა, ნავედით...

მოუთმენლად დაიძახა გოგონამ და ძალს ხელი გაუწოდა, იგი შეახტა. გოგონამ კვლავ ასწია ხელი.

— კიდევ ერთხელ!

რამდენიმე შეხტომის შემდეგ გოგონამ ძალს ჯილდო გადასცა: კარაქიანი პურის მობრდილი ნატეხი. გოგონა გაიქცა, ძალის უკან მიჰყვა. კაცი მათ შესცქეროდა; სახეზე ისეთი ნაოჭები გამოესახა (ეს მისი ღიმილი იყო), შეიძლებოდა ბავშვი შეეშინებინა კიდევ. უროს ხელი გაუშვა. წამოდგა. ალიონიდან დაისამდე მხოლოდ ცოტა ხანს თუ წამოდგებოდა ფეხზე, რადგან მისი ხელობის კაცს — ქვის მტეხავს — მინაზე უწევდა ჯდომა. იგრძნო, რომ ფეხები ეკეცებოდა. ძალის მის წინ მიდიოდა ხტუნვა-ხტუნვით, შემდეგ გოგონა მისდევდა, კაცმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მათ დაწვევაზე არც უფიქრია, უცებ მკვეთრად შეჩერდა; ბალიდან ქალბატონი გამოვიდა და დაიძახა:

— შუანა, ახლავე დაბრუნდი.

ძალის ნელა მობრუნდა. ქალმა მას მხერა გამოაყოლა, შემდეგ კი კაცმა თავის თავზე იგრძნო ეს მძიმე გამოხედვა.

— მოდი, მოდი, — დაუძახა კაცმა ძალს.

ჯაჯლანა რომ ყოფილიყო, დაუმატებდა: „მორჩი მაიმუნობას? განა ვილის მცხოვრებლებთან თამაშობენ“. მაგრამ კაცს კარგი ხასიათი ჰქონდა; უკვე აბარგების დრო დამდგარიყო.

მეორე დილით, როცა კაცი თავის სამუშაო ადგილას მივიდა, გაცეხულმა ჩაიბუზღუნა: გუშინდელი დამტვრეული გროვა უფრო პატარა მოეჩვენა, ვიდრე წინა დღეების! ჯანდაბა! გუშინ ბუზები გვიყლაპია.

— სულ შენი ბრალია, მეგობარო, — უთხრა ძალს.

ვილას გახედა, რომლის დარაბებიც ჯერ კიდევ დაკეტილი იყო, დაჯდა და პირდაპირ მუშაობას შეუდგა, ძალმა ამასობაში მოხერხებულად დაიკავა ადგილი მის გვერდით. კაცმა დაკარგული დრო აინაზღაურა და მხოლოდ სამუშაო ადგილის მოსასუფთავებლად თუ წამოდგებოდა. ძალის ნაკლებად მუყაითი იყო, ტრიალებდა, დაცუნცულვდა, ყველაფერს ყნოსავდა, ბალის შესასვლელთან მიბრბოდა, ნებოდა, კრუსუნებდა და კვლავ თავის ამხანაგთან ბრუნდებოდა. ცხრა საათისთვის დარაბების გაღების ხმა მოესმათ; შემდეგ — მხიარული ხმები. ძალმა კვლავ შესასვლელთან დაიკავა ადგილი და მორიდებით ნაიყვავა. კაცი კვლავ აგრძელებდა მუშაობას, მაგრამ მისი ფიქრები უკვე მთლიანად სამუშაოთი აღარ იყო მოცული; მის ყოველთვის მშვიდ და თავისუფალ გონებაში უცნაური აზრი



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

მნიშვნელოვანია. ერთ ნუთს ცნობისმოყვარეობამ დაუძღვევლი სურვილი გაუჩინა, ძალისთვის მიებადა. მაგრამ ის ადამიანი იყო, რომელმაც იცოდა, რომ მეზობლებისთვის არ უნდა ეცქირა, განსაკუთრებით მდიდარი მეზობლებისთვის. სმენა დაძაბა: გოგონას ხმა გამოირჩეოდა, რომელიც ქალის ხმას და ძალის ყეფასაც ფარავდა. „შენ კი შეგიძლია თავს უფლება მისცე“ — კაცს კარგად ესმოდა თავისი ამხანაგის! და ბოლობოლო...

კაცი და ძალის ერთად საუზმობდნენ. როცა დაამთავრეს, ძალის მიუახლოვდა და დრუნჩი ფეხზე დაადო. დილის ქარი ჩამდგარიყო. ჰაერი ხურდა. ყურეს მეორე ნაპირას, შუქურას უკან სინათლის შუქი ირეკლებოდა. ძალს ეძინა, ძილში კრუსუნებდა, ზოგჯერ უკანა თათი აუცახცახებოდა. კაცი, რომელსაც მომწვანო ქუდი სახეს უფარავდა, წინ იყურებოდა გამოცარიელებული თვლებით, უაზროდ, ელოდა, რომ პური, თევზი და ყველი ძალ-ღონეს მისცემდა. როცა ძალა იგრძნო, კვლავ თავის უროს მოჰკიდა ხელი.

მზეზე ჩრდილები კიდევ უფრო დაგრძელდნენ. შუქურას მოლურჯო ფერი დაედო; ზღვიდან სიომ დაჰბერა. გოგონა სიცილ-კისკისით კაცს მიუახლოვდა. მას ძალის მოჰყვებოდა, გოგონა კარაქიანი პურის ნატეხებს ესროდა, რომლებსაც ძალის, კარგად განვრთნილივით, ჰაერში იჭერდა, კაცმა გაკვირვებულმა შენიშნა, რომ დღემდე თურმე კარგად არ იცნობდა თავის ამხანაგს. გოგონა ჩამიციტა. კაცმა დაინახა, რომ ბავშვის ნაზი ხელები ქვეს სინჯავდნენ და შეემინდა, რამე არ დაშავებოდა. მაგრამ არა, გოგონა მხოლოდ თამაშობდა; ძალის თვალში შესცქეროდა და პატივისცემას უდასტურებდა. გოგონა უცებ წამოდგა, ხელი აიქნია და ძალის ქვას გაედევნა — ორჯერ, ათჯერ, ოცჯერ, სულ თავიდან იწყებდნენ თამაშს. კაცი ჩუმად იყო, მის ნამუშევარს არაფერი აკლდებოდა. მშვენიერია, რაც მისთვის სამუშაო გახლდათ, ძალისა და გოგონასთვის — მხოლოდ გასართობი!

შემდეგ გოგონა მოაჯირის მიუახლოვდა, რომელიც ყურეს ემიჯნებოდა და წყალში ქვა ისროდა. ძალის გაიქცა, დაჰყეფა, მაგრამ წყალში არ შესულა, მობრუნდა გოგონას ფეხებთან და კუდის ქიციანი დაიწყო, თავისი სიმბდალე რომ დაეფარა. კაცმა ჩაიციხა. „გიცნობ, წყალი არ გიყვარს“ — გაიფიქრა მან; თვითონაც რომ ძალისთვის იყო? აღარც ახსოვდა, ბოლოს როდის შევიდა ზღვაში.

სამი დღის შემდეგ კაცი ახალ ადგილას მოთავსდა; ახლა თავის მოუტრიალებლად შეეძლო დაენახა ძალის, რომელსაც ბალის შესავლელთან დაეკავებინა ადგილი და განძრევას არ აპირებდა, ვიდრე შიგ არ შეუშვებდნენ. ის დიდხანს ქრებოდა ხოლმე და წინა დღეს კაცთან საჭმელადაც არ მოსულა. დღეს კი რაღაც მიიმედა, მოთენთილად გამოიყურებოდა, შეთავაზებულ პურზე უარი თქვა და კედლის წინ განვა.

— შენ რაო, ავად ხარ? — ჩაიბუტბუტა კაცმა.

დილით დაინახა, რომ ძალის ბალის შესასვლელთან დახტოდა, გოგონასკენ მიიჩქაროდა, მისი წკაწკავე ნათლად ისმოდა, არა, ძალის ავად არ იყო. ვილას მცხოვრებლებმა რამე ცუდი ხომ არ მისცეს? ძალის ახსნა-განმარტებას არ აპირებდა, მას ეძინა. კეთილი და პატიოსანი, მოგვიანებით ყველაფერს გაიგებდა.

სალამო რომ მოახლოვდა, კაცს გოგონას ხმა მოესმა „ცუგო! ცუგო!“ და დაინახა თავისი ძალის, რომელმაც უეცრად გაიღვიძა, გოგონასკენ ხტუნვით გაემართა, მინაზე გაგორდა, კუდი გააქიციხა, ბავშვს ახტებოდა, მოფერების ნებას აძლევდა, წკაწკავებდა, მოთმინებით ელოდა კარაქიანი პურის ნატეხს, მოკლედ, კაცი თავის ძალს ამნაირს არ იცნობდა და უზაროდა, ასეთ მკვირცხლს და სიცოცხლით სავსეს რომ ხედავდა. დამშვიდებულმა სამუშაო გააგრძელა. ურტყამდა, ურტყამდა, ქუდის ქვეშ თავი დახრილი ჰქონდა, როცა ქვის გროვის წინ შეამჩნია სქელი მრგვალი ფეხები ძვირფას ფეხსაცმელებში... მაღალ-ქუსლიან ფეხსაცმელებში, ქალაქელი ქალბატონები რომ ატარებენ. ფეხებზე თეთრი, გამჭვირვალე ქსოვილი უფრიალებდა.

— ეი, თქვენი!

კაცმა თვალები დახარა და ბრახუნი გააგრძელა. ხმა კი იცნო.

— რაო, ყრუ ხართ?

კაცმა ბრახუნი შეწყვიტა, თავი ასწია, ქუდი ზრდილობიანად მოიხადა და ხელი ყურთან მიიღო.

— ეს თქვენი ძალისა?

კაცმა თვალები მოჭყუტა. მისი მზერა ნელ-ნელა თეთრ კაბას მისწვდა, შემდეგ ფართო და შთაბეჭედაც მკერდზე შეჩერდა.

— ნამდვილად ყრუ ხართ! — დაიყვირა ქალმა. — გეკითხებით, თქვენია ეს ძალის? ის ჩემს გოგონას უნდა...

კაცმა წინ გაიხედა, ძალის და გოგონა შენიშნა, რომლებიც კენჭებით თამაშობდნენ. გოგონა ეუბნებოდა: „ცუგო ჩემთან! ცუგო დაიჭირე! ცუგო დაწე!“ ან „შაქარს მიიღებ!“ ან „შაქარს ვერ მიიღებ!“ ძალის კი ემორჩილებოდა, ეს კარგად გამოსდიოდა.

— ეი, ჩემი ძალისა — წარმოთქვა კაცმა — თუმცა შეიძლება ასე არც ითქვას, ერთ დღეს მოვიდა, არ ვიცი, საიდან. ვართ ის ასე, ერთად. უკვე თითქმის ნახევარი წელია.

— ჰო, თქვენი ყოფილა. ჩემი გოგონა კარგად ერთობა თქვენს... და ამ ზაფხულს ვილის დამცველი არა გვყავს.

— ო, ის ხომ პატარაა — ჩაიბუტბუტა კაცმა — მაგრამ გასართობად გამოდგება!

— რამდენი გინდათ, რომ გადაგიხადოთ?

ამჯერად კაცმა თავი ასწია და ქალის სახე დაინახა — სწორი, კეთილმოზილი, სქელ და მრგვალ კისერზე წამომჯდარი, სადაც ყელსაბაზი რამდენჯერმე ჰქონდა დახვეული.

— ვყიდულობ მას. იმედია არ გეშინიათ, რომ ვინმე თქვენს ქვეს მოიპარავს? თქვენთვის მშვენიერი გამოსავალი იქნება — ძალის კვება სჭირდება. რამდენი გინდათ, რომ გადაგიხადოთ?

კაცმა თავი დახარა. მარჯვენა ხელით უროს დაეყრდნო, ხელი მთელი დღის დაძაბვისგან კიდევ უკანკალებდა. ძალის გოგონას ეთამაშებოდა და ვერ ხვდებოდა, რომ ამ დროს სწორედ მასზე ლაპარაკობდნენ, ვერ ხვდებოდა, რომ მის გამო წვალობდნენ, იქნებ არც იყო ასე? ძალის უდარდელი და თავისუფალი გახლდათ; ის მოსწონდათ, მასთან ერთობოდნენ — კაცმა ეს ყველაფერი ვერ შეამჩნია. ძალის პატარა იყო, უყვარდა მხიარულება, გამოდევნება, ბავშვებთან თამაში... და ხორცი უყვარდა, ეს იყო მისი სისუსტე. გამყიდველს ხორცის დახლის წინ ელაქუცებოდა ხოლმე. ამაში მჟღავნებოდა კაცის უპირატესობა თავისი ამხანაგის მიმართ, ის არავის, არაფერს, არასდროს არ სთხოვდა. და კიდევ, ძალის დახმარებას არ აყვედრიდა. აი ასე, ძალის ძალისა, ადამიანი კი ადამიანი, თუნდაც ქვისმტეხი.

— ქალბატონო, რადგან თქვენს გოგონას ასე სიამოვნებს, თქვენ მოუარეთ ძალის. აკი გითხარით, ის არავისია.

— თქვენ ექვსი თვე აჭმევდით. გამომართეთ...

კაცმა ქალის გამოწვდილ ხელს შეხედა, როცა მუჭა გახსნა, იქიდან დიდი მონეტა გამობრწყინდა. კაცი უკან გადაინია.

— არა, არა, მე ძალიან მსიამოვნებდა მისი გამოკვება — ჩაილულულა მან — და კმაყოფილი, ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ თქვენი პატარა...

ქალმა სიტყვა გაანწყვეტინა:

— საკმარისია. მას სექტემბრის ბოლოს წაიყვანთ უკან, როცა ჩვენ ვილას დავეკეტავთ და ქალაქში დავბრუნდებით.

კაცმა დაინახა, რომ ფეხები ამოდრავდნენ, მობრუნდნენ და დამორდნენ. პირი გაალო, წინ დიდი სივრცე გამოჩნდა, თავის აწევას ვერ ბედავდა. ძალის წკაწკავე და გოგონას ძახილი შემოესმა. მიუხედავად ყველაფრისა, აღარ უნდოდა, მათი მხიარულების მოწმე ყოფილიყო, და ურო უფრო ძლიერად მოიქნია, ვიდრე ქვის გასატეხად იყო საჭირო. შემდეგ მოესმა: „ცუგო, უნდა დავბრუნდეთ“, და მერე მსუქანი ქალის ხმა, რომელიც არანაირად არ უყვარდა: „ჟუანა, ახლავე დაბრუნდი და შენი ძალის წამოიყვანე“. და მხოლოდ მაშინ ცარიელ გზას მიამტერდა, შემდეგ კი ბალის შესასვლელს, რომელიც დაიკეტა.

კაცი მიიმედა წამოდგა, იარაღები ნელ-ნელა მოკრიფა, აილო დოქი, სადაც წყალი იყო დარჩენილი, ძალის წილი. თავის დამტვრეული ქვის გროვისთვის არც დაუხედავს, როგორც სჩვეო-

და, მხოლოდ გაიფიქრა: „სექტემბერში... სად ვიქნები სექტემბერში, რომელ გზაზე? კიდევ მექნება სატენი ქვები სექტემბერში?“ კი მაგრამ, ძალი? ო, მან თავისი არჩევანი გააკეთა; ზაფხულს უეჭველად კარგად გაატარებს, მოახერხებს, რომ მასზე იზრუნონ, ჭკუის კოლოფი! კაცს გაახსენდა მათი შეხვედრა, ძაღლის ემპაკობანი, სუსტი ხმა, ნაზი გამოხედვა, ყველაფერი...

ანდრე მორუა

რენო ლემარის დაბრუნება

ეს რეალური ამბავია. ყველაფერი 1945 წელს, საფრანგეთის ერთ სოფელში მოხდა, რომელსაც შარდები დაფარქვით, თუმცა, ცხადია, ეს ნამდვილი სახელი არ არის. ამბავი იმ მატარებლიდან იწყება, რომელსაც ფრანგი ტყვეები გერმანიიდან ჩამოჰყავს. თორმეტიანი არიან ათადგილიან კუპეში ჩანწებილი, დაქანცულნი და ღონეგამოცლილნი, მაგრამ ბედნიერები და ალგზნებულები, რომ ბოლოს და ბოლოს, ხუთი წლის შემდეგ, კვლავ ნახავენ თავიანთ ქვეყანას, სახლს, ოჯახს.

მგზავრობის დროს ყველას აზრი მაინც თავისი მეუღლეებისკენაა მიმართული. ყველა მათზე სიყვარულით, იმედით, ზოგი კი შეშფოთებით ფიქრობს. როგორ დაგვხვდება იგი — შეცვლილი? ერთგული? ვის ხვდება, რას აკეთებდა ამდენ ხანს მარტო? შეძლებენ ერთობლივი ცხოვრების თავიდან დაწყებას? ბავშვიანები ნაკლებად ღელავენ. მათი ცოლები ყოველთვის ბავშვებით იქნებოდნენ დაკავებული და ამიტომაც უფრო ადვილად გადაიტანდნენ განშორების სიმძნელებს.

კუთხეში მალალი, გამხდარი კაცი ზის, რომელსაც ცოცხალი სახე აქვს, თვალები უბრწყინავს და ცეცხლს აფრქევს, ესპანელს უფრო წააგავს, ვიდრე ფრანგს. მას რენო ლემარი ჰქვია და პერიგორიდან, სოფელ შარდებიდანაა.

ლამდება და მატარებლის პერიოდული სტვენა ბორბლების ხმაურს ფარავს. რენო მეზობელს ეკითხება:

— სატურნენ, ცოლი გყავს?

— რა თქმა უნდა... მართა ომამდე ორი წლით ადრე მოვიყვანე, ორი შვილი მყავს. გინდა სურათი გაჩვენო?

სატურნენი დაბალი, მხიარული კაცია. ნაიარევი სახე აქვს. ჯიბიდან გაცვეთილ და გაქონილ საფულეს იღებს და ამყავს აჩვენებს გახეულ ფოტოს.

— ძალიან ლამაზია — თქვა ლემარმა — შინ რომ ბრუნდები, არ ღელავ?

— სიხარულისგან ჭკუაზე არა ვარ. რატომ უნდა ვღელავდე?

— იმიტომ, რომ შენი ცოლი ლამაზია. იმიტომ, რომ მარტო დარჩა. გარშემო კი მამაკაცებს რა გამოლევს, ხომ იცი, ლამაზ გოგონებს მოსვენებას არავინ მისცემს...

— ნუ მაცინებ! მართასთვის სხვა კაცი არ არსებობს... ერთად ყოველთვის ბედნიერები ვიყავით... და წერილები რომ წავიკითხო, გაგიჟდები, მთელი ხუთი წელი მწერდა...

— ო, ეს წერილები! ეს არაფერს არ ამტკიცებს... მეც ვლებულობდი მშვენიერ წერილებს... და მაინც ვღელავ.

— შენ რა, ცოლში დარწმუნებული არა ხარ?

— როგორ არა, ყოველ შემთხვევაში, ვიყავი, შეიძლება სხვაზე მეტადაც... ექვსი წელია დავქორწინდით და ჩვენს შორის გაუგებრობა არ ყოფილა.

— მაშ რა ჭია შეგიჩნდა?

— ასეთი ხასიათი მაქვს, მეგობარო... ხალხის იმ კატეგორიას ვეკუთვნი, ვისაც ბედნიერებისა არ სჯერა. ყოველთვის

კაცი გზას დაადგა, მარჯვენა ხელში დოქი ეჭირა, მარცხენაში — კალათა; სწრაფად მიუახლოვდა ადგილს სადაც ის და ძალი დამეგობრდნენ... კი, სწორედ აქ, ამ ქვის გროვასთან. კაცმა იქით მალული მზერა გააპარა, მაგრამ შეჩერება ვერ გაბედა. იმ საღამოს კი ფეხებში ისეთი სიმძიმე იგრძნო, სხვა დროს რომ არასდროს უგრძნია.

ვამბობდი, რომ ჩემი ელენი მეტად კარგი, მშვენიერი, გონიერია... ყველაფრის გაკეთება შეუძლია... ნაჭერს ხელს შეახებს და კაბად აქცევს... სოფლის პატარა სახლი ისე მოაწყო, სამოთხეს დაამსგავსა... ახლა ვფიქრობ, რომ ომის დროს ბევრი ლტოლვილი ჩამოვიდა, მათ შორის, ალბათ ჩემზე უკეთესიც, შეიძლება უცხოელებიც — მოკავშირეები. სოფლის ულამაზესი ქალი ყველას თვალს მოსჭრიდა.



— და მერე რა? თუკი უყვარხარ...

— კი, ჩემო მეგობარო, მაგრამ წარმოიდგინე, რომ მარტოა, ხუთი წელი... შარდები ჩემი სოფელია, ელენს აქ ნათესავები არა ჰყავს. ასე რომ, ცდუნება დიდია.

— ნუ მაცინებ! ეს რა აზრები მოგდის მაგ თავში! ბოლოს და ბოლოს, ვთქვით, რაღაც მოხდა! რაღას იზამ, თუ შემდეგ ყველაფერი დაივიწყა და მხოლოდ შენ სჭირდები? მე თუ მართაზე რამეს მეტყვიან, ვუპასუხებ: კრინტს ნუ დაძრავთ! ის ჩემი ცოლია. ვომობდი, ის მარტო იყო, ახლა მშვიდობაა... ყველაფერს თავიდან დავიწყებ.

— არა, მე ასეთი არა ვარ — უპასუხა ლემარმა. — როცა დავბრუნდები, თუ გავიგებ, რომ რაიმე ცუდი მოხდა...

— რას იზამ? მოკლავ? შენ რა, გაგიჟდი?

— არა, არაფერს დავუშავებ. არც ვუსაყვედურებ. მაგრამ გავერები, ნავალ, სხვაგან დავიწყებ ცხოვრებას, სახელს გავიცვლი, დავუტოვებ სახლს, ფულს... საზრუნავი არაფერი გამიხდება, ჩემი ხელობა მაქვს, ცხოვრებას თავიდან დავიწყებ... შეიძლება სისულელეც ვამბობ, მაგრამ ასეთი ვარ — ან ყველაფერი, ან არაფერი...

ორთქლმავალმა დაუსტვინა, მუხრუჭებმა დაიხრჭიალეს, მატარებელი სადგურში ჩამოდგა. ორივე გაჩუმდა.

შარდების მერი სოფლის მასწავლებელი იყო, გაბედული, დარბაისელი და პატიოსანი ადამიანი. ერთ დღეს, როცა შეტყობინება მიიღო, რომ 20 აგვისტოსთვის რენო ლემარი უნდა დაბრუნებულიყო სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების მატარებლით, გადწყვიტა, თვითონვე ეცნობებინა მისი ცოლისთვის. როდესაც მიაკითხა, ელენი ბაღში მუშაობდა. მთელს სოფელში საუკეთესო ბაღში, ჭიშკარი მხვიარა ვარდებით იყო დაფარული.

— მაღამ ლემარ, მშვენივრად ვიცი, რომ თქვენ იმ ქალბატონებს არ მიეკუთვნებით, რომელთაც გაფრთხილება სჭირდებათ ქმრის დაბრუნების გამო, რათა საშიში სიურპრიზი თავიდან აიცილონ. ალბათ არ მინყენთ, თუ გეტყვით რომ თქვენი ქცევით, თავდაჭერილობით აქ ყველა აღტაცებულია... ჭორიკნებმაც კი, რომლებიც, ჩვეულებივ, სხვა ქალებისადმი დიდი საყვარულით არ გამოირჩევიან, თქვენზე ვერაფერი ნახეს სათქმელი.

— რამეს ყოველთვის იპოვიან, ბატონო მერო, — ღიმილით უპასუხა ელენმა.

— მეც ასე ვფიქრობ, ქალბატონო, მაგრამ თქვენ ყველას ფარ-ხმალი დააყრევინეთ. თქვენთან კი იმისთვის მოვედი, რომ თქვენი სიხარული გავიზიარო... გარნმუნებთ, ეს მე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ასევე ვფიქრობ, რომ თქვენს მეუღლეს კარგ დახვედრას მოუწყობთ... თუმცა, ჩვენი არ იყოს, ამ დროში არც თქვენ გადაგდით თავზე საჭმელი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში...

— ათასგზის მართალი ხართ, ბატონო მერო, რენოს კარგ დახვედრას მოვუწყობ... თქვენ ამბობთ, რომ 20-ში ჩამოდის, როგორ ფიქრობთ, რომელი საათისთვის იქნება აქ?

— გავიგე, რომ მატარებელი პარიზიდან ოცდასამ საათზე გამოვა. ეს წელი მატარებელია. როცა ტივიეს სადგურში ჩამოვა, იქიდან ფეხით სასიარულო კიდევ ოთხი კილომეტრია. ყველაზე ადრე, აქ შუადღისთვის უნდა იყოს.

— გარნმუნებთ, საგულდაგულოდ მოვემზადები და მის საყვარელ და ალბათ მონატრებულ საუზმეს დავახვედრებ, ბატონო მერო... ოღონდ მაპატიეთ, რომ ვერ გეპატიჟებილი... დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩემთვის შენუხდით.

— შარდები ყველას უყვარხართ, მაღამ ლემარ... თქვენ აქაური არა ხართ, მაგრამ ყველამ თავისიანად მიგიღოთ.

20 აგვისტოს ელენ ლემარი დილის ექვს საათზე ადგა, ღამით ვერ დაიძინა. წინა საღამოს მთელი სახლი დალაგა, მოკირწყლული ქილები ფარცხა, იატაკი გააკრიალა. ფანჯრის ფარდების ძველი შელანძლული ზონრები ახლით შეცვალა. შემდეგ შარდების დალაქს — მარსიალს — მიაკითხა და თმა დაახვევინა. ღამით თმაზე ბადე გადაიკრა, რომ დილით არ დაშლოდა. ელენმა გარდერობში შეიხედა, ხანგრძლივი მარტოობის განმავლობაში არ გამოპრანჭულა. რომელი კაბა შეარჩიოს? ადრე ლურჯ და თეთროლოიანი კაბა მოსწონდა, მაგრამ... ისე გამხდარიყო, კაბას ქამარიც ველარ იჭერდა. „არა, ჩემს შეკერილ შავ კაბას ჩაიცვამ და ფერადი ქამრითა და საყელოთი გავალამაზებ“ — გადაწყვიტა ბოლოს.

ვიდრე საუზმის მომზადებას შეუდგებოდა გაიხსენა მეუღლის ყველა საყვარელი კერძი... 1945 წელს მთელი საფრანგეთი ლამის შიმშილობდა, ბევრი არაფერი იშოვებოდა. რენოს შოკოლადის დესერტი უყვარდა, მაგრამ შოკოლადი რომ არ ჰქონდა? თუმცა მეზობელმა ქალმა უთხრა, მეზობელ სოფელში მედუქნე „დახლის ქვეშიდან“ ყიდის შოკოლადსო.

საბედნიეროდ, რამდენიმე ახალი კვერცხი ჰქონდა, თავისი ნალოლიავეები ქათმების დადებულნი. რენო ყოველთვის აქებდა ელენის მომზადებულ ომლეტს, ყველაზე კარგად მას გამოსდისო, ამბობდა. მის ქმარს ხორცი და შემწვარი კარტოფილიც უყვარდა, მაგრამ ყასაბს ორი დღეა მაღაზია დაკეტილი ჰქონდა. ამიტომაც ელენმა წინა დღით დაკლული ქათამი შეწვა. მეზობელ სოფელში რვაზე რომ გავალ, ცხრისთვის დავბრუნდები. ყველაფერს ნასვლამდე გავამზადებ და, როცა მოვალ, სამზარეულოს საქმელა დამრჩებაო, გადაწყვიტა.

რენოს დაბრუნებით თუმცა კი ღელავდა მაგრამ მაინც საოცრად მხიარული იყო. მშვენიერი ამინდი იდგა. დილის მზე არასოდეს ყოფილა ასეთი მცხუნვარე. მაგიდის განწყობა დილით დაიწყო. წითელ და თეთრუჯრედებიანი სუფრა... „ჩვენი პირველი ცოლქმრული სადილის დროს გაშლილი სუფრა... ვარდისფერი თევზები სასაცილო ნახატებით... შუშუნა ღვინის ბოთლი და ყვავილები აუცილებლად... რენოს ძალიან უყ-

ვარდა ყვავილები სუფრაზე და სულ მეუბნებოდა, შენზე უკეთ არავის შეუძლია მათი განწყობა.“

თეთრი ზიზილების, ყაყაჩოების, ლურჯი ლილილოებისა და შვრიის რამდენიმე თავთავისგან ელენმა სამფეროვანი თაიგული შეკრა.

შემდეგ, ვიდრე შინიდან გავიდოდა, ველოსიპედზე დაეყრდნო და ღია ფანჯარაში დაკვირვებით შეხედა პატარა სასადილო ოთახს. კი, ყველაფერი ნამდვილად მშვენივრად იყო მოწყობილი. ამდენი უბედურების შემდეგ რენო უეჭველად გაცდებოდა, რომ სახლიც და ცოლიც თითქმის შეუცვლელი დახვდებოდა. ფანჯრიდან დიდ სარკეში თავის თავს შეხედა. ცოტათი ზედმეტად გამხდარიყო, მაგრამ სიქათქათე და ახალგაზრდობა შენარჩუნებოდა, არც სიყვარული განელებოდა, ის კი არადა, უფრო მეტადაც იყო შეყვარებული... და უცებ მოზღვავებული ბედნიერება იგრძნო.

„უნდა წავიდე“, ჩაილაპარაკა მან. „რა დროა, უკვე 9 საათია, ღმერთო!.. რამდენი დრო მოვანდომე ყველაფერი... თუმცა მერმა თქვა, მატარებელი შუადღისთვის ჩამოვაო... ამ დროისთვის უკვე აქ ვიქნები.“

ლემარების სახლი სოფლის ბოლოში განცალკევებით იდგა. ამიტომ ვერავინ დაინახა გამხდარი ჯარისკაცი ანთებული თვალებით, რომელიც ბაღში შევიდა. აქ ცოტა ხანს შეჩერდა. სინათლით და ბედნიერებით დაბრმავებული ყვავილების მშვენიერებით მთვრალი ფუტკრების ზუზუნს უგდებდა ყურს. შემდეგ წყნარად დაიძახა:

— ელენ!
არავინ უპასუხა. კვლავ დაიძახა:
— ელენ !.. ელენ!..
სიჩუმით შეშინებული სახლს მიუახლოვდა და ფანჯრიდან ყვავილებით და შუშუნა ღვინით ორ კაცზე გაშლილი სუფრა დაინახა. გულში ტკივილი იგრძნო და კედელს მიეყრდნო.
„ღმერთო!“ — გაიფიქრა მან — „მართო არ ცხოვრობს“.

ერთი საათის შემდეგ, როცა ელენი დაბრუნდა, მეზობელმა უთხრა:

— მე ვნახე თქვენი რენო, გზაზე მიბოძდა, მაგრამ არც მოუხედავს.
— გარბოდა?... საითკენ?
— ტივიეს მიმართულებით.
ელენი მერთან მივარდა, მაგრამ მან არაფერი იცოდა.
— მეშინია, ბატონო მერო, ძალიან მეშინია. მართალია, რენოს მკაცრი გამომეტყველება აქვს, მაგრამ მგრძნობიარე და ეჭვიანი ადამიანია. ორ კაცზე გაშლილი სუფრა დაინახა... ვერ მიხვდა რომ მას ველოდი... სასწრაფოდ უნდა მოძებნოთ, ბატონო მერო... უნდა მოძებნოთ... შეიძლება აღარ დაბრუნდეს... მე კი რენო ისე მიყვარს!
მერმა ტივიეს სადგურში ველოსიპედისტი გაგ ზავნა. გამოიძახა ჟანდარმები, მაგრამ რენო ლემარს ვერ მიაკვლიეს. ელენი მთელი ღამე იჯდა მაგიდასთან, სადაც ყვავილები დიდი სიციხისგან დამქნარიყვნენ. ყელში ლუკმა არ გადასდიოდა.
გავიდა ერთი დღე, შემდეგ კვირა, თვე.
...ორ წელზე მეტია გასული იმ ტრაგიკული დღიდან და ელენს არაფერი გაუგია თავისი ქმრის შესახებ. ამ ამბავს იმ იმედით ვწერ, რომ რენო ნაიკითხავს და დაბრუნდება.

ფრანგულიდან თარგმნა ტარიელ ნამორაძემ



მხატვარი კარლო ფაჩულია

* *

„ისტორიული სიზუსტის“ მოყვარულნი თავიანთ საკბილოდ დაიგულბდნენ ნიკო სამადაშვილის სტრიქონებს ბეთანიური რკალიდან: ეხლაც კი ვამჩნევ ლამაზ სახეზედ ჯალალედინის შემოკრულ სილასო, — რათა „დაემტკიცებინათ“, რომ ისტორიაში ლაშა-გიორგი და ხვარაზმის შაჰი არასოდეს შეხვედროდნენ ერთმანეთს და ხვარაზმელთა ის უწყალო შემოსევა რუსუდანის მეფობისას მოხდა. ვერ გაითვალისწინებდნენ, რომ პოეტური კანონები განაზოგადებდა მოვლენებს, გაასიმბოლოებდა, და ამ განზომილებაში სწორედაც ერთმანეთს შეხლოდა ეს ორი ხელმწიფე, როგორც სიკეთისა და სიავის დაუსრულებელი ჭიდილის მეტაფორული სახეებიანი.

„ისტორიული სიზუსტის“ ის მოყვარულნი იოლად ვერ შეებედანენ გრიგოლ აბაშიძის სახელს, თორემ „სადავოს“ მასთანაც მიაგნებდნენ: მინა სჭამს ყველა ჯალალედინებს, მინა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქისო, — როგორი რა სტრიქონებია ეს მტარვალი ხომ ერთი იყო და არა რამდენიმეო!..

არადა, რა როგორ ყოფილა საქართველოს ისტორიაში, ბევრს არ სცოდნია და, მითუმეტეს, არ განუცდია გრიგოლ აბაშიძესავით, ვისთვისაც ხელშესახები გახლდათ ამგვარი შეგრძნება, კოხტისთავის გმირებს რომ მიმართავდა: მე შვიდასი წლით დამაგვიანდა, თქვენს შეთქმულებას ვერ მოვუსწარიო, — და სტრიქონებს შორის ფარულად ჭიატობს თუნდაც ამ შეთქმულებასთან შესისხლხორციების უჩვეულო მადლი და განცდა.

მონოგრაფიის თემა გრიგოლ აბაშიძე და საქართველოს ისტორია, რომლის ერთ თავადაც მოხდენილად ჩაერთვის თბილისური სურათები, მისი მღელვარე თავგადასავლის კალიდოსკო-



მხატვარი თენგიზ გოგოლაძე

პი, ამოზრდილი იმ უღრმესი ფესვებიდან და შრეებიდან: მე დაჭრილი ვარ როგორც ხოხობი და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი.

თუ ვინმე ყოფილა თბილისის მომღერალი, მათ შორის სამუდამოდ დაუმკვიდრებია თვალსაჩინო ადგილი გრიგოლ აბაშიძესაც.

თუ ვინმეს სახელი უნდა აღბეჭდილიყო თბილისის სინამდვილეში, უსათუოდ გრიგოლ აბაშიძისაც.

თუნდ მისი სახელობის ქუჩასაც უნდა დაემშვენებინა დედაქალაქის მიხვეულ-მოხვეული ლანდშაფტი.

და კიდევ — ერთი პატარა ქუჩა შეირჩეოდა მის სახელზე.

პატარა, ოღონდ ისეთი, ბევრ გამზირს შეეხარბება მისი სისავსეც და შთამბეჭდაობაც — აქეთ სამების ტაძარი, კიდევ აქეთ საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, იქით დიმიტრი ყიფიანის საცხოვრისი, რომლის პირველ სართულსაც საბავშვო ბაღი შეეკედლებია.

სულიერებისა და კულტურის ისეთი ოახისი გადაშლილა, ხელისგულისოდენა ადგილზე, მოდი და ნუ გაიოცებ — დაე გაეჯიბრონ გაცილებით დიდი ტერიტორიები!..

ესეც გრიგოლ აბაშიძის ბედი ყოფილა — თითქოს მიყრუებული, სადღაც მიჩქმალული და ერთიბენო, შინაგანად ასერიგად აღზევებული და გაკაშკაშებული — როგორც... როგორც თუნდ დაჭრილი ხოხობია, ოღონდ თბილისში ჩამოვარდნილი.

...ისე ნეტა რამდენი იყო და არის ეს ჯალალედინი — და კიდევ რა სურს, რას ესწრაფის, რას გვიპირებს... მაინც როდემდე, როდემდე უნდა იყოს აღბეჭდილი ლაშა-გიორგის სახეზე მისი შემოკრული სილა?!

* *

— ბალადა დაწერე, ბალადა, — ლევან ბრეგაძე უჩვეულოდაა ატაცებული. თავის ახალ წიგნს მანვდის — „ყოფითი რწმენა-წარმოდგენები“, რომლის თავფურცელზეც პოეტური მიძღვნაა წარწერილი. წიგნი ბადრი გაგნიძეს უნდა გადასცეს კარლო ფაჩულიამ კიდევ ერთი მეგობრული შარჟის სანაცვლოდ.

ლევანს ეს ახალი შარჟიც ძალიან ახარებს და ისიც, კარლოსთან ერთად რომ არის ნახატზე. პოეტურ მიძღვნაში ეს გარემოება საგანგებოდაა გამოკვეთილი და სათაურშივე აღნიშნული.

მიძღვნას ჩავიკითხავ.

— სადაური ბალადაა, — არ მინდა აღტაცება გავუნელო, მაგრამ ჟანრული დაზუსტების სურვილი თავისას შვრება.

— მთლად ბალადა თუ არა, ბალადის ნიშნები ხომ მაინც იგრძნობა? — არ მეკუთება.

— ნიშნები... ნამდვილად იგრძნობა...

— მაშ რაღა გინდა?

კაცმა რომ თქვას, არც არაფერი.

და აბა ერთი თქვენც გადაავლეთ თვალი:

* *

რონალდ რეიგანი თავს არასოდეს სდებდა იუმორისტობაზე, თუმც მსმენელის ყურადღების მისაპყრობად სიტყვის დანყება ხუმრობით ან რაიმე ამბის მოყოლით უყვარდა. წინასწარ მომზადებული ხუმრობის იმედად გახლდათ, რაკილა მოსწრებული სიტყვა, ფრთიანი გამოთქმა, ფეექტური კალამბური



ბადრი გაგნიძეს, ოდეს კარლო ფაჩულიასთან ერთად გამომხატა

წმინდა გიორგიმც დაგლოცავთ შენც და ჩემს ძვირფას კარლოსაც! მადლობა როსტომ ჩხეიძეს, ვინაც ნახატი გადმომცა! შენ შენი სიტყვა უკვე თქვი, ახლა მე მეღის გამოცდა... აი მეც... სიხარულისგან მადლობა ლექსად წამომცდა! არცერთი არ ვართ ჯაბანი, — ეს კიდევ ერთხელ დამომცდა. შუბივით მოქრის ნახატი, თუ ლექსი ბაგეს გადმომცდა. ერთურთს შევებით! ვინა თქვა რაინდთა მოდგმა ამოწყდა! ნახონ მხატვრის და მელექსის ქარქაშით ხმალთა ამოწვდა!

ბალადის ნიშნები ისე საგრძნობია, მართლაც შორს აღარაა ამ ჟანრში ლევანის გადანაცვლება.

მერე დაჯდეს და იკვლიოს მისი ბალადები ტრისტან მახაურმა.

მაინცდამაინც არ ადგებოდა ენაზე. მაგრამ ამასობაში გაინაფეზოდა და ისე მოხდებოდა, რომ გადამწყვეტ ჟამს ძალიანაც გაუმართლებდა — და, თუმც რაღაც განსაკუთრებული იუმორის ნიმუშს ვერ შექმნიდა, იმ წუთს კი მოჰყვებოდა სიცილი და ხალხის განწყობილება მის სასარგებლოდ შემოტრიალდებოდა.

მემუარებში იხსენებს, თუ როგორ იყრიდა კენჭს მეორე ვადით ამერიკის პრეზიდენტობაზე — ოთხი წელი მეტად უკმაროსად მიაჩნდა, ამიტომაც იმის გადარჩენაც სურდა, რისთვისაც უკვე მიეღწია, და გასაკეთებელიც კიდევ ბევრი იყო.

კონკურენტად გამოუჩნდებოდა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, დემოკრატიული პარტიის ახალი სკოლის მიმდევარი უოლტერ მონდელი, ვისთანაც ლუისიანოში დებატებს წააგებდა. მეორე დებატებისას კი კანზას-სითიში რეპორტიორის შეკითხვაზე: კამპანიის მსვლელობისას თქვენი ასაკი დამაბრკოლებელი ხომ არ არისო? — თავაზიანად რომ მიანიშნებდნენ 77 წელზე, რეიგანი დაუფიქრებლად შეაგებებდა, რაც ენაზე მოადგებოდა: — არ ვაპირებ, რაიმე პოლიტიკური მიზნებისათვის ოპონენტის ახალგაზრდობით და გამოუცდელივით ვისარგებლო.

ეფექტური პასუხი კი გამოუვიდოდა, იუმორით შეზავებული — დარბაზი დაუფასებდა და იხუვლებდა, და ტელეკამერები აღბეჭდვადნენ, თუ როგორ იცინოდა თვითონ მონდელიც.

კანზასის დებატების შემდეგ ყველას ეს ფრაზა ეკერებოდა პირზე და რეიგანს ის ფიქრი გაუჩნდებოდა: ჩემს ხელმეორედ არჩევის საქმეში მგონი ამან გადამწყვეტი როლი ითამაშაო.

მოგვიანებით თეთრ სახლში მიხაილ გორბაჩოვთან რომ მიღწევდა უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას — ორივე ზესახელმწიფოს სტრატეგიული იარაღი ორმოცდაათი პროცენტით შეემცირებინა, შეთანხმებას, რამაც არსებითად გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის დაშლის ბედი, გახალისებული რეიგანი მოსკოველ სტუმარს დაძაბული დღის განსამუხტავად ორ ანექდოტს უამბობდა.

ერთი ის კარგად ცნობილი იუმორესკაა, ამერიკელი რუს რომ უმტიციებს თავის სამშობლოში გამეფებულ დემოკრატიას: შემძლია ჩემი ქვეყნის პრეზიდენტთან შევიდე და ვუთხრა, რომ არ მომწონს, თუ როგორ მართავს ამერიკასო, — რის პასუხადაც რუსმა უნდა მიუგოს: დიდი რამე, მეც შემძლია კრემლში შევიდე და გენერალურ მდივანს ვუთხრა: არ მომწონს პრეზიდენტი რეიგანი როგორ მართავს ქვეყანასო.

მეორე შედარებითაა ცნობილი, თუმც მთავარი პერსონაჟი ხან ვინაა და ხანაც ვინ, რეიგანი კი, ცხადია, პერსონაჟად თავის იმდღევანდელ სტუმარს გამოიყვანდა:

გენერალურ მდივანს კრემლში შეხვედრაზე აგვიანდებოდა და მძლოლს ეტყოდა: შენ უკან დაჯექი, მანქანას მე წავიყვანო. პირველივე მოსახვევში ორი მოტოციკლეტიანი პოლიციელი გაეკიდებოდათ. ერთ-ერთი მანქანას გააჩერებდა, გამოელაპარაკებოდა და მალე გამობრუნდებოდა. — დააჯარიმეო? — ჰკითხავდა მეორე. — არა, ვილაც ბოზოლა იჯდაო, — მიუგებდა პირველი. — ამისთანა ვინ იყო? — დაინტერესდებოდა მეორე. — თვითონ ის ვერ ვიცანი, მაგრამ მძლოლად გორბაჩოვი ჰყავდაო.

მახვილი ფრაზა, მოსწრებული კალამბური, მოხდენილად მოყოლილი ანექდოტი ამერიკის სხვა პრეზიდენტთა ყულაბაშიც შეიძლება აღმოჩნდეს, და თავი რომ მოვუყაროთ, ყველას ერთობლივ მაინც აბრაამ ლინკოლნის მახვილსიტყვაობანი გადასწონის — თანაც, საგრძობლად.

აი, ვის მომადლებოდა უხვად იუმორისტული ნიჭი, ლალი და ორლესული.

აი, ვინ აფრქვევდა წამდაუნუმ მოსწრებულ სიტყვასა თუ კალამბურს.

მისი გაპრეზიდენტებით დიდებული იუმორისტი თუ სატირიკოსი დაეკარგა ამერიკას. თუმც იმისთანა ხელისუფალი ეშოვნა, იშვიათად რომ აღმოჩენილან სახელმწიფოს სათავეში.

და ახლა იმ სავარძელში იკლავდა თავისი კომიკური უნარის ჭიას. უამრავი მახვილსიტყვა თუ ანექდოტი კიდევ მიენერათ მისთვის — როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე.

კარლ სენდბერგის ბიოგრაფიულ რომანში აბრაამ ლინკოლზე ერთი თავი საგანგებოდ ეთმობა პრეზიდენტის იუმორის-

ტულ ტალანტს, უხვად რომ გადავიშლის ნიმუშებს გულდასმით შეგროვებული კოლექციიდან.

შეერთებული შტატების არცერთ პრეზიდენტს, ცუდია ეს თუ კარგი, არა ჰქონია ლინკოლნისებური გრძობა იუმორისა. სწორედ ეს ხდიდა მას ხალხისათვის გასაგებსა და მახლობელსო, — გვამცნობს სენდბერგი და იმომებს მაშინდელი ლონდონური გაზეთის სიტყვებსაც: ამერიკელთა ნაციონალური იუმორის პოზიციები საგრძობლად გაამაგრა იმან, რომ პრეზიდენტის სახით მათ ჰყავთ არამარტო უმაღლესი ხელმძღვანელი, არამედ უპირველესი ხუმარაცო.

როგორც ამტკიცებდნენ, პრეზიდენტი ხუმრობას იყენებდა სულიერად დაცემული მეგობრის გასამხნეველად, თავისი მელანქოლიის გასაქარვებლად, საკუთარ მოსაზრებათა განსამტკიცებლად, ვინმეს შეცდომების გამოსაშკარავებლად და მტრის განსაიარალებლად...

ლინკოლნი ირწმუნებოდა, ერთი მეექვსედი იმ ანექდოტებისა, რომელთაც მომანერენ, დიდი ხნის წინათ უკვე ცნობილი გახლდათ, დანარჩენი ხუთი მეექვსედი კი ეკუთვნით სხვა, ჩემზე გაცილებით უკეთეს მთხრობლებსო.

— მე მხოლოდ ვიმახსოვრებ კარგ ანექდოტებს, გამოგონებით კი ერთიც არ გამომიგონებია, ცალეხით მოვაჭრე გახლავართ, ეგაა და ეგა!..

საქმეში ჩახედულ პირთაგან ერთი ამტკიცებდა: პრეზიდენტმა თავისად მარტოდენ ასამდე ანექდოტი მიიჩნიაო, — ხოლო მეორე ასე ნაანერდა ფორზაცზე წიგნისა — აბრაამ ლინკოლნის ანექდოტები: აქ თავმოყრილ ნიმუშთაგან ლინკოლნისა მხოლოდ ნახევარიაო.

ბიოგრაფოსი კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გაიმეორებდა: ანექდოტთა კრებულები და სხვა ლიტერატურული მასალა ხალხის მასებს აცნობდა უბრალო ადამიანთა მახლობელ პიროვნებას, გულწრფელს, მოყვასსა და ხუმრობის მოყვარულს, ადამიანს, რომელსაც იოლად ვერ გააბრიყვებდითო.

და დასძენდა: მისგან მოსალოდნელი იყო ეთქვა — მომღერალს ისეთი მაღალი სოპრანო აქვს, მასზე უკიბოდ ვერ გადახვალთ. ანდა ახალარჩეულ ახალგაზრდა კონგრესმენს ასე შეგებებოდა: შემობრძანდით და მიაბზეთ, რაც იცით, ეს ძალიან ცოტა დროს ნაგართმევსო.

ლინკოლნს ამერიკელ ეზოპეს უწოდებდნო, — დაინერებოდა ნიუ იორკის „ჰერალდის“ ფურცლებზე, თუმც ეს ხელს ვერ შეუშლიდა რედაქციას, ერთი კვირის თავზე მზაკურული ანექდოტი შეეთხზათ და პრეზიდენტისათვის მიენერათ.

სენდბერგის ცნობით, ლინკოლნისა ესმოდათ იმჟამინდელ გამოჩენილ იუმორისტებსა და თვალსაჩინო ფელეტონისტებს. ისინი თავიანთ ხუმრობებს ისეთ ელფერს ანიჭებდნენ და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, თითქოს პრეზიდენტი მათი წრისა ყოფილიყო. ისე ნერდნენ, რომ ამჟღავნებდნენ პრეზიდენტისადმი შეფარულ სიყვარულს. მათ იცოდნენ, რომ ლინკოლნი მათი ერთ-ერთი გულმოდგინე მკითხველი გახლდათ. მას ძალზე ახარებდა მისი საქმისათვის მებრძოლ ჟურნალისტთა მწვავე იუმორისტული ისერეი. და ერთხელ ასეთ რამესაც განაცხადებდა:

— სიამოვნებით გავცვლიდი პრეზიდენტობას მათ მხატვრულ ტალანტში.

...ჩემი სახელით გამოქვეყნებულ ანექდოტთა მხოლოდ ნაწილი მიეკუთვნისო, — ირწმუნებოდა აბრაამ ლინკოლნი.

და, ვინ იცის, აკაკი წერეთლისა არ იყოს, ოდესმე ესეც დაეჩვილოს „ლინკოლნის ოხუნჯობათა“ ჩათვლიერებისას: დალახვროს ლმერთმა, ეს რამდენი ლინკოლნი ყოფილა ქვეყანაზეო.

კარლ სენდბერგის ბიოგრაფიული რომანი ასეთ ფრაზას არ გვამცნობს, თუმც სტრიქონებს შორის რომ ამოვიკითხოთ უშუალოდ ამ სახით, ვითომ რამე დაშავდება?!



მხატვარი ბადრი გავნიძე

როგორც ქამა და მეგობარმა

ქართველ მკითხველს, ალბათ, არა სჭირდება აკაკი წერეთლის გენიალური პოემის („გამზრდელი“) შინაარსის შესხენება. ტექსტიც ზეპირად ვიცით და მოქმედ პირთა სახელებიც: ბათუ, მისი ცოლი ნაზიროლა, ბათუს ძიძიშვილი საფარ-ბეგი და მათი გამზრდელი ჰაჯი-უსუბი.

აკაკის გენიალური პოემიდან მოარულ გამოთქმად იქცა ჰაჯი-უსუბის უღმობელი ავტოვერდიქტი: „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდისხარ!“ და, არცთუ იშვიათად, ხუმრობით ამუნათებენ ხოლმე ვინმე უდანაშაულო დამნაშავეს არაფორმალურ მოძღვარსა თუ ჭკუის დამრიგებელს — თავს რატომ არ იკლავო?!

არანაკლებ პოპულარულია ის სტროფი იმავე პოემიდან, სადაც საფარ-ბეგი თავისი გამზრდელის შეკითხვას (მერე, მერე, რომ გაიგო ეს ამბავი, რა თქვა ქმარმა?) ასე პასუხობს: „მაპატივა შეცოდება, როგორც ძმამ და მეგობარმა“.

და აი, ამ ფრაზის შერყენილი პერიფრაზიც კი წარმოქმნილა, უკადრისი და უხამსი: „ხელმწიფედ ნება დამართო, როგორც ძმამ და მეგობარმა“.

კაცმა რომ თქვას, არაფერიც აღარ უნდა გაგიკვირდეს იქ, სადაც წყეული კომუნისტური რეჟიმის ჟამს, არც ისე დიდი ხნის წინათ, ერთმა ჭკუამოცილობმა ქართველმა კაცმა დაწერა პოემა ფრიად ორიგინალური სათაურით „ძალისტყაოსანი“. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი! ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ერთი ღვანდლისი ქართველი საბჭოთა მეცნიერის სიტყვით, ეს თქვენი მოსაწონი თუ დასაწუნი „ძალისტყაოსანი“ თურმე ალაგ-ალაგ „ვეფხისტყაოსანს“ არ ჩამოუვრდებია!

ეგ კიდევ არაფერი... დამოუკიდებლად „ძალისტყაოსანის“ ავტორისაგან, მისი ერთი მოკრძალებული მთიელი კოლეგა იმით დაკმაყოფილდა, რომ „ალუფა ქეთელაურის“ შესავალი სტროფები გადააკეთა-გადმოაკეთა ანუ უნმანურ-უცენ-ზურო გამოთქმები ჩაანაცვლა უბადლო დედნის მარგალიტებს.

მართლაც რომ, ერთი ბრძნული ტექსტისა არ იყოს, ჩვენისთანა ნიჭიერი...

თავი იმითა უნდა ვინუგეშოთ, რომ პაროდია, კეთილი იქნება თუ ბოროტი, თავისებურად ადასტურებს მავანი შემოქმედის სახელ-დებას. აბა, თავად განსაჯეთ, ვის აპაროდირებენ: შოთა, აკაკი, ვაჟა... (სად, რომელ ქვეყანაში მოიხსენიებენ სახელით საყვარელ სახეებს!).

აკაკის მაღლიანი კალიმეო სანუცხოოდ გალექსილი ამბავი, რა თქმა უნდა, ამ ცისქვეშეთში არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი. წარსულშიც არაერთგზის მომხდარა და, ვაგლახ, აწმყოშიც არ გვაკლია, მომავალს ვილა ჩივის! სად? სად და ყველგან, სადაც კი ძე დადამისა ბინადრობს, ნიუ-იორკის ფეშენებელური აპარტამენტები იქნება თუ ცენტრალური აფრიკის რომელიმე მიყრუებულ აულში ჩაკარგული ფარალალა ბუნგალო. თეთრებიც და შავებიც, ყვითლებიც და წითლებიც, მდიდრებიც და ღარიბ-ღატაკნიც, დარში თუ ავდარში, სიცხეში თუ ყინვაში, ქარში თუ წვიმაში, ერთგულად მიჰყვებიან ეშმას ბილიკებს და რატომღაც ავიწყდებათ მცნება უფლისა („არა გული გითქმინდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა“).

მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი ამბავი გახმაურდება ხოლმე საქვეყნოდ — მონაწილეთა პოპულარობის გამოისობით.

აგერ, ამ ცოტა ხნის წინათ, ერთი ასეთი ამბავი დატრიალდა ღვთიერებულ დიდ ბრიტანეთში, სადაც საფარ-ბეგის როლს ასრულებდა ინგლისის ფეხბურთელი ნაკრები გუნდის კაპიტანი ჯონ ტერი („ჩელსი“), ხოლო ბათუს როლში ვიხილეთ მისი კოლეგა იმავე „ჩელსის“ კლუბიდან — უეინ ბრიჯი. რაც შეეხება მესამე პერსონას, ეს გახლდათ აღნიშნულ პერსონებზე არანაკლებ პოპულარული ქმნილება, ფრანგი მოდელი — ვანეს პერონსელი.

ამ სკანდალმა ლამის მთელი მსოფლიო შეაწირა და აღაშფოთა. მართლაცდა, ვის არ ააღელვებდა ის ფაქტი, რომ ინგლისელ ფეხბურთელთა სახელმძღვანელო ბაირახტარი თავის ერთადერთ ცოლს ღალატობდა! დიდი ამბავიო, იტყვიო. ამას კი მოითმენდა ცი-

ვილიზებული დასავლეთი, მაგრამ იმას როგორ შეურიგდებოდა, რომ ფეხმარჯვე ბაირახტარის მხურვალე ვენების საგანი ბრძანდებოდა მისივე უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ერთადერთი ცოლი.

ჯონი და უეინი ერთიმეორეს ხომ წამდაუნუმ ძმობას ეფიცებოდნენ, ვისკით სავსე ჭიქებს უჭახუნებდნენ და დღევრძელობას უსურვებდნენ, ერთმანეთს დღენიდაგ ხოტბას ასხამდნენ, შენისთანა ფეხბურთელიო, შენისთანა კაცური კაციო... ხოლო ფრანგ ქალბატონს, თვალწარმტაცსა და მაცდურს, რომელიც წარმატებით ირგებოდა ორ ფრონტზე, შექსპირისა და ბაირონის ლექსებით ამკობდნენ (დახედეთ ფოტოს, ძმობა და მეგობრობა ვის არ დაავიწყდება!).

ჯონ ტერი, რასაკვირველია, საკვირაო წირვა-ლოცვას არასოდეს აცდენდა, პირჯვარსაც ბეჯითად ინერდა და მარხვასაც პირნათლად ინახავდა მაგრამ მეთუ მცნება უფლისა, როგორც ჩანს, აღარ ახსოვდა და ინგლისის ლამაზმანა ნაკრებ გუნდს მაინცდამაინც უახლოესი მოყვასის ცოლი ამჯობინა.

ამ ადიულტერის ამბავი „ჩელსის“ კლუბში, უეინ ბრიჯის გამოკლებით, ყველამ იცოდა, მაგრამ საფეხბურთო სამყარო მამინლა შეიტყო, როდესაც თავლაფდასხმული და კაკალ გულში დაჭრილი ვაჟკაცი „მანჩესტერ სიტის“ კლუბში გადაბარგდა (ჩემს შემარცხვენელს პასი როგორღა უნდა მივცეო?! და, იმავდროულად, თავის ორგულ ცოლს გაეყარა.

ჯონ ტერი, სანიშნო მუღლელედ რომ ითვლებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელაც „წლის მამის“ საპატიო ნოდება დაიმსახურა, თავგამოდებით ლამობდა ჩაეფარცხა მოულოდნელი სკანდალი და სატროლს გვარიათი თანხაც შესთავაზა, ოღონდ ენა ჩაეგდო მუცელში, მაგრამ ინფორმაციამ წვეთწვეთად მაინც გაჟონა პრესაში და მღვრიე ნიაღვრად იქცა, რომელიც ნალექვას უქადადა ევროპულ ფასეულობებს.

ჯონ ტერის სასწრაფოდ ჩამოართვეს ეროვნული ნაკრების კაპიტნობა.


ერთი ინგლისელი ჟურნალისტის სიტყვით, ჰიტლერი რომ ჰიტლერია, კაციჭამია და სისხლისმსმელი, ისიც კი არ იკადრებდა, რომ რომანი გაეწაღებინა, ვთქვათ, გებელსის პირმშვენიერ ცოლთან. არ იკადრებდა, მორჩა და გათავდა!

მავანთა შეხედულებით, ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ინგლისური ფეხბურთის უჭკნობ სიმბოლოს, „რკინის კაპიტანს“ და „ნესიერების ნიშულს“, ფინანსური კრახი დაემუქრა. მართალია, მისი ყოველკვირეული ხელფასი კლუბში შეადგენდა 170 ათას გირვანქა სტერლინგს (თითქმის ნახევარი მილიონი ლარია!), მაგრამ ძირითადი შემოსავალი ერგებოდა სარეკლამო კონტრაქტებიდან. ხოლო აგორებული სკანდალის გამო სოლიდური კომპანიები, ცხადია, ზურგს შეაქცევდნენ რესპექტაბელური საზოგადოების თვალში სახელგატეხილ ფეხბურთელს.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, ამბობს ბრძნული ქართული ანდაზა. აკი გამართლდა კიდევ ჯონ ტერის თავზე. ავყია ჟურნალისტებმა ისიც გაუხსენეს, რომ „ჩელსის“ კაპიტანი კერძო ექსკურსიებს აწყობდა თავისი კლუბის სპორტულ ბაზაზე და თავისი სახელგანთქმული ძმაკაცებისათვის ხელის ჩამორთმევის ბედნიერებას უწილადედა გულანთებულ ფანებს. ფრენკ ლამპარდისა თუ დიდი დროებას გაცნობაში თუნდაც მილიონის გადახდა ვის დაენანებოდა! ჰოდა, მოსდიოდა და მოსდიოდა მილიონები გამილიონერებულ კაპიტანს.

გულჩვილი ინგლისური პრესა შემფოთებით ღალადებდა, ასეთი უხეშო კაცი როგორ შეიძლება მილიონობით ფანების კერძო იყოსო?! შეიძლება, ყველაფერი შეიძლება იქ, სადაც მზე ჩადის...

უეინ ბრიჯს, ჩვენდა საბედნიეროდ, არ მოუკლავს ჯონ ტერი. აპატია შეცოდება, როგორც ძმამ და მეგობარმა. რაც შეეხება ჟოზე მარინიოს, რაფაელ ბენიტესსა და რომან აბრამოვიჩს, მათ, სამწუხაროდ, არც ნაუკითხავთ და არცა სმენიათ აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და, პაჯი-უსუბისგან განსხვავებით, თავის მოკვლა თავშიც არ მოსვლიათ.



ხედ დავითის სახეობა, ქვეყნის სასაფლაო

ნიგინი — თავისი ერთადერთი იარაღი. პატარა ლოცვანი შორიდანვე მწარე ნალექსს ჰპირდება წამკითხველს: „ან მისი ხელში აღება რამ უნდა გამაბედ- ვინოს? ხედ ცრემლის ლაქა აცხია, ვილაცას უნდა ეტიროს!“

თედ ჟორდანის „ქრონიკების“ მეორე ტომში, სხვა უამრავ ძვირფას მასალასთან ერთად, აღწერილია შირაზის ტყვეობაში მყოფი ქეთევან დედოფლის ნაქონი ლოცვანი, რომელიც მისივე დაკვეთით 1609 წელს გადაუწერია ქვათხევის მონასტრის წინამძღვარს იოანე ავალიშვილს.

მკვლევართ, ლოცვანის რამდენიმე ფურცელს არ- შიაზე ატყვია ცრემლთაგან დარჩენილი ლაქა, აქა-იქ ალბეჭდილია სანთლის ნალექნიც; ხოლო ერთ ალაგას შეინიშნება სისხლის წვეთი და იქვე, ზემო არშიაზე — ისევ ლაქა ცრემლთაგან.

თედ ჟორდანია დასძენს, რომ „თვით ქეთევანისათვის დაწერილი და თვით მის წმინდანის ნაქონი ლოცვანი, მის წმიდის ცრემლით დაღობილი“ შემდგომში უჩუქებიათ მიხეილ საბინისათვის.

ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სიძველეთა და სასულიერო მწერლობის მკვლევარს (დედით ქართველს) ეს იშვიათი რელიკვია, ჩანს, ქართველი ხალხისათვის უანდერძებია და საბოლოოდ საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაბინავებულია.

გიორგი ლეონიძის ერთი ლექსის („ქეთევანის ნიგინი“) ეპიგრაფში ვკითხულობთ: „საქართველოს მუზეუმში ინახება ხელნაწერი ლოცვანი, ქეთევან დედოფლის ტყვეობაში ნაქონი. ნიგინის ფურცლებს დღესაც ატყვია ცრემლის ლაქები და ერთგან სისხლის ნანვეთალი“.

ძნელი დასაჯერებელია, რომ „ქრონიკებში“ მოტანილი სიტყვაძეუნე ცნობა არ შემორჩენს მესხიერებას და მკითხველის სულის სიღრმეში ჩამალულ კუნჭულს არ შეეხიზნოს მოულოდნელ ტკივილად. მაგრამ როდესაც შენი ხელით შეეხები ქეთევან დედოფლის ხელში გამოვლილ ნიგინს, როდესაც შენი თვალით დააკვირდები ცრემლით დაღობილ ფურცლებს და, ამასთან ერთად, ხარ პოეტი, განგებისაგან ჭეშმარიტ პოეტად დაბადებული კაცი, რომელსაც მშობელ მიწაში გიდგას ფესვები, შეუძლებელია, რომ სხვებზე მეტად არ შეგძრას უჩვეულო კონტაქტმა ნამებული დედოფლის ცრემლთან და სისხლთან. შეუძლებელია, რომ ამ ნიგინმა მისივე არ გადმოისროლოს შენს გულში სამი საუკუნის წინათ ქართველი დედოფლის თავზე მოვლენილი ტრაგედია.

„ღამეა, სულ წვიმს. განა ცას ამდენი უნდა ეწვივა? გული შემიკრთო უეცრივ აჩრდილა გადმოხვენილმა“... ვინ იცის, ეგებ გვიანობამდე დაყოვნდა პოეტი იმ მუზეუმში, დღეს გიორგი ლეონიძის სახელს რომ ატარებს და თითქოს დღესაც დასტრიალებს დიდებული პოეტი-სა და მკვლევარის ხარბი, მაძიებელი თვალი იქ დავანებულ ხელნაწერებს — მათში მიმალულ საიდუმლოებათა გასაშფაფავებლად თუ პუბლიცისტის შთამაგონებელი იმპულსების მოსახელთებლად.

როდესაც მკვლევარის ფიქრი და ანალიზი ვერ ამოწურავდა სათქმელს, მაშინ ლექსად უნდა გადმოხეტეილიყო წარსულის მოლანდება.

გადაუღებელი წვიმით იწყება ლექსი და წვიმა, რომელიც შემოდგომის სევდასა თუ გაზაფხულის მღვლეარებას გამოხატავს ხოლმე, ამგვარად ტრაგიკული განცდის აკომპანემენტად გადაქცეულია.

ამ გადაუღებელ, მომბაზვრებელ, გულის გამანვრილებელ წვიმაში პოეტს ელანდება შორეული შირაზიდან გადმოხვენილი აჩრდილი, დედოფლის სამოსელი რომ აცვია და ხელში უჭირავს

ვის ძალუმს, აუღელვებლად აიღოს ხელში შირაზიდან ჩამოტანილი ნიგინი — უკანასკნელი ნუგეში სასონარკვეთილი დედოფლისა, სამშობლოზე ფიქრში დატანჯული გარდუვალი განსაცდელის შესაგებებლად რომ გამზადებულა და წმინდანის ცრემლით წარუშლელი კვალი დაუტოვებია ლოცვანის ფურცლებზე.

პოეტი რამდენიმე სტრიქონით გვიმხელს ცრემლის ლაქებში ამოკითხულ საიდუმლოს: „ხედ დავითის სახეობა, ქვეყნის სასაფლაოდა“ (ლექსის თავდაპირველი ვარიანტიდან) და მერე გადმოგვცემს ქართული თუ უცხოური წყაროებიდან კარგად ცნობილ სურათს: „შანთით, მარწუხით დახლიჩეს, გაზით უგლიჯეს ძუძუ-ნი, ყორნებს მიუგდეს საჭმელად, ათას ხმლით გადაკუნთული“.

და ხდება უჩვეულო სასწაული. ათასი ხმალი ვერაფერს აკლებს უმერე ტყვე-ქალს. მისი სიცოცხლე და სიკვდილი შეკრულა ერთ პოლიფონიურ ჰიმნად, რომელიც გვაუწყებს არგაგონილი ნამებისა და არნახული მხნეობის ამბავს.

„ათასი ელვის ნათელი დედოფლის სახე ყოფილა. ო, რა თვალები... ქართლისთვის სიკვდილით გადალობილან“... ათასი ელვის ერთდროული აელვარება, ალბათ, მზის კაშკაშს გაუტოლდება და წუთით მაინც გააჩახჩახებს ჩამოწოლილ წყვიდადს.

ვკითხულობთ გიორგი ლეონიძის ლექსს „ქეთევანის ნიგინი“, რომელიც დათარიღებულია 1943 წლით, და ჩვენს ადრე გვასვენებენ, სულ გვდევნენ „ის გონიერი თვალები“, საქართველოს ხილვას დანატრებული თვალები. ჩვენს მესხიერებას აღარასოდეს მოშორდება მშვენიერი, უმნიკლო და დაუფიწყარი სახე დედოფლისა, სამშობლოსა და რჯულისათვის ნამებული ქალისა, რომელმაც უმაგალითო მხნეობითა და გულადობით გაუძლო ჯოჯოხეთურ გამოცდას. მისი „გაუტყეხელი სიმტკიცე“ (გერმანელი დრამატურგის ანდრეას გრიფიუსის გამოთქმამა) არაფრით ჩამოუვარდება ბრძოლის ველზე გასულ გმირთა სიმამაცეს და თავგანწირვას.

ამგვარი შუქურები საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის ყოველ ნაბიჯზე როდი ანთია. თითქოსდა ასეც არის საჭირო — სწორედ ყველაზე პირქუში ძნელბედობის უკამს წამოიმართოს ძველი ზნეობრივი გაკვეთილისა და ათასი ელვის ნათელი გაანათოს „დიდი ღამის“ წყვიდადი, აჩვენოს მისი წარმავლობა, ანდერძად დაუტოვოს შთამომავლობას შესაშური და აღმაფრთოვანებელი მაგალითი.

ქეთევან დედოფალი წმინდანად არ დაბადებულა. მისი გადაქცევა წმინდანად განაპირობა მისმა აღზრდამ, რწმენამ, ცხოვრების წესმა, ზნეობრივი და პატრიოტული იდეალების უსაზღვრო ერთგულებამ.

ქეთევან დედოფალი გვესახება, როგორც საოცარი და უზადლო განსახიერება სრულქმნილი არსებისა. ღირსეული სიცოცხლე და ღირსეული სიკვდილი — აი, რას ჰქვია ქართველი ხალხის ცნობიერებაში ქეთევან დედოფალი.

შირაზის ტყვე უკვე დიდი ხანია ქცეულა ყველა ტანჯულისა და მაინც სულით უძლეველი, გაუტყეხელი და დაუმარცხებელი ადამიანის უზადო სიმბოლოდ.

მწერლის სახლმა ბახტრიონზე უმასპინძლა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების აზერბაიჯანული თარგმანის წარდგინებას.

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით აზერბაიჯანულ ენაზე ითარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ (მონოსპექტაკლი მოამზადეს ზურაბ კანდელაკმა და ბაკო ხაჩიამ).

სალამოს უძღვებოდა ივანე ჯავახიშვილი. სტუმართა შორის გახლდნენ რაჰიმ გუმბათი — საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების თავმჯდომარე, მირზა მაჰმადი — მწერალი, ზურაბ კანდელაკი, ზურაბ ცინციკლიძე, ლევან ქურციკაშვილი, რეზო ადამია, დავით შემოქმედელი.

ქვეყნებს შორის მრავალმხრივ მნიშვნელოვანია კულტურული

ურთიერთობა, სასიამოვნო ფაქტია, რომ მოკლე პერიოდში ვაჟა-ფშაველას ორი პოემის თარგმანი შესრულდა და მალე აზერბაიჯანული მოთხრობებიც აუღერდება ქართულ ენაზე, განაცხადა ზურაბ კანდელაკმა.

რეზო ადამიას თქმით, დიდი სიყვარულის ნიმუშია, რომ ვაჟა-ფშაველა ითარგმნა აზერბაიჯანულად, ხელოვნებას შეუძლია ერების დაკავშირება ერთმანეთთან.

სალამოზე ცნობილი გახდა, რომ შეიქმნება ორგანიზაცია „კასპის ზღვიდან შავ ზღვამდე“, რომლის ფარგლებშიც მოხდება კულტურულ ფასეულობათა გაცვლა ამ ორ მეზობელ ერს შორის.

სალამოს დასასრულს, ვაჟა-ფშაველას პოემიდან „გოგოთურ და აფშაბი“ ნაწყვეტები წაიკითხეს მსახიობმა ზურაბ ცინციკლიძემ და რაჰიმ გუმბათმა.